საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ბორისი ნიჩიპეროვიჩი

რუსული საეკლესიო მმართველობა საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

სამეცნიერო ხელმძღვანელი სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2020

სარჩევი

ანოტაცია 3

Annotation 6

შესავალი 8

თავი I საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და რუსული საეკლესიო მმართველობის დამყარება საქართველოში 22

თავი II საქართველოს ეგზარქოსები XIX საუკუნი პირველ ნახევარში 49

§ 1. ეგზარქოსი ვარლამი (1811-1817 წ.წ.) 53

§ 2. ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821 წ.წ.) 63

§ 3. ეგზარქოსი იონა ვასილევსკი (1821-1832 წ.წ.) 73

§ 4. ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი (1832-1834 წ.წ.) 77

§ 5. ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი (1834-1844 წ.წ.) 82

§ 6. ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი (1844-1858 წ.წ.) 85

თავი III საქართველოს ეგზარქოსები XIX საუკუნის მეორე ნახევარში 87

§ 1. ეგზარქოსი ევსევი ილინსკი (1858-1877 წ.წ) 90

§ 2. ეგზარქოსი იოანიკე რუდნევი (1877-1882 წ.წ.) 96

§ 3. ეგზარქოსი პავლე ლებედევი (1882-1887 წ.წ.) 99

§ 4. ეგზარქოსი პალადი რაევი (1887-1892 წ.წ.) 110

§ 5. ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიავლენსკი (1892-1898 წ.წ.) 115

§ 6. ეგზარქოსი ფლაბიანე გოროდეცკი (1898-1901 წ.წ.) 125

თავი IV საქართველოს ეგზარქოსები XX საუკუნის პირველ მეოთხედში 131

§ 1. ეგზარქოსი ალექსი ოპოცკი (1901-1905 წ.წ.) 133

§ 2. ეგზარქოსი ნიკოლოზ ნალიმოვი (1905-1906 წ.წ.) 147

§ 3. ეგზარქოსი ნიკონ სოფიისკი (1906-1908 წ.წ.) 150

§ 4. ეგზარქოსი ინოკენტი ბელიაევი (1909-1913 წ.წ.) 161

§ 5. ეგზარქოსი ალექსი მოლჩანოვი (1913-1914 წ.წ.) 163

§ 6. ეგზარქოსი პიტირიმ ოკნოვი (1914-1915 წ.წ.) 165

§ 7. ეგზარქოსი პლატონ როჟდენსტვენსკი (1915-1917 წ.წ.) 167

დასკვნა 172

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 177

ანოტაცია

XX საუკუნის ბოლოს საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართველ ისტორიკოსებს საშუალება მიეცა, ახლებურად გაეაზრებინათ ჩვენი ისტორიის არაერთი ფაქტი თუ მოვლენა.

70-წლიანი საბჭოური, ათეისტური მმართველობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კვლევა, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. ქვეყნის ისტორიის კვლევა საბჭოური დოგმების დაცვით, ეკლესიის ისტორიის შესწავლისაგან გამიჯვნით მიმდინარეობდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის გარეშე ქვეყნის ისტორიის შესწავლამ სავალალო შედეგები მოუტანა როგორც საისტორიო მეცნიერებას, ასევე ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას.

ბოლო რამდენიმე ათეული წელიწადია საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი საქართველოს ეკლესიის წარსულისადმი. გამოქვეყნდა არა ერთი ნაშრომი, წერილი თუ სტატია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XIX საუკუნის ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია და რუსეთის იმპერიის მიერ დანიშნული ეგზარქოსების ანტიქართული საქმიანობა.

სადისერტაციო ნაშრომი ეხება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მდგომარეობას ეგზარქოსთა მმართველობის დროს, 1811-1917 წლებში. 1801-1810 წლებში მოხდა საქართველოს ანექსია. ბოლო მოეღო სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობას. ამას მოჰყვა 1811 წელს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვაც. 106 წლის განმავლობაში საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ცხრამეტი ეგზარქოსი ედგა სათავეში. აქედან მხოლოდ ერთი, პირველი ეგზარქოსი, ვარლამ ერისთავი იყო ქართველი, დანარჩენი თვრამეტი კი - რუსი.

ნაშრომში ვრცლადაა მიმოხილული საქართველოს ეკლესიის ძირითადი ეტაპები XIX საუკუნიდან 1917 წლის შუა პერიოდამდე. კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ ჯერ აღმოსავლეთ და შემდეგ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და საეგზარქოსოს დაარსება, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა ეგზარქოსთა მმართველობის პერიოდში, ქართველი ერის ბრძოლა რუსეთის ანტიეროვნული და

ანტიეკლესიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის და მისი წარმატებით დაგვირგვინება.

ნაშრომში განვიხილავთ ეგზარქოსთა მიერ საქართველოს ეკლესიაში გატარებულ ე. წ. რეფორმებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის ყაიდაზე მოწყობა. ამ დროს ღიად თუ ფარულად ხდებოდა ქართული საეკლესიო ტრადიციების მოშლა: შეიზღუდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, ქართველ წმინდანთა მოხსენიება, იდევნებოდა ქართული საგალობლები, რომლებსაც ზოგიერთი რუსი მოხელე „ძაღლის ყეფას“ ადარებდა. ჩვენს ეკლესიას გამოაცალეს მატერიალური საფუძველი, რათა ის სრულად დამოკიდებული გაეხადათ სახელმწიფოზე. შემცირდა ეპარქიების რაოდენობა, ქართულ მონასტრებს რუსი ბერები დაეპატრონნენ, აღარ ხდებოდა ახალი მღვდელმთავრების კურთხევა, გაიზარდა საეკლესიო გადასახადები, საქართველოდან გაიტანეს არაერთი სიწმინდე და განძი, ეკლესიას მიაყენეს უდიდესი სულიერი და მატერიალური ზიანი. მათი ქმედებების შედეგად ეკლესიები დაიცალა ქართველი მრევლისგან, ვინაიდან იქ აღარ ისმოდა ქართული სიტყვა. იმპერია საქართველოს, მისი ეკლესიის წინააღმდეგ ახორციელებდა ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ზეწოლას.

ნაშრომში ვრცლად არის საუბარი დასავლეთ საქართველოში არსებულ საეკლესიო მდგომარეობაზე. როგორც ცნობილია, ქართულ ეკლესიას გააჩნდა ორი ერთმანეთისგან ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი, თუმცა რეალურად ერთიანი საეკლესიო ერთეული: ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები. აფხაზეთის კათალიკოსის ადგილზე მჯდომი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი ექვთიმე გაენათელთან ერთად ქვეყნისა და ეკლესიის გაერთიანების იდეით გამოვიდა. სამწუხაროდ, პირველი იდეა ვერ განხორციელდა, საეკლესიო ერთობა კი შედგა, ვინაიდან დოსითეოსმა ნებაყოფლობით უარი თქვა აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტზე და კათალიკოს ანტონ II-ს დაემორჩილა.

რუსეთის იმპერია მკაცრად გაუსწორდა ორივე მღვდელმთავარს: დოსითეოსი მოკლეს, ექვთიმე კი რუსეთში გადაასახლეს. მათი თავიდან მოშორების შემდეგ კი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ეპარქიების გაუქმებასა და საეკლესიო ქონების ძარცვას შეუდგა.

ნაშრომში, ასევე, არის საუბარი 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყებაზე დასავლეთ საქართველოში და მის ჩასახშობად ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვისა და იმპერიის სხვა მოხელეების მიერ ჩადენილ სისასტიკეზე.

სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები, მემუარული ლიტერატურა, პერიოდული პრესა და საკითხის შესახებ არსებული სხვა სამეცნიერო ლიტერატურა.

Annotation

After the collapse of the Soviet Empire at the end of the XX century and the declaration of state independence of Georgia, Georgian historians were given the opportunity to rethink a number of facts or events of our history.

During the 70 years of Soviet, atheistic rule, the study of the history of the Georgian Orthodox Church was, in fact, banned. The study of the history of the country was carried out in accordance with Soviet dogmas, separating it from the study of the history of the Church.

The study of the history of the country without the history of the national church, brought disastrous consequences to both historical sciences and the self-consciousness of Georgians.

For the last few decades the interest to the past of the Georgian Church has greatly increased. Many letters or articles have been written. The special interest was caused to the autocephaly of 19th century, the history of the Georgian church that was taken away and anti-Georgian activities of the exarchs working here.

The present dissertation highlights the situation of the Georgian Church during the Exarchate rule, 1811-1917. In 1801-1810 Georgia was annexed. The independence of the kingdoms came to an end. This was followed by the loss of church independence in 1811. Nineteen exarchs led the Georgian Church for 106 years. Only one of the first exarchs, Varlam Eristavi, was Georgian, and the remaining eighteen were Russians.

The work highlights the details of the major stages of the Georgian Church from the 19th century to the middle of 1917. Specifically, the abolition of the autocephaly of the Church of Eastern and Western Georgia by the Russian Empire and the establishment of the Exarchate, the situation of the Church during the Exarchate rule, the struggle of the Georgian nation against Russia's anti-national and anti-ecclesiastical policies, the struggle for the restoration of the Church's autocephaly and its successful completion.

In the paper we discuss so called reforms conducted by the exarchs in the Georgian Church, which aimed at organizing the Georgian Church as the Russian one. At that time, Georgian ecclesiastical traditions were openly or secretly disrupted: Georgian-language services and references to Georgian saints were restricted, Georgian hymns, which were compared to "dog-barking" by some Russian officials, were persecuted. Our church has been deprived of the

material basis to make it fully dependent on the state. The number of dioceses decreased, Georgian monasteries were taken over by Russian monks, new priests were no longer blessed, church taxes were increased, a number of shrines and treasures were taken out of Georgia, and the church suffered with the greatest spiritual and material damage. As a result of their actions, the churches were emptied of Georgian parishioners, as the Georgian word was no longer heard there. The Empire exerted national, political, economic and ideological pressure on Georgia and its Church.

The paper extensively discusses the church situation in western Georgia. As it is known, till the end of the XVIII century Georgian church was made up of two independent administrational units: Kartli Catholicate and Abkhazian Catholicate. Mitropolit of Kutaisi Dositheos occupying the throne of Abkhazian Catholicate with Ekvtime Gaenateli initiate the unification of the country and the church. Unfortunately, the first part of the idea was unsuccessful, but the church was unified - as Dositheos voluntarily gave up the position on the throne of the Abkhazian Catholicate and complied with the Patriarch Anton II.

The Russian Empire strictly abused both bishops: Dositheus was killed and Ekvtime was exiled to Russia. After getting rid of them, the Russian Empire started to abolish the eparchies of West Georgia and rob the Ecclesiastical Property.

The work also emphasizes the ecclesiastical rebellion of 1819-1820 in western Georgia and the brutality of Theophilus Rusanov and other empire officials.

The source of the dissertation is the materials preserved in the Central Historical Archive of Georgia, memoirs, periodicals and other scientific literature regarding this subject.

შესავალი

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, როდესაც იდეოლოგიური დოგმები ვეღარ შეზღუდავდა მკვლევრებს, ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ, ახლებურად გაეაზრებინათ საქართველოს ისტორიის არაერთი ფაქტი თუ მოვლენა.

70-წლიანი საბჭოური მმართველობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის კვლევა, ფაქტობრივად, აკრძალული იყო ან შუქდებოდა ნეგატიურ კონტექსტში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის გარეშე ქვეყნის ისტორიის შესწავლამ სავალალო შედეგები მოუტანა როგორც საისტორიო მეცნიერებას, ასევე ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ობიექტური შესწავლა, პერიოდისა, როდესაც საქართველო დაპყრობილი იყო რუსეთის იმპერიის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული მონაკვეთის მიხედვით, აქტუალურია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლაც. ეს არის უმძიმესი ეტაპი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესია. 1811 წლიდან 1917 წლამდე მას კათოლიკოს-პატრიარქების ნაცვლად რუსეთის იმპერატორის მიერ დანიშნული ეგზარქოსები განაგებდნენ.

საქართველოს ისტორიის ყველა ეპოქაში მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა განაპირობებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, რაც ეკლესიას ანიჭებდა განსაკუთრებულ ფუნქციას ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველთა თვითშეგნებისა და მათი კულტურის განვითარების საქმეში.

რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობისა და საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა: საქართველოში მთლიანად მოიშალა ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების, სახით იყო წარმოდგენილი. აღმოსავლეთი საქართველო მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო დასავლეთი საქართველო იყო აფხაზთა ანუ ლიხთ-იმერეთის კათოლიკოსის გამგებლობაში, რომლის კათედრა ჯერ ბიჭვინთაში, შემდეგ კი

გელათში იყო. ერთმორწმუნეობის მიუხედავად, რუსეთის იმპერიამ მძიმე განაჩენი გამოუტანა საქართველოს ეკლესიას, გააუქმა მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალია. განხორციელებული „რეორგანიზაციის“ შედეგად იგი მთლიანად თავისი პოლიტიკური ინტერესების სამსახურში ჩააყენა. რუსეთის სინოდის გარდაქმნები შეეხო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის თითქმის ყველა სფეროს, დაწყებული სასულიერო პირთა შესამოსლით და დამთავრებული წირვა-ლოცვით. გატარებული ღონისძიებებით საქართველოს ავტოკეფალიაწართმეული ეკლესია, რომელიც საეგზარქოსოს სახით იყო წარმოდგენილი, რუსეთის სინოდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობაში ხელისუფლების მიერ ჩატარებული ყველა ცვლილება მიზნად ისახავდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული საეკლესიო ტრადიციების მოსპობას, მაშინ როდესაც საქართველოს ეკლესია მართლმადიდებელ სამყაროში თავის თვითმყოფადობას სწორედ ამით ინარჩუნებდა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოჩინდეს რუსული საეკლესიო მმართველობის თავისებურებანი და საქართველოს ეკლესიის მმართველი ეგზარქოსების საქმიანობა 1811-1917 წლებში.

კვლევის შედეგად, მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, შევეცადეთ წარმოგვეჩინა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ეგზარქოსთა ანტიქართული საქმიანობა.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ თემასა და აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული, ჩვენი მხრიდან ეს არის პირველი მცდელობა წერილობით და საარქივო მასალაზე დაყრდნობით მონოგრაფიულად შეგვესწავლა ეგზარქოსთა საქმიანობა. საარქივო მასალები მკაფიოდ ადასტურებს, თუ როგორი მიუღებელი საშუალებებითა და მეთოდებით ებრძოდნენ საქართველოს ეკლესიას რუსეთის იმპერიის მესვეურნი და მათ მიერ საქართველოში მოვლინებული ეგზარქოსები.

ნაშრომის შესავალში შევეცადეთ, საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, სადისერტაციო ნაშრომების, ძველ და თანამედროვე პერიოდიკაში გამოქვეყნებული წერილებისა და საარქივო მასალების დიფერენცირება.

ა) საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა

ვფიქრობ, მართებულია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა XIX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. უშუალოდ საკვლევ თემასთან დაკავშირებით ერთ-ერთ პირველ გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. აღნიშნული თხზულება ავტორმა რამდენჯერმე გადაამუშავა და 1889 წელს ხელმეორედ გამოსცა, ხოლო 1898 წელს გამოიცა მისი რუსული თარგმანი. მოსე ჯანაშვილი თავის თხზულებას იწყებს მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის გადმოცემით ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, ვინაიდან სწორედ ეს მოვლენა ითვლება ქრისტეს ეკლესიის დაფუძნების დღედ. შემდეგ საუბარია მოციქულთა ღვაწლზე, ჩვენი ქვეყნის ღვთისმშობლისადმი წილხვედრობასა და ა.შ. თხზულება გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით, ეგზარქოსობის შემოღებითა და ქვეყნის ახალ ეპარქიებად დაყოფით.[1] გასათვალისწინებელია დრო, როდესაც ეს ნაშრომი იწერებოდა, ასევე ქართული ისტორიოგრაფიის დონე იმ ეტაპზე. შეიძლება ითქვას, რომ მოსე ჯანაშვილის წიგნი უფრო საინფორმაციო, კომპილაციური ხასიათისაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის ნაშრომები. 1900 წელს გამოქვეყნდა მეუფე კირიონის რუსულ ენაზე დაწერილი ნაშრომი, «Назревший вопрос ко дню столетия присоединение Грузии к России», რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავს ეძღვნება. ამ ნაშრომით ავტორმა რუსულენოვან მკითხველს გააცნო, თუ რა სიმდიდრეს ფლობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია. აქვე გამოთქვა სურვილი, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა.[2] ამ ნაშრომსაც მრავლად ჰყავდა ოპონენტები, მაგრამ აქაც გასათვალისწინებელია დრო, როდესაც იგი იწერებოდა. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია 1901 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული კირიონ საძაგლიშვილის კიდევ ერთი ნაშრომი «Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие». მკაცრი ცენზურის მიუხედავად, შრომა მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული, თუმცა

ოპონენტები ეპისკოპოს კირიონს ეგზარქოსების გაიდეალებაში სდებდნენ ბრალს. საარქივო მასალაზე დაყრდნობით, ავტორი მაქსიმალური სიზუსტით განიხილავს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხს. კირიონის შრომამ იმთავითვე მაღალი შეფასება დაიმსახურა.[3]

1888-1905 წლებში გამოდიოდა ყოველწლიური გამოცემა „საქართველოს კალენდარი“, რომლის შემდგენელი და გამომცემელი იყო ვალერიან გუნია. მასში იბეჭდებოდა მრავალფეროვანი მასალები სასულიერო სემინარიების, ეკლესიებთან არსებული სამრევლო სკოლების, ეკლესია-მონასტრების, ეპარქიების, გამოჩენილი სასულიერო პირებისა და ეგზარქოსების შესახებ. თუმცა მასალების უმრავლესობა საინფორმაციო ხასიათისაა და არ შეიცავს კვლევის ელემენტებს.

1905 წლის რევოლუციური გამოსვლების ფონზე ქართულმა საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარისა და წმინდა სინოდის წინაშე კატეგორიულად დასვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1905 წელს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ გამოქვეყნებული ორი ნაშრომი, რომლებშიც, მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროს მოშველიებით, დასაბუთებულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ასევე უაღრესად საინტერესოა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მემუარული ჟანრის წიგნი „ჩემი მოგონებებიდან“, რომელშიც ავტორი, როგორც თვითმხილველი და თანამედროვე აღწერილი ეპოქისა, საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის მმართველი ეგზარქოსების შესახებ.[4]

ამავე პერიოდში მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ „ტონკმელის“ ფსევდონიმით რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში.[5] ნაშრომი პოლემიკური ხასიათისაა და მისი პათოსი მთლიანად ეფუძნება ავტოკეფალური მოძრაობის მესვეურთა სულისკვეთებას.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მხარს უჭერდა ზოგიერთი რუსი მკვლევარი და სასულიერო პირი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლოზ დურნოვო, რომელიც ქართველ ავტოკეფალისტთა მხარდასაჭერად ხშირად აქვეყნებდა წერილებს რუსულ პრესაში. მანვე მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელ მძიმე

მდგომარეობას.[6] ნიკოლოზ დურნოვოს მამხილებელი პათოსი მიუღებელი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის.

1907 წელს გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის „საქართველოს ეკლესიის აკლება“, რომელშიც აღწერილია თუ როგორ იძარცვებოდა ეგზარქოსების პერიოდში ჩვენი-ეკლესია-მონასტრები.[7]

საკვლევ თემასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1907 წელს სანკტ-პეტერბურგში „ცხუმელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაშრომი «Абхазия. Церковно-исторический эскиз». მის ავტორად მიჩნეულია ამბროსი ხელაია,[8] მაგრამ პროფესორ ელდარ ბუბულაშვილის მიერ გამოვლენილი მასალებით დგინდება, რომ მისი ავტორია ეპისკოპოსი კირიონი.

საეკლესიო ისტორიის რუს მკვლევართა დიდი უმეტესობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოდიოდა. სწორედ მათი კრიტიკაა წარმოდგენილი ცნობილი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ცაგარელის 1912 წელს რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეგზარქოსობის პერიოდში რუსეთის იმპერიის მიერ გატარებულ ანტიქართულ საეკლესიო პოლიტიკას.[9]

მეტად საინტერესოა 1912 წელს ეპისკოპოს დავით კაჭახიძის მიერ გამოქვეყნებული მცირე მოცულობის ნაშრომი, რომელშიც მოკლედ, თუმცა მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, გადმოცემულია ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოში მოღვაწე რუსი ეგზარქოსები ატარებდნენ.[10]

1918 წელს ქუთაისში დაიბეჭდა ევსევი ნიკოლაძის ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. ავტორი წიგნს ქართველთა წარმართული რელიგიის შესახებ თხრობით იწყებს, ქრისტიანობის ისტორიას კი - მოციქულთა შემოსვლით. იგი ეხება ეკლესიის ისტორიის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და თხრობას 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენით ამთავრებს.[11] წიგნს სახელმძღვანელოს დანიშნულება ჰქონდა, თუმცა XIX-XX საუკუნის საქართველოს ისტორიაზე გადმოცემული მასალები წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობისაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქართული ისტორიოგრაფია ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის საკითხებს. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში საკვლევ საკითხთან

დაკავშირებით, გამოქვეყნდა მირიან ხუციშვილის ორი ნაშრომი.[12] ავტორი ძირითადად რუსეთის არქივებში მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხებს.

საბჭოთა იმპერიის დანგრევისთანავე მას გაჰყვა ოფიციალური ხელისუფლების ათეისტური იდეოლოგია, ამიტომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი საეკლესიო ისტორიის საკითხების მიმართ.

საკვლევ პერიოდთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ქეთევან პავლიაშვილის წიგნი „საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია 1900-1917 წლებში“. ნაშრომში განხილულია საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ, ქართველი სამღვდელოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ასევე საინტერესოა ამავე ავტორის „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945 წლებში)“. ეს არის სახელმძღვანელო, რომელშიც საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ფონზე გაშუქებულია საქართველოს ეკლესიის რთული გზა. ორივე ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს არქივებში ავტორის მიერ ახლადგამოვლენილ წყაროებს.[13]

საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყებას და 1832 წლის შეთქმულებას მანანა ხომერიკმა. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ქართველი სასულიერო პირების მონაწილეობას ზემოთ მოხსენიებულ აჯანყებებში.[14]განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მიერ მოძიებული მასალები მღვდელ-მონაზონ ფილადელფოს კიკნაძეზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებს საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნა აკაკი ვარაზაშვილმა. ნარკვევში „საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი“ ავტორი გვაცნობს გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და ისტორიკოსების შეხედულებებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს. ნარკვევში „ალექსანდრე ცაგარელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში“ გაშუქებულია ცნობილი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ცაგარელის ღვაწლი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. ნაშრომში „ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში“ განხილულია ქართველ ისტორიკოსთა დამსახურება ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში XX საუკუნის დასაწყისში.[15]

მნიშვნელოვანია სერგო ვარდოსანიძის რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება კათოლიკოს-პატრიარქების: კირიონ II-ის, ლეონიდე ოქროპირიძის, ამბროსი ხელაიასა და ეფრემ სიდამონიძის მოღვაწეობას. ასევე საინტერესოა მისი კიდევ ორი ნაშრომი, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ასწლოვან ქრონიკას გადმოგვცემენ.[16] აღნიშნული ნაშრომები ძირითადად ეყრდნობა საქართველოს საპატრიარქოს არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ მასალებს, რომლებიც ავტორის მიერ პირველად არის შემოტანილი სამეცნიერო ლიტერატურაში.

გამორჩეულია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ოთხ ტომად), რომლის IV ტომი ჩვენთვის საინტერესო პერიოდის არაერთ საკვანძო საკითხს განიხილავს. მან ასევე ცალკე გამოსცა ნაშრომი „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, რომელშიც თავმოყრილია და განხილულია IV-XX საუკუნეების საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, მოცემულია ჩატარებული კრებების ანალიზი.[17]

საყურადღებოა ელდარ ბუბულაშვილის ნაშრომი „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II“. მონოგრაფიაში შესწავლილია ანტონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოკვლევა ემყარება რუსეთისა და საქართველოს არქივებში დაცულ ახალ მასალებს.[18]

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან აღსანიშნავია 2002 წელს გამოცემული გივი როგავას „რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში“.[19] მასში ავტორის მიერ, ახლადგამოვლენილი მასალების საფუძველზე, საინტერესოდაა გადმოცემული რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში. ამავე თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ჯემალ გამახარიას ნაშრომები.[20]

საკვლევ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა სხვა გამოცემებიც: ვახტანგ თორაძე, ნინო თორაძე, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX-XX საუკუნეები“,[21] წიგნში აღწერილია საქართველოს ეკლესიის ისტორია რუსეთის მიერ მისი ავტოკეფალიის გაუქმებიდან 1990-იან წლებამდე; არჩილ თხინვალელის „ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში“ (მოკლე მიმოხილვა);[22] „ნათელი ქრისტესი“ - სამ ტომად. პროექტის ავტორია პროფესორი ნესტან კირთაძე; 2008 წელს გამოიცა ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებული ნაშრომი „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“,[23] რომელშიც მდიდარი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე საინტერესოდაა გადმოცემული ეგზარქოსობის პერიოდის საქართველოს ისტორია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახტანგ გურულის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814)“. ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ერთი, მეტად ტრაგიკული პერიოდი, კერძოდ მისი ავტოკეფალიის გაუქმება. პირველი ნაწილი ეძღვნება მცხეთის საპატრიარქოს, ხოლო მეორე - აფხაზეთის საკათოლიკოსოს გაუქმების ისტორიას. ასევე საინტერესოა აღნიშნული ავტორის „საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)“. დღეისათვის გამოცემულია ნაშრომის სამი წიგნი. კვლევაში სამოქალაქო ისტორიის პარალელურად დიდი ადგილი აქვს დათმობილი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს ეკლესიის ისტორიას.[24]

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის „საქართველოს ეკლესიის ისტორია. XX-XXI საუკუნეები. დოკუმენტები და მასალები“ ორ ტომად. კრებულში თავმოყრილია საქართელოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც მოიცავს 1901-1905 წლების პერიოდს.[25]

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს ეძღნება გვანცა ბურდულის „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქართველ მეცნიერთა ღვაწლი (1906)“, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი (1906)“, „ეპისკოპოს კირიონის მოხსენებები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906)“, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე“.[26] აღნიშნულ ნაშრომებში დღემდე უცნობ

დოკუმენტებზე დაყრდნობით გაშუქებულია ქართველ მღდელმთავართა და მეცნიერთა ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში.

ლევან ტყეშელაშვილის მონოგრაფიაში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები“ შესწავლილია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ადგილი ჰქონდა V-XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან მიმართებაში.[27]

ყურადღებას იმსახურებს ალექსანდრე მღებრიშვილის მონოგრაფია „მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში“. იროდიონ ოქროპირიძის მოგონებებში დაცულია საინტერესო ინფორმაცია ეგზარქოს ვლადიმერ ბოგოიავლენსკის შესახებ.[28]

საინტერესო მასალებია მოხმობილი გიორგი სოსიაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ“. წიგნში საუბარია ეგზარქოს ვლადიმერის მიერ 1897 წელს შიდა ქართლში სტუმრობაზე, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ეგზარქოსს ორმოცდაცხრა ეკლესია და სასულიერო სასწავლებლები მოუნახულებია. კირიონის წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ქართულ ენაზე იგი პირველად ქვეყნდება.[29]

ბ) საკვლევ თემასთან დაკავშირებული სადისერტაციო ნაშრომები

საკვლევ თემასთან დაკავშირებით სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობა, ძირითადად, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და განსაკუთრებით გააქტიურდა XXI საუკუნეში. საქართველოს ეკლესიაში ეგზარქოსების მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით არაერთი დისერტაცია მომზადდა. ესენია:

1. ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია,[30] რიმელშიც საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია XX საუკუნის ისტორიული მოვლენები, ავტოკეფალური მოძრაობა, ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკა და ავტოკეფალიის აღდგენა.
2. მაია ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[31] ნაშრომში საარქივო მასალებზე

დაყრდნობით ნაჩვენებია რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ დაარსებული თბილისის სასულიერო სემინარიის მიზანი და საქმიანობა და ქართველი ახალგაზრდების ბრძოლა ეროვნული ინტერესების დასაცავად.

3. ვლადიმერ წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[32] ნაშრომში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში.
4. გივი როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[33] ნაშრომში საარქივო მასალების საფუძველზე აღწერილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსობის მმართველობის დაწესება და რუსეთის საერო ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში.
5. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[34] დისერტაციაში მრავალრიცხოვან დოკუმენტებსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1917-დან 1952 წლამდე.
6. აკაკი ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს. დასაწყისი 1918 წლამდე) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[35] სადისერტაციო ნაშრომში წარმოჩენილია ქართველი ისტორიკოსების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ალექსანდრე ცაგარელის უდიდესი როლი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში.
7. ხათუნა ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია.[36] ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ბიოგრაფია და ისტორიული წყაროების საფუძველზე შესწავლილია მისი ეროვნულ-საზოგადოებრივი ნააზრევი და საისტორიო შეხედულებანი.

8. შორენა ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[37] ნაშრომში მრავალრიცხოვან საარქივო მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია 1905-1907 წლებში ქართული საზოგადოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.
9. თამარ ფხალაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[38] ნაშრომში წარმოჩენილია ქართველი სასულიერო პირების ბრძოლა ეკლესიაში ქართული საღვთისმსახურო ენის შესანარჩუნებლად.
10. კახა ტოლიაშვილი, რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (XIX ს. 80-იანი-1917 წწ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[39] ნაშრომში განხილულია რუსეთის სინოდის ანტიქართული პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.
11. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[40] ავტორმა მრავალრიცხოვანი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე საინტერესოდ წარმოაჩინა XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. დასანანია, რომ მისი ეს ნაშრომი დღემდე არ გამოცემულა.
12. სოფიო ანდღულაძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლნი - ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.[41] დისერტაციაში ნაჩვენებია დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის

(შემდგომში ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი) ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში.

13. გვანცა ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია.[42] სადისერტაციო ნაშრომში დღემდე უცნობ დოკუმენტებზე დაყრდნობით გაშუქებულია ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერთა ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში.

გ) საკვლევ თემასთან დაკავშირებული სტატიები და წერილები

საკვლევ თემასთან დაკავშირებით არაერთი წერილი თუ სტატია გამოქვეყნდა პერიოდიკაში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ქართული სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“, რომელიც 1883-1910 წლებში ყვირილაში (ახლანდელი ზესტაფონი) გამოდიოდა. მისი რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე იყო. ჟურნალში იბეჭდებოდა სინოდის განკარგულებანი, სამღვდელოების კრებების მასალები, სასულიერო პირთა ბიოგრაფიები, ქადაგებები, ქრისტიანული სწავლანი, ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, ინფორმაციები ეგზარქოსთა და სასულიერო პირთა დანიშვნა-განთავისუფლების შესახებ და სხვა. მათ შორის აღსანიშნავია დეკანოზ დავით ღამბაშიძის რამდენიმე სტატია, რომლებშიც ავტორი გვაწვდის საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს, მიმოიხილავს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობას, საქართველოს ეკლესიის ავტიკეფალიის საკითხებს და სხვა.[43]

ამავე ჟურნალში დაიბეჭდა მღვდელ კონსტანტინე ანთაძის ორი სტატია, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება. პირველ წერილში ავტორი საუბრობს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების აუცილებლობის თაობაზე, ხოლო მეორეში - აქვეყნებს 1906 წლის რუსეთის წინარე საეკლესიო კრების მიმდინარეობის ჩანაწერებს.[44]

ჟურნალ „მწყემსში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „რა დროიდან ინიშნებიან საქართველოში ექსარხოსები?“. სტატიაში მოცემულია ათი ეგზარქოსის ვინაობა და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები (1811-1896 წწ.).[45]

ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილია ფერაძის წერილი „საქართველოს ექსარხოსები“, რომელშიც აღწერილია საქართველოში დანიშნული ეგზარქოსების საქმიანობა.[46]

საქართველოს საეგზარქოსოს შესახებ სისტემატურად იბეჭდებოდა ინფორმაცია და წერილები საეგზარქოსოს ოფიციალურ ბეჭდურ ორგანოში, რომელიც 1891-1906 წლებში «Духовный Весиник Грузинского Экзархата»-ს სახელით გამოდიოდა, ხოლო 1907-1917 წლებში ეწოდა «Весиник Грузинского Экзархата».

არაერთი საინტერესო წერილი ქვეყნდებოდა ყოველკვირეულ საეკლესიო გაზეთში „ჯვარი ვაზისა“. მის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა სტატია „საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ახლა“.[47] აღნიშნულ ნომერში საუბარია სასულიერო პირების მდგომარეობაზე ავტოკეფალიის გაუქმებამდე და მის შემდეგ, ასევე მათ ურთიერთობაზე ეგზარქოსებთან. ამავე ჟურნალში დაიბეჭდა ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის წერილი „საგრძნობელი შეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში“.[48] წერილში ავტორი განიხილავს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს.

სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ელდარ ბუბულაშვილის არაერთი საინტერესო წერილი და სტატია საკვლევ თემასთან დაკავშირებით.[49] ასევე საყურადღებოა სერგო ვარდოსანიძის წერილები და სტატიები, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.[50] საკვლევ თემასთან დაკავშირებით არაერთი სტატია აქვთ გამოქვეყნებული მკვლევრებს: მედეა ბენდელიანს,[51] გვანცა ბურდულს,[52] ტასო კვიციანს,[53] ლადო მირიანაშვილს,[54] ქეთევან პავლიაშვილს,[55] ხათუნა ქოქრაშვილს,[56] თამარ შაკიაშვილს,[57] ცაცა ჩხარტიშვილსა[58] და სხვებს.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ფსიქოლოგიის დოქტორ ხატია წიკლაურის მიერ შედგენილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოცემული წიგნების, დაცული დისერტაციებისა და გამოქვეყნებული სტატიების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, აღნიშნული წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ პირთ.[59]

დ) საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროები

მრავალფეროვანია დისერტაციის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. იგი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ

საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიისა (ფონდი 488) და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის (ფონდი 489) ფონდებში დაცულ დოკუმენტებს.

საინტერესო მასალებია დაცული კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კირიონ საძაგლიშვილის (ფ. 1533), კალისტრატე ცინცაძის (ფ.102), თედო ჟორდანიას (ფ.57), ვასილ კარბელაშვილის (ფ. 65) და სხვათა პირად ფონდებში.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და მრავალრიცხოვან ინფორმაციას ვხვდებით «Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею». აღნიშნული აქტები შეიქმნა და გამოქვეყნდა რუსეთის ხელისუფლების ინიციატივით, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის, ადოლფ ბერჟეს (1828 - 1886) რედაქციით თორმეტ ტომად. ეს არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი კავკასიის ისტორიის შესახებ X საუკუნიდან 1862 წლამდე. მასში დაცულია მრავალფეროვანი ინფორმაცია კავკასიის ხალხების ისტორიიდან, არაბული ქრონიკები, ფირმანები, გუჯრები, წყალობის სიგელები და სხვა აქტები. დოკუმენტში დაცულია არაერთი საინტერესო მასალა კავკასიაში არსებული რელიგიური კონფესიების შესახებ. ჩვენთვის ის განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, პრაქტიკულად, წარმოადგენს პირველწყაროს XIX საუკუნის საქართველოსა და მისი ეკლესიის შესახებ.

წყაროთმცოდნეობითი კუთხით ასევე საინტერესოა «Кавказский календарь». კალენდარი, რომელიც ქვეყნდებოდა თბილისში ყოველწლიურად კავკასიაში მეფისნაცვლის ზედამხედველობით 1845 წლიდან 1917 წლამდე და წარმოადგენდა ერთ-ერთი ყველაზე ღირებულ საცნობარო გამოცემას. მასში დაცულია სტატისტიკურ, საცნობარო და სამისამართო მონაცემები მთელი კავკასიის მასშტაბით. კალენდარში ხშირად ქვეყნდებოდა კვლევები მხარის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და რელიგიური საკითხების შესახებ, ასევე ადგილობრივი მოღვაწეების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

თავი I

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და რუსული საეკლესიო მმართველობის დამყარება საქართველოში

ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, XV საუკუნიდან, რუსეთმა თავი მის მემკვიდრედ გამოაცხადა. მან ბიზანტიის გერბის, ორთავიანი არწივის, ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლოს, რუსეთში გადატანით თავი კონსტანტინეპოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა. იდეა „მოსკოვი მესამე რომია“ არა მხოლოდ იდეოლოგიურ, არამედ თვით რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის აზრადაც აქცია.

მართლმადიდებლური იმპერიული იდეის განმსაზღვრელ ღერძს ქრისტიანთა ძმობის, მართლმადიდებლური აღმსარებლობის ხალხთა ხსნისა და დაცვის იდეოლოგია შეადგენდა. სწორედ ეს იდეოლოგია უნდა ეწინამძღვრა რუსეთს, რომლის თანახმად, ახალი მიწების საკუთარ სახელმწიფოში მოქცევა მართლმადიდებელი სამყაროს საზღვრების გაფართოებასა და მართლმადიდებელი ხალხის რაოდენობრივ ზრდას ნიშნავდა.

იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება სრულიად სხვა პრინციპებს, პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს დაეფუძნა და სარწმუნოებრივმა ინტერესებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრების განვრცობა იყო. რუსეთი ეწეოდა დაპყრობით ომებს, იერთებდა ახალ მიწებს, ძლიერდებოდა, თავის ორბიტაში აქცევდა სულ უფრო მეტ ტერიტორიასა და მოსახლეობას.

რუსული კოლონიალიზმის თავისებურებებს ამ სახელმწიფოს გეოსტრატეგია, იმპერიის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების მიმართულება, დონე და ხასიათი განსაზღვრავდა. ქვეყნის შიდა ვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო საგარეო რეალობაც. საგარეო რეალობაში ამ შემთხვევაში ორი ასპექტი უნდა გამოიყოს: რუსეთის მფლობელობაში შემავალი ხალხების მდგომარეობა

იმპერიაში მოქცევის წინა პერიოდში და რუსეთის კოლონიური სამფლობელოების ადგილმდებარეობა, მათი სიახლოვე ევროპულ თუ აზიურ სამყაროსთან.

რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხები ერთმანეთისაგან განვითარების დონით დიდად განსხვავდებოდნენ ენით, კულტურით, აღმსარებლობით, სახელმწიფოებრიობის ტრადიციითა და სხვ. თუ ერთნი ჯერ კიდევ მომთაბარე და პატრიარქალური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, სხვებს, მაგალითად, საქართველოს, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიცია, თვითმყოფადი კულტურა, ქრისტიანული ცივილიზაცია და მყარი ეროვნული იდენტობა გააჩნდა. და ეს იყო არა მხოლოდ წარსულში, მართალია საქართველომ ახალ დროში ერთიანობა ვეღარ შეინარჩუნა, მაგრამ საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ დაუკარგავს. ქართული სამეფო-სამთავროები - ეს პატარა „საქართველოები“, ცალკე სახელმწიფოებრივი ერთეულები იყვნენ და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის აქტიურად დამკვიდრებამდე არსებობას განაგრძობდნენ. აუცილებელია, ითქვას, რომ იმ ხალხების უმეტესობა, რომელთა ხვედრი რუსეთის კოლონიური უღელი აღმოჩნდა, რომანოვთა იმპერიის წიაღში ინკორპორირებისას, შინა ომების, მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოთა თავდასხმებისა თუ სხვა ფაქტორების გამო დაშლა-დაქუცმაცების პროცესს განიცდიდა და დასუსტებული იყო.

XIX საუკუნე რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასიის დაპყრობით დაიწყო, ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და მიიერთა, მერე კი დასავლეთ საქართველოსა და მაჰმადიანურ სახანოებს მიადგა. ირანისა და ოსმალეთის არაერთგზის დამარცხებით რუსეთმა ორივე მათგანს რეგიონიდან ფეხი ამოუკვეთა და ამ მხარის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. დიდი ძალა, ენერგია, ადამიანური და ფინანსური რესურსები შეალია რუსეთმა ჩრდილოეთი კავკასიის მთიანეთის ძლევასა და დაპყრობას ხანგრძლივ ომში, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ისტორიულად რუსეთს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა. ხელისუფლება ამ ფაქტორს მარჯვედ იყენებდა ახალი ტერიტორიების ათვისების პროცესში, ფართოდ მიმართავდა კოლონიზაციას.

საქართველოს კოლონიზაციის პროცესს ერთი თავისებურება გააჩნდა. აქ რუს მოხელეთა გარდა, იმპერიის მთავრობამ 1818-1819 წლებში გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლა, ამავე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს კი ჩვენი ქვეყნის უცხოტომელთა

რიცხვი ოსმალეთიდან ლტოლვილ რამდენიმე ათასი სომხის ხარჯზე გაიზარდა. რუსეთის გუბერნიებიდან მოსახლეობის მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე სამეფო ხელისუფლების დამხობამდე, ფაქტობრივად, არ შეწყვეტილა. შემთხვევით არ წერდა ცნობილი ისტორიკოსი ვასილ კლუჩევსკი: „რუსეთის ისტორია - ისტორიაა ქვეყნისა, რომელიც კოლონიზირდება.“[60]

რუსეთში პერიფერიებთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა საგარეო პოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სხვა მოტივებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ტერიტორიის იმპერიის შემადგენლობაში ჩართულობასა და ინტეგრაციის ხასიათს.

საქართველოსა და სამხრეთი კავკასიის სხვა ხალხების საქმეები თავიდან ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტს ებარა, ხოლო 1845-1882 წლებში არსებობდა კავკასიის კომიტეტი. ძირითადად საიმპერიო მინისტრებისაგან დაკომპლექტებული ამ კომიტეტის თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი, ჟანდარმთა შეფი ალექსი ორლოვი და გრაფი პავლე იგნატოვი.

საქართველოს დაპყრობის შემდგომ მხარის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი რუსი მთავარმართებელი გახდა. ამ პოსტზე, როგორც წესი, მაღალი რანგის რუსი სამხედროები - გენერლები ინიშნებოდნენ. სამხედრო მოხელეები ედგნენ სათავეში მაზრებსაც, ქალაქებსაც და სასამართლო დაწესებულებებსაც. მართვა-გამგეობის ასეთი ორგანიზაცია იურიდიულად რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას შეესაბამებოდა და იმეორებდა საგუბერნიო მმართველობის 1775 წლის დებულებას, მაგრამ ფაქტობრივად იგი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი იყო. რუსული მმართველობა საქართველოში იყო ძალაუფლება და არა ხელისუფლება. 1845 წლიდან კავკასიას სამეფისნაცვლოს სტატუსი მიენიჭა, მაგრამ ამ გარდაქმნას მხარის მმართველობის კოლონიური ხასიათი არ შეუცვლია. მართვის სტილი და მეთოდი კვლავაც სამხედრო-პოლიტიკური ყაიდისა იყო. XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობის სისტემაში გარკვეული კორექტივები შევიდა, თუმცა რეფორმამ მთლიანად ვერ გამიჯნა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა. საოკუპაციო რეჟიმი ნაწილობრივ მაინც ძალმოსილებას ინარჩუნებდა. ბათუმის ოლქს განაგებდა სამხედრო გუბერნატორი, სამხედროები იდგნენ სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების სათავეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ღრმა პოლიტიკური კრიზისის ვითარებაშიც კი ხელისუფლება თანაბარ უფლებებს როდი ანიჭებდა მეტროპოლიისა და კოლონიების მცხოვრებთ. საქართველოსთან მიმართებაში მეფის მთავრობის ლიბერალური დათმობები ან დიდად ჭიანურდებოდა, ან კიდევ სანახევროდ ხორციელდებოდა. მაგალითად, ჩვენში გლეხობის მემამულეთა ყმობიდან გათავისუფლება რუსეთში ამ რეფორმის გამოცხადებიდან (1861 წლის 19 თებერვალი) მხოლოდ ათი წლის შემდეგ დასრულდა (ბატონყმობა საქართველოში ეტაპობრივად გაუქმდა, 1864 წელს იგი თბილისის გუბერნიას შეეხო, მომდევნო წელს გათავისუფლდა ქუთაისის გუბერნიის (იმერეთი, რაჭა, გურია) მოსახლეობა, სამეგრელოში საგლეხო რეფორმა 1866 წელს, აფხაზეთში 1870, ხოლო სვანეთში 1871 წელს გატარდა).

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმებიდან საქართველოს არ არგუნეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - ერობა. სასამართლო რეფორმა კი ისე შეიკვეცა, რომ აქ არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოუღიათ და არც მოსამართლეთა არჩევითობა.

XIX საუკუნის დამდეგს ბაგრატიონთა სამეფო ტახტის მოშლითა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში თავის საწყის მიზანს ფაქტობრივად მიაღწია. მისთვის ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რა დასახელებით შევიდოდა აღმოსავლეთი საქართველო იმპერიის ფარგლებში. აწ უკვე ყოფილ სამეფოს ოფიციალურად გუბერნიის სტატუსი მიეკუთვნა ანუ კავკასიონის ქედს გადმოღმა დაპყრობილი და იმპერიასთან მიერთებული მიწა-წყალი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, რუსეთის ცენტრალურ რეგიონებს გაუთანაბრდა. როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთში დამყარებულ რუსულ საოკუპაციო რეჟიმს თავდაპირველად „საქართველოს უზენაესი მთავრობა“ უწოდეს.

ამ ფონზე აშკარა ცინიზმად აღიქმება იმპერატორ ალექსანდრე I-ის დავალება საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულ გენერალ კარლ კნორინგისადმი, რომ ამ უკანასკნელს მხარის რუსული მმართველობა ქართველი ხალხის „ზნე-ჩვეულებასთან და გუნება-განწყობილებასთან“ შეეხამებინა.

არანაკლებ მკაფიოდაა გამოხატული იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკის არსი მთავარმართებელ ივანე პასკევიჩის სიტყვებში: „იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ხალხი

რუსეთის სულს მივუახლოვოთ და მის ზნე-ხასიათს რა შეცვლის, თუ არა რუსეთის მმართველობა.“[61]

1831 წელს სამხრეთ კავკასიაში სარევიზიოდ გამოგზავნილი სენატორი ევგრაფი მეჩნიკოვი საიმპერიო ხელისუფლებას დაბეჯითებით ურჩევდა: რეგიონში რუსული მპყრობელობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა „რუსეთის კოლონიზაცია, რუსი მოხელეებისათვის ადგილობრივი მამულების საკუთრებაში გადაცემა, მთელი მხარის გარუსება, ალეგორიულად რომ ვთქვათ, რუსეთთან მჭიდროდ შეკავშირება“.[62]

ნიკოლოზ დობროლიუბოვის სიტყვითაც, „ჩვენი მმართველობა სრულიადაც არ ყოფილა შეხამებული ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და ურთიერთობებთან“[63] საქართველოსა და კავკასიაში რეალურად ციციანოვ-პასკევიჩების მიერ გახმოვანებული პრინციპები ტარდებოდა და არა იმპერატორის ვითომ ლიბერალური მითითებები. ამას ცხადყოფს კავკასიაში სარევიზიოდ ჩამოსული დიდმოხელის, პოზუნის აღიარება. თავის დასკვნაში პოზუნი წერდა: მმართველობის წესი არ შეეხამება არც ხალხის აზრებს, არც რწმენას და ჩვეულებებს.[64]

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება საქართველოს იმთავითვე დაპყრობილ, კოლონიურ სამფლობელოდ მიიჩნევდა, მაგრამ ამ ტერმინის ოფიციალური დამკვიდრებისაგან თავს იკავებდა. უფრო რესპექტაბელურად გამოიყურებოდა „იმპერიის შემადგენლობაში თავისი ნებით შესვლა“.

მას შემდგომ, რაც რუსეთმა იმერეთის სამეფოც დაიპყრო და დასავლეთ საქართველოშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რეალური მდგომარეობის დამალვა დიდად საჭირო აღარ იყო. ამასთან ახალ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, განსხვავებით ალექსანდრე I-ისაგან, თვალთმაქცობის პოლიტიკა ნაკლებად სჭირდებოდა. 1827 წელს ოფიციალურად ითქვა ის, რაც აქამდე არსებითად იმალებოდა. რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ეგორ კანკრინმა კავკასიის საკითხზე იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნა: „...არა უსაფუძვლოდ ამიერკავკასიის პროვინციები შეიძლება წოდებულ იქნან ჩვენს კოლონიებად, რომლებმაც სამხრეთის ჰავის ნაწარმით სახელმწიფოს უნდა მოუტანონ მეტად მნიშვნელოვანი სარგებელობა.“[65] იმავე კანკრინს ეკუთვნოდა აზრი, რომ სამხრეთი კავკასია არ ჩაერთოთ უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში და ოფიციალურად განეხილათ იგი, როგორც კოლონია.

1828 წელს სამხრეთი კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მხარის ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელმა კომისიამ თავისი ოთხტომიანი ნაშრომის წინასიტყვაობაში ჩაწერა: „ამიერკავკასიისათვის რუსეთის კოლონიის დარქმევა, პირველად აღიარებული, გზას უხსნის იქაურ სამფლობელოებზე ყოველგვარ განზრახვებს, ეს სწორედ ის წერტილია, საიდანაც უნდა ვუცქიროთ მათ და ყველა მოქმედებათა სისტემას მიმართულება ვაძლიოთ.“[66] უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებით სიტყვა კოლონიას იყენებდა მთავარმართებელი ივანე პასკევიჩი.

მეფის მთავრობის მოხელე ვ. ვ. დინგელშტედტი 1860 წელს გამოცემულ წიგნში აღნიშნავდა: „ამიერკავკასია მოპოვებულ იქნა იარაღით, მაგრამ ამ მხარის მორალური დაპყრობა ჯერ არ დამთავრებულა ...მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიტანს ეს კოლონია სარგებლობას და აანაზღაურებს ამ სისხლსა და ფულს, რაც დაჯდა მისი მოპოვება.“[67]

მას შემდეგ, რაც 1881 წელს ნაროდოვოლცებმა იმპერატორი ალექსანდრე II სიცოცხლეს გამოასალმეს და რუსეთში პოლიტიკური რეაქციის ხანა დაიწყო, სახელწოდება „საქართველო“ საერთოდ აიკრძალა. ცენზურა ფხიზლად დარაჯობდა პრესაში ეროვნულობაზე, სამშობლოზე, ქართველთა ეროვნულ სრულფასოვნებაზე მითითებული მასალების, ფრაზების, სიტყვების გამოყენებასაც კი.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი გუბერნიად გამოცხადების დღიდანვე აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა გამოიდევნა მართვა-გამგეობის სისტემასა და მართლმსაჯულების სფეროდან. რუსულმა ადმინისტრაციამ დაიწყო საქართველოში არსებული განათლების კერების - სკოლების დახურვა. პერიოდული პრესა ამ დროს ჯერ კიდევ არ გამოდიოდა, ამდენად, ქართულმა არა მარტო სახელმწიფო ენის ფუნქცია დაკარგა, არამედ უკიდურესად შევიწროვდა მისი გამოყენების არეც. დედაენას საოჯახო ენად ქცევის საფრთხე დაემუქრა.

იგივე განმეორდა იმერეთის სამეფოს დაპყრობისა და სამთავროთა ავტონომიების მოშლის შემდგომ დასავლეთ საქართველოშიც. ასე დაედო სათავე ჩვენს ქვეყანაში რუსიფიკაციის პროცესს, რომელიც მეფის ხელისუფლების დამხობამდე არ შეწყვეტილა, უფრო მეტიც, იგი აქტიურად ხორციელდებოდა შემდგომშიც.

ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის გაძლიერების მიზნით ხელისუფლება მიმართავდა მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას - იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსი კოლონისტების ჩამოსახლებას, საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში მათ კომპაქტურად დამკვიდრებასა და რუსულენოვანი ანკლავების შექმნას. ამ დემოგრაფიულ ექსპანსიას პარალელურად რეგიონში მეფის მთავრობის დასაყრდენი ბაზის გაფართოების მიზანიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ კოლონიზაციის პროცესმა მეორე ამოცანა უფრო შეასრულა, ვიდრე პირველი. „ვარგისი მიწის პირველი მტკაველი, რომელიც მჭიდროდაა დაკავებული გადმოსახლებულებით, წარმოადგენს ამ მხარეში რუსეთის დასაყრდენს," - აღნიშნულია კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ 1907 წელს იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში.[68]

რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი გამტარებელი იმპერიაში სახელმწიფო ინსტიტუციები იყო, კერძოდ: სკოლა, არმია და ეკლესია.

ეკლესია თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის, სახელდობრ, რუსიფიკაციის მნიშვნელოვანი იარაღი იყო. საქართველოში გამოგზავნილ რუს ეგზარქოსებს, სამღვდელოებას, სასულიერო სემინარიათა მესვეურებსა და სხვებს, ასევე ევალებოდათ იმპერიის მიზანდასახულობათა განხორციელებაზე ზრუნვა, როგორც სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. მართალია, საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანა იყო და ქართველი ხალხის აღმსარებლობა თანხვდებოდა იმპერიის გაბატონებულ რელიგიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართულ და რუსულ ეკლესიათა წესგანგებაში უამრავი სხვაობა არსებობდა. ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოს ეკლესიის შეუვალობასა და ხელშეუხებლობას აღიარებდა, თუმცა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ 1811 წელს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და მისი რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა დაიწყო.

ღვთისმსახურების რუსულ ტიპიკონზე გადაყვანა თუ ქართულ ტაძრებში სლავური საგალობლების დამკვიდრების ცდები რუსიფიკაციის ისეთივე ღონისძიება იყო, როგორიც მმართველობისა და მართლმსაჯულების სისტემიდან მშობლიური ენის გამოდევნა, ქართული გვარების რუსული დაბოლოებებით შეცვლა და სხვა.

რუსეთში მართლმადიდებლობა არც თუ იშვიათად რუსობასთან იყო გაიგივებული და იმპერიის არარუსი მართლმადიდებელი ეთნოსები სხვებზე მეტ ზეწოლას განიცდიდნენ რუსიფიკაციის მიზნით.

„რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასოდეს მოხდება: ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო-საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა

შეიძლება გარუსდეს?“ - მიმართავდა იმხანად ახალგაზრდა მღვდელმსახური, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოს ნიკონს.[69]

თავის საქმიანობაში მართლმადიდებელი მისიონერები (ოსეთის სასულიერო კომისია, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი კომისია), უწმინდესი სინოდის ინსტრუქციების გარდა, იმპერატორის განკარგულებებითა და მთავრობის დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ. წარმართთა, მუსულმანთა და ბუდისტთა მართლმადიდებლურ რჯულზე გადმოყვანა მათი გარუსების მიზანს ემსახურებოდა. სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად რუსეთის ეკლესიის მრევლი რამდენჯერმე გაიზარდა. თუ პეტრე I-ის დროს იმპერიაში 15 მილიონი მართლმადიდებელი ცხოვრობდა, 1915 წლისათვის ამ რიცხვმა 115 მილიონი შეადგინა.

რუსეთის იმპერიულ ელიტაში შედარებით იოლად გაიკაფა გზა ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ. ახლად დაპყრობილი ქვეყნის არისტოკრატიის მიმხრობა-გადაბირება რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა, რათა რეგიონში თავის სოციალურ-პოლიტიკურ საყრდენად გაეხადა. ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი თავად-აზნაურობის რანგით რუს მემამულე-პომეშჩიკებთან გათანაბრება და მათთვის წოდებრივი უპირატესობის შენარჩუნება, აგრეთვე სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოების შექმნა 1803 წელს თბილისში, ხოლო 1851 წელს ქუთაისის გუბერნიაში და სხვ.

სავსებით მართალი იყო ვახტანგ კოტეტიშვილი, როდესაც წერდა: XIX საუკუნეში ჩვენი „გაევროპიელება გარუსებას უფრო გავდა, რაც უარესიაო.“[70]

საქართველოს რუს მმართველებსა და იერარქებს არ უყვარდათ, ზოგიერთებს კიდევაც სძულდათ ის ქვეყანა, რომელსაც განაგებდნენ. მექრთამე, მძარცველი, ლოთი და მრუში იყო სასამართლო და ადმინისტრაციულ მოხელეთა უმეტესობა. ისინი არა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოებრიობას უტეხდნენ სახელს, არამედ, საზოგადოდ, რუსი ადამიანის სახელსაც ქართველთა თვალში უარყოფითად წარმოაჩენდნენ. „ისიც დიდ სიკეთედ ჩაითვლებოდა, საქართველოში დანიშნულ რუს მოხელეებს მოთხოვნის მინიმუმი მაინც რომ დაეკმაყოფილებინათ, ოდნავ მაინც რომ ჰყვარებოდათ საქმე ან იდეა“, - წერდა ივანე ჯავახიშვილი.[71] 1802 წელს მთავარმართებლად დანიშნული თავადი პავლე ციციანოვი თანამდებობიდან გადაყენებულ საქართველოს მმართველს,

პეტრე კოვალენსკის მიმართავდა: „თქვენის ქმედებით შეურაცხყავით ქართველები და აიძულეთ, იმდენად შეზიზღებოდათ მმართველობა, რომ კიდეც ვიხილე გონებათა სასტიკი რყევა, რუსთა მმართველობისადმი ამხედრებული.“[72] საქართველოში ჩამოსვლიდან ახლო ხანებში გრაფი ივანე პასკევიჩი რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღიარებს: „საუბედუროდ, სულ მალე შევამჩნიე, რომ გარეგანი სახე კეთილმოწყობისა მხოლოდ ჩქმალავდა ერთობ მნიშვნელოვან და დიდი ხნის ფესვგადგმულ უწერიგობებსა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.“[73]

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის სარევიზიოდ თბილისში გამოგზავნილი სენატორები, გრაფი კუტაისოვი და მეჩნიკოვი ამგვარად აფასებდნენ რუს მოხელეებსა და მათს მოღვაწეობას საქართველოში: „ამიერკავკასიის მხარის არც ერთ დაწესებულებაში, საქმეთწარმოების ფორმებსა და წესებში, კანონის დადგენილი წესრიგის ნატამალიც არ მოიპოვება ...აღმასრულებელი ექსპედიცია, ნაცვლად იმისა, რომ თვალყურს ადევნებდეს კანონების აღსრულებას, თავად არ ასრულებს მათ. იგი სასამართლოსა და ძიების გარეშე ართმევდა კერძო პირებს უძრავ ქონებასა და სხვ.“[74]

საერო ხელისუფალთ არც რუსი ეგზარქოსები ჩამორჩებოდნენ. მათ მიითვისეს და საქართველოდან გაიტანეს ეკლესიის დიდძალი სიმდიდრე: ძვირფასი ხატები, ჯვრები, სამკაულები და სხვა. მიხეილ თამარაშვილის გამოანგარიშებით, მხოლოდ ეკლესიებიდან რუსეთის მთავრობამ საქართველოს 137 მილიონ ექვსასი ათასი მანეთის ქონება წაართვა.

მეფის რუსეთის ბატონობის 117 წლის განმავლობაში საქართველომ 20 უმაღლესი რუსი მოხელე გამოიცვალა. არც ერთი მათგანი ქართველი ხალხის ცხოვრების ავკარგით, მისი ისტორიითა და კულტურით სერიოზულად არ დაინტერესებულა.

რუსი მოხელეები თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, როცა უძველესი ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებსა თუ ეკლესია-მონასტრებს ეცნობოდნენ. რუსი ეგზარქოსები ათეთრებდნენ ტაძართა ფრესკებით შემკობილ კედლებს, რათა მათი სიძველისა და შთამბეჭდაობის კვალი დაეფარათ.

იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში საფუძვლად კოლონიური მიზნები ედო. მას სკოლის ადგილობრივი მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მომზადების პარალელურად ხალხის გარუსებისათვის ხელშეწყობა ეკისრებოდა.

პირველი რუსული დაწყებითი სასწავლებელი თბილისში 1802 წელს დაარსდა, მაგრამ მალევე დაიხურა, რადგან მოწაფეებმა ვერ დაძლიეს უცხო რუსული ენა. 1804 წელს დაფუძნდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. განათლების ეს კერა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მთავრობის მიერ გახსნილი ერთადერთი სასწავლებელი იყო საქართველოში და მთელ სამხრეთ კავკასიაში, თუმცა მის შესანახად ხაზინას არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს.

განათლების სისტემა მთლიანად თვითმპყრობელობის სამსახურში იყო ჩაყენებული. ხელისუფლების ანტიხალხური საგანმანათლებლო კურსი, როგორც კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მიმართული იყო იმპერიის განაპირა ხალხების ასიმილაციისაკენ. ცხადია, ამ პოლიტიკას იმპერიის სათანადო სტრუქტურებში ჰყავდნენ თავისი თეორეტიკოსები და იდეოლოგებიც, რომლებიც ამუშავებდნენ, ხვეწდნენ პრაქტიკული მოქმედების ფორმებსა და მეთოდებს. მაგალითად გამოდგება რეაქციონერული კალმოსანი მიხეილ კატკოვი და მისი ყბადაღებული „მოსკოვსკიე ვედომოსტი“. კატკოვი ზიზღით უყურებდა და დასცინოდა დაჩაგრული ერების ნაციონალურ-კულტურულ წამოწყებებს, მათ ტრადიციებს, ენას. არარუსი ხალხები მას მხოლოდ ისტორიის შავ მასალად წარმოედგინა.[75]

იმპერია და მისი მოხელეები განმანათლებლურ მისიად მიიჩნევდნენ რუსული დამწერლობის საფუძველზე სვანური და მეგრული ანბანის შექმნას, რაც მათთვის არავის უთხოვია და არც ამის საჭიროება არსებულა. ეს ღონისძიება ქართველი ხალხის მთლიანობის საზიანოდ იყო მოფიქრებული და იმით „მართლდებოდა“, რომ თითქოს მეგრელები და სვანები ქართველები არ იყვნენ და ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ. ხელისუფლება ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის გათიშვა-დანაწევრებას, რომ საამისოდ დიდძალ სახსრებს გამოჰყოფდა და მათ ხარჯვას არ ერიდებოდა. სვანური ანბანი - „ლუშნუ ანბან“ 1864 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დავალებით ივანე ბარტლომეიმ შეიმუშავა, ხოლო მეგრული ანბანის შედგენა იმპერიის ცენტრიდან საქართველოში სპეციალურად გამოგზავნილ, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის კანდიდატს ალექსი გრენს მიანდო. ინსტრუქცია ანბანის შესადგენად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს რადლოვის ხელმძღვანელობით მომზადდა.

„საქართველო დაცემულია, ...ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას დაადგა, სულიც შეუბორკა ქართველობას და ხორციც; ხორციელად ვითომ მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდევაც მიაღწია მიზანს. ...დღევანდელი ქართველები სულითაც შებღალული ვართ და ხორცითაც“, - შენიშნავდა აკაკი წერეთელი.[76]

მართლაც, რუსეთის ხელისუფლება უხეშად დევნიდა დაპყრობილ ხალხთა სულიერ მოძრაობას, რადგან, თეოდორე ტიუტჩევის სიტყვით, თვითონ მოკლებული იყო ყოველგვარ სულიერ შინაარსს და ეყრდნობოდა მხოლოდ მატერიალურ ძალას. ასეთ ვითარებაში მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველო „რუსეთის ნასუფრალით იკვებებოდა“.[77] ნიკო მარი ჯერ კიდევ 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში „История Грузии, культурно-исторический набросок“ (გვ.14-15), აღნიშნავდა, რომ „რუსული მთავრობის მიერ საქართველოს სკოლებზე დახარჯული მთელი შრომა უნდა მიჩნეულ იქნეს ქართველი ხალხის განათლების საქმისათვის არა მარტო უსარგებლოდ, არამედ პირდაპირ მავნედ“ და დასძენდა: მთელი ეს სისტემა ისე იყო გაანგარიშებული, რომ ქართველები სამუდამოდ ამოეშალათ რუსეთის კულტურული ხალხების რიცხვიდანო.

რუსეთის იმპერია რომ თავის კოლონიურ სამფლობელოებში ცივილიზაციის გავრცელებისათვის არ იყო მოწოდებული და განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა გათავისუფლების ნიღბით ახალი ტერიტორიების დაპყრობას, ყოველგვარ ძალადობასა და ჩაგვრას ახორციელებდა, კარგად იყო ცნობილი პროგრესულად მოაზროვნე არა ერთი რუსი მოღვაწისათვის. ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ ურჩევდა ერთ-ერთი მათგანი იმპერატორ ალექსანდრე III-ს: „თქვენი ხელმწიფება დაამკვიდრეთ კულტურით და კეთილის გამგეობით, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება-რაო“.[78]

მიხეილ წერეთელი წერდა: „როგორი კულტურაც შემოიტანა რუსეთმა - ჩვენ კარგად ვიცით! რა კულტურა უნდა შემოეტანა ჯარს, ჩინოვნიკობასა და მექრთამეებს? რა კულტურა უნდა შემოეტანა ციციანოვს, რომლის იდეალიც კაცების თავის კვეთა იყო და სიტყვა-პასუხი - დედ-მამის სულის გინება! რომელი კულტუროსანი კაცი იყო

კოვალენსკი და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც მექრთამეობისა, ქალების საიდუმლო ჭვრეტისა და ლოთობის მეტი არა აგონდებოდათ რა?“[79]

„გაგონილა, რომ თავად არაფრის მქონემ მოგცეს რამე? ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო. ...კულტურას მოკლებული სკვითი საქართველოს როგორ გააკულტუროსნებდა! ...ჩვენში სკვითმა შემოიტანა მათრახი და ხიშტი, ღერბი და მარკა, ჯვარ-მენდალ-აპელატი, გაგვიბატონა ჩინოვნიკი, სწავლების მუნჯური მეთოდი, მოგვისია ხულიგანი და წმინდა წყლის რუსი, - და ეს არის უმაღლესი კულტურის შემოტანა“.[80]

ერთობ საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის თვალსაჩინო მოხელე კორნელი ბოროზდინი. ირკვევა, რომ ქრთამი, როგორც თანამდებობის პირის მოსასყიდი საშუალება, ჩვენში რუსებს დაუმკვიდრებიათ. ბოროზდინის სიტყვით, მეფისნაცვლის კანცელარიამ მოიჯარადრე აკოფაშვილს ქუთაისში ჰოსპიტლის აშენება დაუკვეთა. ამ უკანასკნელმა წარადგინა ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რომელშიც ასეთი მუხლიც იყო: ხუთასი თუმანი „საალერსოდ“ («для ласки») მოიჯარადემ განმარტა, რომ ეს თანხა გათვალისწინებული იყო მოხელეთა მოსაქრთამად და, თუ მას არ გაიღებდნენ, მშენებლობა უფრო ძვირი დაჯდებოდა. ვორონცოვმა დოკუმენტი ისე დაამტკიცა, რომ პროექტიდან ხსენებული მუხლი არ ამოუღია.[81] იმპერიული რეჟიმის დროს ქრთამს რომ დიდი გასავალი ჰქონდა, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებშიც, მკაფიოდ მოწმობს ყარაბაღის ერთ-ერთი მკვიდრის ფრაზა, რომელიც მას ჯიბეზე ხელის დარტყმით წარმოუთქვამს: „მე კარგად ვიცი რუსული კანონი, იგი აქ, ჯიბეში, ბევრი მაქვსო“.[82]

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ანატოლი ფადეევიც ადასტურებს, რომ იმპერიის ჩინოვნიკებმა საქართველოში მოიტანეს რუსული ბიუროკრატიის უარესი ტრადიციები: ხაზინის ქურდობა, მექრთამეობა, საქმის შემზარავი გაჯანჯლება, დაბალი თანამდებობის პირთა გამყიდველობა და ზემდგომთა თვითნებობა.[83]

აი, ასეთი სახელმწიფოს კოლონია გახდა საქართველო XIX საუკუნეში, თუმცა ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო.

პირველი ნაბიჯები ურთიერთისკენ რუსეთმა და კახეთის სამეფომ გადადგეს. ურთიერთმისწრაფება ერთნაირად ძლიერი იყო, ინტერესები კი რადიკალურად განსხვავებული. კახელი ხელისუფალნი მთიელთა მტაცებლური თავდასხმების

აღკვეთაში დახმარებასა და სხვა ხელშეწყობას ითხოვდნენ. რუსეთის მიზანი კი კახეთის ხელში ჩაგდება და შემდეგ იმგვარივე დამოკიდებულების მთელ საქართველოზე გავრცელება იყო.

XVI-XVIII საუკუნეებში ქართულ-რუსული ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა. გახშირდა რუსი ელჩების სტუმრობა საქართველოში. მათ მოჰყვებოდა არა ერთი სასულიერო პირი, რომლებიც ეცნობოდნენ საქართველოს ეკლესიის ტრადიციებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენში დაცული ქრისტიანული სიწმინდეების მიმართ. დაიწყო ქართული ლიტურგიკული ძეგლების შესწორება სლავურის მიხედვით.

1781 წელს კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდლად რომ ნიშნავდნენ, გენერალ პავლე პოტიომკინს უპირველეს ამოცანად უსახავდნენ, ძირითადად, ეკლესიასთან, აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ქრისტიან მფლობელებთან დამოკიდებულების მოწესრიგებას და საამისო მეთოდებსაც კარნახობდნენ: „სხვადასხვა საბაბით ხშირი ურთიერთობა იქონიეთ მათთან, თავი გააცანით, რის მეშვეობითაც მოემზადეთ კიდეც მომავლისათვის გათვალისწინებული მიზნებისა და წამოწყებისათვის.[84]

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ზოგადად ქართულ ცნობიერებაში, მცირე გამონაკლისის გარდა, გიორგიევსკის ტრაქტატი მიჩნეულია ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ ისეთ დოკუმენტად, რომელიც ძირითადად მისაღები და სასურველიც კი იყო ქართველებისათვის. ასე მიიჩნევდნენ როგორც იმ ეპოქის პოლიტიკოსები, ასევე შემდგომ პერიოდში დამოუკიდებლობის დაბრუნებისათვის მებრძოლნი, სხვადასხვა პოლიტიკური კლასები და პარტიები, და წარმოიდგინეთ, დღევანდელი მოაზროვნე საზოგადოების უდიდესი ნაწილიც კი.

ამ დოკუმენტში, მართლაც, ბევრია ქართველობისათვის მოსაწონი სიტყვა, ფრაზა, დაპირება, თუ დაიმედება, მაგრამ არც ერთი მათგანი, თუ არ მივიჩნევთ ობიექტურ შედეგს, ცხოვრებაში არ განხორციელებულა, ამიტომ ჩვენ, და ვფიქრობთ, არა მარტო ჩვენ, მიგვაჩნია, რომ ეს ხელშეკრულება არის უდიდესი ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გზაზე.

ამგვარად, აღნიშნული ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო ისეთ მდგომარეობაში მოექცა, რომ აქ მეფობის გაუქმება დროისა და რუსეთის კონკრეტული ინტერესის საკითხი იყო.

საბოლოოდ, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომელიც მიმართული იყო საქართველოს ყველა მცხოვრებლისადმი, ვისაც ჯერ არს, რომ მან შეისმინა მათი მდგომარეობის სირთულე და ის, რომ ერთადერთი იმედი მათთვის რუსეთი არის და ეს იმედი არ გაემტყუნებინათ: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა ქვეყნიერებაზე ყველაზე დიდი იმპერიის საზღვრების გავრცელებისათვის, ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენს საღმრთო მოვალეობას, ყურად ვიღეთ რა ტანჯულთა მუდარა, მათი ნაღველის განსაქარველად დავაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას.“[85]

1802 წლის 18 აპრილს ალექსანდრეს მანიფესტი თბილისში, რუსული ჯარებით გარშემორტყმულ სიონის ტაძარში, წაიკითხეს. ხალხით გაჭედილ დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა, ზოგმა ხმალზეც კი შეივლო ხელი, მაგრამ ცხადია, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. საბოლოოდ, მანიფესტის წაკითხვას ტაძარში მყოფი ბატონიშვილების, კათოლიკოსისა და დიდებულების დაფიცება მოჰყვა.

მეორე დღეს იგივე მანიფესტი სომხურ ტაძარში ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლებს წაუკითხეს. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ეს პროცედურა აღფრთოვანებულ შეძახილებსა და ტაშის გრიალში ჩატარდა.

ასე დასრულდა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ, რომელმაც მისი ფაქტობრივი ანექსია გაცილებით ადრე დაიწყო.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

დავუბრუნდეთ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს.

XVIII საუკუნეში, როგორც უკვე აღვნიშნეთ რუსულ-ქართული ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა. ამ პერიოდში რუსეთის საზღვარი, ფაქტობრივად, კავკასიონზე გადიოდა. რუსებმა აქ რამდენიმე ციხე-სიმაგრეც ააგეს. მათი პოლიტიკური ინტერესები საქართველოს მიმართ გაიზარდა. ამის ნათელი დასტური იყო 1783 წელს

დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი. პოლიტიკური ინტერესების კვალდაკვალ ძლიერდებოდა ეკლესიური ურთიერთობაც. ეს კარგად ჩანს აღნიშნულ ტრაქტატშიც. აი, რა წერია ამ ხელშეკრულების მერვე არტიკულში: „დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილ-ნებობისა მისის უგანათლებულობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათალიკოსსა ანუ უმთავრესსა არხიეპიკოპოსსა მათსა, რათა აქვნდეს ადგილი რიცხვთა შორის რუსეთის მღვდელთ-მთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლისკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა, ხოლო მართებისათვის საქართველოისა ეკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისათვის უკვე დაიწერება სხვა არტიკული.“[86] მაშასადამე, აღნიშნული ტრაქტატის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უნდა დაეკავებინა მერვე ადგილი რუსეთის მღვდელმთავრებს შორის და იქნებოდა რუსეთის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის მუდმივი წევრი. შემდგომში კი უნდა შემუშავებულიყო სხვა არტიკული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვისა და მისი რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის გარკვევისათვის.

აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რუსეთის სინოდის წევრთა შორის მეხუთე ადგილი უნდა დაეკავებინა მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევისა და ნოვგოროდის მღვდელმთავართა შემდეგ. ეს პოზიცია დააფიქსირა მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციის წევრმა ალექსანდრე ბეზბოროტკომ,[87] მაგრამ საბოლოო ტექსტზე ხელმოსაწერად გეორგიევსკში ჩასულ ქართველ ელჩებს: იოანე მუხრანბატონსა და გარსევან ჭავჭავაძეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მეხუთე ადგილი მერვით შეცვლილი დახვდათ, რაზეც მათ პროტესტი გამოუთქვამთ. ამან კი რუსეთის წარმომადგენლის, გენერალ პავლე პოტიომკინის, საპასუხო რეაქცია გამოიწვია. აი, რა განუცხადა მან ქართველ ელჩებს: „როგორ შეიძლება საწყენად იქნეს მიჩნეული კათალიკოსისათვის მერვე ხარისხის მინიჭება, მაშინ როცა თვით საქართველოს სამეფო, ექვემდებარება რა რუსეთს, აღიარებს მის უზენაეს ხელისუფლებას. განა ყოფილი ეპარქია არ წარმოადგენს თვით რუსეთის ნაწილს? რუსეთის იმპერიის ყველა ჩინს,

სასულიერო იქნება ეს თუ სამოქალაქო, უთანაბრდება რა ასეთსავე ჩინს საქართველოს სამეფოში, განზრახული კავშირის შესაბამისად, უთუოდ უნდა ჰქონდეს პირველობა. აქედან გამომდინარე, ქართველი კათალიკოსი, როგორც საქართველოს სამეფოს ნაწილი, სამეფოსთან ერთად ექვემდებარება რუსეთს.“[88]

ქართველი ელჩების პროტესტი პროტესტად დარჩა. მათ ვერ შეძლეს საკუთარი პოზიციის დაცვა. ტექსტში არსებულმა ჩანაწერმა კი პრაქტიკულად დააკანონა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რუსეთის ეკლესიის ნაწილად გადაქცევა.

არა თუ მერვე, მეხუთე ადგილიც მიუღებელი უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიისათვის, ვინაიდან ეს საეკლესიო სამართლის ნორმების აშკარა და უხეში დარღვევა იყო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის ეპარქიის მღვდელმთავართან იყო გათანაბრებული. არც გენერალ პავლე პოტიომკინის პასუხი უნდა დარჩენილიყო კრიტიკის გარეშე, ვინაიდან ერთი სახელმწიფოს შესვლა მეორეს მფარველობაში არ წარმოადგენდა იმის საფუძველს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულიყო. არადა, ტრაქტატის მერვე არტიკულის ჩანაწერი, ფაქტობრივად, ამას ნიშნავდა. ამის ნათელი მაგალითი იყო ბიზანტიის იმპერია, რომლის ტერიტორიაზეც რამდენიმე საპატრიარქო არსებობდა, თუმცა სახელმწიფო ერთი იყო. მაგრამ რუსეთის იმპერიას ეს ნაკლებად აღელვებდა, რადგან თვით რუსეთში პეტრე I-ის დროიდან პატრიარქის თანამდებობა გაუქმებული იყო და ეკლესიას განაგებდა საერო პირი - ობერ-პროკურორი, რომელსაც მინისტრის უფლებები ჰქონდა და სენატში ეკლესიის წარმომადგენლად ითვლებოდა. რუსეთის ეკლესია თვითონ იყო უფლებააყრილი და, ფაქტობრივად, სახელმწიფოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი კარგად აცნობიერებდა საქართველოს პოლიტიკურ მნიშვნელობას „აღმოსავლეთის საკითხში“ თავისი მიზნების განსახორციელებლად. ამიტომ ყველაფერს აკეთებდა მის დასაპყრობად. ამავე დროს იმპერიის მესვეურნი იმასაც კარგად ხედავდნენ, თუ რა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა საქართველოს ეკლესია ქვეყნის ცხოვრებაში. ამიტომ ამ ეკლესიის დამოუკიდებლად არსებობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს იმპერიას თავისი მიზნების განხორციელებაში. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე იმპერიამ აქტიურად შეუტია საქართველოს ეკლესიას. რუსი

მოხელეები უხეშად ერეოდნენ მის შიდა საქმეებში. ამ დროს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იყო ანტონ მეორე, ძე ერეკლე მეორისა და დარეჯან დადიანისა.

ანტონ მეორე 26 წლის ასაკში, 1788 წელს, გახდა კათოლიკოს-პატრიარქი. განუზომლად დიდია მისი ღვაწლი ჩვენი ეკლესიის ისტორიაში. ამიტომ 2011 წლის 5 ივლისს წმიდა სინოდის განჩინებით კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე შერაცხულ იქნა წმინდანად და ეწოდა ანტონ მეორე მრავალვნებული (ხსენება ძვ. სტილით 21 დეკემბერი, ახ. სტილით 3 იანვარი). ბევრი დამცირების, შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების პირობებში მან მოახერხა, რომ 1801 წლის მანიფესტის შემდეგ, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება ცხადდებოდა, დამოუკიდებლობადაკარგული სახელმწიფოს ეკლესიას ათი წლით შეუნარჩუნა ავტოკეფალია.

1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. 1801 წლის 16 ოქტომბერს აღნიშნული მანიფესტი სიონისა და თბილისში არსებული სომხური ეკლესიის - ვანქის ტაძრებში წაიკითხეს. ამასთან დაკავშირებით, რუს ჩინოვნიკთა მითითებით, თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა წირვა, ხოლო ანტონ მეორემ პარაკლისი შეასრულა.[89] მანამდე კი, 1801 წლის თებერვალში, კარლ კნორინგმა მოთხოვნა გაუგზავნა ანტონ მეორეს, მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1) რამდენი საეპისკოპოსოა საქართველოში, ვინაა მათი მმართველი მღვდელმთავარი, ვინ არიან უსამღვდელოესი სასულიერო ხელმძღვანელები და როგორია მათი დამოკიდებულება მეფის ხელისუფლებისადმი?
2) თითოეულ საეპისკოპოსოში რამდენი მამათა და დედათა მონასტერი, სატაძრო და სამრევლო ეკლესიაა, რა სახით იღებენ და საიდან იღებენ თავიანთ საარსებო შემოსავალს როგორც უსამღვდელოესი, ასევე მონასტრები და ეკლესიის მსახურები?
3) მონასტრებისა და ეკლესიების სამართავად აქვთ თუ არა მღვდელმთავრებს თავისთან სასამართლო, როგორიცაა: დიკასტერია, სასულიერო მმართველობა ან სადეკანოზო. ვინ არიან იქ დამსწრენი, კანცელარიის სასულიერო და საერო მსახურნი, როგორი ჯამაგირი აქვთ მათ?
4) სად არჩევენ სასულიერო პირები სამოქალაქო საქმეებს – სასულიერო თუ სამოქალაქო სასამართლოში?

5) არის თუ არა საქართველოში სასულიერო წოდების მინიჭებისათვის ისეთივე წესი, როგორიც რუსეთშია? სასულიერო წოდებას ანიჭებენ ხდება მოსახლეობის არჩევით თუ სასულიერო ხელმძღვანელობის მიერ?
6) არის თუ არა სამღვდელოებისათვის საეპისკოპოსოებში სასწავლებლები და თუ არის, სად, რას ასწავლიან იქ და რით არსებობენ?
7) ზემოხსენებულის გარდა ქართველი სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კიდევ რაიმეს გარკვევა ხომ არ იყო აუცილებელი?[90]

ანტონ მეორემ თავის ვრცელ საპასუხო წერილში ყოველივე აცნობა კარლ კნორინგს. წერილის დასაწყისში იგი საუბრობს უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიაზე. ადრესატი უკმაყოფილო იყო პასუხით, რადგანაც მას ყველაზე მეტად ქართული ეკლესიის შემოსავლის წყაროები და ფინანსები აინტერესებდა. ამ თვალსაზრისით კი მას პასუხი არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდა და ამიტომ ასეთივე კითხვებით მიმართა ცალკეული ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსებს.[91]

მიუხედავად ქართველი სასულიერო პირების არაერთი დათმობისა, რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ერეოდა საქართველოს ეკლესიის საქმეებში. 1802 წელს კარლ კნორინგმა ანტონ მეორეს კვლავ მოსთხოვა ინფორმაცია შემოსავლების შესახებ. ანტონი იძულებული გახდა, მიეწოდებინა ეს მასალები. კათოლიკოს-პატრიარქი აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რომელიც ელოდა საქართველოს ეკლესიას, ამიტომ ცდილობდა, შეენარჩუნებინა სიმშვიდე და „კეთილგანწყობა“. ასე მაგალითად, მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა გადაწყვიტა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრები რუსეთში გადაესახლებინა, ანტონ მეორე გამოესარჩლა დედას, დედოფალ დარეჯანს, რათა საქართველოში დაეტოვებინათ. ამას პავლე ციციანოვის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ანტონი იძულებული გახდა, უარი ეთქვა დედის დაცვაზე.

რუსი მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ, დაპირისპირება და შუღლი ჩამოეგდოთ ქართველ სასულიერო პირთა შორის და ზოგ შემთხვევაში ამას წარმატებით ახერხებდნენ.

მიუხედავად უაღრესად დაძაბული ვითარებისა, კათოლიკოს-პატრიარქი ცდილობდა, არ დაეშვა საერო ხელისუფლების ჩარევა საეკლესიო საქმეებში. 1804 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი ექვთიმე. მის ნაცვლად ანტონ მეორემ დანიშნა დომენტი. ამას პავლე ციციანოვის აღშფოთება მოჰყვა,

ვინაიდან ეს დანიშვნა მასთან არ იყო შეთანხმებული. მან ანტონს ნიქოზელი ეპისკოპოსის – ათანასეს დანიშვნა მოსთხოვა მონასტრის წინამძღვრად, დომენტი კი თანაშემწედ უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში პავლე ციციანოვი იმპერატორთან ჩივილით იმუქრებოდა.[92] ანტონს კვლავ დათმობაზე წასვლა მოუწია!

მთავარმართებელი უფლებას არ აძლევდა კათოლიკოს-პატრიარქს, გამოერჩია ახალი მღვდელმთავრები. როცა ნიქოზის ეპისკოპოსის ადგილი გათავისუფლდა, პავლე ციციანოვმა მოსთხოვა ანტონს, რომ იგი მცხეთის სამთავროს მონასტრისათვის მიეწერათ. იგი ცდილობდა ეპარქიათა შემცირებას, განსაკუთრებით ეპისკოპოსთა ნებაყოფლობითი გადადგომის გზით. ასაკში შესული მღვდელმთავრები ხშირად ითხოვდნენ პენსიაზე გასვლას. გათავისუფლებულ კათედრებზე კი ახალ ეპისკოპოსებს აღარ აკურთხებდნენ და ამ გზით უქმდებოდა ეპარქიები.[93]

მთავარმართებელ ივანე გუდოვიჩის მმართველობის დროს დაიწყო საეკლესიო მიწების მითვისების პროცესი. ესეც მორიგი ნაბიჯი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გზაზე, ვინაიდან იგი ასუსტებდა ეკლესიის მატერიალურ მდგომარეობას და მას სახელმწიფოზე დამოკიდებულს ხდიდა.

მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის მმართველობისას აქტიურად დაიწყო საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია კათოლიკოსის უფლებების შეულახავად. შექმნილ ვითარებაში ანტონ მეორე იძულებული იყო, დასთანხმებოდა ტორმასოვის რიგ მოთხოვნებს იმის იმედით, რომ შეინარჩუნებდა ეკლესიის დამოუკიდებლობას.

ალექსანდრე ტორმასოვმა თხოვნით მიმართა ობერპროკურორ ალექსანდრე გოლიცინს, რათა მას შუამდგომლობა გაეწია იმპერატორის წინაშე საქართველოს ეკლესიაში სასულიერო დიკასტერიის დაარსებასთან დაკავშირებით. მთავარმართებლის აზრით, დიკასტერიის ხელმძღვანელი ანტონ მეორე უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი მოადგილე არქიეპისკოპოსი ვარლამი, რომელიც კარგად ერკვეოდა საქმის ვითარებაში.[94]

ალექსანდრე ტორმასოვმა პეტერბურგიდან პასუხის მოსვლამდე დაიწყო მოქმედება და თავისი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით ანტონს გააცნო. მთავარმართებელი ითხოვდა, შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც დაადგენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და მათში მომსახურე პირების

რაოდენობას. არ უნდა მომხდარიყო სასულიერო პირთა ხელდასხმა საერო ხელისუფლების თანხმობის გარეშე.[95]

საიმპერატორო კარი ხედავდა, რომ ანტონ მეორე ყოველნაირად ცდილობდა, გაეჭიანურებინა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება. ამიტომ გადაწყდა ანტონის გაწვევა საქართველოდან. 1809 წლის 2 ნოემბერს ობერპროკურორი ალექსანდრე გოლიცინი მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ, იმპერატორის გადაწყვეტილებით, კათოლიკოს-პატრიარქი პეტერბურგში უნდა წასულიყო საეკლესიო ცვლილებების განსახილველად,[96] თუმცა ყველა ხედავდა, რომ ეს გადასახლება იყო და ანტონს უკან არავინ დააბრუნებდა. ამას კათოლიკოს-პატრიარქიც ხვდებოდა. 1809 წლის 7 დეკემბერს საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვისადმი გაგზავნილ წერილში ანტონ მეორე მადლიერებას გამოხატავს იმ ყურადღების გამო, რომელიც იმპერატორმა გამოიჩინა პეტერბურგში მიწვევის გამო, მაგრამ ავადმყოფობის მომიზეზებით თავაზიან უარს ამბობდა გამგზავრებაზე.[97]

რუსეთის ხელისუფლება მოთმინებით შეხვდა ანტონ მეორის პასუხს და მის „გამოჯანმრთელებას“ დაელოდა. 1810 წლის ზაფხულში კათოლიკოს–პატრიარქს მოთხოვნა გაუმეორეს. იგი იძულებული გახდა, დასთანხმებოდა გამგზავრებას აგვისტოს ბოლოს, როდესაც ცხელი ზაფხული გადაივლიდა. 1810 წლის 12 ივლისს ალექსანდრე ტორმასოვი წერილით მიმართავს ანტონ მეორეს: „ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი რჩევა პეტერბურგში თქვენი გამგზავრების შესახებ მიიღეთ, როგორც იძულება. მე არ მქონდა არავითარი სხვა აზრი, გარდა იმპერატორის ნების აღსრულებისა. იმპერატორს რა მიზეზითაც სურს თქვენი ჩასვლა პეტერბურგში, თქვენთვის ცნობილია. იგი ემყარება თქვენსავე წინადადებას - საქართველოში სასულიერო დიკასტერიის დაფუძნებას, რომ წესრიგში იქნეს მოყვანილი სასულიერო საქმეები. საჭიროა, ეს ყველაფერი მალე გადაწყდეს. მივიღე თქვენი წერილი, რომლითაც მატყობინებდით, რომ ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ გამგზავრებაში. გავეცი განკარგულება და იმპერატორს შევატყობინე ყოველივე. გადასდეთ რა თქვენი გამგზავრება აგვისტოს ბოლომდე, საჭიროდ ჩავთვალე, გულწრფელად მერჩია, დაგეჩქარებინათ იმპერატორის ნების აღსრულება, რადგან ეს სასარგებლო იქნებოდა თქვენთვის. შემდეგ მთავარმართებელი წერს: „დავეჭვდი, თქვენ ხომ ჩრდილოეთისაკენ მიდიხართ, სადაც სიცხეები არ არის და მგზავრობაც ნაკლებად სახიფათოა, თუმცა გამგზავრების დრო

თქვენზეა დამოკიდებული.“ დასასრულს ალექსანდრე ტორმასოვი წერს: „მე კი უმორჩილესად გთხოვთ, არ მიიღოთ ჩემი რჩევები თქვენი თავისუფლების შეზღუდვად. ამის განზრახვა არ მქონია და ამის მიზეზი არც თქვენ მოგიციათ .“[98]

ყოველმხრივ შევიწროებული კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე 1810 წლის 10 აგვისტოს იძულებული გახდა, რუსეთს გამგზავრებულიყო. თუმცა მოულოდნელად დუშეთიდან უკან დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მიხვდა, რომ წაუსვლელობა უფრო უარესი იქნებოდა მისთვის და 1810 წლის 3 ნოემბერს საბოლოოდ გაემგზავრა რუსეთში.

1811 წლის 20 მარტს ანტონ მეორე დიდი პატივით მიიღეს პეტერბურგში. 10 ივნისს კი იმპერატორმა უბოძა ორი რესკიპტრი, რომლებითაც იგი ანდრია პირველწოდებულის ორდენითა და მწვანე ხავერდის მანტიით ჯილდოვდებოდა. ანტონი აირჩიეს უწმინდესი სინოდის წევრად. დაენიშნა ყოველწლიური პენსია 54 ათასი მანეთის ოდენობით. მეორე რესკიპტრით იმპერატორი მას ჰპირდებოდა: „საღმრთო მსახურების დროს გექნებათ თქვენ ყველა სასულიერო უპირატესობანი, რომლებიც აქამდე გქონდათ, ხოლო სადაც საეკლესიო განწესებისებრ საჭირო იქნება, თქვენ უნეტარესად მოგიხსენებენ მღვდელმთავართა შორის.“[99] თუმცა მრავალი საიმპერატორო დაპირება შემდგომში აღარ შესრულდა. პეტერბურგიდან იგი ნიჟნი ნოვგოროდში გადასახლდა, სადაც 1827 წელს გარდაიცვალა.

ანტონ მეორის რუსეთში იძულებითი გაწვევის შემდეგ მის მოვალეობას არქიეპისკოპოსი ვარლამი ასრულებდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეპარქიების შემცირებას და სასულიერო დიკასტერიის დაარსებას. 1811 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში იყო 13 ეპარქია, რომლებსაც ხელმძღვანელობდა 7 მღვდელმთავარი. 799 ეკლესიას ემსახურებოდა 764 მღვდელი, 146 დიაკვანი, ეკლესიის სხვა მსახური – 661, 9 საარქიმანდრიტოს 7 არქიმანდრიტი განაგებდა. ეპარქიების მფლობელობაში იყო 2213 კომლი საეკლესიო გლეხი, საარქიმანდრიტოებს დამატებით 637 კომლი. ეკლესიის წლიური შემოსავალი შეადგენდა 26 360 მანეთს, საარქიმანდრიტოებში - 13 226 მანეთს.[100]

არქიეპისკოპოს ვარლამს საჭიროდ მიაჩნდა დაარსება სასულიერო დიკასტერიისა, რომლის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ არქიმანდრიტები და დეკანოზები 6 კაცის შემადგენლობით. მისივე აზრით, 13 ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო ორი - მცხეთისა და ქართლის და ალავერდისა და კახეთის ეპარქიები.

საქართველოს მწყესმთავრის ტიტული შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბებულიყო: ,,მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი და სინოდის ეგზარქოსი საქართველოში“.

1811 წლის 21 ივნისს ობერპროკურორმა ალექსანდრე გოლიცინმა იმპერატორს ხელმოსაწერად წარუდგინა პროექტი, რომელშიც ვკითხულობთ:

„1) საქართველოში აქამდე არსებული 13 ეპარქიის ნაცვლად შეიქმნას ორი - მცხეთისა და ქართლის და მეორე – ალავერდისა და კახეთის, ცხრა საარქიმანდრიტოდან დარჩეს ხუთი.

2) ქართული ეკლესიის მეთაურად დაინიშნოს მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი. მიეკუთვნოს მას სამუდამო ტიტული სინოდის წევრისა და მისი ეგზარქოსისა.

3) დაწესდეს დიკასტერია, მსგავსად რუსეთში არსებულისა, საქართველოს სამღვდელოების მმართველის მეთაურობით დიკასტერია დაამტკიცებს ეკლესიათა და სასულიერო პირთა რაოდენობას, წარმართავს საეკლესიო საქმეებს.

4) მღვდლებისა და საეკლესიო მსახურთა შვილების სასწავლებლად თავდაპირველად გიმნაზიის ნაცვლად გაიხსნას სასულიერო სემინარია.

5) თანხა, რომელიც საჭიროა ეკლესიის ხარჯებისათვის, საეკლესიო შემოსავლებიდან გაიღება.

6) ეკლესიისა და მათ მსახურთა შესანახად სინოდი თანახმაა, მიწები, რომლებიც ეკლესიას ჰქონდა რუსეთის მმართველობის დამყარებამდე, ისევ ეკლესიას დარჩეს.., რაც შეეხება იმ აზნაურებს, რომლებიც ეკლესიის მიწებს მართავენ, რადგანაც საეკლესიო გლეხთაგან შემოსავლის აკრეფა ხდება დიკასტერიის მიერ, ასეთი მმართველი საჭირო აღარ იქნება.“[101]

სასულიერო დიკასტერიის ფუნქციებში შედიოდა: 1) შეესწავლა იმჟამად არსებული ეკლესიები და მათში მომსახურე მღვდლებისა და სასულიერო პირების მდგომარეობა, თუ რომელიმე მათგანი ზედმეტია, ასეთი ეკლესიები გააუქმონ, მოსამსახურეები დაითხოვონ ან სხვა ეკლესიებში გაანაწილონ. ვინც ეკლესიიდან იქნება გაშვებული, მას დაენიშნოს წოდების შესაბამისი შემოსავალი, 2) საეკლესიო გლეხთა შემოსავალი მოწესრიგდეს, ამისთვის დიკასტერიას მიეცეს უფლება, შეამოწმოს შემოსავალ-გასავალი, 3) ცნობილია, თუ როგორ გაძნელებულია საეკლესიო შემოსავლის ნატურის სახით აღება და იმისათვის, რომ ეს თავიდან ავიცილოთ, ის შემოსავლები, რომლებიც უნდა დაიხარჯოს ეკლესიებზე, სასულიერო სასწავლებლებსა და სხვა

დაწესებულებებზე, შეიცვალოს ფულადი გადასახადით, რომელიც დიკასტერიას გადაეცემა, ხოლო ის შემოსავლები, რომლებიც განკუთვნილია ეპისკოპოსებისა და არქიმანდრიტების შესანახად, მიეცეთ მათ ნატურით, დიკასტერიის გადაწყვეტილებით.[102]

დიკასტერიის დაარსების დოკუმენტს იმპერატორმა 1811 წლის 30 ივნისს მოაწერა ხელი. 1814 წლის 30 აგვისტოს, იმპერატორის ბრძანებით, დიკასტერია საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ ჩაანაცვლა, თუმცა, ფაქტობრივად, მან 1815 წლის 8 მაისამდე იარსება.

XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველოში ადმინისტრაციული თვალსაზრისით ორი დამოუკიდებელი ეკლესია არსებობდა, ქართლისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოები. მართალია, იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, მაგრამ შესაძლებელი გახდა ეკლესიის ერთიანობის უზრუნველყოფა. ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა, რომელსაც სოლომონ II-მ კათოლიკოსობა უბოძა, უარი განაცხადა ამ პატივზე სწორედ იმ მიზნით, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათოლიკოსოს დამორჩილდებოდა. სარგის კაკაბაძე ამის შესახებ წერს: „მიდრეკილება გაერთიანებისაკენ ამერ-იმერში იმდენად დიდი იყო, რომ მან შემდეგში გამოხატულება პოვა რამდენადმე მაინც საეკლესიო ცხოვრებაში. 1795 წელს კიევში გარდაიცვალა უკანასკნელი აფხაზ-იმერეთის (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე, რომელიც, რუსეთში ელჩად იმერეთის მეფე დავით II-ის მიერ გაგზავნილი, უკან არ დაბრუნებულა. მის მაგივრად ფიქრობდნენ კათალიკოსად ქუთათელი მიტროპოლიტის – დოსითეოზის კურთხევას, მაგრამ ეს არ მოხდა. პლატონ იოსელიანის დამოწმებით, საერთო ხელმძღვანელობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა ამის შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს დაეკისრა. მართალია, ეს ხელმძღვანელობა იყო ნომინალური, მაგრამ ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში უკვე ცალკე კათალიკოსი არ იჯდა, მაინც სიმპტომატური იყო. საყურადღებოა ამასთანავე, რომ, როგორც ჩანს, ეს მოხდა არა თბილისის მითითებით, არამედ თვით იმერლების თაოსნობით.“[103]

ამდენად, 1811 წლისათვის, როდესაც რუსეთის იმპერიამ მცხეთის საკათოლიკოსოს აუქმებდა, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო, ნომინალურად, მის დაქვემდებარებაში ითვლებოდა. სწორედ ამიტომ პირველ

ეგზარქოსს, ვარლამ ერისთავს, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიაში გატარებული ე.წ. რეფორმების შემდეგ იმავეს გაკეთება დასავლეთ საქართველოში დაევალა. მან ეს ვერ მოახერხა, ამის გამო იმპერიის მესვეურებმა იგი თეოფილაქტე რუსანოვით ჩაანაცვლეს.

ახალ ეგზარქოსს განზრახული ჰქონდა დასავლეთ საქართველოში არსებული ცხრა ეპარქიიდან დაეტოვებინა სამი, აღწერა საეკლესიო ქონება, ეკლესიის კუთვნილი გლეხობისაგან აეკრიფა ფულადი გადასახადი და ამ თანხიდან სამღვდელოებისათვის ხელფასი გადაეხადა. მგრამ ადგლობრივი მოსახლეობა წინ აღუდგა ხელისუფლების განზრახვას, ამიტომ თეოფილაქტე რუსანოვი იძულებული გახდა ჯარის თანხლებით გადასულიყო დასავლეთ საქართველოში.

ერთი ადგილობრივი ქრონოგრაფი წერდა: „1819 წელს, ივნისის თვეში, მოვიდა საქართველოს ეგზარხი მიტროპოლიტი თეოფილაქტე ბრძანებითა მისის იმპერატორობითის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისათა სასულიეროს შტატის დასაწყობად, რათა ქმნილ იყო ერთ ეპარქიად და იმ ერთს ეპარქიის ზემდგომ მღვდელმთავარის ხელქვეშ უნდა შესულიყო ყოველივე სასულიერო საქმე და ეგრეთვე ეკლესიის ... ამის მსმენელი იმერეთის საზოგადოება მიეცა არა მცირედს მწუხარებასა“.[104]

1819 წლის ივნისში იმერეთში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც, ფაქტობრივად, მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. ვითარება გართულდა და ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია. ეგზარქოსი დაცვის თანხლებით გამოიყვანეს ქუთაისიდან. ეს აჯანყებულთა გამარჯვება იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დროებითი. ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამბოხების მოთავეთა დასჯა, რასაც აჯანყების განახლება მოჰყვა. იმპერიის მიერ საქართველოში დანიშნულ ხელისუფალთა განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა აჯანყებაში მიტროპოლიტების დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის აქტიურობა, ამიტომ ცენტრმა მათი რუსეთში გადასახლება გადაწყვიტა. 1820 წლის 4 მარტს იმერეთის მმართველმა პუზირევსკიმ მიტროპოლიტები დააპატიმრა. აი რას სწერდა იგი გენერალ-ლეიტენანტ ივანე ველიამინოვს: „იმისათვის, რათა დატყვევებულებმა ვერ შეძლონ გაქცევა, არ იცოდნენ ერთმანეთის ვინაობა და გატარების დროს მცხოვრებლებმა ვერ იცნონ ისინი, გადავწყვიტე, რომ თავზე ჩამოვაცვა ტომრები, მათ კისერთან და წელთან შევკრავ, ხოლო ბაგესთან სასუნთქს გავუკეთებ. თუ რაიმე უკიდურესი შემთხვევა მოხდება, მათ

დავხოცავ და გვამებს წყალს გავატან“.[105] როგორც ჩანს, ხელისუფლებას ეს აზრი არ მოეწონა და პუზირევსკის ასეთი მითითება მისცა: „ყველაზე მეტად მოერიდეთ მიტროპოლიტების სიკვდილით დასჯას, ამას შეუძლია მთლად ააღელვოს სამღვდელოებისა და თავადებისაგან წაქეზებული ხალხი, შეიძლება ჩვენს ჯარისკაცებზეც ცუდი შთაბეჭდილება დატოვოს. მათ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო ძლიერი სასოება უნდა ჰქონდეთ სამღვდელოებისადმი... მაგრამ თუ მაინც საჭიროდ მიიჩნევა მოხუცი მღვდელმთავრების დახოცვა, არავითარ შემთხვევაში არც ერთი გვამი არ დატოვოთ იმერეთში, არც დაასაფლავოთ, არც გადააგდოთ მდინარეში, ვიწრო და სწრაფი დინების გამო შეიძლება მდინარემ ამოაგდოს გვამები, რომელსაც ნახავს ცრუმორწმუნე ხალხი. თითოეული გვამი გადატანილ უნდა იქნეს მოზდოკამდის. არ იქნას დატოვებული საქართველოშიც კი, ანდა მიტანილ იქნან კაიშაურამდე, სადაც შეიძლება მათი დასაფლავება“.[106] დაპატიმრებული მღვდელმთავრები რუსეთის გზას გაუყენეს. სურამთან ახლოს მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი გარდაიცვალ. ერთი ვერსიით იგი ტომარაში გაიგუდა, ხოლო მეორე ვერსიით, სასტიკი ცემისაგან გარდაიცვალა. დაუკრძალავთ ანანურში. მიტროპოლიტი ექვთიმე გაენათელი პეტერბურგში ჩაიყვანეს და იმპერატორ ალექსანდრე I-ს წარუდგინეს, რომელსაც მღვდელმთავარმა „ახალი ნერონი“ უწოდა. ამის შემდეგ იგი სვირის მონასტერში გადაასახლეს, სადაც 1822 წლის 21 მარტს გარდაიცვალა.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის 2005 წლის 27 ივნისის განჩინებით ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) და გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შერვაშიძე) შერაცხილ იქნენ წმინდანთა დასში. პირველის ხსენების დღე დადგინდა 6 მარტი (ახ. სტ. 19 მარტი), ხოლო მეორისა 21 აპრილი (ახ. სტ. 4 მაისი).

საბოლოოდ, რუსეთის ხელისუფლებამ მაინც ჩაატარა „საეკლესიო რეფორმა“ დასავლეთ საქართველოში - გააუქმეს სამღვდელმთავრო კათედრები, ცხრის ნაცვლად დატოვეს სამი (იმერეთში, გურიასა და ოდიშში). შემდგომ ცვლილებებს ხელისუფლება ახლა უკვე უფრო ფრთხილად და წლების მანძილზე ატარებდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შედეგად, შეიბღალა არა მხოლოდ ეკლესიის თავისთავადობა, არამედ ქართულმა ეკლესიამ

საუკუნოდ დაკარგა საზოგადოებასა და სახელმწიფოში ის მდგომარეობა და ადგილი, რომლებიც მისთვის ტრადიციული იყო IV ს-დან XIX ს-მდე.

ქართულ ეკლესიას რუსულმა ხელისუფლებამ ჩამოართვა მთელი ქონება, მამულები, სახლები, საეკლესიო გლეხები, აზნაურები. XIX ს-ის 50-იან წლებში რუსეთის სახელმწიფო ხაზინას გადაეცა 150 მილიონ ოქროს მანეთად შეფასებული ქართული ეკლესიის ქონება და მასთან ერთად თითქმის ნახევარ მილიონ დესეტინამდე მიწა.

საქართველოს საეგზარქოსო 5 ეპარქიად იყოფოდა:

1. საქართველოს ეპარქია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლის, ერევნის გუბერნიები; ყარსის ოლქი, დაღესტნისა და იმიერკასპიის რეგიონები;
2. ვლადიკავკაზის: თერგის ოლქი და ჩრდილოეთ ოსეთი;
3. იმერეთის, ქუთაისის გუბერნია, შორაპნისა და რაჭის მაზრები;
4. გურია-სამეგრელოს: ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი;
5. სოხუმის: სოხუმის ოლქი და შავიზღვისპირეთის რეგიონი.

1811 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს იურისდიქციაში მოექცა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული რეგიონები - ქართლი და კახეთი, რომლებიც ეკლესიურად შევიდნენ მცხეთა-ქართლის და ალავერდ-კახეთის ეპარქიის შემადგენლობაში.

1815 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს უფლებებში აღმოჩნდა საქართველოს მთელი ტერიტორია და ეკლესიურად მას იმერეთის ეპარქიაც დაემორჩილა.

1828 წელს გურია გაერთიანდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, ხოლო მას შემდეგ, რაც 1829 წელს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა სამხრეთ საქართველო (სამცხე-საათაბაგო), ის საქართველოს საეგზარქოსოს ქართლ-კახეთის ეპარქიას შეერწყა.

1830 წელს რუსეთმა შეიერთა ისტორიული საინგილო (ჭარ-ბელაქანის რეგიონი) და ის ეკლესიურად ქართლ-კახეთის ეპარქიას დაუმორჩილა.

1857 წლიდან სვანეთი და ოდიში შევიდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

1851 წელს ცალკე ჩამოყალიბდა აფხაზეთის ეპარქია, რომელსაც 1885 წლიდან ეწოდა სოხუმის ეპარქია.

1872 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს ტერიტორიაში შევიდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის რეგიონი: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ოლთისი. ისინი ეკლესიურად გაერთიანდნენ გურია-სამეგრელოს ეპარქიასთან.

1912 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს იურისდიქციაში შევიდა სომხეთის აღმოსავლეთი და დასავლეთი ტერიტორიები: ყარსისა და ერევნის გუბერნიები. ისინი ერევნის სავიკარიოს სახით ემორჩილებოდნენ ქართლ-კახეთის ეპარქიას.[107]

თავი II

საქართველოს ეგზარქოსები XIX საუკუნის პირველ ნახევარში

სიტყვა „ეგზარქოსი“ ბერძნულია და ქართულად ითარგმნება როგორც „მმართველი“, „წინამძღოლი“, „მთავარი“. ტერმინი გამოიყენება რამდენიმე გაგებით. ძველ საბერძნეთში იგი აღნიშნავდა თანამდებობას ქურუმთა წოდებაში, მეორე გაგებით კი - ბიზანტიის იმპერატორის მოადგილეს იტალიის სამფლობელოებში. თანამედროვე გაგებით „ეგზარქოსი“ აღნიშნავს ეპისკოპოსის ტიტულს მართლმადიდებლურ ეკლესიაში, უმთავრესად, როგორც გარკვეული დამოუკიდებლობით აღჭურვილი საეკლესიო ტერიტორიის მმართველი. საეგზარქოსო შეიძლება იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებობდეს, სადაც მოცემული ადგილობრივი ეკლესია მდებარეობს. საეგზარქოსო შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ეპარქიას, რომელთა მმართველებიც ეგზარქოსს ემორჩილებიან. თვით ეგზარქოსი კი, ემორჩილება ცენტრალურ საეკლესიო ხელისუფლებას - პატრიარქს ან სინოდს, მაგრამ გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობს.

ეგზარქოსი, როგორც აღმოსავლეთის ეკლესიის იერარქიული ხარისხის აღმნიშვნელი ტერმინი, პირველად ჩნდება ანტიოქიის კრების (445 წელი) დოკუმენტებში.[108]

„თუ რომელიმე ქართველი ავტორი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორების ქმედებებზე ნამდვილი ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდებოდა, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ ნაძარცვი ქონებითა და ფულით რუსეთში დაბრუნებულიყვნენ.“[109] - წერდა ნიკოლოზ დურნოვო.

მოვიტანთ კიდევ რამდენიმე ამონარიდს აღნიშნული მკვლევრის წიგნიდან „ქართული ეკლესიის ბედი“, რომელშიც ავტორი საუბრობს საქართველოში რუსი ეგზარქოსების საქმიანობის შესახებ: „ქართული ეკლესიის საეკლესიო წესები არასოდეს

არ ემთხვეოდა რუსულ საეკლესიო წესებს, იმიტომ, რომ საქართველოში დიდი ეპარქიები არ იყო; მღვდელმთავრებს მეტწილად თავადაზნაურობიდან ირჩევდნენ და ხალხი ყოველთვის უგებდა მათ, იმიტომ შემოინახეს ქართველებმა მართლმადიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოუწიათ მაჰმადიანური უღლის ზიდვა. ქართველი მღვდელმთავრების ხალხთან სიახლოვე არ მოსწონდათ რუს ეგზარქოსებს, რომლებიც უცხონი იყვნენ ხალხისთვის, როგორც სულიერად, ასევე ენობრივად. შეეცადნენ ქართველი მღვდელმთავრები ხალხისგან მოეწყვიტათ. დახურეს სამღვდელმთავრო კათედრა, რომელთა შესანახად რუსეთის სახელმწიფო გროშსაც არ იმეტებდა. ქართული ეკლესიის უძველესი წყობა, რომელიც მკაცრად იყო შემონახული IV საუკუნიდან XIX საუკუნემდე, რუსულმა სასულიერო კოლეგიუმმა დაარღვია და შეცვალა ჩინოვნიკური სასულიერო უწყების სასარგებლოდ, რომელიც აწ ქართულ ეკლესიას უნდა ერჩინა...“[110]

„საქართველოში გამწესებული რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებდნენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასაძარცვ მხარეს...“[111]

„საქართველოში რუსი ეგზარქოსის თანამდებობის შექმნა იყო ბიუროკრატიის ერთი წამოწყებათაგანი, ამიტომაც ბუნებრივია, ეგზარქოსობას არ შეიძლებოდა რაიმე დადებითი გაეკეთებინა, რაც ქართული ეკლესიის სულიერ საწყისს უპასუხებდა. თავისუფალი ქართული ეკლესია ნაჩვევი არ იყო თავისი ბედის გამგებლად ჰყოლოდა ისეთი ინდიფერენტული პირები, როგორიც წმინდა ეკლესიისა და ქართველი ხალხისადმი ყოველთვის მტრულად განწყობილი ეგზარქოსები იყვნენ. თითქმის 100 წლის მანძილზე საქართველოს ეგზარქოსებს თავიანთი მოღვაწეობა არაფრით აღუნიშნავთ, გარდა ბიუროკრატიული რეჟიმისა და კანცელიარობისა საქართველოს ეკლესიის საქმეებში. საქართველოს ეკლესია კი მთელი თავისი ავტოკეფალური არსებობით მიჩვეული იყო სათავეში ჰყოლოდა ისეთი პირები, რომლებიც თავიანთ მიწიერ არსებობას მხოლოდ იმით კი არ აღნიშნავდნენ, რომ ისინი უძველეს ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ, არამედ იმით, რომ ისინი წერდნენ სოლიდურ ნაშრომებს საეკლესიო საკითხებზე და ლიტერატურაზე. ეს ნაწარმოებები მადლიერი შთამომავლობის საკუთრება გახდა...“[112]

საქართველოში მოვლინებულ ეგზარქოსებს დამოუკიდებელი მოქმედების არეალი შეზღუდული ჰქონდათ და ძირითადად პეტერბურგიდან მიღებული

ინსტრუქციებით მოქმედებდნენ. დიდად არ იყო წახალისებული პირადი ინიციატივები. საგანგებოდ არჩევდნენ ეგზარქოსთა კანდიდატურებს. როგორც წესი, ხელისუფლება ქართველი ერისადმი განსაკუთრებული სიძულვილით გამორჩეულ რუს მღვდელმთავრებს აგზავნიდა საქართველოში. ისინი თავს არ ზოგავდნენ, რათა რუსულ მმართველობას მტკიცედ და სამუდამოდ მოეკიდებინა ფეხი ჩვენს ქვეყანაში. ეგზარქოსები ლოიალობით გამოირჩეოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. მას, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენდა თავს, აწინაურებდნენ მოსკოვის, პეტერბურგისა და კიევის კათედრებზე. საქართველოს ეგზარქოსობა ბევრი მღვდელმთავრისათვის ერთგვარი ტრამპლინი იყო კარიერულ წინსვლაში. განსაკუთრებით ფასდებოდნენ ისინი, ვინც თავის უკეთურ საქმეებს სათანადოდ ნიღბავდნენ. ზოგიერთი მათგანის „საქმენი საგმირონი“ ქართული საზოგადოებისათვის ქვეყნიდან მათი წასვლის შემდეგ აშკარავდებოდა. მათი საქმიანობის შედეგი იყო: მოშლილი სამღვდელმთავრო კათედრები, გაუქმებული, დახურული და გაძარცული ეკლესია-მონასტრები, საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგული საეკლესიო საგანძური, შეურაცხყოფილი და მასხრად აგდებული ქართულენოვანი ღვთისმსახურება და ტრადიციები. ეგზარქოსები, ხშირად, არა თუ მლოცველნი იყვნენ საკუთარი სამწყსოსი, არამედ მაწყევარნი. ამიტომაც ისინი მიუღებელნი იყვნენ მორწმუნე ქართული საზოგადოებისათვის. იყვნენ ერთეული გამონაკლისებიც, რომლებიც, შედარებით, უკეთესად იქცეოდნენ, მაგრამ ეს ვერ ცვლიდა საერთო ვითარებას.

ეგზარქოსები 106 წლის განმავლობაში მართავდნენ საქართველოს ეკლესიას, 1811 წლიდან 1917 წლამდე, მათგან მხოლოდ პირველი, ვარლამ ერისთავი, იყო ქართველი, ხოლო დანარჩენი 18 - რუსი.

1. ვარლამ ერისთავი 1811-1817 წ.წ.
2. თეოფილაქტე (რუსანოვი) 1817-1821 წ.წ.
3. იონა (ვასილევსკი) 1821-1832 წ.წ.
4. მოსე (ბოგდანოვ-პლატონოვი) 1832-1834 წ.წ.
5. ევგენი (ბაჟენოვი) 1834-1844 წ.წ.
6. ისიდორე (ნიკოლსკი) 1844-1858 წ.წ.
7. ევსევი (ილინსკი) 1858-1877 წ.წ.
8. იოანიკე (რუდნევი) 1877-1882 წ.წ.

9. პავლე (ლებედევი) 1882-1887 წ.წ.
10. პალადი (რაევი) 1887-1892 წ.წ.
11. ვლადიმერი (ბოგოიავლენსკი) 1892-1898 წ.წ.
12. ფლაბიანე (გოროდეცკი) 1889-1901 წ.წ.
13. ალექსი (ოპოცკი) 1901-1905 წ.წ.
14. ნიკოლოზი (ნალიმოვი) 1905-1906 წ.წ.
15. ნიკონი (სოფისკი) 1906-1908 წ.წ.
16. ინოკენტი (ბელიაევი) 1909-1912 წ.წ.
17. ალექსი (მოლჩანოვი) 1913-1914 წ.წ.
18. პატირიმი (ოკნოვი) 1914-1915 წ.წ.
19. პლატონი (როჟდენსტვენსკი) 1915-1917 წ.წ.

წარმოდგენილ ნაშრომში არსებული წყაროებისა და გამოქვეყნებული ლიტერატურის საფუძველზე შევეცდებით, დაწვრილებით წარმოვაჩინოთ ეგზარქოსების საქმიანობა საქართველოში.

§ 1. ეგზარქოსი ვარლამი

(1811-1817 წ.წ.)

მიტროპოლიტი ვარლამი, ერისკაცობაში ვარლამ დავითის ძე ერისთავი, ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი, დაიბადა 1763 წლის 8 აგვისტოს. ვარლამის მამა - დავით ერისთავი გახლდათ, დედა კი - თინათინ მაჩაბელი. ვარლამმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1784 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლის დროს მას მფარველობდა მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, რომლის დახმარებითაც მან შეისწავლა სასულიერო და საერო ლიტერატურა. ვარლამი ავტორიტეტით სარგებლობდა ერეკლე II-ის კარზე. ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვეტილი იყო მისი პატრიარქად კურთხევა, მაგრამ მეფის მემკვიდრე გიორგი XII-ის შუამდგომლობით, პატრიარქად ერეკლე II-ის ვაჟი თეიმურაზი - ანტონ II აკურთხეს. ვარლამ ერისთავი რუსეთში გადასვლამდე იყო ახტალის მთავარეპისკოპოსი. 1794 წლიდან ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის მონასტერში. 1801 წლიდან იყო სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ ამბროსის (პოდობაევი) მრჩეველი. ააღორძინა არჩილ მეფის მიერ 1705 წელს მოსკოვში დაარსებული სტამბა. გამოსცა ოცამდე წიგნი. 1801 წლის მარტში დაინიშნა წმინდა სინოდის წევრად. ვარლამ ერისთავის რუსეთში მოღვაწეობა ნაყოფიერი აღმოჩნდა: კარგად შეუსწავლია რუსული ენა და ივრითი, საფუძვლიანად გასცნობია რუსულ სასულიერო ლიტერატურას.

1808 წელს ვარლამს რუსეთიდან საქართველოში აბრუნებენ. მას მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვთან ერთად დაევალა შეემუშავებინა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი. 1809 წელს სინოდის ობერპროკურორ ალექსანდრე გოლიცინისათვის გაგზავნილ წერილში ტორმასოვი სთავაზობდა ხელისუფლებას რუსეთის ეკლესიის მსგავსად შეექმნათ სასულიერო დიკასტერია, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II უხელმძღვანელებდა, ხოლო ვარლამი მისი მოადგილე იქნებოდა. ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შემდეგ დიკასტერიის პროექტის შემუშავება ვარლამ ერისთავს დაევალა.

1811 წლის დასაწყისისთვის მომზადდა პროექტი, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოში ცამეტი ეპარქიის ნაცვლად ორი - მცხეთა-ქართლისა და კახეთ-ალავერდის ეპარქიები უნდა დარჩენილიყო. დიკასტერიის ხელმძღვანელად

მცხეთა-ქართლის მიტროპოლიტი უნდა დანიშნულიყო, რომელიც ამავე დროს ხდებოდა წმიდა სინოდის წევრი და საქართველოს ეგზარქოსი.

1811 წლის 21 ივნისს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვთან შეთანხმებული ვარლამ ერისთავის პროექტი იმპერატორ ალექსანდრე I-ს წარუდგინეს, რეომელმაც დოკუმენტს იმავე წლის 30 ივნისს მოაწერა ხელი, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას ნიშნავდა. დაწესდა დიკასტერია, რომელსაც საქართველოს ეგზარქოსი ხელმძღვანელობდა. პირველი ეგზარქოსად თავად ვარლამ ერისთავი დაინიშნა. ამავე დროს იგი აიყვანეს მიტროპოლიტის ხარისხში.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით, გადაწყდა შექმნილიყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და გაუქმდა დიკასტერია. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ვარლამი ჩაუყენეს სათავეში „საქართველო-იმერეთის ეგზარქოსის“ ტიტულით. მასვე დაევალა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით ვარლამი დასავლეთ საქართველოში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ადგილობრივი სასულიერო პირების მხრიდან. ფაქტობრივად, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია მან ვერ მოახერხა, რაც მისი თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი გახდა.[113]

იოანე ბატონიშვილის დახასიათებით „იგი იყო ღრმადა განსწავლული, საფილოსოფიო სწავლისა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე... ამან ისწავლა რუსული ენა კეთილად და ქმნა საუფლოთა და სხვათა დღესასწაულთა ქადაგებასა წიგნი საამო სასმენი და კარგა დათხზული. ვარლამმა თავისი ცოდნა ახალგაზრდა თაობის აღზრდას მოახმარა... იმავე ივანე ბატონიშვილის ცნობით, „ამან ასწავლა სხვათა და სხვათა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი“. მისი მეშვეობით ფილოსოფიურ საღვთისმეტყველო ცოდნას დაუფლებია ცნობილი გრამატიკოსი იოანე ქართველიშვილი, რომლის ნაშრომი „ქართული გრამატიკა“, ვარლამმა 1815 წელს თბილისში დაბეჭდა.[114] ბაგრატ ბატონიშვილი კი ვარლამ ერისთავის მიერ გატარებულ „რეფორმების“ შემდეგ მასზე წერდა: „ამან არა მზრუნველმან ეკლესიათამან, არამედ მოხვეჭისა და შეძინების გამო მოუხვნა ყოველთავე მღვდელმთავართა ეპარქია, რომელიცა აქვნდათ და განუწესა მცირე რამე როჭიკი“.[115]

ეგზარქოსობიდან გადაყენებული ვარლამი კვლავ აგრძელებდა საგამომცემლო მოღვაწეობას. მის მიერ გამოცემულ წიგნთა შორის აღსანიშნავია კათოლიკოს-პატრიაქ ანტონ I-ის შრომები და ქართული ენის გრამატიკა.[116] 1806 წელს გამოსცა თავის მიერ შედგენილი „სადღესასწაულო“, ხოლო 1821 და 1825 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდა ანტონ კათოლიკოსის „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“. ვარლამი დიდად აფასებდა ანტონ I-ის ღვაწლს ქართული საეკლესიო მწერლობის განვითარებაში. მან თავისი კეთილგანწყობილება მასწავლებლის მიმართ იმითაც გამოხატა, რომ დიდად იზრუნა მისი საფლავის კეთილმოწყობისათვის, ვარლამს ეკუთვნის ანტონ კათოლიკოსისადმი მიძღვნილი ეპიტაფიაც.[117]

პლატონ იოსელიანის დახასიათებით „ვარლამ, შემდეგ ექსარხოსად ყოფილი, ქსნის ერისთავისშვილი, მცოდნე ებრაულის ენისა, დეკანოზი და მასწავლებელიცა ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე მეორისა. გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ებრაულისა ენისა მეტყოდა ვარლამისათვის (1834 წელსა) რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლამისა, რომელიცა დაიბეჭდა. მისგანვე ვარლამს ესწავა მრავალთა ქართულთა ლექსთა, ებრაულისა ენისა სახმართა“.[118]

როგორც ჩანს, იოსელიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ვარლამის ნაშრომი „განმარტებანი სახარებისა“, რომელიც ზემოთ დასახელებულ დეკანოზს რუსულად უთარგმნია და 1821 და 1824 წლებში ორჯერ გამოუცია. ვარლამ ერისთავის „განმარტება სახარებისა“ 1825 წელს მოსკოვში ქართულადაც გამოქვეყნდა. ქადაგებებისა და „ქართული გრამატიკის“ გარდა, მას შეუქმნია სხვა ნაშრომებიც: „გეოგრაფიული ატლასი“, სახელმძღვანელო არითმეტიკისა, „ლექსი მირიან ბატონიშვილთან მიწერილი“ და სხვ.[119]

1812 წლის კახეთის აჯანყება კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ეს აჯანყება სწორედ ეგზარქოს ვარლამის მმართველობის პერიოდს ემთხვევა. იგი აქტიურად იყო ჩართული ამ აჯანყებაში, ცხადია, რუსეთის იმპერიის ინტერესების სასარგებლოდ.

ეროვნული, ანტირეჟიმული აჯანყების მიზეზები რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ რამდენიმე წელში მომწიფდა. რუსული თვითმპყრობელური მმართველობის სისტემა მეტ-ნაკლებად მოსახლეობის ყველა

კლასის უკმაყოფილებას იწვევდა. თავადაზნაურობა, სამღვდელოება და უბრალო ხალხი, ბუნებრივია, მოწონებით ვერ შეხვდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას. თავად-აზნაურობის უკმაყოფილებას ამასთან ერთად იწვევდა სამოურავოთა სისტემის გაუქმება, რითაც დაკარგა პოლიტიკური წონა და ეკონომიკურადაც დაზარალდა. ქართული სამღვდელოება აპროტესტებდა ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობასა და საეკლესიო მამულების ხაზინის უწყებაში გადაცემას, რაშიც იგი თითქმის მთელი მოსახლეობის მხარდაჭერას პოულობდა. მმართველობის თვითმპყრობელური სისტემა განსაკუთრებით მძიმედ დააწვა მხრებზე გლეხობას.

სატრანსპორტო-საგზაო ბეგარა, სასურსათო გადასახადი, ახალი უსამართლო „მართლმსაჯულება“, მოხელეთა მექრთამეობა, მათი ბოროტმოქმედება, ხალხის აბუჩად აგდება, მისი ზნეობრივი და მორალური დამცირება, ბუნებრივია, გლეხობის პროტესტს იწვევდა და ძალიან ხშირად გამოსავალს საყოველთაო აჯანყებაში პოულობდა.

1812 წლის 22 თებერვალს საქართველოს მთავარმმართველი ფილიპე პაულუჩი იმპერატორს მოახსენებდა, რომ მთელი კახეთი და ანანურის მაზრის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყებულებმა სცადეს ანანურის აღება, რათა სამხედრო გზით კავშირი დაემყარებინათ კავკასიის მთიელებთან. აჯანყებულებმა ამოხოცეს ბევრი ჩვენი ჯარისკაცი, ჩაიდინეს საშინელი სიმკაცრე, რომლის მაგალითები უფრო ადრე ჩვენ მოგვცა საფრანგეთის რევოლუციამ. აჯანყება დაიწყო აგრეთვე დაღესტანში, შირვანში, შაქში. კახეთის აჯანყებულთა მეთაური გიორგი ბატონიშვილი ცდილობს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ აამხედროს ქართლის მოსახლეობაცო. ყოველივე ეს, - დაასკვნიდა პაულუჩი, ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს შეთქმულებასთან, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ ცარიზმის ჯარების გაწყვეტას და კავკასიის რუსეთისაგან ჩამოცილებას. მაგრამ ჩვენი ჯარების გამარჯვებამ დაღესტანსა და შირვან-ყარაბაღში ჩაშალა ეს საერთო შეთქმულება. ახლა ეს დამრჩაო ერთადერთი ამოცანა - ჩავაქრო აჯანყება კახეთში.[120]

1812 წლის 26 მარტის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ფილიპე პაულუჩი ეხებოდა აჯანყების ხასიათის საკითხს და იმპერატორს მოახსენებდა, რომ ეს „რევოლუცია“ დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებმა, რომელნიც არ წყვეტენ

ფარულ მოქმედებას და ერთგული თავადების მეშვეობით ყოველთვის ცდილობენ ხალხის აჯანყებასო.[121]

საამისო მიზეზები კი საკმაოზე მეტი არსებობდა: რუსეთის ადგილობრივი მოხელეების უზნეობა და ბოროტმოქმედება, ძალიან მძიმე სატრანსპორტო და საგზაო ბეგარა; სურსათის ამკრეფ მოხელეთა ბოროტმოქმედება, რუსული სამართლის გაჭიანურებული ხასიათი და სხვ. ძალიან ვწუხვარ, რომ დიდი ხნის წინათ მომზადებულმა აჯანყების ამ წინაპირობებმა ჩემს მოკლე ხნის მმართველობისას იჩინა თავი. მე იმპერატორის წინაშე ერთგული სამსახური მამოძრავებს და არავითარი ბრალი ამ ამბებში არ მიმიძღვისო, - დაასკვნიდა საქართველოს მთავარმმართველი.[122]

აჯანყების პირველი ეტაპი მარცხით დასრულდა. მეამბოხეთა გარკვეული ნაწილი სასტიკად დაისაჯა, მაგრამ, რუსეთის მთავრობის აზრით, მარტო რეპრესიები არ კმაროდა მშვიდობა-წესრიგის შესანარჩუნებლად. ფილიპე პაულუჩი გარკვეულ დათმობაზე წავიდა. სახელგატეხილი ბიუროკრატიული სასამართლოს ნაცვლად კახეთში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული დროებითი სასამართლოები, რომლებშიც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ვახტანგის კანონების, სისხლის სამართლისა და რუსული კანონების საფუძველზე წარმოებდა. სასამართლოს ენად ქართული ცხადდებოდა, თუმცა განაჩენი რუსულად უნდა გადათარგმნილიყო. კახეთის მაზრებში ამაღლდა თავად-აზნაურთა წინამძღოლების როლი. დროებით აღდგა მოურავის ინსტიტუტიც, მაგრამ მიუღწეველი დარჩა მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი - საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენა.

1812 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავარმმართველად ფილიპე პაულუჩის ნაცვლად ნიკოლოზ რტიშჩევი დაინიშნა. მან კარგად შეამჩნია, რომ კახეთის აჯანყება მინელებული იყო. კახელებს თავიანთი მიზანი შესრულებულად არ მიაჩნდათ. ისინი ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. აპრილის ბოლოს აჯანყების ცეცხლი თითქმის მთელ კახეთს მოედო. რაზმები გააქტიურდნენ არაგვის ხეობაშიც. შეშფოთებულმა რტიშჩევმა კახეთს გაგზავნა გენერალი კარლ სტალი დიდძალი ჯარით. მალე კი მის დასახმარებლად გაუშვა გენერალი დიმიტრი ორბელიანი რამდენიმე ბატალიონით.

საქართველოს მთავარმმართველმა, დამსჯელი ექსპედიციების უფროსებმა ძალითა და დაუსჯელობის დაპირებით, როგორც იქნა გატეხეს აჯანყებულთა

ერთიანობა და სიმტკიცე. საქართველოს სხვა კუთხეებიდან დახმარების მიუღებლობის პირობებში კახელი აჯანყებულები დაიშალნენ.

1812 წლის ზაფხულში შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ აჯანყებას ახალი ბიძგი მისცა, მაგრამ საბოლოოდ აჯანყება მარცხით დამთავრდა, რაშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი იყო ეგზარქოს ვარლამის „დამსახურება“.

რეფორმების გატარების დროს ვარლამი ცდილობდა სინოდის კეთილგანწყობის დამსახურებას. მან ბევრი იშრომა საეგზარქოსოს შესაქმნელად, ამიტომ მომდევნო პერიოდის ქართული სამღვდელოება მას სიძულვილით იხსენიებდა. ასეთი განწყობილება ვარლამ ეგზარქოსის მიმართ იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი სხვა სასულიერო პირებთან ერთად ხელისუფლებას აქტიურად დაეხმარა 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობაში. მთავარმართებელი ნიკოლოზ რტიშჩევი 1813 წლის 8 აპრილს ობერპროკურორ ალექსანდრე გოლიცინისადმი გაგზავნილ მიმართვაში საგანგებოდ აღნიშნავდა არქიმანდრიტ ელეფთერ ზუკაკიშვილისა და ეგზარქოს ვარლამის დამსახურებას ზემოთ აღნიშნული აჯანყების დროს. როგორც ცნობილია, ეგზარქოსი თავის ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად ხშირად სტუმრობდა აჯანყებულ კახელებს და მათ მოუწოდებდა, შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა რუსეთის სახელმწიფოს წინაშე. იმავე წყაროს ცნობით, ვარლამ ეგზარქოსი მთავარმართებელსა და კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობას საიდუმლო მასალებს აწვდიდა კახეთის აჯანყებული მოსახლეობისა და უკმაყოფილო კავკასიელი მთიელების შესახებ. ასეთი დიდი დამსახურების გამო მთავარმართებელი ნიკოლოზ რტიშჩევი ობერპროკურორ ალექსანდრე გოლიცინს სთხოვდა, ეშუადმდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა ეგზარქოსი ვარლამი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით დაეჯილდოებინათ.[123]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის ხელისუფლება ქართველ სასულიერო პირებს წოდებისათვის შეუფერებელ საქციელად უთვლიდა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას. ერთი წყაროს თანახმად, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1812 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე თავადაზნაურობის ნაწილი შეიწყალა. შეწყალების ბრძანებაში საუბარია ოთხ სასულიერო პირზეც, რომელთა გვარებიც არ არის მოხსენებული, იმპერატორი არ იწყალებს მათ წოდებისთვის შეუფერებელი საქციელის გამო.[124]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ვარლამი იყო ორგანიზატორი იმ საეკლესიო რეფორმებისა, რომლებიც საიმპერატორო ხელისუფლებამ განახორციელა საქართველოში.

1811 წლის 21 ივნისის სინოდის მოხსენებაში იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი კარგად ჩანს მიტროპოლიტ ვარლამის როლი განხორციელებულ რეფორმებში. მოხსენებაში ნათქვამია: 1783 წელს, როდესაც ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ცნო თავის სამეფოზე რუსეთის იმპერიის უზენაესობა და მფარველობა, ტრაქტატის მე-8 არტიკულით განისაზღვრა, რომ ქართული ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის სინოდთან დარეგულირდებოდა სხვა დოკუმენტით.

1801 წელს გამოიცა ორი მანიფესტი: პირველი 18 იანვარს, ხოლო მეორე - 12 სექტემბერს, რომლითაც საქართველოს სამეფო შეუერთდა რუსეთის იმპერიას. ამასთან, მეორე მანიფესტით განისაზღვრა საქართველოს მმართველობითი ორგანოები, მათი ჩინები და შტატები. ასევე მთავარმართებელ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს დაევალა წესრიგის დამყარება ეკლესიაშიც, შესაბამისი მონაცემების შეგროვების შემდეგ. მასვე დაევალა საქართველოდან მისიონერების გაგზავნა მთიელ წარმართებთან ქრისტიანობაზე მოსაქცევად, ნაცვლად რუსეთიდან გაგზავნილი მისიონერებისა.

ობერ-პროკურორმა თავადმა ალექსანდრე გოლიცინმა სინოდს გამოუცხადა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანება, რათა სინოდმა განიხილოს სინოდის წევრის, არქიეპისკოპოს ვარლამისა და მთავარსარდალ, კავალერიის გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის ცნობები საქართველოში სასულიერო წოდების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებით ირკვევა, რომ იმ დროს საქართველოში იყო: 13 ეპარქია, 7 ეპისკოპოსი, 799 ეკლესია; ეკლესიებში: 748 მღვდელი, 146 დიაკონი, 661 სასულიერო მსახური. საარქიმანდრიტოა 9, არქიმანდრიტი 6, მონაზონი 75. 13 ეპარქიაში 2 213 კომლი, 9 საარქიმანდრიტოში 637 კომლი, ხოლო საეკლესიო აზნაურთა შორის - 470 კომლი.

აღნიშნულ გლეხთაგან, გარდა საეკლესიო აზნაურთა გლეხობისა, საეკლესიო გადასახადი ნატურით იკრიბება და ისინი დღევანდელ დღემდე ეპარქიის მღვდელმთავართა განკარგულებაშია და ისინი არავითარ აღრიცხვას ამ შემოსავლებისა არ აწარმოებენ და არც ანგარიშვალდებულნი არიან ვინმეს წინაშე.

არქიეპისკოპოს ვარლამის მიერ მოპოვებული ინფორმაციით ეს გადასახადები ფულის სახით დაახლოებით შეადგენდა 26 360 რუბლს ეპარქიებიდან და 13 224 რუბლს საარქიმანდრიტოებიდან. არქიეპისკოპოსი ვარლამი მიიჩნევს, რომ:

1) 13 ეპარქიიდან უნდა დარჩეს 2. ერთი მცხეთისა და ქართლის, ხოლო მეორე ალავერდისა და კახეთის სახელწოდებით.

2) მცხეთისა და ქართლის მღვდელმთავარს, როგორც უპირატესს, ეწოდოს მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი და სინოდის ეგზარქოსი საქართველოში ისე, როგორც მოლდავეთსა და ვლახეთშია.

3) საარქიმანდრიტოდან დარჩეს 5, აქედან ერთი ბოდბის ეპარქიაში, ქართლში - ერთი ქვათახევისა და შიომღვიმის საარქიმანდრიტოების გაერთიანებით. თელავის მაზრაში დგინდება კახეთის საარქიმანდრიტო, მეოთხე იქნება დავით გარეჯისა, ხოლო მეხუთე იოანე ნათლისმცემლისა და შუამთის მონასტრების გაერთიანებით. სამი საარქიმანდრიტო: იკორთისა, ლარგვისისა და თირისა გადაეცეს სამრევლოებს.

4) შეიქმნას დიკასტერია, რომელშიც შევლენ არა მღვდელმთავრები, არამედ არქიმანდრიტები და დეკანოზები. დიკასტერიის უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს: გამოარკვიოს არის თუ არა საჭირო არსებული ეკლესიების მოქმედად შენარჩუნება, თუ არა, მოხდეს არასაჭიროთა დახურვა, სასულიერო პირები კი გადანაწილდნენ სხვა ეკლესიებში. მასვე დაევალოს კონტროლი ეკლესიის შემოსავალ-გასავალზე. ნატურალური გადასახადი ნაწილობრივ შეიცვალოს ფულადით, ე.ი. ის, რომელიც უნდა გადაეცეს დიკასტერიას, უნდა იყოს ფულით, ხოლო რაც რჩება ეპარქიებს, შეიძლება დარჩეს ნატურით. შეიქმნას სასულიერო სასწავლებლები.

ყოველივე ზემოთქმულს კავალერიის გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი ამატებს: საეკლესიო მამულები, მათით მოსარგებლე თავადაზნაურობა და გლეხები გადაეცეს სახელმწიფო უწყებას. დაენიშნოთ პენსია გარდაცვლილი სასულიერო პირების იმ ოჯახებს, რომელთაც არ აქვთ მამულები და საკმარისი შემოსავალი. სასულიერო სასამართლოს არარსებობა, ისეთის, როგორიც არის კონსისტორია რუსეთში, იწვევს უწესრიგობას.

დანარჩენში ალექსანდრე ტორმასოვი მთლიანად იზიარებს არქიეპისკოპოს ვარლამის მოსაზრებებს.[125]

ვარლამ ეგზარქოსს თავისი მმართველობის დროს თბილისში რამდენიმე ტაძარი აუშენებია და შეუკეთებია: ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესია, ჯვრის გამოჩინების ეკლესია, ხოლო თბილისის სიონის ტაძართან - სამრეკლო.[126]

როგორც პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი აღნიშნავს, მართალია, ვარლამ ერისთავმა ბევრი იშრომა საეგზარქოსოს ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ იმპერიული ძალები არ ასვენებდნენ. ისინი ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ ეგზარქოსი ქართველი იყო. ამიტომ შეეცადნენ ვარლამის თავიდან მოშორებას. საამისოდ მიმართეს ნაცად ხერხს - ერთმანეთს წაჰკიდეს ქართველი სასულიერო პირები, რუსმა მოხელეებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ რუსეთიდან ახლად დაბრუნებული მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური) ვარლამ ეგზარქოსისთვის დაეპირისპირებინათ. თუკი ეკლესიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი ვარლამ ერისთავის პროექტით განახორციელეს, მეორე ეტაპის გატარება დაევალა მთავარეპისკოპოს დოსითეოსს. სწორედ მისი მეშვეობით 1815 წელს დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და ოსეთის სასულიერო კომისია. აღნიშნული ფაქტით კომისიამ შეძლო დოსითეოსსა და ეგზარქოს ვარლამს შორის დაპირისპირების პროვოცირება.[127]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვარლამ ერისთავი 1811 წლის 8 ივლისიდან მცხეთის მიტროპოლიტი და საქართველოს პირველი ეგზარქოსია. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შემდეგ, 1811 წლის ნოემბრიდან იგი დაინიშნა ეკლესიის დროებით მმართველად. 1814 წლის 14 აგვისტოდან გახდა იმერეთის ეგზარქოსიც. 1817 წლის 14 მაისს გაიწვიეს საქართველოდან. მიტროპოლიტი ვარლამი 1825 წლის 5 თებერვალს გაათავისუფლეს წმინდა სინოდის წევრობიდან და 20 მარტს დანიშნეს დანილოვის მონასტრის წინამძღვრად. გარდაიცვალა 1830 წლის 18 დეკემბერს. დაკრძალულია მოსკოვში, დანილოვის მონასტერში.

მიუხედავად თავისი ქართული წარმოშობისა, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი ტიპური რუსი მოხელე იყო. მას დავალებული ჰქონდა ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია რუსულ ყაიდაზე, რაც მან წარმატებით განახორციელა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვარლამ ერისთავი 1812 წლის აჯანყების დროს, ფაქტობრივად, რუსული ხელისუფლების სამსახურში იყო და არ იზიარებდა მოსახლეობის განწყობას, რაც ხალხის ეკლესიისადმი გაუცხოების მიზეზი გახდა. მიუხედავად ამისა, საიმპერატორო კარი მაინც უკმაყოფილო დარჩა მისი საქმიანობით, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ

ხელისუფლებამ დიდად არ დააფასა მისი თავდადება. საბოლოოდ, ვარლამ ერისთავმა რუსების გული ვერ მოიგო და ქართველების ზიზღი კი დაიმსახურა.

§ 2. ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი

(1817-1821 წ.წ.)

1817-1821 წლებში საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე, ერისკაცობაში თეოდორე გაბრიელის ძე რუსანოვი დაიბადა 1765 წელს არხანგელსკის გუბერნიაში, მედავითნის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ოლონეცკის სასულიერო სემინარიაში. 1788 წელს ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიაში, რომელიც 1792 წელს დაამთავრა და იქვე დატოვეს პოეზიისა და რიტორიკის მასწავლებლად. ამავე წელს ბერად აღკვეცეს. 1793 წელს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1794 წელს - მღვდელ-მონაზვნად. 1795 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და ზელენეცკის წმინდა სამების მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. 1796 წლის 29 მაისიდან პეტერბურგთან ახლოს მდებარე სერგი-სამების უდაბნოს მონასტრის წინამძღვარია, ამავე დროს ასწავლის კადეტთა კორპუსში. 1798 წლის 8 ნოემბრიდან ნოვგოროდის ანტონ რომაელის მონასტრის წინამძღვარია. იმავე წელს ირჩევენ სინოდის წევრად ასესორის ჩინით. 1799 წლიდან ნოვგოროდის ივერიის ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარია.

1799 წლის 30 ოქტომბერს თეოფილაქტე რუსანოვი ეპისკოპოსად აკურთხეს და ახლადშექმნილი კალუგის ეპარქია ჩააბარეს, სადაც მან დიდი შრომა გასწია ეპარქიალური სამსახურების შექმნისათვის. ამ ახალ თანამდებობაზე მან თავი გამოიჩინა როგორც მტკიცე, დამოუკიდებელმა და სამართლიანმა მმართველმა. კალუგის სასულიერო სასწავლებელი მან სემინარიად გადააკეთა და სხვადასხვა ქალაქებიდან საუკეთესო პედაგოგები მოიწვია. აქტიურად მონაწილეობდა საერთო საეკლესიო საქმიანობაში, იყო სასულიერო სასწავლებლების კომიტეტის წევრი. 1808 წლის 11 თებერვალს წმიდა სინოდის მუდმივ წევრად აირჩიეს. იმავე წლის 25 დეკემბერს მთავარეპისკოპოსობა ებოძა.

1809 წლის 5 მარტიდან თეოფილაქტე რუსანოვი რიაზანის მთავარეპისკოპოსად გადაჰყავთ. ამ დროიდან იგი უკავშირდება სანკტ-პეტერბურგელ მაღალჩინოსნებს. დაახლოებული იყო და მეგობრობდა ობერ-პროკურორ თავად ალექსანდრე გოლიცინთან, მას ასევე დიდად მფარველობდა იმპერიის სახელმწიფო მდივანი მიხეილ სპერანსკი. ასეთ გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობამ მას პეტერბურგში გადასვლისა და წმიდა სინოდში პირველობის სურვილი გაუჩინა. ამან კი, პეტერბურგის

მოქმედ მიტროპოლიტ ამბროსი პოდობაევთან მისი ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. 1812 წელს თანამდებობიდან გადადგა მიხეილ სპერანსკი. ამის შემდეგ თეოფილაქტეს გავლენები შესუსტდა, რის გამოც ცდილობდნენ მის მოშორებას სანკტ-პეტერბურგიდან. იმპერატორის ბრძანებით, მას დაევალა ნაპოლეონის ლაშქრობის დროს დაზარალებული ეპარქიების მდგომარეობის შესწავლა. 1813 წელს დაბრუნდა რიაზანის ეპარქიაში.

1817 წლის 14 მაისს თეოფილაქტე საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა, 1819 წლის 1 თებერვალს მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. მას არ უნდოდა საქართველოში მსახურება და ხშირად ითხოვდა გადაყვანას რუსეთში, მაგრამ ამაოდ.

თეოფილაქტე იყო განათლებული ადამიანი, კარგად იცნობდა დასავლეთევროპულ ლიტერატურას, განსაკუთრებით ფრანგულს, როგორც საეროს, ისე სასულიეროს. მისი ქადაგებები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პეტერბურგის საზოგადოებაზე. ამავე დროს იყო პატივმოყვარე. იგი დიდი კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა მონაზვნობის მიმართ, თვითონ კი მხოლოდ კარიერული მიზნით აღიკვეცა. თეოფილაქტე საუცხოოდ იმოსებოდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალთა საზოგადოებაში. იყო ფუფუნების მოყვარული.[128]

როგორც პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი აღნიშნავს, თეოფილაქტემ საქართველოში ჩამოსვლისთანავე, 1817 წლის 9 ნოემბერს, თბილისის სიონის დეკანოზს, იოსებ ფალავანდიშვილს წერილობით აცნობა, რომ ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს სიონის ტაძარში წირვა-ლოცვას რუსულ ენაზე ეგზარქოსთან ერთად რუსი სამღვდელოება აღასრულებდა, ხოლო კვირის დარჩენილ დღეებსა და დღესასწაულებზე ქართველ სამღვდელოებას უფლება ეძლეოდა, წირვა ქართულად ჩაეტარებინა. თეოფილაქტემ შეადგინა კომისია ეკლესია-მონასტრების უძრავ-მოძრავი ქონების საბოლოოდ აღსაწერად და სიგელ-გუჯრების რუსულ ენაზე სათარგმნელად. საქართველოში რუსული პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი სამღვდელოების ჩამოყალიბების მიზნით, თეოფილაქტემ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო სასულიერო განათლებას. ამ მიზნით, მისი ინიციატივით, თბილისში, თელავში, გორსა და სიღნაღში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები. მის დროსვე თბილისში 1817 წელს დაარსდა სასულიერო სემინარია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაარსებული სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიის მიზნები განსხვავდებოდა

რუსეთში არსებული მსგავსი სასწავლებლების მიზნებისაგან. აქაური სასწავლებლების უმთავრესი დანიშნულება იმპერიის ერთგული მოხელეების აღზრდა იყო და არა მათი განათლება. ამისთვის ხელისუფლება თანხებს არ იშურებდა. სასწავლებლებს რუსეთიდან ჩამოყვანილი სასულერო თუ საერო პირები ხელმძღვანელობდნენ. ეროვნებით რუსი იყო პედაგოგთა უმრავლესობაც. ქართველ პედაგოგებზე კი უმკაცრესი კონტროლი იყო დაწესებული. თეოფილაქტე დიდად დაეხმარა „ოსეთის სასულიერო კომისიას“. მისი ეგზარქოსობის დროს დაახლოებით 47 ათასი მთიელი მოექცა ახალ სარწმუნოებაზე.

თეოფილაქტე რუსანოვმა თავისი სისასტიკე საქართველოში მოღვაწეობის დროსაც გამოავლინა. მან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩაყარა სასულიერო პირები. „თეოფილაქტე დორბლებს ყრიდა ხოლმე პირიდან, როცა გაჯავრდებოდა და სამღვდელო პირთ როზგავდა კიდეც“. მისი განკარგულებით ქართველ სასულიერო პირთა გვარებს „შვილი“ და „ძე“ მოაკვეცეს და იგი „ов“-ით შეცვალეს.[129]

1819 წლის მაისში თეოფილაქტე რუსანოვი პროკურორ ჭილაშვილის თანხლებით იმერეთში ჩავიდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა რეფორმის გატარებას. იმერეთის მმართველის დახმარებით ეგზარქოსმა დაიწყო ცნობების შეგროვება იმერეთ-გურია-სამეგრელოს ეკლესიებზე, სამრევლოთა რაოდენობაზე, საეკლესიო მამულების შემოსავლის შესახებ. მაგრამ მყისვე წააწყდა მღვდელმთავრების, თავადაზნაურობისა და ხალხის წინააღმდეგობას. ეგზარქოსის მოხელეებს სოფლებშიც კი არ უშვებდნენ.

მოძრაობას გამოუჩნდა ხელმძღვანელი და ერთი მიზნისკენ წარმმართველი ძალა. 1819 წლის 2 ივლისს იმერეთის თავადაზნაურობა და ხალხი რაჭის თავადაზნაურობას სწერდა: ეგზარქოს თოფილაქტეს მოსვლის შემდეგ იმერეთის მოსახლეობა საშინელ მწუხარებას მიეცა. განზრახვა აქვთ ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დაანგრიონ. წმინდანთა ნაწილები და სახელგანთქმული ჯვრები ჩამოგვართვან. ჩვენთვის მლოცველ არქიერებსა და მღვდლებს გვართმევენ, საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელშეუხებლად რჩება ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა რწმენა და ეკლესია, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი მათ შორის? აგარიანთა ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფა, - ახლა განა რა დავაშვეთ, რომ ეკლესიებს გვიხურავენ, არქიერებსა და მღვდლებს გვართმევენ.

1819 წელია, რაც ჩვენ გვაქვს ქრისტიანული წესები, დაე, ნუ დაირღვევა იგი და ჩვენ ვიქნებით ხელმწიფე იმპერატორის ერთგული მონები, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ მისთვის. მაგრამ ხელმწიფისათვის სულის შეწირვა არ შეგვიძლია, ის მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ამიტომ ჩვენ ერთად შეკრებილი თავადები, აზნაურები და გლეხები ცრემლით შევთხოვთ უფროსებს და გენერლებს, რომ თეოფილაქტეს მიერ ჩვენდა სამწუხაროდ მოფიქრებული ღონისძიება გაუქმდეს. თუ ამ თხოვნას არ შეგვისრულებენ სჯობს ამოგვწყვიტონ.

ახლა გთხოვთ, აძლევენ იმერლები დავალებას რაჭის თავად-აზნაურებს, მოიქეცით თქვენი ქებული პატიოსნების შესაფერისად. ნუ მისცემთ პასუხებს გამოგზავნილ აღმწერებს, გაისტუმრეთ უკან ისევე გაწბილებულები, როგორც ჩვენ გავისტუმრეთ. თუ ისინი მოახერხებენ ზოგიერთთა მოტყუებას, ძალით ჩამოართვით შევსებული ფურცლები. ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე. საჭიროა ამ საქმეში ერთად ვიმოქმედოთო.[130]

ამ მოწოდებას მყისვე გამოეხმაურნენ რაჭველები. დაიწყეს შეკრებები ეკლესიებში, ერთსულოვან მოქმედებაზე ფიცის დადება. მალე მღელვარება გურია-სამეგრელოსაც მოედო. იმერეთის მმართველი შეშფოთდა და შექმნილი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაუგზავნა კავკასიის არმიის შტაბის უფროსს გენერალ ალექსი ველიამინოვს. „აჯანყება, - წერდა იმერეთის მმართველი კურნატოვსკი - საყოველთაოა. ჩვენ მხარეს არავინ არაა. გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ. აფხაზებიც ამ გზას დაადგებიან. მთავრების ერთგულება საეჭვოა, მათი ძალა საერთო-სახალხო აზრის წინააღმდეგ უმნიშვნელოა“.[131]

შეშფოთებულმა ალექსი ველიამინოვმა საყვედურებით აავსო იმერეთის მმართველი - საქმე რატომ მიიყვანეთ აჯანყებამდეო, თან პროკლამაციები გამოუგზავნა მას ხალხში გასავრცელებლად. რუსეთის მთავრობას, ნათქვამია პროკლამაციაში, ჰქონდა კეთილი განზრახვა, სურდა წესრიგში მოეყვანა იმერეთის ეკლესიის საქმეები, თქვენ ეს ვერ გაიგეთ, დაუჯერეთ მთავრობისადმი არაკეთილგანწყობილ პირებს და აჯანყებას აპირებთო. გაიხსენეთ, რა შედეგი მოჰყვა თქვენს ორგზის აჯანყებას. თუ არ ეთანხმებით ეკლესიის რეფორმის საჭიროებას, აჯანყება კი არ უნდა დაიწყოთ, არამედ ხელმწიფეს თხოვნით უნდა მიმართოთ, შეიძლება დაკმაყოფილება მიიღოთო.[132]

ალექსი ველიამინოვმა ბრძანება გასცა აღწერის შეწყვეტის თაობაზე, თანაც ეგზარქოსი თოფილაქტე იმერეთიდან გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას ეჭვი ეპარებოდა მთავრობის კეთილგანზრახვაში. მართალია, მეთაურებმა გლეხთა დიდი ნაწილი აჯანყებულთა რაზმებიდან გაუშვეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად, მაგრამ კვლავ გრძელდებოდა ხალხის დაფიცება, თავადი, აზნაური, მღვდელი და გლეხი პირობას დებდა, რომ საჭიროების დროს ერთსულოვნად აღსდგებოდა, წმინდა საქმისთვის თავს დადებდა.

ველიამინოვსა და ერმოლოვს ალბათ თავის გასამართლებლად სჭირდებოდათ ამ კრიტიკული სიტუაციის შექმნისათვის მთელი ბრალი ეგზარქოსისათვის დაეკისრებინათ. სინამდვილეში კი აჯანყების მიზეზი მარტო საეკლესიო რეფორმა როდი იყო. იგი გამოიწვია რუსეთის ხელისუფლების მთელმა პოლიტიკამ, მეფის მოხელეთა აღვირახსნილობამ, განუკითხაობამ. ამიტომ იყო, რომ ეგზარქოსის იმერეთიდან წასვლა, ველიამინოვის პროკლამაცია და დაპირებები არასაკმარისი აღმოჩნდა აჯანყების შესაჩერებლად. მეთაურებმა მოციქულები აღმოსავლეთ საქართველოშიც გააგზავნეს. ამასთან ერთად გადაწყვიტეს შეერჩიათ იმერეთისთვის მეფე. მიტროპოლიტები აჯანყებულებს ლოცავდნენ, მოუწოდებდნენ მათ სამშობლოს გასათავისუფლებლად გმირული ბრძოლისკენ. იმერეთის მმართველმა კურნატოვსკიმ კარგად გამოიცნო აჯანყებულთა მოჩვენებითი პასიურობის მიზეზი. იგი ველიამინოვს აცნობებდა, რომ იმერლები რეპრესიებს ელოდებიან და შემდეგ აპირებენ ერთდროულად დაეცნენ თავს გამაგრებულ პუნქტებს. ამიტომ იმერეთში დამატებითი ძალების გამოგზავნა აუცილებელიაო.[133]

მეფის მოხელეთა ზემოთ მოტანილი მიმოწერიდან კარგად ჩანს, რომ იმერეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის დაწყებული აჯანყების მიზანი გაფართოვდა. იმერეთის მოსახლეობამ მიზნად დაისახა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, იმერეთის სამეფოს აღდგენა. მეთაურებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ დიდი მიზნის განხორციელება მარტო იმერეთის ძალით შეუძლებელი იყო. მათ მოციქულები გაგზავნეს სამეგრელოში, გურიაში, ქართლ-კახეთში და მთელ საქართველოს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. აჯანყებულებმა სცადეს კავშირი დაემყარებინათ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ დაღესტანთან და, თუ შესაძლებელი

იქნებოდა, გამოეყენებინათ აგრეთვე სპარსეთ-ოსმალეთის ანტირუსული განწყობილებანიც.

მართალია, აჯანყების პირველ დღეებში იმერეთის აღდგენილი სახელმწიფოს მეფობის კანდიდატად დაასახელეს ზურაბ წერეთელი და ივანე აბაშიძე, მაგრამ უმრავლესობა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლის გამეფებას უჭერდა მხარს. მათ შორის კი ყველაზე დიდი სახელით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლო ალექსანდრე ბატონიშვილი სარგებლობდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი დასავლეთ საქართველოში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ იმერეთის აჯანყებულებმა ალექსანდრე ერეკლეს ძეზე შეაჩერეს არჩევანი. მასთან მოციქულები გაგზავნეს. იმერეთის სამეფო ტახტი და აჯანყების მეთაურობა შესთავაზეს. დასავლეთ საქართველოს პატრიოტები მართებულად ვარაუდობდნენ, რომ ნიჭიერი პოლიტიკოსისა და სარდლის, ავტორიტეტის მქონე ბატონიშვილის მეთაურობა აჯანყებას მეტ გასაქანს მისცემდა.

რუსეთის მთავრობის ადგილობრივ ხელისუფალთ შეუმჩნეველი როდი დარჩათ აჯანყებულთა ეს ნაბიჯი. დაზვერვის მიერ მიღებულ ცნობებზე დაყრდნობით ველიამინოვი 1819 წლის 10 ნოემბერს ერმოლოვს მოახსენებდა: ალექსანდრე ბატონიშვილმა მართალია მიიღო იმერელი მოციქულები, მაგრამ არასაკმარისად მიიჩნია ივანე აბაშიძისა და რამდენიმე პირის წერილი და ხელმოწერა. მან მოითხოვა იმის საბუთი, რომ ალექსანდრეს გამეფება სურს იმერეთის მთელ თავადაზნაურობას, სამღვდელოებასა და მეზობელ გურია-სამეგრელოს მთავრებს.[134]

სამეგრელოსა და გურიის მთავრები, მართალია, რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ ამ კუთხეთა თავადაზნაურობისა და ხალხის დიდ ნაწილს არ აკმაყოფილებდა იმპერატორისაგან დროებით ნაბოძები მეტად შეზღუდული ავტონომია და მიზანშეწონილად თვლიდა იმერლებთან ერთად გამოსვლას ჭეშმარიტი ავტონომიის, ან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთის მთავრობის კონფინდენტებს დიდი დაზვერვითი მუშაობა ჩაუტარებიათ დასავლეთ საქართველოსა და ახალციხის საფაშოში და ხალხს პირი შეუკრავს, რომ 1820 წლის გაზაფხულზე დაიწყონ საერთო აჯანყება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. გურიელმა, დადიანმა და იმერელმა თავადებმა თითქოს

ერთად გაუგზავნეს წერილი სულთანსა და ალექსანდრე ბატონიშვილს. ხალხში გავრცელებული ყოფილა ხმები, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა უარი თქვა შეთავაზებულ იმერეთის ტახტზე და სულთანმაც აუკრძალა ახალციხის ფაშას იმერლებისთვის დახმარების გაწევა, მაგრამ კონფინდენტებს მიაჩნდათ, რომ ხმებს განგებ ავრცელებდნენ, რათა დაეფარათ ნამდვილი განზრახვა ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე.[135]

ალექსი ველიამინოვი არ დაკმაყოფილდა კონფინდენტთა ზემოთ მოტანილი ცნობით და კურნატოვსკის დაავალა ჭეშმარიტების დადგენა. ამ უკანასკნელმა აამოქმედა დაზვერვა. ახალციხეს გაგზავნა თავის კაცი, რომელმაც მოახერხა ფაშასთან შეხვედრა. რუსეთის მთავრობის მოხელეს ახალციხის ფაშამ განუცხადა, რომ იმერლები, დადიანი და გურიელი დაჟინებით სთხოვდნენ სულთანს მფარველობასა და ჯარით დახმარებას. იმერლები ძალიან ეშმაკურად იქცევიან: ახლა არ სურთ, დაემორჩილონ რუსეთს და ერთგულებას ეფიცებიან თურქებს, მაგრამ შემდეგ ცდას არ დააკლებენ, რომ თურქეთის ხელიდანაც გათავისუფლდნენ. კონფინდენტს შეუმჩნევია, რომ იმერლები გამალებით ემზადებოდნენ ბრძოლისათვის, ამზადებენ იარაღს, იმარაგებენ ტყვია-წამლს. ქუთათელმა მიტროპოლიტმა სულ დააცარიელა თავისი არსენალი, დაარიგა თოფები, დამბაჩები, ხმლები. ცეცხლსასროლ იარაღზე ფასები ორჯერ გაიზარდა. იმერლები მოუთმენლად ელიან სიგნალს და როგორც კი მივცემთ საბაბს, ომს დაიწყებენო.[136]

ერმოლოვი, ველიამინოვი და მათი ქვეშევრდომი მოხელეები შეშფოთდნენ, რადგან ეროვნული მოძრაობა დასავლეთ საქართველოში ფართო ხასიათს ღებულობდა. მათ გადაწყვიტეს, დაესწროთ აჯანყებულებისათვის და პირველად დაეპატიმრებინათ მათი მეთაურები. ალექსი ველიამინოვმა იმერეთის მმართველ პუზირევსკის დაავალა, გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტი და კაზაკთა ჯარის შემწეობით ერთდროულად შეეპყროთ სოლომონ პირველის ქალიშვილი და ივანე აბაშიძის დედა დარეჯანი, მიტროპოლიტები ქუთათელი და გენათელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდელი გუგსაძე, ბეჟან წერეთელი, ივანე აბაშიძე, ნიკოლოზ ფინეზიშვილი-აბაშიძე, პოლკოვნიკი სეხნია წულუკიძე, მდივანბეგი დავით მიქელაძე და გრიგოლ ჩხეიძე. დაპატიმრებულები უნდა გადაეყვანათ ქართლში, საიდანაც მათ მოზდოკის გზას გაუყენებდნენ.

ამ ღონისძიების გატარების წინ, 1820 წლის 20 თებერვალს იმერეთში გამოქვეყნდა ალექსი ერმოლოვის პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: იმერეთის ეკლესია მოუწყობელია, ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები კი მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის ზრუნავენ. საქმის გამოსწორებისთვის საჭიროა მიტროპოლიტების გადაყენება, მათი გაგზავნა რუსეთში. მე თვითონ მინდოდა ჩამოსვლა იმერეთის საქმეთა მოსაგვარებლად, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემს დავალებას შეასრულებს ველიამინოვი. გასული წლის მეამბოხენი არ დაისჯებიან, მაგრამ თუ ახლა ჩვენი განზრახვის შესრულებას ვინმე წინ აღუდგა, მათ დასასჯელად გამოყენებული იქნება ყოველგვარი საშუალებაო.[137]

1820 წლის მარტის პირველ რიცხვებში იმერეთის მიტროპოლიტები დააპატიმრეს და ქართლში გაგზავნეს, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ იმერეთში. ურჩობა აშკარა აჯანყებაში გადაიზარდა. თავდაპირველად შეიარაღებული ბრძოლა რაჭველებმა გააჩაღეს. 1820 წლის 8 მარტს იმერეთის მმართველი პუზირევსკი ველიამინოვს აცნობებდა, რომ რაჭაში, საიაშვილოსა და საწულუკიძეოს ვოლოსტებში უკვე დაიწყო მღელვარება. ცხადი გახდა, რომ უკვე გადასახლებული მიტროპოლიტების გარდა აჯანყებას სხვა წამქეზებლების ჰყავდა. საიაშვილოს ვოლოსტს ადრეც არაერთხელ გაუწევია წინააღმდეგობა მთავრობის ღონისძიებებისათვის, ახლა საჭიროა მის მცხოვრებთა სამაგალითო დასჯა. იმერეთსა და გურიაში სიწყნარეა. მაგრამ აუცილებელია ქაიხოსრო გურიელის შეპყრობა და მისი რაზმის განადგურებაო.[138]

ვიდრე პუზირევსკი დასახულ ღონისძიებას განახორციელებდა, აჯანყებამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი მოედო იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს საგრძნობ ნაწილს. მეფობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ივანე აბაშიძე თავისი რაზმით ძალიან ხშირად იცვლიდა ადგილს. იმერეთიდან რაჭაში გადავიდა, იქიდან ლეჩხუმს, ხოლო ბოლოს გურიაში ჩავიდა და ქაიხოსრო გურიელის რაზმს შეუერთდა. პუზირევსკი მაინც იმედიანად იყო. მთელი დასავლეთი საქართველოს შეერთებული ძალებიც ვერას დაგვაკლებენო, მოახსენებდა იგი ველიამინოვს. იმედი მაქვს იარაღის გამოუყენებლად ჩავაქრობ აჯანყებას. ურჩების ჩამოხრჩობას არ ვაპირებ, მათ ბავშვებივით როზგებით დავსჯიო.[139]

პუზირევსკის იმედი არ გამართლდა. მან ვერ შეძლო აჯანყების შეჩერება და აჯანყებულთა დასჯა. რაჭის აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი

და ქუთაისისაკენ დაიძრნენ. რუსეთის მთავრობის ერთგული რაჭის ერისთავი როსტომი 1820 წლის 22 აპრილს ველიამინოვს მოახსენებდა, რომ აჯანყების ჩასაქრობად აუცილებელი იყო 4-5 ათასიანი ჯარის გამოგზავნა. თუ დამხმარე ჯარს დროზე არ გამოგზავნიდნენ, რაჭაში დაწყებული დაპირისპირება იმერეთსაც გადაედებოდა.

როსტომ რაჭის ერისთავმა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ აჯანყების ალი მთელ იმერეთსა და გურიაში გიზგიზებდა: ქაიხოსრო გურიელის ლაშქარმა შემოქმედთან დაამარცხა რუსთა ერთი რაზმი. ბრძოლაში დაიღუპა თვით იმერეთის მმართველი პუზირევსკი. დადიანი და გურიელი, მართალია, რუსეთის მთავრობის ერთგულები დარჩნენ, მაგრამ მათი სამთავროების მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ანტირეჟიმულ აჯანყებაში ჩაება.

ალექსი ერმოლოვი შეშფოთდა. მან დაიწყო ჯარების გადაჯგუფება დასავლეთ საქართველოსაკენ. ამასთან ერთად, შეეცადა, კვლავ გამოეყენებინა პროკლამაციის ძალა. 1820 წლის 24 აპრილის თარიღით გავრცელებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო: ქაიხოსრო გურიელის არაადამიანური საქციელი, რაც გამოიხატა პოლკ. პუზირევსკის მოკვლაში, ცუდ მაგალითს აძლევს ბოროტმზრახველ პირებს იმერეთშიც, სადაც უკვე დაიწყო მღლვარება და ჩვენი ჯარის მცირე შენაერთებზე თავდასხმები. გირჩევთ, წინასწარ გაითვალისწინოთ, რა შედეგები მოჰყვება იმერეთის აჯანყებას. ეს დიდ უბედურებას უქადის მოსახლეობას. ღმერთი დასჯის ფიცის გამტეხლებს.

წარსული წელი იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ მე არ მინდა იარაღის გამოყენება, მაგრამ შესაძლებელია იგი აუცილებელი გახდეს. ფიცის გამტეხ თავად-აზნაურებს მამულები ჩამოერთმევათ და სახაზინოდ დაიდება. ქაიხოსრო გურიელი, ივანე აბაშიძე და ნიკოლოზ ფინეზიშვილი-აბაშიძე გამოცხადებული არიან სახელმწიფოს მოღალატეებად. ვინც მათ დახმარებასა და თავშესაფარს მისცემს, აგრეთვე მოღალატეებად მიიჩნევენ და მამულებს დაკარგავენ.[140]

ერმოლოვმა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა ჯარის მსხვილი ნაწილები გენერალ ალექსი ველიამინოვის სარდლობით. დიდი ბრძოლები მოხდა რაჭაში. ბევრი სოფელი მიწასთან გასწორდა. დაატყვევეს 70 კაცი, რომელთაგან 10 ჩამოახრჩეს, სხვები რუსეთში გადაასახლეს. დიდი ბრძოლა მოხდა იმერეთშიც. იმერეთის დამორჩილების შემდეგ გენერალი ველიამინოვი 3200 კაცით გურიაში შეიჭრა. გააფრთებული ბრძოლის შემდეგ აიღეს შემოქმედი. ბევრი სოფელი დაანგრიეს. თვით ერმოლოვი წერდა, რომ

აჯანყებული სოფლები განადგურებულია, ბაღები და ვენახები ძირიანადაა ამოძირკული და მცხოვრებნი დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ აღიდგენენ ადრინდელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღარიბე იქნება მათი სასჯელიო.[141]

გადმოცემის თანახმად, ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვს მოუნდომებია ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს საფლავის გახსნა ბოდბის მონასტერში, თითქოს გაძარცვის მიზნით, მაგრამ, საფლავთან შეხებისთანავე გარდაცვლილა. ოფიციალური ვერსიით კი ცნობილია, რომ ეგზარქოსი თეოფილაქტე 1821 წლის 19 ივლისს ტიფით გარდაიცვალა, დაკრძალულია ბოდბის წმ. გიორგის ეკლესიაში, მარჯვენა კედლის მხარეს.

ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე პირველმა რუსმა ეგზარქოსმა, რომლის მმართველობამ უმძიმესი შედეგები მოუტანა საქართველოს ეკლესიას. მისი ეგზარქოსობის დროიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიის მესვეურთათვის ჩვენი ქვეყანა ის ადგილი იყო, სადაც თანამდებობიდან გათავისუფლებულ ჩინოვნიკებს, სექტანტებს, იმპერიისთვის მიუღებელ პირებსა და დამნაშავეებს ასახლებდნენ. იგივე პოლიტიკა ტარდებოდა ეკლესიაშიც. საქართველოში გამოგზავნილ ეკლესიის მსახურთა დიდი უმრავლესობა საეჭვო რეპუტაციის, სასტიკი და დაუნდობელი ადამიანი იყო. ბევრ მათგანს, რუსეთში რომ დარჩენილიყო, შეიძლება ვერანაირი კარიერული წარმატებისთვის ვერ მიეღწია. საქართველოში კი ასეთებს დიდი გასაქანი ეძლეოდათ.

§ 3. ეგზარქოსი იონა ვასილევსკი

(1821-1832 წ.წ.)

იონა ვასილევსკი, ერისკაცობაში ივანე სიმონის ძე ვასილევსკი, დაიბადა 1763 წლის 1 მარტს კალუგაში, ღარიბი მედავითნისა და ხატმწერის ოჯახში. იზრდებოდა უკიდურეს გაჭირვებაში, ხშირად მოწყალებასაც კი ითხოვდა. 8 წლის დაობლდა და პატარა დასთან ერთად ზრდიდა მოხუცი ბებია, რომელიც მალე დაბრმავდა. 15 წლის ასაკში კალუგის ოლქის კეთილმოწესის წყალობით წმინდა ლავრენტის მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში მიიღეს. ოთხწლიანი სწავლის შემდეგ მოსკოვის ეპარქიის პერერვინსკის სემინარიაში გადადის, იქიდან კი, როგორც საუკეთსო მოსწავლე - სამების ლავრის სემინარიაში, რომელიც შემდგომში მოსკოვის სასულიერო აკადემიად გადაკეთდა. 1790 წელს დაამთავრა აკადემიის სრული კურსი. დაქორწინდა ღარიბი მედავითნის ქალიშვილზე. 1792 წლის 30 იანვარს მღვდლად აკურთხეს კალუგის მაცხოვრის აღდგომის ტაძარში. 1797 წელს კეთილმოწესედ დაადგინეს. 1799 წელს შეიქმნა კალუგის დამოუკიდებელი კათედრა, რომლის პირველი ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი (შემდგომში საქართველოს ეგზარქოსი) იყო. მან დაიახლოვა მამა იოანე. 1802 წელს მას გარდაეცვალა ჯერ მეუღლე, შემდეგ კი თითქმის ერთდროულად ორი ქალიშვილი და ვაჟი. 1803 წელს იგი დეკანოზის ხარისხში აიყვანეს.

1807 წელს დეკანოზი ივანე გადადის პეტერბურგში და მაშინვე ეპისკოპოსმა თეოფილაქტემ ბერად აღკვეცა იონას სახელით, იმავე წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს.

1809 წლიდან არქიმანდრიტი იონა კალუგის სასულიერო სემინარიის რექტორია. 1811 წლიდან ვოლოკოლიმსკის მონასტრის წინამძღვარი და პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ინსპექტორია.

1812 წლის მარტში იგი ტამბოვის ეპისკოპოსად აკურთხეს. მან თავი გამოიჩინა როგორც მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა მღვდელმთავარმა. დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო განათლების ამაღლებას. 1821 წლის 28 აპრილს ასტრახანში გადაიყვანეს და მთავარეპისკოპოსობა უბოძეს. ამ ეპარქიაში მან რამდენიმე თვე იმსახურა. 1821 წლის 1 ოქტომბერს კი საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა. 1828 წლის 22 აგვისტოს მიტროპოლიტობა უბოძეს. 1830 წელს საქართველოში ქოლერა

მძვინვარებდა. ეგზარქოსი იონა არ უშინდებოდა ეპიდემიას, ზრუნავდა ავადმყოფებზე და აღასრულებდა მათთვის საჭირო მღვდელმსახურებას. 1832 წელს გაიწვიეს საქართველოდან და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1849 წლის 22 ივნისს. დაკრძალულია იქვე.[142]

როგორც პლატონ იოსელიანი წერს, ეგზარქოსი იონა „სასოებიანი მწირველი“ ყოფილა და „გარეგანსა ცერემონიასა გარდაემატებოდა მარადის ღირსებითა, ცრემლთა დენითა და კრძალვითა აღასრულებდა საღმრთოსა ლიტურღიასა“.[143]

რუსული მმართველობის პირობებში ქართველი სასულიერო პირები, მათ შორის მღვდელმთავრებიც, არა ერთხელ ჩაუყენებიათ მათი ხარი სხისათვის შეუფერებელ მდგომარეობაში. ისინი ხშირად იმართლებდნენ თავს ჭორებისა და ცილისწამებათა გამო. ამის ნათელი მაგალითია 1826 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული ბოდბელი მიტროპოლიტ იოანეს წერილი ეგზარქოს იონასადმი. წერილში საუბარია ერთ ფაქტზე, რომ თითქოს თელავის მაზრის სოფელ იყალთოს ეკლესიაში იმყოფებოდა თეთრწვერა მოხუცი, ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც ტაძრის იკონომოს მღვდელმონაზონ გაბრიელისათვის გადაუცია 35 ოქრო შესაწირი. ამის გამო გაბრიელი დაიბარეს მაზრის უფროსთან და დაწვრილებით გამოკითხეს ეს ჭორად მოსმენილი ამბავი. გაბრიელმა უარყო აღნიშნული ფაქტი. ბოდბელი მიტროპოლიტი ითხოვს მაზრის უფროსისაგან გამოიძიოს, თუ საიდან გავრცელდა ეს ჭორი.[144] ჩვენთვის უცნობია, მართლაც იმყოფებოდა თუ არა ალექსანდრე ბატონიშვილი აღნიშნულ ტაძარში. მაგრამ აქ სხვა რამ არის მნიშვნელოვანი, კერძოდ ის, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხს სთხოვენ ეკლესიის მსახურთ სამეფო ოჯახის წევრის მიერ ტაძრისთვის გაკეთებულ შემოწირულობაზე და, ფაქტობრივად, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, სასულიერო პირისაგან ითხოვდნენ ბატონიშვილის ხელისუფლებასთან დასმენას. მიტროპოლიტ იოანეს წერილიდან კარგად ჩანს მისი შეშფოთება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ის ითხოვს ამ ჭორის გადამოწმებას. წერილის პათოსიდან ჩანს, რომ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ტაძრის იკონომოს გაბრიელს და ეპარქიის მღვდელმთავარსაც უსიამოვნება შეხვდებოდათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის შიდა მოწყობის რუსულ ყაიდაზე შეცვლა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩვენში საეკლესიო მოურავის თანამდებობის გაუქმება.

ეს ჯერ კიდევ 1804 წელს მოხდა პავლე ციციანოვის განკარგულებით. მიუხედავად ამისა, 1814 წელს ეგზარქოსმა ვარლამმა რამდენიმე თავადს უბოძა საეკლესიო მოურავობა. ეგზარქოსმა თეოფილაქტემ კი 1818 წელს მათ ჩამოართვა ეს უფლება, რადგანაც იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა მთავარმმართებლის განკარგულებასთან, ამასთან, საეკლესიო გადასახადების აკრეფა ევალებოდა დიკასტერიას, ამდენად, მოურავი უფუნქციოდ რჩებოდა.

საეკლესიო ხელისუფლება სთხოვდა სასულიერო პირებს, რომ მათ ჩაეტარებინათ ახსნა-განმარტებითი საუბრები საეკლესიო გლეხებთან იმის განსამარტავად, რომ მოურავობა გაუქმდა მათზე ზრუნვით და მათ სასარგებლოდ. თუმცაღა, იქვე უთითებდნენ, რომ ნახევარი იმ თეთრის, რომელსაც უხდიდნენ მოურავებს, შეეწირათ ეკლესიისთვის. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, გლეხობა ხშირად უარს აცხადებდა ამ თანხის გადახდაზე სწორედ იმ მიზეზით, რომ მოურავობა გაუქმებული იყო. ამის შესახებ თავის მოხსენებით ბარათში ეგზარქოს იონას მიმართ წერს არქიმანდრიტი ელეფთერი. ამ ბარათიდან ჩანს, რომ სასულიერო პირებს, საეკლესიო მოურავების ნაცვლად, უწევდათ სოფელ-სოფელ სიარული გადასახადების ასაკრებად. ასე, რომ საეკლესიო გლეხებზე „ზრუნვით“ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად არ ცვლიდა მათ მდგომარეობას. სასულიერო პირებს კი საკმაოდ უხერხულ და მათთვის შეუფერებელ მდგომარეობაში აყენებდა.[145]

როგორც ცნობილია, ქართულ ტაძრებთან ჩვეულებრივი მოვლენა იყო შეწირული პირუტყვის დაკვლა. ეგზარქოს იონას განკარგულებით აიკრძალა დღესასწაულებზე ტაძრებთან პირუტყვის დაკვლა. ეპარქიებში მოღვაწე კეთილმოწესენი - „ბლაღოჩინები“ მოხსენებითი ბარათებით უდასტურებდნენ ეგზარქოსს, რომ გაფრთხილებული ჰყავთ სამღვდელოება ამ აკრძალვის შესახებ.[146]

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება ასევე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ზოგიერთ ტაძარში ჯვრისწერა ტარდებოდა გვიან ღამით. 1827 წლის 3 ივლისს გენერალი ივანე პასკევიჩი წერს ეგზარქოს მიტროპოლიტ იონას, რომ თბილისში, ხშირად, ჯვრისწერები ტარდება გვიან ღამით, რაც მას უწესობად მიაჩნია. ამიტომ

სთხოვს მიტროპოლიტ იონას, რომ გასცეს განკარგულება, რათა საღამოს 9 საათის შემდეგ აღარ ხდებოდეს ჯვრისწერა. თუ იქნებოდა გამონაკლისი, მხოლოდ მიტროპოლიტის ნებართვით და ეს უნდა ეცნობებინათ პოლიციისათვის.[147]

1830 წლის 29 სექტემბერს ეგზარქომა იონამ სინოდალურ კანტორას თხოვნით მიმართა, გახსნილიყო დედათა მონასტერი, რადგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დედათა სამონასტრო ცხოვრება საერთოდ მოიშალა და ისინი ამ დროისთვის გაფანტულნი ყოფილან საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტაძრებში. მას მიაჩნდა, რომ თბილისში ან მის მახლობლად გახსნილი მონასტერი ერთად შეკრებდა გაფანტულ მონაზონ დედებს. 1830 წლის 2 დეკემბერს სინოდალურმა კანტორამ ეგზარქოსის ამ მოთხოვნას უსახსრობის გამო უარით უპასუხა.[148]

თავისი ათწლიანი საქმიანობის დროს მას განსაკუთრებით თავი არ გამოუჩენია. იგი ტიპური რუსი მოხელე იყო, რომელიც საქართველოში რუსული იმპერიულ საეკლესიო პოლიტიკის გატარებას უწყობდა ხელს. მისი საქართველოში მოღვაწეობით არც ხელისუფლება იყო აღფრთოვანებული. ამის დასტურია ის, რომ იგი ეგზარქოსად ყოფნის დროს იმით დააჯილდოვეს, რომ 1828 წელს მიტროპოლიტობა უბოძეს, სხვა ჯილდო მას ხელისუფლებისგან არ მიუღია.

§ 4. ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი

(1832-1834 წ.წ.)

საქართველოს ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი, ერისკაცობაში მათე მიხეილის ძე ბოგდანოვ-პლატონოვ-ანტიპოვი დაიბადა 1783 ან 1784 წელს მოსკოვის გუბერნიის კოლომენსკის მაზრის სოფელ ბოგდანოვკაში. მამის გვარი ანტიპოვია. მამა მედავითნე იყო და ადრევე გარდაიცვალა. პატარა მათეს დედა ზრდიდა დიდ გაჭირვებაში. მარტო დარჩენილმა ქალმა თხოვნით მიმართა ადგილობრივ მღვდელმთავარ ათანასეს, რათა მამის ადგილი ტაძარში მისი მცირეწლოვანი ვაჟისთვის შეენახათ. ამაზე ეპისკოპოსს წინასწარმეტყველურად უთქვამს, ჯობს ისწავლოს, ის მღვდელმთავარი გახდება. თქვენ კი სიძე მოგხედავთო. მართლაც, მალე უფროსი და გათხოვდა და უმამოდ დარჩენილ ოჯახზე ზრუნვა სიძემ დაიწყო. მათე კი ეკლესიის ხარჯზე კოლომენსკის სემინარიაში იწყებს სწავლას. სწორედ აქ მისცეს გვარი ბოგდანოვი. შემდეგ ის სწავლას ტულის სემინარიაში აგრძელებს. 1799 წელს სლავო-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში ჩაირიცხა, 1801 წელს კი სამების ლავრის სემინარიაში აგრძელებს სწავლას. აქ მას მფარველად და მოძღვრად მოევლინა მიტროპოლიტი პლატონი (ლიოვშინი), რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. სწორედ მის საპატივსაცემოდ მიიღო გვარი პლატონოვი. 1808 წელს ის ბერად აღიკვეცა მოსეს სახელით და, როგორც საუკეთესო მოსწავლე, პეტერბურგის აკადემიაში გააგზავნეს სასწავლებლად. 1814 წელს მან წარმატებით დაამთავრა აკადემია ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით და იქვე დატოვეს პედაგოგად.

1817 წლის 6 ივლისს მღვდელ-მონაზონი მოსე კიევის სასულიერო აკადემიის რექტორად დანიშნეს, ხოლო 1 აგვისტოს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1822 წელს ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 1824 წელს სტაროროუსის ეპისკოპოსად აკურთხეს და ნოვგოროდის ქორეპისკოპოსად დანიშნეს. 1827 წელს ვოლოგოდსკის ეპისკოპოსად გადაჰყავთ, ხოლო 1828 წლიდან საქართველოში ჩამოსვლამდე სარატოვის ეპისკოპოსი იყო.

1832 წლის 12 მარტის წმინდა სინოდის ბრძანებით, ეპისკოპოსი მოსე საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა და აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.[149]

ეგზარქოსი მოსე მისთვის შორეულ ქვეყანაში თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა. საქართველოში მისი მმართველობა მცირე ხანს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმპერიის ერთგული მოხელე იყო, ქართველ ხალხში კარგი სახელი დატოვა.

იყო განათლებული კაცი, მისი ზოგი ქადაგება დაბეჭდილია. მაგალითად, „სიტყვა თქმული ოტომანის პორტასთან ზავის დადების გამო“.[150]

ჩამოსვლისთანავე საეგზარქოსოში რუსული ეკლესიის მსგავსად სამრევლო კრებებზე ე.წ. სტაროსტები აარჩევინა. ესენი იყვნენ მამასახლისები, რომელთა მოვალეობა ტაძრის სხვადასხვა საჭიროებაზე ზრუნვა იყო.

ეგზარქოს მოსეს მმართველობის დროს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1832 წლის აჯანყება.

აჯანყების იდეა მოსკოვსა და პეტერბურგში, ქართველ უფლისწულთა წრეში ჩაისახა, იქვე ჩამოყალიბდა საიდუმლო საზოგადოების ბირთვი, მაგრამ რუსეთის თვითმმართველობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის პრაქტიკული მზადება თბილისში შექმნილმა ფარულმა ორგანიზაციამ გააჩაღა.

ფარულ საზოგადოებაში ძირითადად თავად-აზნაურები შედიოდნენ. ასიოდე შეთქმულს ტერორისტული აქტების მოწყობა შეეძლო მხოლოდ, რაც არ კმაროდა დიდი მიზნის მისაღწევად. ფარული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ცდილობდნენ აჯანყებისათვის მასობრივი ხასიათი მიეცათ, მასში მეტ-ნაკლებად საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა ჩაებათ. ისინი განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდნენ გლეხობაზე, ვარაუდობდნენ აჯანყებაში თბილისელი ხელოსნების ჩაბმასაც. ფარული ორგანიზაციის ყოველი წევრი თავადაზნაურობიდან ვალდებულებას კისრულობდა, სახალხო ლაშქარში გამოეყვანა გარკვეული რაოდენობის ყმა-გლეხობა. დაბალი ფენიდან გამოსული სოლომონ დოდაშვილი იმედოვნებდა, რომ მათ მოწოდებაზე კახეთის მთელი გლეხობა ანტირეჟიმული აჯანყების დროშის ქვეშ დაირაზმებოდა. ქართლის გლეხობის სახალხო გამათავისუფლებელ ლაშქარში გამოსვლის იმედს ელიზბარ ერისთავი იძლეოდა. თბილისელი ხელოსნების აჯანყების პირობას კი ალექსანდრე ორბელიანი დებდა.

თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას სოლომონ დოდაშვილი მთელი ქართველი ხალხის სახელით აკრიტიკებდა, მთელი ერის ინტერესების დამცველად

გამოდიოდა. მას განსაკუთრებით აწუხებდა უნუგეშო მდგომარეობა დაბალი მასისა, რომელიც სიღარიბის, რუსული ენისა და კანონის უცოდინრობის გამო ყველაზე მეტად იჩაგრებოდა. აუტანელი ბეგარა-ვალდებულებები, აბუჩად აგდება, მისი კაცური ღირსებების შეურაცხყოფა იყო ქართველ გლეხთა აჯანყების მიზეზი XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. სოლომონ დოდაშვილი და ფარული საზოგადოების სხვა წევრები კარგად იყვნენ ინფორმირებული გლეხთა ანტირეჟიმულ განწყობილებაში და, ბუნებრივია, მათგან მომავალ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას ელოდნენ.

ფარული საზოგადოების ლიდერები მარტო საქართველოს შინაგან ძალთა კონსოლიდაცია-დარაზმვას როდი ცდილობდნენ. მათი ვარაუდით, მომავალ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ სომხებს, აზერბაიჯანელებს, ჩრდილო კავკასიის მთიელებს, რომელთა დიდი ნაწილი იმ დროს უკვე სისხლისმღვრელ ბრძოლაში მონაწილეობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

შეთქმულებმა კავშირი დაამყარეს ალექსანდრე ბატონიშვილთან, გააცნეს მას სამოქმედო გეგმა და აჯანყების მეთაურობაც შესთავაზეს. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ამ დაუცხრომელმა მებრძოლმა პირველად საეჭვოდ მიიჩნია აჯანყების წარმატება, მაგრამ შემდეგ გაითვალისწინა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, იმედით შეხვდა მომავალს, თვით დაამყარა კავშირი ფარული საზოგადოების მეთაურებთან, რათა დროზე შეეტყო საქართველოში დაწყებული აჯანყების ამბავი და სათავეში ჩასდგომოდა სამშობლოს გასათავისუფლებლად შეკრებილ ქართულ სახალხო ლაშქარს.

ფარული ორგანიზაციის გეგმაში შედიოდა აგრეთვე აქტიური დიპლომატიური საქმიანობის გაჩაღება. შეთქმულნი ვარაუდობდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში დასავლეთი ევროპის დიდ სახელმწიფოებს მიმართავდნენ, მათგან სამხედროს თუ არა, დიპლომატიურ-პოლიტიკურ დახმარებას მაინც მიიღებდნენ.

ფარული ორგანიზაცია აჯანყების დაწყებას, როგორც აღვნიშნეთ, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს არჩევნებს უკავშირებდა. არჩევნები კი 1832 წლის 20 ნოემბერისთვის იყო დანიშნული. ეს თარიღი მისაღები ჩანდა იმ მხრივაც, რომ საქართველოს მთავარმმართველი გრიგოლ როზენი ჯარის ძირითადი ნაწილით დაღესტანში იყო წასული. ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ რუსეთიდან საერთოდ ჯარის გადმოყვანა გაძნელდებოდა. გაზაფხულამდე კი აჯანყების წარმატებით

დაგვირგვინების იმედი ჰქონდათ. 20 ნოემბერს აჯანყების ჩატარება შეუძლებელი გახდა. არჩევნები გადაიტანეს 5 დეკემბრის, შემდეგ კი 15 დეკემბრისათვის. შესაბამისად იცვლებოდა აჯანყების თარიღიც. მაგრამ მოვლენათა განვითარებას წერტილი დაუსვა იასე ფალავანდიშვილმა, რომელმაც 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა შეთქმულება.

მთავრობამ მოკლე ხანში ფარული საზოგადოების თითქმის ყველა წევრი დააპატიმრა. გამოძიების ქვეშ მოექცა 145 კაცი. საყოველთაო აჯანყებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის განზრახვა ჩაიშალა.

ამ აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე იყო მღვდელ-მონაზონი ფილადელფოს კიკნაძე, რომლის შესახებაც პროფესორმა მანანა ხომერიკმა გამოსცა წიგნი „1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე“. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ფაქტობრივად ერთადერთი სერიოზული ნაშრომი აღნიშნული პიროვნების შესახებ. ვფიქრობთ, იგი უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში და გვსურს, ცოტა ვრცლად შევეხოთ მის მოღვაწეობას.

მღვდელ-მონაზონი ფილადელფოს კიკნაძე (ერისკაცობაში ნიკიფორე) დაიბადა 1793 წელს იმერელი აზნაურის იოანე კიკნაძის ოჯახში. მშობლები ადრე გარდაეცვალა. მამა მოუკლეს, დედა კი შავმა ჭირმა იმსხვერპლა. ჯერ კიდევ ყრმობაში მამამ იგი მონასტერს მიაბარა აღსაზრდელად. ოცი წლის ასაკში ნიკიფორემ ხირსის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნიკოფორე ჯორჯაძე გაიცნო, რომელმაც იგი თავისთან წაიყვანა ხირსაში. ოცდაოთხი წლის ასაკში იგი ჯერ ბერად აღკვეცეს, ხოლო შემდეგ ბერ-დიაკვნად აკურთხეს ნიკოლოზის სახელით. 1822 წელს ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ მღვდელ-მონაზვნად დაასხა ხელი ფილადელფოსის სახელით. მოგვიანებით იგი თბილისში გადმოდის ფერისცვალების მონასტერში. აქ ყოფნისას უჩნდება სურვილი რუსეთში გადასვლისა, რაშიც დახმარებას პეტერბურგში მყოფი სოლომონ დოდაშვილი ჰპირდებოდა. 1826 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ, რომელიც ამ დროს რუსეთში, კერძოდ, ნიჟნი ნოვგოროდში იყო გადასახლებული, ეგზარქოს იონასათვის მღვდელ-მონაზვნის გაგზავნა უთხოვია. არჩევანი ფილადელფოს კიკნაძეზე შეჩერებულა. მაგრამ მისი მსახურება ანტონ II-სთან ხანმოკლე აღმოჩნდა. ფილადელფოსს უსიამოვნება მოუვიდა კათოლიკოსის დისშვილ ესტატე ციციშვილთან. მას სამშობლოში დაბრუნება უბრძანეს, მაგრამ მან რუსეთში დარჩენა მოახერხა. მოსკოვში მღვდელ-მონაზონი ფილადელფოსი ბატონიშვილ ოქროპირს დაუახლოვდა,

რომლმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მალე იგი ცილისწამებისათვის დააპატიმრეს, მაგრამ იმპერატორმა შეიწყალა და 1828 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მოღვაწეობა კვლავ ფერისცვალების მონასტერში გააგრძელა.

1829 წელს ოქროპირ ბატონიშვილი საქართველოში დაბრუნდა და აჯანყებისათვის მზადებას შეუდგა. აქ იგი კვლავ დაუახლოვდა ფილადელფოს კიკნაძეს, რომელიც მომავალი აჯანყების აქტიური მონაწილე გახდა. მან შეადგინა შეთქმულთა წესდება „აქტი გონიური“ და საიდუმლო ანბანი, რომლითაც შეთქმულები ურთიერთობდნენ ერთმანეთთან. როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულება გასცეს და იგი ვერ შედგა. მისი მონაწილენი დააპატიმრეს. მამა ფილადელფოსიც ელოდა დაკავებას, ამიტომ შუამთის მონასტერში გადავიდა და არაერთი ჩანაწერი გაანადგურა. 1833 წლის იანვარში იგი დააპატიმრეს, მაგრამ დაკითხვაზე ვერაფერი ათქმევინეს, ვერც რაიმე საბუთი უპოვეს, რომელიც მის შეთქმულებაში მონაწილეობას დაადასტურებდა. გენერალ რეუტს, რომელსაც ფილადელფოსის დაკავების ოპერაციის ჩატარება ჰქონდა დავალებული, შუამთის მონასტრის ბერების წამება დაუწყია. ერთ-ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო წამების სისასტიკეს და გენერალს ის ადგილი მიუთითა, სადაც ფილადელფოსი გადარჩენილ ჩანაწერებს ინახავდა. შუამთიდან თბილისში იგი ფეხით ჩამოიყვანეს. ეგზარქოსს მღვდელ-მონაზვნისთვის, როგორც უღირსი სასულიერო პირისთვის, სამკერდე ჯვარი ჩამოუგლეჯია და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიუყენებია. შერყეული ჯანმრთელობის გამო იგი პატიმრობიდან მალევე გაათავისუფლეს და 1833 წლის სექტემბერში გარდაიცვალა.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი საარქივო მასალებიდან გაურკვეველი რჩება თუ რა პოზიცია ეკავა ეგზარქოს მოსეს 1832 წლის შეთქმულებისა და მასში მონაწილე ქართველი სასულიერო პირების მიმართ, მაგრამ მარტო ფილადელფოს კიკნაძისადმი გამოჩენილი დამოკიდებულება, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ვფიქრობთ, საკმარისია მისი პიროვნებისა და პოზიციის წარმოსაჩენად. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგანაც საქართველოში გამოსაგზავნ ეგზარქოსებს სწორედ ქართველთმოძულეობის ნიშნით არჩევდნენ.

§ 5. ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი

(1834-1844 წ.წ.)

ევგენი ბაჟენოვი, ერისკაცობაში ალექსანდრე ფილიპეს ძე ბაჟენოვი, ან ბეჟანოვი, ან ბოჟენოვი, დაიბადა 1784 წელს ტულის გუბერნიაში, მედავითნის ოჯახში. 1795-1808 ლებსი სწავლობდა ჯერ კოლომენსკის სასულიერო სასწავლებელსი, ხოლო შემდეგ ტულის სემინარიაში. 1811 წელს დაამთავრა მოსკოვის სლავო-ბერძნო-ლათინურ აკადემია და დაინიშნა ტულის სემინარიის პედაგოგად, ხოლო 1818 წელს გადაიყვანეს ყაზანის სემინარიაში. 1819 წლის 15 თებერვალს ბერად აღკვეცეს ევგენის სახელით, 19 თებერვალს კი დიაკვნად, ხოლო 22 თებერვალს მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. 6 აპრილს იგი იღუმენის ხარისხში აიყვანეს, 20 ივლისს კი არქიმანდრიტისა. 1819 წლის 14 აგვისტოს ტობოლსკის სემინარიის რექტორად დაინიშნა. 1824 წლიდან კოსტრომის სემინარიის რექტორია. 1829 წლის 11 ივნისს ტამბოვის ეპისკოპოსად აკურთხეს. ტამბოვის ეპარქიაში მსახურებისას ბაჟენოვი იყო ძალიან მკაცრი, განსაკუთრებით სამღვდელოების მიმართ. არაერთი მღვდლისთვის აუყრია სამღვდელო ხარისხი. მის მიერ ეპარქიის შემოვლა უბედურებად აღიქმებოდა ადგილობრივი სამღვდელოების მიერ.

ეპისკოპოსი ევგენი 1832 წლის 30 აპრილს მინსკის ეპისკოპოსად გადაჰყავთ. გახარებულმა სამღვდელოებამ ამის გამო სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. აი ასეთი სისასტიკით ცნობილი პიროვნება დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად 1834 წლის 1 სექტემბერს და აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.[151]

საქართველოს ეგზარქოსად ევგენი ბაჟენოვის დანიშვნას მინსკის ეპარქიის სამღვდელოება შეხვდა, როგორც დღესასწაულს. საქართველოში ეგზარქოსად დაჰყო ათი წელი. აქაც იქცეოდა თვითნებურად, არაფრად აგდებდა ადგილობრივ წესებსა და ჩვეულებებს, დასცინოდა და ეჩხუბებოდა მღვდლებს, ყველა მისი წირვა ჩხუბით მთავრდებოდა.[152]

1838 წელს აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად.

არსებობს ცირკულარული მითითება გორის ეპისკოპოს ნიკიფორესა და სამეგრელოს ეპისკოპოს ანტონის მიმართ, რომლითაც ეგზარქოსი აფრთხილებს მათ არ დაუშვან ეკლესია-მონასტრებში თვითნებური შეკეთებები,[153] თუმცა, როგორ

უფრთხილდებოდნენ ქართული ეკლესია-მონასტრების შიდა და გარე იერსახეს, ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე მკვეთრად შემცირდა ეპარქიათა რაოდენობა, რამაც შეზღუდა და გაართულა მრევლის ურთიერთობა მღვდელმთავრებთან. ხალხი მონატრებული იყო სამღვდელმთავრო წირვას. გურიის თავადაზნაურობამ თხოვნით მიმართა ეგზარქოს ევგენის გურიაში ეპისკოპოსის დანიშვნის თაობაზე. ისინი ამ თხოვნას ასაბუთებენ იმით, რომ კუთხე ესაზღვრება თურქეთს და მათ გარშემო ბევრი მაჰმადიანია და იმით, რომ მონატრებულნი არიან სამღვდელმთავრო წირვას. ისინი ითხოვენ, ეპისკოპოსად აკურთხონ არქიმანდრიტი ანტონი აფხაზეთიდან.[154]

სინოდალური კანტორისა და ეგზარქოსის კანცელარიის საარქივო მასალების გაცნობისას თვალში ხვდება დოკუმენტების სიმრავლე, რომლებშიც ფინანსური ანგარიშებია წარმოდგენილი. მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ ჩნდება კითხვა: როდისღა ასწრებდნენ სასულიერო პირები თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებას? მღვდლები, ფაქტობრივად ბუღალტრებად იყვნენ გადაქცეულნი. როგორც ვთქვით, მასალა ამ მხრივ ბევრია. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს, ეგზარქოს ევგენის მითითებას შუამთის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკიფორესა და იღუმენ ქრისტეფორეს მიმართ, თვალყური ადევნონ დღესასწაულის დღეებში ალავერდის ტაძარში შემოწირულობებს. აქვეა მოტანილი არქიმანდრიტისა და იღუმენის „რაპორტი“ ეგზარქოს ევგენისადმი, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ ალავერდის დღესასწაულზე, წირვის შემდეგ შეკრიბეს შემოწირულობა (და არა მარტო დღესასწაულზე, არამედ თოთხმეტი სექტემბრიდან თვრამეტ ნოემბრამდე) „სანთლის ფული, ნივთი და ხორაგი გარდავაქციეთ თეთრად და შთავსწერეთ ზონარიანსა წიგნსა შინა“. საერთო თანხამ შეადგინა სამოცდაშვიდი თუმანი ორი მანეთი სამი აბაზი და ერთი გროში). ეს ზონარიანი წიგნი ეგზავნებოდა ეგზარქოსს.[155] როგორც ვხედავთ, აღწერდნენ უმცირეს შემოწირულობასაც. ეს თანხა, მართალია, ხმარდებოდა ეკლესიას, მაგრამ იგი იხარჯებოდა როგორც საეგზარქოსოს მიერ გაღებული და არა როგორც ქართველი მრევლის შემოწირულობა.

საარქივო მასალებში დაცულია დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ცდილობდა საერო და სასულიერო ხელისუფლება, გამოეყენებინა ადგილობრივი

სასულიერო პირები 1841 წელს აჯანყებული გურულების დასამშვიდებლად. ამ აჯანყების ჩახშობა დაევალა თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვს. ხელისუფლება ეგზარქოსისგან ითხოვდა, გაეგზავნა გურიაში მოსახლეობის დასაშოშმინებლად სანდო სასულიერო პირები, ასევე ითხოვდა იმ სასულიერო პირების გვარებს, რომლებიც თანაუგრძნოდნენ და აქეზებდნენ მოსახლეობას. ხელისუფლებას გადაეგზავნა გურიის სოფლების: გურიანთას, შემოქმედის, დვაბზუს, ლანჩხუთისა და სხვა სოფლების სასულიერო პირთა სია, სულ 12 პირი, აქედან 8 მღვდელი: თადეოზ ბაჯელიძე, ივანე კვაჭაძე, მაქსიმე ქიქოძე, გიორგი დუმბაძე, ლაზარე დონდოლაძე, ივანე საბაშვილი, მაქსიმე კვირკველია, სვიმონ ბურჭულაძე; 4 დიაკონი: იესე ცერცვაძე, იესე ბაჯელიძე, სოფრონი კუტიძე, დიონისე კანდელაკი. აჯანყებულთა დაშოშმინება კი დაევალა კაცხის მონასტრის იღუმენ ექვთიმეს, იღუმენ გერმანეს და გურიის „ბლაღოჩინს“, დეკანოზ იოანე გოგიტიძეს.[156]

საარქივო მასალებში ასევე დაცულია 1844 წლის 13 ივლისით დათარიღებული გურიის ეპისკოპოს ექვთიმეს წერილი ეგზარქოს ევგენისადმი. წერილში ნათქვამია, რომ ჯუმათის მონასტერს არ აქვს სამღვდელო მიტრა, ხოლო გაენათის მონასტერში, სადაც ის უწინ იყო წინამძღვრად, არის რამდენიმე მიტრა თითქმის უხმარად, მას კი არ აქვს და ითხოვს, სანამ იშოვის თავისთვის, ათხოვონ ერთი მიტრა. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ეპისკოპოსი ვალდებულია, ასეთი უმნიშვნელო საკითხიც კი შეათანხმოს ეგზარქოსთან. აქედან ცხადია, რომ პირველიერარქის თანხმობის გარეშე ეკლესია-მონასტრებიდან ვერაფერი გავიდოდა. არადა ჩვენთვის ცნობილია, იმ არაერთი საეკლესიო ნივთის შესახებ, რომლებიც ქვეყნის გარეთ გაიტანეს. მაშასადამე, ეგზარქოსებმა ყველაფერი იცოდნენ და მათ გარეშე ვერაფერი გაკეთდებოდა.[157]

ათწლიანი მსახურების შემდეგ 1844 წლის 12 სექტემბერს, ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი ასტრახანის ეპარქიაში გადაჰყავთ, ხოლო 1856 წლის 15 აპრილს ფსკოვის მთავარეპისკოპოსია.

გარდაიცვალა 1862 წლის 6 ივლისს.

სამწუხაროდ, ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დარჩა, როგორც საეკლესიო საგანძურისა და ფასეულობების მძარცველი. მისი ათწლიანი მმართველობა არაერთი შავბნელი საქმით არის მოცული.

§ 6. ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი

(1844-1858 წ.წ.)

ერისკაცობაში იაკობ სერგის ძე ნიკოლსკი დაიბადა 1799 წელს ტულის გუბერნიის სოფ. ნიკოლსკოეში, დიაკვნის ოჯახში. გვარი მას დაბადების ადგილის მიხედვით მიუღია. ერთი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა. იაკობი გაჭირვებაში იზრდებოდა, მიხედავად ამისა თავისი უნარების წყალობით კარგი განათლება მიიღო. სწავლობდა ჯერ ტულის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სემინარიაში, რომელიც 1821 წელს დაამთავრა. 1825 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემია დაამთავრა ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით. ამავე წელს მოხდა მისი ბერად აღკვეცა, დიაკვნად და მღვდლად კურთხევა. 1829 წელს ორლოვსკის სემინარიის რექტორად დანიშნეს და აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში. 1833 წლიდან მოსკოვის სასულიერო სემინარიის რექტორია. 1834 წელს ეპისკოპოსად აკურთხეს. მსახურობდა ჯერ მოსკოვის ეპარქიაში, შემდეგ კი პოლოცკში, 1840 წლიდან მოგილევის ეპისკოპოსია. 1841 წელს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს. 1844 წელს დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად. საქართველოში მისი მმართველობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუსულმანობისა და წარმართული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას. აღადგინა სამღვდელმთავრო კათედრა აფხაზეთში, სასულიერო პირებს გაუჩინა შემოსავალი, გახსნა ქალთა სასწავლებელი მცხეთაში. 1856 წელს მონაწილეობდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის კურთხევაში, რომლის ბრძანებითაც აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. 1858 წელს, საქართველოში მისი მსახურების დასასრულს, ქართველი მრევლი გულდაწყვეტილი ემშვიდობებოდა.[158]

ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი ქართველ ეგზარქოსებს შორის ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც შედარებით კარგი სახელი დატოვა საქართველოში. თუმცა, ეს იმპერიის საერთო ლიბერალური პოლიტიკის შედეგი იყო. როგორც ცნობილია, 1844 წელს საქართველოში მთავარმართებლის ნაცვლად მეფის ნაცვლის ინსტიტუტი შემოიღეს. ამ თანამდებობაზე მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა, რომელიც ლიბერალურ მოღვაწედ ითვლებოდა.

1858 წლის 1 მარტს ისიდორე ნიკოლსკი კიევის მიტროპოლიტად გადაჰყავთ, ხოლო 1860 წელს ნოვგოროდისა და სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტია. ამავე წლიდან სინოდის პირველი იერარქია. მიღბული ჰქონდა რუსეთის ეკლესიისა და

სახელმწიფოს ყველა უმაღლესი ჯილდო. იყო არაერთი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებისა და სასწავლებლის საპატიო წევრი.

გარდაიცვალა 1892 წლის 7 სექტემბერს. სამი დღის შემდეგ მას 93 წელი უსრულდებოდა. სიცოცხლის ბოლო დღემდე აღავლენდა მსახურებას. დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მიუხედავად თავისი ერთგვარი ლიბერალიზმისა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლითა და მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დანიშვნით, რომელიც თავის მხრივ ცნობილი იყო „მათრახისა და ნამცხვრის“ პოლიტიკით, ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკიც ებრძოდა ყოველივე ქართულს. „ეკლესიათა სისუფთავის“ მიზნით ათეთრებდა და ანადგურებდა ფრესკებს. მან საღებავით დააფარინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, გრემისა და სხვა ტაძრების დიდებული ფრესკები. მან იმითაც გაითქვა სახელი, რომ ეკლესიებს ართმევდა მამულებს, რითაც საბოლოოდ აღატაკებდა მათ, იტაცებდა საეკლესიო ფასეულობებს. სხვა ეგზარქოსების მსგავსად აუქმებდა მონასტრებსა და ეკლესიებს, ამცირებდა ბერ-მონაზონთა რაოდენობას, რათა უპატრონოდ დარჩენილ განძს თავად დაპატრონებოდა. თუმცა ქართული საზოგადოებისთვის ბევრი რამ ეგზარქოსთა „ნამოღვაწარის“ შესახებ მათი საქართველოდან წასვლის შემდეგ ხდებოდა ცნობილი.

თავი III

საქართველოს ეგზარქოსები XIX საუკუნის მეორე ნახევარში

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი ეტაპი იწყება საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიამ ძირითადად დაასრულა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია და მისი რუსეთის ეკლესიის ნაწილად გადაქცევა, მეორე ნახევრიდან კი საეგზარქოსოს უმთავრესი მისია საქართველოს ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების კოლონიური ინტერესების სამსახურში ჩაყენება იყო.

ცვლილებები განიცადა საეგზარქოსოს ადმინისტრაციულ-სტრუქტურულმა ერთეულებმა. XIX საუკუნის II ნახევრისათვის იგი შედგებოდა: საქართველოს (ქართლ-კახეთის) ეპარქიისაგან, რომელსაც განაგებდა უშუალოდ საქართველოს ეგზარქოსი; აგრეთვე იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეპარქიებისაგან. საქართველოს ეპარქიაში დაარსდა სავიკარო (ქალაქ გორში), რომელსაც გორის ეპისკოპოსი განაგებდა. ეპარქიათა მმართველები, ეპისკოპოსები, რუსეთის უწმინდეს სინოდთან ურთიერთმიმართებას საქართველოს ეგზარქოსისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით ამყარებდნენ. ეპარქიებში სასულიერო პირთა ხელდასმა დაუშვებელი იყო საეგზარქოსოს კანცელარიასთან და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან შეთანხმების გარეშე. ეპარქიებში სრულყოფილი კონტროლის მიზნით, უწმინდესი სინოდის დადგენილებით, საშუალოდ ყოველ 10 ეკლესიაზე დაწესებული იყო ბლაღოჩინის, ანუ კეთილმოწესის შტატი, რომელიც სინოდალური კანტორის მიერ შედგენილი ინსტრუქციით მოქმედებდა და ევალებოდა საეკლესიო, სასულიერო პირთა მეთვალყურეობა.

1858 წლიდან საქართველოს ეგზარქოსს, რომელიც აქამდე მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდა, მთავარეპისკოპოსის ხარისხი მიენიჭა. რუსეთის უწმინდეს სინოდში ოთხი მუდმივი წევრიდან მხოლოდ საქართველოს ეგზარქოსი იყო მთავარეპისკოპოსის ხარისხით წარმოდგენილი; დანარჩენი სამი - კიევის, სანკტ-პეტერბურგის და მოსკოვის სამიტროპოლიტოების მმართველები იყვნენ და მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდნენ. უწმინდეს სინოდში საქართველოს ეგზარქოსს

კვლავ მეოთხე ადგილი ეკავა. ამდენად რუსეთის საეკლესიო იერარქიაში საქართველოს საეგზარქოსოს, ყოფილ ავტოკეფალურ ეკლესიას, უფრო დაბალი იერარქიული სტატუსი მიენიჭა, ვიდრე რუსეთის იმპერიის სხვა სამიტროპოლიტოებს.

1869 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, იმპერატორის ალექსანდრე II-ის ბრძანებით, დასახლებული თუ დაუსახლებელი საეკლესიო მიწები, ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონება სამუდამოდ გადავიდა ხაზინის საკუთრებაში, ამასთან საეკლესიო გლეხებს სახაზინო გლეხების სტატუსი მიეცათ. იმერეთსა და გურიაში საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის პროცესი 1871 წელს დამთავრდა, ხოლო სამეგრელოში 1880 წელს. არასრული მონაცემებით, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საეკლესიო მიწების რაოდენობამ 539649 დესეტინა შეადგინა, საეკლესიო გლეხთა რაოდენობამ 5147 კომლი. საეკლესიო მიწების ფართი შეფასდა 6780031250 მანეთად, რაც რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები იყო, სახელმწიფო ხაზინამ სოლიდური შემოსავალი გაიჩინა. საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონების წლიური შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში 68 015 125 მანეთით განისაზღვრა, აქედან საქართველოს საეგზარქოსოს ამ მამულების საკომპენსაციოდ მხოლოდ 106 000 მანეთი ეძლეოდა. საეკლესიო მამულების სეკულარიზაციით შეილახა საქართველოს ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა, სამღვდელოება პირდაპირ დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე.

ცვლილებები მოხდა საგადასახადო სისტემაში. არსებული ფორმა მეტად აკნინებდა სასულიერო პირების რეპუტაციას. ხშირ შემთხვევაში სამღვდელოების წარმომადგენლები გადასახდის აკრეფის მიზნით თავად დადიოდნენ ოჯახებში. მოსახლეობის დიდ ნაწილს სიღარიბის გამო, საშუალება არ ჰქონდა გადაეხადა სავალდებულო - ნატურალური თუ ფულადი გადასახადი. სამღვდელოების გარკვეული ნაწილი საეკლესიო წეს-ჩვეულებებს საფასურის გარეშე არ ასრულებდა. ადგილი ჰქონდა გადასახადების ძალდატანებით ამოღების შემთხვევებს. სასულიერო პირთა ანგარების გამო XIX ს-ის II ნახევრში მნიშვნელოვნად შეირყა სამღვდელოთა ავტორიტეტი, მათი კავშირი მრევლთან დაირღვა მათ შორის კეთილგანწყობა. ქართველი სამღვდელოების მოწინავე ნაწილი შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთებას გამოთქვამდა. 1899 წელს საქართველოს ეპარქიის სამღდელოების ყრილობამ დასვა საკითხი გადასახადის ამოღების არასასურველი ფორმის შეცვლაზე.

დადგინდა დაწესებული ნატურალური გადასახადი შეცვლილიყო ფულადით, თანხები შესულიყო ხაზინაში და მხოლოდ აქედან გაცემულიყო სასულიერო პირებზე. თუმცა, ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება გააჭიანურა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს საეგზარქოსო დაიყო ხუთ ეპარქიად: „1) საქართველოს ეპარქია (12 მონასტერი, 485 ეკლესია), რომლის შემადგენლობაში შედიოდა თბილისის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის და ერევნის გუბერნიები, ყარსის ოლქი, დაღესტნისა და იმიერკავკასიის რეგიონები; 2) იმერეთის ეპარქია (8 მონასტერი, 478 ეკლესია), რომელიც მოიცავდა ქუთაისის გუბერნიას, შორაპნისა და რაჭის მაზრებს; 3) ვლადიკავკაზის ეპარქია (2 მონასტერი, 122 ეკლესია), რომლის ფარგლებში იყო ჩრდილოეთ ოსეთი და თერგის ოლქი; 4) გურის-სამეგრელოს ეპარქია (5 მონასტერი, 407 ეკლესია), რომლის შემადგენლობაში შედიოდა ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი; 5) სოხუმის ეპარქია (1 მონასტერი 46 ეკლესია)“. საქართველოს ეპარქიის უშუალო მმართველად ითვლებოდა საქართველოს ეგზარქოსი. ამ ეპარქიაში მოქმედებდა მოზდოკის, ბაქოს, ერევნის, გორის და ალავერდის (1886 წლიდან) სავიკაროები, ხოლო დასავლეთ საქართველოში იმერეთის ეპარქიაში 1875-1885 წლებში შეიქმნა მხოლოდ ერთი, სამეგრელოს სავიკარო.[159]

§ 1. ეგზარქოსი ევსევი ილინსკი

(1858-1877 წ.წ.)

ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ილინსკი დაიბადა 1809 ან 2010 წელს ბელგოროდში, კურსკის გუბერნიაში, დიაკვნის ოჯახში. ბავშვობიდან ჩართული იყო ღვთისმსახურებაში. 13 წლის ასაკში დაობლდა და უკიდურეს გაჭირვებაში იზრდებოდა. სწავლობდა ჯერ კურსკის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი კიევის სასულიერო აკადემიაში. სემინარიაში სწავლისას მას მფარველობდა სასწავლებლის რექტორი, არქიმანდრიტი ანატოლი მარტინოვსკი. 1834 წლის 8 დეკემბერს ბერად აღიკვეცა ევსევის სახელით. მომდევნო წლის 1 იანვარს დიაკვნად, ხოლო 21 ივლისს მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. 1835 წლის 7 ოქტომბერს ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი მიენიჭა და კიევის სასულიერო აკადემიის პედაგოგად დაინიშნა. 1839 წლიდან კიევის სასულიერო სემინარიის რექტორია. ამავე წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1844 წლიდან ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორია. 1849 წლის 1 იანვარს კოვნოს ეპისკოპოსად აკურთხეს, 1851 წელს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გადაჰყავთ. 1858 წლის 1 მარტს საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება. ამავე დროს აიყვანეს მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

ეგზარქოს ევსევის საქართველოში დანიშვნის პერიოდში საეგზარქოსოს კანცელარიის საშტატო რაოდენობა ცხრა კაცით განისაზღვრა. გამოიყო შესაბამისი თანხაც, 4 050 მანეთი. 1860 წლის ივნისში დაარსდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“. იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1861 წლიდან საპატიო წევრი. ამ საზოგადოების საქმიანობის შედეგად, 1867 წელს მართლმადიდებლობას შემოუერთდნენ ერევნის გუბერნიაში მცხოვრები ასირიელები. 1863-1869 წლებში განახორციელა საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია. თბილისის სასულიერო სემინარიაში დააარსა ბიბლიოთეკა. მცხეთაში, სამთავროს მონასტერთან დააარსა წმ. მოციქულთა სწორის ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი.

ევსევი ილინსკის მმართველობის დროს ეკურთხა რამდენიმე ტაძარი: თბილისი სიონის ტაძარი, მას შემდეგ, რაც იგი გაგარინმა მოხატა (1861); წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ტაძარი თბილისი სასულიერო სემინარიაში (1862); წმ. სამების

ტაძრი (1863); მცხეთის ტაძარი (1874). რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად 1871 წელს საფუძველი ჩაეყარა სამხედრო ტაძრის მშენებლობას.[160]

პროფესორ ელდარ ბუბლაშვილის შეფასებით ეგზარქოსი ევსევი ილინსკი, აღჭურვილი განუსაზღვრელი უფლებებით, სდევნიდა ყოველგვარ თავისუფალ აზრს, ლანძღვა-გინებით მოიხსენებდა ქართველ სამღვდელოებას და ქართველ პედაგოგებს. ხშირად მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა. მის დროს განსაკუთრებით გაიზარდა ჯაშუშობა და დასმენები. იგი დაუპირისპირდა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს. ამის მიზეზი იყო გაბრიელ ეპისკოპოსის გამორჩეული ეროვნული საქმიანობა და ქართველთა შორის მისი ავტორიტეტი. ევსევის ესმოდა, რომ გაუჭირდებოდა ასეთი პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლა და ცდილობდა, ცრუ ბრალდებებით შეელახა მისი პატიოსანი სახელი. ამ სამარცხვინო საქმეში იგი ხშირად ქართველ სამღვდელოებასაც იყენებდა. რუსეთის უზენაეს სასულიერო უწყებას არწმუნებდა მის არასაიმედოობაში. პირველი ბრალდება, რაც იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს წაუყენეს, იყო გელათის მონასტრიდან უძველესი სიწმინდეების გატანა და გაყიდვა რუს კოლექციონერ პრასკოვია უვაროვასა და ბაბრინსკიზე. ამ ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია. სინამდვილეში საქმე სრულიად სხვაგვარად იყო, როგორც ცნობილია, ეპისკოპოსმა გაბრიელმა ქუთაისის გუბერნატორ ვლადიმერ ლევაშოვს ნება დართო, რომ გელათის მონასტრიდან წაეღო ძველი და ნაკლებად ღირებული საეკლესიო ნივთები. სამაგიეროდ გელათის მონასტრისათვის გადაეცა საეკლესიო საჭიროებისათვის ახალი ნივთები. მაგრამ გელათის მაშინდელმა წინამძღვარმა ბესარიონ დადიანმა რუს კოლექციონერებს გადასცა უძველესი გელათის სახარება, რომელიც მინანქარში იყო გაკეთებული, ამის შესახებ ეპისკოპოსმა გაბრიელმა არაფერი იცოდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ევსევი ეგზარქოსის ხელშეწყობით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ვლადიმერ ლევაშოვმა 1869 წელს გელათის მონასტრიდან გაიტანა მინანქრებიანი, ოქროთი დაფერილი, ვერცხლის ჩუქურთიმებიანი X საუკუნის ხახულის კარედიანი ხატი. გუბერნატორს ეგზარქოსთან შეთანხმებით, წინასწარ ხატის გატაცების გეგმაც შეუმუშავებია. მან რუს მხატვარ ვასილიევს შეუკვეთა ახალი ხატის ესკიზი, რომლის მოჭედილობა, ხახულის ხატის სახეების შესაბამისად შეასრულებინა მხატვარ საზიკოვს. ვლადიმერ ლევაშოვმა ხახულის ხატის ორიგინალის რამდენიმე ნაწილი კოლექციონერ მიხეილ ბოტკინს მიჰყიდა, ასლი კი გელათის მონასტერს დაუბრუნა. მომხდარმა ფაქტმა აღაშფოთა

ქართველი საზოგადოება. როგორც ვხედავთ, ეპისკოპოს გაბრიელს არანაირი დანაშაული წაყენებულ ბრალდებაში არ მიუძღოდა. პირიქით, იგი სიცოცხლის ბოლომდე წერილს-წერილზე გზავნიდა რუსეთში, რომ გელათის სახარებისთვის მოპარული მინანქარი დაებრუნებინათ, მაგრამ უშედეგოდ. დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ 1923 წელს მოხერხდა მისი საქართველოში დაბრუნება. იმავე ვლადიმერ ლევაშოვმა ეგზარქოს ევსევის თანხმობით, ვითომდა რესტავრაციის მიზნით, საქართველოდან წაიღო XI საუკუნის ოქროთი მოჭედილი და ტიხრული მინანქრებით გამშვენებული სახარება. გუბერნატორმა მას მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა მხატვარ საზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით. ვლადიმერ ლევაშოვის აღნიშნული ნაძარცვი მოხვდა პეტერბურგში სტროგანოვის მუზეუმში. აქედან შემდგომ საზღვარგარეთ გაიტანეს. ამჟამად სახარების ყდის ერთი ნაწილი ბერლინის მუზეუმში ინახება, მეორე კი ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებაა. ეგზარქოს ევსევის მითითებით გაიძარცვა თბილისის სიონის, მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ჯუმათისა და სხვა მონასტრებში არსებული ძვირფასი ქვებით შემკული ხატები. მისივე ხელშეწყობით, გრაფმა ბობრონსკიმ თბილისის სიონის ტაძრის სალაროდან გაიტანა და გაყიდა ძვირფასი მინიატურებით შემკული უძველესი ქართული ხელნაწერი. ამავე ტაძრიდან დაიკარგა რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა საეკლესიო განძეულობა. გაზეთ „რუსკაია სტატიას“ ცნობით, ევსევი ილინსკის ორ მილიონზე მეტი ღირებულების საეკლესიო ძვირფასეულობა გაუტანია საქართველოდან.[161] ნიკოლოზ დურნოვოს ინფორმაციით, ევსევის ეგზარქოსობის დროსვე გაუტანიათ ოქრომკედით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათოლიკოს-პატრიარქების შესამოსელი.“ „ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული. მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოიყენეს გულქანდების დასამზადებლად. განძეულის დატაცებასა და შეცვლაში ადანაშაულებდნენ გრაფ პანინსა და გენერალ ლევაშოვს, რომლებმაც ნებართვა ეგზარქოს ევსევისაგან აიღეს“. „ლიხთ-იმერეთის კათალიკოს-პატრიარქის შესამოსელზე, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ცნობილია შემდეგი: სამღვდელმთავრო ბისონზე ამოქარგული იყო რწმენის სიმბოლო ბერძნულ ენაზე, მარჯვენა სახელოზე - რწმენის სიმბოლოს პირველი წევრი, ბისონის წინა ნახევარზე

(რომელიც გაყოფილი იყო ამოქარგული 12 მოციქულის ეპიტრაქილით) შემდეგი ექვსი წევრი, მარცხენა სახელოზე - მერვე, მეცხრე, მეათე; უკანა მხარეზე გამოსახული იყო ტახტზე დაბრძანებული მაცხოვარი ქრისტე წიგნით ხელში. მის ზემოთ მეთერთმეტე წევრის სიტყვები, ქვემოთ კი - მეთორმეტის, როცა პატრიარქი კათედრაზე დაჯდებოდა, სამოსლის უკანა ნახევარი გადაიფინებოდა, ასე რომ, სარწმუნოების გამოცხადებას ყველა ხედავდა. მარგალიტით მოოჭვილი მიტრა დამშვენებული იყო ბრილიანტის ჯვრით, რომელიც ერთ დროს მეფე ვახტანგ გორგასლის გვირგვინს ამკობდა. ეს მსხვილი ბრილიანტი ვახტანგ მეფემ სპარსეთში ლაშქრობების დროს მოიპოვა. ჯვარი, რომელიც იმერეთის კათალიკოსს მიუძღვოდა წინ, მთლიანი ლალისა იყო, ამჟამად სარდიონის ქვისაგანაა შეცვლილი“.[162]

მეორე ბრალდება, რაც გაბრიელ ეპისკოპოსს წამოუყენეს, იყო ის, რომ იმერეთის ეპისკოპოსი თავადებისაგან ინდულგენციებს იღებდა შენდობის ლოცვის წაკითხვაში, ეს ბრალდება იმდენად სწრაფად გავრცელდა, რომ იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების გარკვეულმა ნაწილმა დაიჯერა კიდეც და მეუფე გაბრიელს გაუწყრნენ. მათ შორის იყო აკაკი წერეთელიც, რომელმაც გადაწყვიტა, გაბრიელ ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ გაზეთ „დროებაში“ წერილი გაეგზავნა დასაბეჭდად, თუმცა გამოქვეყნებამდე შეხვდა მღვდელმთავარს. შეხვედრისას აკაკის საყვედურზე ეპისკოპოსს ასეთი პასუხი გაუცია: „ძალიან მომწონს ეგ შენი აღელვება და მიხარია, რომ საზოგადო საქმის ტრფიალმა, და არა საპირადო რამ, იქამდის მიგიყვანა, რომ მოთმინებიდან გამოგიყვანა და ოჯახის შვილის ზრდილობაც დაგაკარგვინა! ახალგაზრდობა - ახლად ამოღებული ყაჭია, რომელსაც, დახვეწა ეჭირვება და მისი დამხვეწიც გამოცდილებაა. ღმერთმა ინებოს, რომ შენ მაგ გრძნობებისათვის ხელი არ შეგეშვას! საზოგადო საქმეების გამო თავგამოდება ზნედ გადაგიქციოს! ეგ აჩქარება თავშეუკავებლობა ცოტა წინდაუხედავობა და ამგვარი რამ შეცდომები ქერწლია, რომელსაც დრო გააცლის და გამოცდილება დახვეწავს!... შენ ხანში სწორედ მეც მაგრე ვიყავი, მაგრამ დღეს კი ისე რომ მოვიქცე, არ შემშვენის... შენც კარგად იცი, რომ მე ახალ ჩამოსულობაზე პირველ ხანებში, კრებულისათვის, თუ არა ჩემთვის საწირავსაც არ ვიღებდი და დღეს კი შენდობის წიგნს ვუკითხავ მსურველებს და მათგან მოწოდებულ წვლილსაც ხელს ვკიდებ. რად? იმიტომ, რომ გამოცდილებამ სულ სხვა რამეზე დამარწმუნა, ჯერ ერთი ეს რომ ჩვენს ხალხს ადრითგანვე ჩვეულებად ჰქონია, მღვდელ-

მთავრისაგან შენდობის გამოთხოვა რჯულის კანონად ჰქონია გადაქცეული!... როცა შენდობას ითხოვს, ცხადია, რომ ის თავის გულში იხედება. სინანულში ვარდება და ეს კარგია... ამგვარი რამ ადამიანს გულიდან არ უნდა ამოერეცხოს! და რაც შეეხება სასყიდელის აღებას, ეს ისე აუცილებელ და საჭირო ძღვნად მიაჩნია ჩვენ ხალხს, როგორც ხატის წინ სანთლის ანთება! ამის აკრძალვას ისე მიიღებს, როგორც სანთლის ანთების დაშლას. ახლა პრაქტიკულადაც გავსინჯოთ ეს საქმე, ის თვითო-ოროლა წვლილი, რომელსაც იძლევიან თავის სურვილით ამათ არად დააკლდებათ, ბევრი მათგანი სულ ცუდად დახარჯავს წარა-მარა სადმე დუქანში ლოთობის დროსა და მე-კი ვაგროვებ და საზოგადო დანიშნულებას ვაძლევ, ამგვარად მათი წვლილის შეგროვება და ხარჯვა შემწირველისათვის მადლია და ქვეყნისათვისაც სასარგებლო“[163] - ამ განმარტების შემდეგ აკაკი წერეთელს მეუფისათვის შენდობა გამოუთხოვია.

ეპისკოპოს გაბრიელის წინააღმდეგ განხორციელებულმა ცილისწამებებმა თავისი შედეგი გამოიღო, მას ჯერ მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე მოუკლეს და შემდეგ თავადაც მიიღო მუქარის შემცველი წერილი. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მღვდელმთავარს ურჩევდნენ, ქვეყანა დაეტოვებინა. თავიდან ეპისკოპოსი მართლაც ფიქრობდა სამშობლოს დატოვებას, რის შესახებაც გაზეთ „დროების“ მეშვეობით აცნობა 1885 წელს ქართულ საზოგადოებას: ,,ჩემი სურვილის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ დიდ ხნის სიცოცხლე მაინც არ მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტა. ამან მაფიქრებინა ჩემი ქვეყნის დატოვება, მაგრამ, როგორც ვხედავ, მართლა სწუხს საზოგადოება და არ ჰსურს ჩემი მოშორება, რომ კიდევაც გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა“.[164] მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობებისა, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეპისკოპოს გაბრიელის გატეხა. სიცოცხლის ბოლომდე იგი მტკიცედ იდგა ეროვნული ინტერესების დამცველთა შორის.

1877 წლის 8 დეკემბრიდან ევსევი ტვერისა და კასინსკის მთავარეპისკოპოსია.

გარდაიცვალა 1879 წლის 12 მარტს.

ეგზარქოსმა ევსევი ილინსკიმ კიდევ უფრო გააქტიურა ეკლესიების ძარცვა. ის გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავხედობით და ისეთ საეკლესიო საგანძურსაც კი

შეეხო, რომლის ხელყოფა მისმა წინამორბედებმაც კი ვერ შეძლეს. საქართველოში ჩამოსვლამდე, როგორც ცნობილია, მას სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა, აქედან კი გამდიდრებული წავიდა. მას ისე ჰქონდა გატეხილი სახელი, რომ ქართველი ბერები მისი მონასტრებში ჩასვლის მოლოდინში მიწაში მარხავდნენ ძველ ხელნაწერებსა და გადარჩენილ ფასეულობებს. იგი ცნობილი იყო თავისი გარყვნილებითაც. სამწუხაროდ, აი ასეთი პიროვნება მართავდა საქართველოს ეკლესიას ოცი წლის განმავლობაში.

§ 2. ეგზარქოსი იოანიკე რუდნევი

(1877-1882 წ.წ.)

ერისკაცობაში ივანე მაქსიმეს ძე რუდნევი დაიბადა 1826 წლის 20 თებერვალს (სხვა ცნობით, იგი 1827 წელს დაბადებულა) ტულის გუბერნიაში, ღარიბი მედავითნის ოჯახში. თავიდან ტულის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1849 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. იმავე წლის 11 ოქტომბერს ბერად აღკვეცეს იოანიკეს სახელით. 1854 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1856 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიის ინსპექტორია, ხოლო 1868 წლის 6 ოქტომბრიდან პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორად გადაჰყავთ. 1861 წლის 12 ივნისს ვიბორგის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1864 წლიდან სარატოვის ეპისკოპოსია, 1873 წლიდან - ნიჟეგოროდისა და არზამასის. 1877 წლის 14 თებერვალს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს, ხოლო ამავე წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება.

საქართველოში მმართველობისას იოანიკე რუდნევმა თავი გამოიჩინა, როგორც დახვეწილმა დიპლომატმა. შეისწავლა ქართული ენა, თბილისის სასულიერო სემინარიაში გახსნა ქართული ენის კათედრა. 1879 წელს ეგზარქოსის ინიციატივით მცხეთაში, სამთავროს მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი გადაიტანეს თბილისში. სასწავლებელთანვე გაიხსნა თავშესაფარი სასულიერო პირთა ობლად დარჩენილი შვილებისათვის. ამ საქმისთვის იგი პირად თანხებსაც არ იშურებდა, რის გამოც, ეგზარქსოს იოანიკეს გარდაცვალების შემდეგ, მისი სახელი მიენიჭა. 1880 წელს დააარსა „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ძმობა“, რომლის მიზანი იყო ხელმოკლე მოსწავლეთა დახმარება. მისი მმართველობის პერიოდიდან ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა ტიპის სასწავლებელში. ეგზარქოსის დამსახურები იყო, რომ სანთლის ქარხნის შემოსავალი სამღვდელოებას გადაეცა. მან დიდი ყურადღება დაუთმო ტრადიციული ქართული საგალობლების აღორძინებას. ეწეოდა აქტიურ სამისიონერო მოღვაწეობას, განსაკუთრებით ახლადშემოერთებულ აჭარაში.[165]

ეგზარქოს იოანიკე რუდნევიდან მოყოლებული საქართველოს ეგზარქოსებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე წიგნში „ჩემი მოგონებებიდან“.

იოანიკემ, თავისი მოღვაწეობით, ქართველ ხალხში, რომლისთვისაც ბოლომდე უცნობი დარჩა მისი ფარული განწყობა ქართველებისადმი, სამართლიანი და ქველმოქმედი მღვდელმთავრის სახელი დაიმკვიდრა. ქართველმა საზოგადოებამ რუსი მღვდელმთავრისადმი თავისი კეთილგანწყობა იმით გამოხატა, რომ კიევის მიტროპოლიტად დანიშნულ იოანიკეს 1899 წელს სასულიერო მოღვაწეობის ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. საქართველოდან გაწვევის შემდეგ იოანიკე მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტად დანიშნეს. საქართველოდან მიმავალი ჯვრის უღელტეხილთან მობრუნებულა საქართველოსკენ, პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს: „გმადლობ, შენ, უფალო, ყოვლად წმიდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, ამ ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდიო“, არადა საქართველოში იგი თითქოს „უყვარდათ“.[166]

აი რას ამბობდა იგი ქართველების შესახებ: „მათ (ქართველებს) ხომ არ აქვთ განსჯის უნარი: გონებაჩლუნგნი არიან, მაგრამ რასაც დაიჩემებენ, აღარ გადათქვამენ. კაცის მოკვლა არაფრად უღირთ. ნათესაობას მეთოთხმეტე თაობამდე ითვლიან, თუმცა ხანჯალი ჩასცენ ღვიძლ ძმას, მათთვის ძნელი არ არის, შმაგი ხალხია: ოდნავ აღელვებაზე კარგავენ წონასწორობას და იძრობენ ხანჯალს“.[167]

„ეგზარქოსი იოანიკე მღვდლობის მსურველებს 500-600 მანეთს ართმევდა და ამგვარად მნიშვნელოვანი თანხა დააგროვა, რომლის ერთი ნაწილი თვით სასწავლებლის (იგულისხმება თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი. ბ.ნ.) მოწყობას მოახმარა, ხოლო მეორე ნაწილი სამღვდელოების ობლების მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლის, დიდი კნეინა ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის თექვსმეტი სტიპენდიანტის განათლებასო“.[168]

1882 წლიდან მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტია.

1883 წლის მაისში იგი ხელმძღვანელობდა ალექსანდრე III-ის იმპერატორად კურთხევას. 1891 წელს წმინდა სინოდის ობერპროკურორი კონსტანტინე პობედონოსცევი წერდა იმპერატორ ალექსანდრე III-ს, რომ გადაეყვანათ მიტროპოლიტი იოანიკე კიევის კათედრაზე, რადგანაც მოსკოველებმა იგი ვერ შეიყვარეს, მართალია იგი უმწიკვლო ადამიანია, მაგრამ მშრალი და არ უყვარს საზოგადოებასთან ურთიერთობა. იმპერატორი დაეთანხმა მის გადაყვანას და 1891 წლის 17 ნოემბრიდან ის კიევის მიტროპოლიტია. 1896 წლიდან მიტრაზე ბრილიანტის

ჯვრის ტარების უფლება მიეცა. სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ პალადის (რაევი) გარდაცვალების შემდეგ, 1898 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით, წმინდა სინოდის უპირატეს წევრად დაინიშნა, რაც უჩვეულო იყო კიევის მიტროპოლიტისათვის.

გარდაიცვალა 1906 წლის 7 ივნისს, დაკრძალულია კიევის პეჩორის ლავრაში.

§ 3. ეგზარქოსი პავლე ლებედევი

(1882-1887 წ.წ.)

ეგზარქოსი პავლე ლებედევი (ერისკაცობაში პეტრე ვასილის ძე ლებედევი) დაიბადა 1827 წლის 12 დეკემბერს ტვერის გუბერნიაში, დიაკვნის ოჯახში. 1843 წლიდან შევიდა ტვერის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1853 წელს დაამთავრა. ამავე წლის 28 ივნისს ბერად აღიკვეცა პავლეს სახელით, 5 ივლისს დიაკვნად, ხოლო 26 სექტემბერს მღვდლად აკურთხეს. 1855 წელს ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. 1857 წელს პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დაინიშნა. 1858 წლის 14 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხში აჰყავთ (1859 წლიდან აკადემიის ინსპექტორია). 1861 წელს სმოლენსკის სასულიერო სემინარიის რექტორად ინიშნება, ხოლო 1866 წელს პეტერბურგის სემინარიისა. 1868 წლის 8 სექტემბერს ვიბორგის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1869 წელს ლადოგის ეპარქიაში გადაჰყავთ. 1871 წლიდან კი კიშინიოვის ეპისკოპოსია. 1879 წლის 1 აპრილს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს. 1882 წლის 16 ივლისს საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება. 1887 წლის 19 სექტემბერს ყაზანის ეპარქიაში გადაჰყავთ. გარდაიცვალა 1892 წლის 23 აპრილს.

საქართველოში ახლადდანიშნულ ეგზარქოსს მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოუთქვამს სამწყოს წინაშე სვეტიცხოვლისა და სიონის ტაძრებში. რუს ეგზარქოსებს შორის ანტიქართული მოღვაწეობით პავლე ლებედევი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ის იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როცა იმპერიის მასშტაბით რეაქციის ხანა მძვინვარებდა. რეაქციის შედეგებმა განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა საქართველოზე. რუსი მოხელეები ცდილობდნენ, ამოეძირკვათ ყოველგვარი ეროვნული გამოვლინება, მეფისნაცვლის ინსტიტუტი მთავარმართებლით შეცვალეს, სახელწოდება საქართველო ამოიღეს და მის ნაცვლად „ქუთაისის“ და „თბილისის“ გუბერნიას იყენებდნენ. რუსეთის სასულიერო უწყების სურვილი იყო, პავლე ლებედევს ყოველგვარი ხმაურის გარეშე გაეტარებინა იმპერიული პოლიტიკა. ხელისუფალთა არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. პავლე ლებედევი სასულიერო პირთა შორის ჭკვიან და განათლებულ პიროვნებად მოიაზრებოდა. ობერპროკურორ ვლადიმერ საბლერის დახასიათებით, იგი იყო „ყველაზე გონებანათელი, ყველაზე მოწინავე მღვდელმთავარი, მღვდელმთავართაგან საუკეთესო, ჭკვიანი, საქმიანი, ენერგიული, კეთილშობილი.

ქართული წყაროებიც საგანგებოდ მიუთითებენ მის ნიჭიერებაზე, იგი შესანიშნავი მოქადაგე და მჭევრმეტყველი ყოფილა. მისი ქადაგებების კრებული 1885 წელს რუსულ ენაზე თბილისში გამოქვეყნდა. ხოლო ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორმა, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ 1887 წელს გამოსცა აღნიშნული ქადაგებების ქართული თარგმანი. რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ასეთი თვისებების მქონე ეგზარქოსი დაკისრებულ მოვალეობას ზედმიწევნით შეასრულებდა.[169]

1884 წელს, 22 ნოემბერს, დიმიტრი ყიფიანს სიტყვით მიუმართავს ეგზარქოს პავლესთვის: თქვენი ჩამოსვლისთანავე გაისმა თქვენი სიტყვები - „მოველ თქვენდა და მომაქვს მშვიდობა და კურთხევა“, „მოველ აქ, დაუმთავრებელი დავამთავრო, ნაკლოვანებები გამოვასწორო“.[170]

დიმიტრი ყიფიანი თავისი ხალხის ღირსების შეგნებით ხვდება ეგზარქოსს, რომელსაც ეუბნება: ყოველი თქვენი ეს ნათქვამი მანიჭებს სიმხნევეს, მოგესალმოთ ქართველი თავადაზნაურობის სახელით. შემდეგ კი დიმიტრი ყიფიანს კონკრეტული მოთხოვნები წაუყენებია ეგზარქოსისათვის და უთქვამს: „სემინარიაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ენას, ასე რომ სემინარიაში კურსდამთავრებული მღვდელი ხშირად არც კი იცნობს ქართული ეკლესიის ისტორიას და უჭირს კიდეც კითხვა ქართული ლოცვებისა და საეკლესიო წიგნებისა... ვაძლევ თავს ნებას და ვაწუხებ თქვენს მწყემსმთავრულ ყურადღებას იმ ცხადი ჭეშმარიტების მიხედვით, რომ ხალხს, რომელსაცა აქვს მრავალსაუკუნეთა სახელოვანი წარსული არ შეიძლება მოეთხოვოს დავიწყება იმისი, რადგან ანდერძი ჩვენი მამა-პაპათა, ჩვენი ისტორიისა არის ერთგულება ღვთისა, ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და სამშობლოსათვის თავდადება.“[171]

იაკობ გოგებაშვილი ასეთ შეფასებას აძლევს ახლადდანიშნული პავლე ეგზარქოსის საქმიანობას: 1. პავლეს დანიშვნიდან მცირე ხნის შემდეგ ადგილი ჰქონდა სასულიერო სასწავლებლების ქართველი ზედამხედველების შეცვლას არაქართველებით. ამ უკანასკნელთ ქართული ენა არ იცოდნენ და იძულებული იყვნენ თარჯიმნების საშუალებით ესაუბრათ მოსწავლეთა მშობლებთან და სასწავლებელში ახლად მოყვანილ ბავშვებთან. 2. პავლეს დროიდან მოსპეს ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში საღმრთო ისტორიის და კატეხიზმოს სწავლებისას. შეკვეცეს ქართული ლიტერატურის პროგრამა და შემოფარგლეს იგი ზოგიერთი

საეკლესიო ღვთისმსახურების ნაწარმოებით; სავალდებულო გახადეს ქართული სასულიერო ლიტერატურის უსათუოდ რუსულ ენაზე სწავლება, შეზღუდეს აგრეთვე ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში ამავე ენის გაკვეთილებზე. არასავალდებულო გახდა ქართული ენის შესწავლა ქართველი ხალხის მომავალ მოძღვართათვის. ამის გამოა, რომ ზოგიერთი ქართველი სემინარიელის ატესტატში ვხვდებით ქართულ ენაში ნიშნის მაგივრად შენიშვნას - „არ უსწავლიათ“. 3. ეპარქიული სასწავლებლის ინსპექტორმა პრიხოდინმა ინსპექტორის ადგილი დაკარგა იმის გამო, რომ მან აღძრა შუამდგომლობა საგანგებო თანხის გამოყოფაზე ქართული ენის გაკვეთილების რიცხვის გასადიდებლად. 4. პავლე არამც თუ თვითონ არ ცდილობს ისწავლოს ქართული ენა და ღვთისმსახურების დროს ლოცვები წარმოთქვას ქართული ენაზე, არამედ სხვა რუსებსაც არ აძლევს საშუალებას ისწავლონ თავისი მრევლის ენა. 5. ალექსანდროვის ეკლესიაში, რომლის მრევლი ნახევრად ქართველებისგან შედგება, ორივე მღვდლად რუსები დანიშნეს, მათ ქართული ენა არ იციან და მრევლის ქართულ ნაწილს არა აქვს შესაძლებლობა მოისმინოს წირვა-ლოცვა გასაგებ ენაზე, რაც ეწინააღმდეგება ერთ-ერთი მსოფლიო კრების დადგენილებას. 6. სასულიერო ხელისუფლებამ გასცა ბრძანება, რომლის თანახმად, ქართველს არა აქვს უფლება ითხოვოს დიაკვნის ადგილი სოფლებშიც კი, თუ მან არ იცის რუსული ენა. 7. ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და მისი ნოტებზე გადაღების მიზნით, ჩამოყალიბდა კომიტეტი, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი, რომელიც ამ საქმის საწინააღმდეგო აზრს ადგა; ეს საქმე ჩაიფუშა, ხოლო როცა ამ აზრის განხორციელებას ხელი მოჰკიდა თბილისის მუსიკალური სკოლის დირექტორმა იპოლიტოვ-ივანოვმა და შეუდგა ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას საქართველოს ეპარქიის ქორეპისკოპოსის ალექსანდრეს მატერიალური დახმარებით, ქართული საეკლესიო გალობის საუკეთესო მცოდნენი - მღვდლები კარბელაშვილები - მოულოდნელად თბილისიდან პროვინციაში გადაიყვანეს, რის გამოც იპოლიტოვ-ივანოვი იძულებული გახდა შუა გზაზე მიეტოვებინა საეკლესიო სიმღერების ნოტებზე გადატანა. 8. სემინარიაში ისეთი გულმოდგინებით ახორციელებენ დამსჯელ ზომებს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილ და გარიცხულ მოსწავლეთა რიცხვი 50-მდე აღწევს. ამის გამო სემინარიის პირველ კლასში შესული ოთხი მოსწავლიდან მხოლოდ ერთი

ამთავრებს კურსს, ხოლო დანარჩენ სამს ითხოვენ ან რიცხავენ სემინარიიდან. 9. არავინ ზრუნავს სემინარიელთა მატერიალურ მდგომარეობაზე. სემინარიელების ფერმკრთალობამ, ღონემილეულობამ, მათმა ღარიბულმა ჩაცმულობამ ყველა გააკვირვა ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს. 10. ადრე უფროსის უხეშად შეურაცხყოფისათვის მოსწავლეს სჯიდნენ, ხოლო უფროსი გადაჰყავდათ შიდა რუსეთში, ახლა კი (პავლეს დროს) მოსწავლეს რიცხავენ, ხოლო უფროსებს დაუყოვნებლივ აჯილდოებენ და ტოვებენ თავის ადგილზე. 11. სემინარიაში თორმეტი დამრიგებლიდან მხოლოდ სამია ქართველი. არცერთი ქართველი არ არის პედაგოგური საბჭოს წევრი, რომელიც მოსწავლის ბედს წყვეტს. 12. ახლანდელი რუსი დამრიგებლების წრე არის კორპორაცია, რომელიც ყოველივე ქართულს უარყოფითად უყურებს. მას არ სურს იცოდეს არც ენა, არც ისტორია და არც ყოფა-ცხოვრება იმ ხალხისა, რომლისთვისაც მოღვაწეებს ამზადებს. ისინი ზრუნვით, ჰუმანურად ეპყრობიან რუს მოსწავლეებს, ხოლო ქართველებს - გულცივად, მკაცრად.[172]

ეგზარქოსი პავლე უხეშად ექცეოდა და აბუჩად იგდებდა ქართველ სასულიერო პირებს. კალისტრატე ცინცაძე ასეთ შემთხვევას იხსენებს: „მეუფე პავლე უდავოდ ნიჭიერი, განათლებული, მჭერმეტყველი კაცი გახლდათ, მაგრამ ამავე დროს ფიცხი და ენაშეუნახავი. მე ვიყავი მისი სტიქაროსან-კვერთხისმტვირთველი (1883-1886), ს.ს. ვირსალაძე (შემდგომში პროფესორი, მედიცინის დოქტორი) კი - წიგნის დამჭრი, რაც უფლებას გვაძლევდა, წირვისას ვხლებოდით მას. ჩვენ, სემინარიელებს, მეუფე პავლე ყოველთვის კორექტულად და თითქოს კეთილგანწყობითაც კი გვეპყრობოდა. საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებზე 2-3 მანეთით გვასაჩუქრებდა, მაგრამ სამღვდელოებას უხეშად ექცეოდა. მაგალითისთვის ერთ შემთხვევას გავიხსენებ: იდგა შობის წინა დღე, როცა წირვის დროს ტიპიკონით „სამეუფეო მრავალჟამიერი“ უნდა შესრულებულიყო და სრულად წარმოთქმულიყო იმპერატორის ძალიან გრძელი ტიტული. მთავარდიაკვანმა, მამა მ. დავითაშვილმა, თავისი საქმის ჩინებულმა მცოდნემ, „მრავალჟამიერი“ ჩვეულებრივ დაიწყო, მაგრამ ხმა აღარ ეყო და „კაკაფონია“ განმოუვიდა. ამ ამბავმა ეგზარქოსს წონასწორობა დააკარგვინა და ამბიონიდან (ხელში ჯვარი ეჭირა) მთელი ეკლესიის გასაგონად უყვირა: „ვირო!“ (საბედნიეროდ ეკლესიაში ხალხი ცოტა იყო).[173]

როგორც აღვნიშნეთ, პავლე ლებედევის მმართველობა რეაქციის ხანას დაემთხვა. მისი შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო საგანმანათლებლო სფეროში. ეგზარქოსთან ერთად რუსიფიკატორული პოლიტიკის ორგანიზატორები იყვნენ კავკასიის მთავარმმართებლები ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წ.წ.) და სერგეი შერემეტიევი (1890-1896 წ.წ.), ასევე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი და სხვები.

საარქივო მასალებში დაცულია 1882 წლის 28 ივლისით დათარიღებული სინოდის ობერპროკურორის კონსტანტინე პობედონოსცევის საიდუმლო წერილი საქართველოს ეგზარქოს პავლესადმი. წერილიდან ირკვევა, რომ ობერპროკურორს სასულიერო სემინარიების ადმინისტრაციებისაგან მოუთხოვია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის სასულიერო და საერო პერიოდულ გამოცემებს იწერდნენ სემინარიები, საიდანაც ირკვევა, რომ საკმარისად დიდი თანხები იხარჯებოდა სემინარიების შემოსავლებიდან ე. წ. „ლიბერალური“ ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად. ეს გამოცემები არ იმსახურებენ არც მთავრობისა და არც საღადმოაზროვნე საზოგადოების ნდობას. ისინი ხშირად ღიად თუ დაფარულად ემსახურებიან ცრუ სწავლებებს. ობერპროკურორი არ გამორიცხავს იმას, რომ სემინარიის პედაგოგები გაეცნონ ამ მასალებს, რათა კარგად გაერკვნენ თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, ოღონდ ესეც მოციქულის შეგონებით: „ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ“ (1 თეს. 5, 21). მაგრამ ეს არამც და არამც არ ეხება მოსწავლეებს. შემდეგ კონსტანტინე პობედონოსცევი ჩამოთვლის ამ გამოცემებს: «Отечественные Записки», «Русская Мысль», «Вестникъ Европы», «Дело», «Мысль», «Голосъ» და სხვები. ბოლოს ობერპროკურორი ითხოვს ეგზარქოსისაგან შეიზღუდოს ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ აიკრძალოს გარკვეული გამოცემების გამოწერა.[174]

XIX საუკუნის 80-იან წლებში, გარდა საყოველთაო ხასიათის რეაქციისა, ქართველების მიმართ შემოიღეს სასტიკი და დამამცირებელი ზომები: სამსახურში ქართველებს არ იღებდნენ თუ არა განსაკუთრებით ერთგულთ, სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართულ ენას სულ უფრო სდევნიდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი ქართული კულტურიდან გამოეთიშათ.

ქართული ენა განსაკუთრებით თბილისის სემინარიაში იყო შევიწროებული. 80-იანი წლების შუა ხანებში აქ ქართული ენა არ ისწავლებოდა, ხოლო ქართულ

ლიტერატურას რუსულ ენაზე ასწავლიდნენ. ეკლესიებში წმინდანთა სახელების ქართული წარწერები სლავურით შეიცვალა.

სემინარიიდან არაერთი მოსწავლე გარიცხეს ქართული წიგნის, გაზეთის ან რაიმე ლიტერატურის კითხვისთვის. მოსწავლეთა დევნა-შევიწროების მოთავე სემინარიის რექტორი ჩუდეცკი იყო. იაკობ გოგებაშვილი ასეთ ფაქტს გადმოგვცემს: სემინარიის მოსწავლეს, სილიბისტრო ჯიბლაძეს, 1885 წელს რექტორი გაულახავს. ჯიბლაძე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მსმენელად სწავლასა და ყოფაქცევაში. მას ფეხზე სიმსივნე გასჩენია და საავადმყოფოში დაწოლილა. იქ ის, ნაცნობისაგან ნათხოვარ წიგნს კითხულობდა. სემინარიის დირექციამ მოსთხოვა წიგნი, მაგრამ უარი მიიღო, ამის გამო ჯიბლაძე გარიცხეს, თუმცა დამამთავრებელ კლასში იყო. ჯიბლაძე საშინლად გამწარებულა - თოთხმეტი წლის შრომა წყალში ჩამეყარაო - უთქვამს. იგი დაუყოვნებლივ გამოუწერიათ საავადმყოფოდან, ვითარცა სემინარიიდან გარიცხული. ჯიბლაძე დაუდარაჯდა რექტორს და სცემა, თმა და წვერი ააგლიჯა. შემდეგ მოწაფეებმა, ეს წვერი და თმა კონვერტში ჩადეს და წააწერეს - «Твоя от твоих тебе приносяще от всех и за вся».[175]

თბილისის სასულიერო სემინარიაში დაძაბულმა ვითარებამ კულმინაციას 1886 წელს მიაღწია, როცა სასწავლებლიდან გარიცხულმა სტუდენტმა იოსებ ლაღიაშვილმა ამავე წლის 24 მაისს სასიკვდილოდ დაჭრა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელობასა და მანამდე განვითარებულ მოვლენებს გადმოგვცემს არკადი ხუნდაძე. სემინარიის სტუდენტ იოსებ ლაღიაშვილს აღმოუჩინეს დღიური, რომელშიც ლანძღავდა სემინარიის ხელმძღვანელობას. ამის გამო მას შეუწყვიტეს სახელმწიფო დაფინანსება და თვეში მხოლოდ ექვსი მანეთი ეძლეოდა. ის ასევე აქტიურად მონაწილეობდა საიდუმლო ხელნაწერი გაზეთის, „ყვავილის“ გამოცემაში. მიუხედავად არა ერთი სასჯელისა ლაღიაშვილი თავისას არ იშლიდა. 1886 წლის 12 მარტს მასთან ბინაზე მივიდა სემინარიის ინსპექტორი სტეფანოვი და მოსთხოვა ეჩვენებინა მისთვის რვეულები და წიგნები, რაზეც უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ ეს ლიტერატურა ყვლა მას არ ეკუთვნოდა. ჩხრეკისას აღმოუჩინეს ჟურნალი „Отечественные записки“. ლაღიაშვილმა არც ეს ჟურნალი დათმო. სტეფანოვმა რექტორთან უჩივლა. რექტორმა პავლე ჩუდეცკიმ იოსებ ლაღიაშვილს მოსთხოვა, პირადი თხოვნის საფუძველზე დაეტოვებინა სემინარია. ლაღიაშვილი იძულებული

გახდა დათანხმებულიყო, მაგრამ ითხოვდა დღიურის დაბრუნებას, რაზეც უარი მიიღო. სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ იოსებ ლაღიაშვილი იძულებული იყო კერძო მოწაფეების მომზდებით ერჩინა თავი, მაგრამ ამ საქმეშიც ჩუდეცკი ჩაერია და მოწაფეების მშობლებს აუკრძალა შვილების მასთან მომზადება, რითაც იოსებს მოუსპო უკანასკნელი შემოსავალი. ამის შემდეგ ლაღიაშვილი არა ერთხელ ითხოვს რექტორისაგან სემინარიაში აღდგენას, რაზედაც ცივ უარს იღებს. ყოველნაირად იმედდაკარგული იგი რექტორს გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მოწმობას სთხოვს, რომ სადმე სოფლის მასწავლებლად მაინც მოწყობილიყო. ამაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ ის ეგზარქოს პავლე ლებედევთან მიდის და სთხოვს დიაკვნად აკურთხოს. ამ თხოვნაზეც უარს იღებს. იმედგადაწურული იოსებ ლაღიაშვილი შეიძენს ხანჯალს, სემინარიაში მიაკითხავს რექტორს და კიდევ ერთხელ სთხოვს სასწავლებელში აღდგენას. რექტორი სასტიკ უარს უცხადებს. მაშინ იოსები აღელვებული ხმით ეუბნება რექტორს: - მამაო, მითხარ, როგორ მოვიქცე, ყაჩაღად ხომ ვერ წავალ?

- შენ მართლა ყაჩაღობის ღირსი ხარ, - პასუხობს რექტორი.

ამ დროს იოსები იღებს ხანჯალს და თან ამბობს:

- დღემდე საყაჩაღო არაფერი დამიშავებია და ახლა ვნახოთ, - და ამ სიტყვებით რამოდენიმე ადგილას ხანჯალს ჩასცემს ჩუდეცკის.

მძიმედ დაჭრილო რექტორი გარბის შემდეგ ოთახში, მაგრამ სისხლით შეღებილი იოსები ედევნება მას და უმოწყალოდ ჩასცემს კიდევ ხანჯალს. ეს მოხდა 1886 წლის 24 მაისს.[176]

პავლე ჩუდეცკის დაკრძალვისას, საქართველოს ეგზარქოსმა, არქირეაქციონერმა პავლემ, საჯაროდ დაწყევლა ქართველი ერი. დაკრძალვის დროს ეკლესიაში იყო მთელი გენერალიტეტი, რომლის ქართველ წევრებს პროტესტის ნიშნად დაუტოვებიათ ეკლესია და გარეთ გამოსულან. „კავკაზმაც“ კი ვერ გაბედა დაებეჭდა წყევლის ეს ადგილი და ხალხი მას ზეპირად ამბობდა. ეგზარქოსს უთქვამს: დაე წყეული იყოს ქვეყანა, რომელიც შობს ამგვარ მკვლელთ. ეგზარქოსის ასეთ თავხედობას ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია.

მომხდარი ამბავი დიმიტრი ყიფიანს სოფელ ქვიშხეთში გაუგია. მის აღშფოთბას საზღვარი არ ჰქონია და ქვიშხეთიდანვე ეგზარქოსისთვის წერილი გაუგზავნია, რომელიც 1886 წლის 8 ივლისით თარიღდება.

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ!

მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც, მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცვოდილესი სიტყვების გამო, რომელიც ვითომ წარმოსთქვით.

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოს ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენი მწყემსმთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი. 8 ივნისი, 1886 წელი. სად. მიხაილოვო“.

ეგზარქოსმა ვერ გაბედა გაემეორებინა საქართველოსადმი მიმართული წყევლის სიტყვები და ყიფიანს უპასუხა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ,

თქვენი აღმატებულობისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაური წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზში“ N199-ში. რაც შეეხება უგუნურ ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემი ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური პავლე არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი, 9 ივნისს, 1886 წელს.“[177]

რეაქციული ხელისუფლება ვერ ითმენდა მისი პოლიტიკის ერთგული გამტარებლისადმი რაიმე შენიშვნას. დიმიტრი ყიფიანის საქმეში ჩარეულა აგრეთვე

კონსტანტინე პობედონოსცევი, რომელიც კისლოვოდსკიდან იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში (1886 წლის 20 ივნისი) აღნიშნავდა: დონდუკოვი სამართლიანადაა აღშფოთებული წარმომადგენლობითი პიროვნების საქციელით, შინაგან საქმეთა მინისტრს უგზავნის წერილს და მოითხოვს ყიფიანის გადასახლებას, რათა დაუსჯელი არ დარჩეს ეს თავხედობა და სხვები არ გაამხნევოს.

პობედონოსცევის ეს წერილი მთავარმართებლის წერილზე უფრო ადრე გაიგზავნა იმპერატორთან. წერილის გაგზავნის პერიოდში კისლოვოდსკში მყოფ პობედონოსცევთან ყოველდღიურად საათობით იკრიბებოდნენ მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი და ეგზარქოსი პავლე. ისინი ერთხმად უჭერდნენ მხარს დიმიტრი ყიფიანის გადასახლებას.

აი რას წერდა 1886 წლის 25 ივნისს კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი შინაგან საქმეთა მინისტრსს, დ. ტოლსტოის - ეგზარქოს პავლესადმი ყიფიანის მიერ გაგზავნილი წერილის გამო: ამ წერილში ყიფიანს აშკარად სურდა გაეთამაშებინა თავგამოდებული ქართველი პატრიოტის როლი, ვითომდა შეურაცხყოფილი სამშობლოს ღირსების დასაცავად, რათა ამით თავის თავს, თვისტომთა შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს.[178]

როგორც ცნობილია, სტავროპოლის გადასახლებაში დიმიტრი ყიფიანმა ერთი წელი გაატარა. 1887 წლის ძვ. სტ. 25 ოქტომბერს იგი მკვდარი იპოვეს თავის ბინაში.

2007 წლის 26 აპრილს საქართველოს ეკლესიის სინოდის განჩინებით დიმიტრი ყიფიანი შერაცხეს წმინდანთა დასში და ეწოდა წმ. დიმიტრი ყიფიანი სამშობლოსათვის წამებული. ხსენების დღედ დადგინდა ძვ. სტ. 13 აპრილი, ახალი სტ. 26 აპრილი.

განვითარებული მოვლენების შემდეგ ეგზარქოს პავლეს საქართველოში აღარ დაედგომებოდა. დიმიტრი ყიფიანის წერილის მიღების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა და უკან დაბრუნებას აღარ აპირებდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე წერს, რომ ეგზარქოს პავლეს მიაჩნდა: უნდა ჩატარდეს ღონისძიება სემინარიის სულის განსაწმენდად და გასაჯანსაღებლად. ჯერ ერთი, საჭიროა კარგი რექტორი და ის უნდა დაინიშნოს, რაც შეიძლება, მალე. გთავაზობთ მამა ნიკოლოზ ნალიმოვს. მას ვიცნობ, როგორც საუკეთესო პიროვნებას, რასაკვირველია, უხალისოდ წავა ავაზაკთა სემინარიაში, მაგრამ რა გაეწყობა. მეც სიამოვნებით გავცვლიდი ჩემს საეგზარქოსოს

ყველაზე ჩამორჩენილ რუსულ ეპარქიაზე, მაგრამ ჩემი აქედან გაქცევა, როდესაც სერიოზული საშიშროება მემუქრება, სიმხდალე და სულმდაბლობა იქნება.[179]

იმპერატორის გადაწყვეტილებით ეგზარქოს პავლე ლებედევს მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადასცეს და ყაზანის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, თუმცა იგი ამის შემდეგაც აუგად მოიხსენიებდა ქართველ ხალხს: მხეცებს, ველურებს, არამზადებსა და ნაძირალებს უწოდებდა მათ. რუსეთის ხელისუფლება, დიდი თანადგომის მიუხედავად, პავლე ლებედევის საქართველოში მოღვაწეობით უკმაყოფილო იყო. ობერპროკურორი კონსტანტინე პობედონოსცევი პავლე ეგზარქოსთან დაკავშირებით მწარე სიმართლეს აღიარებდა, როცა წერდა: „აი, გავგზავნეთ პავლე საქართველოში, სამწუხაროდ, იგი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე: უნდა ყოფილიყო ჩუმად და ჩუმადვე ეკეთებინა საქმე. მან კი დაიწყო ლაპარაკი და ყველა აიმხედრა.“ კონსტანტინე პობედონოსცევს მიაჩნდა, რომ საჭიროა მისი იქიდან მოშორება და პალადის გაგზავნა, გაკეთებულის დანგრევა და თავიდან დაწყება უკვე გაფუჭებული საქმისა.[180]

ეგზარქოს პავლე ლებედევის მმართველობა საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, რეაქციის ხანას დაემთხვა. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ ხელისუფლება ეკლესიასთან ერთად იწყებს კონტრშეტევას და იმ მცირედი პროგრესული ცვლილებების გაუქმებას, რომლებიც წინა ათწლეულებში განხორციელდა. ეს პროცესი განსაკუთრებული სიმკაცრით მიმდინარეობდა კოლონიებში. რუსიფიკაცია იმპერიის იდეოლოგიად იქცა. იგი მიმართული იყო ეროვნული იდენტობისა და თავისებურებების წინააღმდეგ. ამ იდეოლოგიის სამსახურში იდგა ყველა მმართველი ორგანო, მათ შორის ეკლესიაც.

აი, ასეთ ვითარებაში დაინიშნა პავლე ლებედევი საქართველოს ეგზარქოსად. აქ ჩამოსვლამდე იგი ბესარაბიაში ანადგურებდა ეკლესიებს. დახურა ათობით მონასტერი, ცეცხლს უკიდებდა მოლდავურ ენაზე დაწერილ წიგნებს, დევნიდა სამღვდელოებას, თავად კი სიხარბესა და აღვირახსნილობაში ატარებდა დროს. საქართველოში თავისი ხუთწლიანი მმართველობის დროს გამოირჩეოდა გაუმაძღრობით, ცინიზმით, სისასტიკით და რომ არა დიმიტრი ყიფიანთან მომხდარი ინციდენტი, შეიძლება მისი მმართველობა კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელებულიყო. დეკანოზ პავლე ჩუდეცკის

მკვლელობით შეშინებული საქართველოდან გადაყვანას ითხოვდა. თხოვნა დაუკმაყოფილეს.

პავლე ლებედევი 1892 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა.

მთავრობის განკარგულებით ახალ ეგზარქოსად ყაზანის მთავარეპისკოპოსი პალადი რაევი დაინიშნა, რომელმაც შელახული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით ლიბერალური პოლიტიკის გატარება სცადა.

§ 4. ეგზარქოსი პალადი რაევი

(1887-1892 წ.წ.)

ერისკაცობაში პავლე ივანეს ძე რაევი (დაბადებისას პისარევი) დაიბადა 1827 წლის 20 ივნისს ნიჟეგოროდის გუბერნიაში, მრავალშვილიანი მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ნიჟეგოროდის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი სემინარიაში, რომელიც 1848 წელს დაამთავრა. ამ სასწავლებელში მასწავლებლად მუშაობდა მისი ძმა, მღვდელმონაზონი პოლიკარპე, რომელმაც სასწავლებელში ჩარიცხვისას თავისი ნამდვილი გვარის, პისარევის, ნაცვლად რაევი მიუთითა. ძმის გავლენით გვარი შეიცვალა პავლემაც. 1852 წელს დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით და ლოგიკის, ფსიქოლოგიისა და თათრული ენის მასწავლებლად განამწესეს ნიჟეგოროდის სასულიერო სემინარიაში.1856 წელს იქორწინა ადგილობრივი ეპარქიის დეკანოზის ქალიშვილზე. შეეძინათ ორი შვილი. ვაჟი ნიკოლოზი, შემდგომში სინოდის ბოლო ობერ-პროკურორი გახდა. 1856 წლის 15 აგვისტოს მღვდლად დაასხეს ხელი. 1860 წელს დაქვრივდა და მომდევნო წელს ბერად აღიკვეცა პალადის სახელით. 1862 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1863 წლიდან პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, ხოლო 1864 წლიდან რექტორია. 1866 წელს სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტმა ისიდორე ნიკოლსკიმ ლადოჟის ეპისკოპოსად აკურთხა და თავის პირველ ქორეპისკოპოსად განამწესა. 1869 წელს ვოლოგოდსკის ეპარქიაში გადაჰყავთ. 1873 წლიდან ტამბოვის ეპისკოპოსია, ხოლო 1876 წლიდან რიაზანისა. 1881 წელს მთავარეპისკოპოსის ხარისხი მიენიჭა. 1882 წელს ყაზანის კათედრაზე გადაჰყავთ. 1887 წლის 29 სექტემბერს საქართველოში ეგზარქოსად ინიშნება. 1888 წელს სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა. 1892 წელს სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტად გადაჰყავთ და იკავებს უპირატეს ადგილს წმინდა სინოდში. 1896 წლის 14 მაისს ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ II-ის იმპერატორად კურთხევას. იმავე დღეს მიენიჭა მიტრაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება.

ეგზარქოს პალადი რაევის თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ მას უყვარდა პომპეზური სადღესასწაულო მსახურებები მრავალი თანამწირველის მონაწილეობით, ამიტომ მის მსახურებები გამოირჩეოდა ერთგვარი ქაოტურობით, გადარბენებითა და საუბრებით.

იგი სინოდში არ გამოირჩეოდა აქტიურობით. პალადის მოღვაწეობას პეტერბურგში არაერთგვაროვანი შეფასებები ჰქონდა. აღნიშნავდნენ მის უცნაურობებსაც: სინოდის ბიბლიოთეკისა და არქივის დირექტორი ლვოვი თავის დღიურში, რომელიც 1897 წლით თარიღდება, წერდა: „პალადის შესახებ დადის ხმები, რომ ის შეურაცხადია, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში“. თავად კი მეუფის ქცევას ახირებულობად მიიჩნევდა.[181]

ეგზარქოს პავლე ლებედევის საქართველოდან, ფაქტობრივად, სკანდალური გაქცევის შემდეგ იმპერიის მესვეურთ მის შემცვლელად ისეთი პიროვნება უნდა მოეძებნათ, რომელიც შეძლებდა საქართველოში შექმნილი საკმაოდ დაძაბული ვითარების განმუხტვას. ასეთ კანდიდატად პალადი რაევი მიიჩნიეს, რომელიც ტიპური რუსი მოხელე იყო, მაგრამ ტაქტიანი ენით, ტაქტითა და დიპლომატიით შეძლო სიტუაციის განმუხტვა. ხშირად სტუმრობდა ქართულ არისტოკრატიას ოჯახებში და მათ კეთილგანწყობასაც მიაღწია.

კალისტრატე ცინცაძე პალადი რაევის შესახებ წერს: „აი, როგორ ახასიათებს მას უწმინდესი სინოდის კანცელარიის დირექტორი ს.ვ. კერსკი: „პალადი თავის თავზე არცთუ ისე მდაბალი აზრისაა. სასიამოვნო ადამიანია, პერსონა გრატა ყველასთან და ყოველთვის, სურს და შეუძლია კიდეც ყველას აამოს, ყველაფერი მოარიგოს, მოაწესრიგოს, იგი უყვარს ყველას... დახვეწილი პოლიტიკოსია... თავაზიანი, რბილი, უნარი აქვს შეგუებისა. სინოდის მოსამსახურეთა საამო საუბრის საგანია... ის (მათ მიმართ) ალერსიანია და გულუხვი“.[182]

თავად კალისტრატე ცინცაძის დახასიათბით კი, პალადი რაევი „სამღვდელოებას ზიზღნარევი ალერსით ექცეოდა, საერო საზოგადოებას კი თავაზიანი პირფერობით... ენაჩლიფინაა, ქადაგებას კითხულობს რვეულიდან, რომელიც ყველაზე დიდი ზომის სახარებაში უდევს. ეს სახარება ძლივს უჭირავს ორ კერძოდიაკონს, არაფერი მესმის მისი ნალაპარაკევიდან მეც კი, კვერთხისმტვირთველს, თითქმის გვერდით ვუდგავარ. წირავს დიდის ამბით, მაგრამ უსულგულოდ. სრულიად განსხვავდება მღვდელმთავარ პავლესაგან. ლიტურგიის დასასრულს კერძოდიაკვნებმა უშველებელი ლანგრით გამოიტანეს სეფისკვერები. ორი დიდი სეფისკვერი მთავარმართებელსა და მის მეუღლეს ეკუთვნის, რამდენიმე საშუალო ზომისა - გენერლებსა და მათ ტოლა სხვა საერო პირებს, დანარჩენი (პატარები) - ნაკლებად წარჩინებულებს. სეფისკვერების

მიწოდებისას ყველას ეუბნება ქათინაურს. ზიარების წინ, გალობის დროს, როდესაც სამღვდელოება ლოცვა-კურთხევისათვის მიდიოდა, ხელს გულგრილად უწვდიდა მათ საამბოროდ, რაღაც ქათინაური უთხრა მხოლოდ კავკასიის არმიის დეკანოზ ს. გუმილევსკის. ყველაზე ბოლოს ჩვენ, სტიქაროსნები ვეახელით და იკითხა: „საიდან გაჩნდნენ ეს ულვაშიანები?“ რექტორმა პასუხი არ დააყოვნა: „სემინარიიდან“. „შეცვალეთ უულვაშოებით“, - იყო პასუხი. „მრავალჟამიერებასა, მეუფებასას“ მთქმელნი ფულით დაასაჩუქრეს, ჩვენ კი გამოგვაძევეს.

ოფიციალურ პირებთან სტუმრობის შემდეგ მეუფე პალადიმ კერძო პირებთან, ოჯახებში, განსაკუთრებით ძველ დიდგვაროვნებთან სიარული დაიწყო. ქათინაურებს ეუბნებოდა მოხუც თავადის ქალებს, აღფრთოვანებული იყო საქართველოთი და მისი მოსახლეობით... მოუქნელი და უხეში პავლეს მომსწრე ქალბატონებს ახალი ეგზარქოსი ცამდე აჰყავდათ ქებით. მათმა აღფრთოვანებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია 1888 წ., როდესაც ალექსანდრე III ეწვია კავკასიას და თავის საზეიმო სიტყვაში ეგზარქოსმა საქართველოს უწოდა „ბრწყინვალე მარგალიტი რუსეთის იმპერატორის გვირგვინში“.[183]

ახლადდანიშნული ეგზარქოსი დაინტერესებულა, იყო თუ არა თბილისში ტაძარი ყაზანის ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად, როდესაც მოახსენეს, რომ არ იყო, მაშინ დაინტერესებულა, რომელი ტაძრები იყო ღვთისმშობლის სახელობისა, უთხრეს: „სიონისა და ანჩისხატის ტაძრები, მეტეხის, კალოუბნისა და დიდუბის ეკლესიები“. „აი, დიდუბის ეკლესია იყოს ყაზანის,“ - ბრძანა მეუფემ. ასე იქცა ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი ყაზანის ღვთისმშობლისად.[184]

ეგზარქოს პალადის თვალთმაქცობის ერთ-ერთი მაგალითია დეკანოზ დავით ღამბაშიძის მიერ აღწერილი ფაქტი, რომელიც თავის დროზე ჟურნალ „მწყემსის“ 1902 წლის N13-14-ში დაიბეჭდა. „პეტერბურგში მყოფობის დროს მე გავიგე, რიმ აპირობდნენ მთელი მხატვრობით წმინდანების სიის გამოცემას ყოველ დღეზე დაწყობილს. ამისთვის ვსთხოვე მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, მთავარ ეპისკოპოსს პალლადის, რომელიც ამ დროს უწმინდესს სინოდში იყო მიწვეული, რომ ეშუამდგომლებინა და ქართველთა წმინდანებიც მოექციათ ამ საზოგადო წმინდანების სიაში. რიგია, რომ ყველა ღვთისმსახურება საქართველოს ეკკლესიის წმინდანებისა იყოს არა მარტო ქართულ საეკკლესიო წიგნებში, არამედ სლოვიანურ წიგნებშიაც-

მეთქი. ერთი სიტყვით, მრავალი დამამტკიცებელი საბუთი მოვიყვანეთ მის წინაშე ჩვენი კერძო თხოვნის შეწყნარებისათვის და მანაც დამაიმედა, რომ აღძრავდა ამ კითხვის შესახებ სინოდში შუამდგომლობას. მეც დაიმედებული ვიყავი, რომ ჩვენი თხოვნა მიაღწევდა თავის მიზანს, მაგრამ სურვილი არ აღგვისრულდა: გამოიცა ახლად დაბეჭდილი მხატვრობითი წმინდანების სია თითოეული დღისა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ეკკლესიის წმინდანები არც ერთი არ ყოფილა მასში მოქცეული. როცა ჩემი მწუხარება მოვახსენე ამ საგნის შესახებ მათ მეუფებას, აი, რა ბრძანა: „სწორედ სამწუხარო არის ჩემთვისაც, რომ ქართველთა ეკკლესიის წმინდანები არ მოყვნენ საზოგადო სხვა წმინდანების სიაში, მაგრამ, შესაძლოა, დამატებით გამოიცეს და სწორედ ამით დაბოლოვდა ჩემი თხოვნა," ბრძანა მათმა მეუფებამ."[185] რა საკვირველია, დაუჯერებელია, რომ ეგზარქოს პალადის მონდომების შემთხვევაში ვერ მოეხერხებინა ქართველი წმინდანების ამ გამოცემაში შეტანა. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ ჩანს მისი გულგრილი დამოკიდებულება ჩვენი წმინდანებისა და, ზოგადად, საქართველოს ეკლესიის მიმართ. სამწუხაროდ, პალადი რაევი არც ამაში ყოფილა გამონაკლისი.

პალადი რაევის ეგზარქოსობისას, 1888 წელს, დაფუძნდა საეკლესიო მუზეუმი, ამავე წელს გორის სასულიერო სასწავლებლისთვის დასრულდა ახალი, ორსართულიანი შენობის მშენებლობა, გააქტიურდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობა, დაარსდა საეგზარქოსოს ოფიციალური ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე".

მიუხედავად ამისა, პალადი რაევი თავის ანტიქართულ საქმიანობას შეფარულად ეწეოდა. ამისი ნათელი მაგალითი იყო იმპერიისა და ეგზარქოსის მცდელობა სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში ღვთისმსახურების ადგილობრივ ენებზე ჩატარება. ქართველი სამღვდელოება წინ აღუდგა აღნიშნულ ფაქტს და 1889 წლის 18 აპრილს მოაწყო გურია-სამეგრელოს ეპარქიის კრება, რომელზეც დაგმო აღნიშნული მცდელობა. 1892 წელს გაიმართა სამეგრელოს ეპარქიის კრება. მის მონაწილეებს დაევალათ მეგრულად თარგმნილი ლოცვების განხილვა, რასაც ქართველი სამღვდელოების მკაცრი რეაქცია მოჰყვა.

კალისტრატე ცინცაძე წერს: „მან მოითხოვა ქართველი წმინდანების წმინდანობის დამადასტურებელი დოკუმენტური აქტების წარმოდგენა, რაც იმ დროისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ქართველი წმინდანების „ბედით

დაინტერესებულ“ ეგზარქოსს განუცხადეს, რომ ასეთი აქტები არ შემონახულა, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ მათი სახელები საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე მოიხსენიება, მოწმობს მათ დაკანონებას. იმავე ეგზარქოსის განკარგულებით სასულიერო პირებს ნათლობისას ბავშვებისათვის ქართული სახელების ნაცვლად ბერძნული უნდა დაერქმიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდელი დაჯარიმდებოდა.[186]

ეგზარქოსმა პალადი რაევმა, ევსევი ილინსკისა და პავლე ლებედევის მსგავსად დაიწყო ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვა. მან ამ მიზნით პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოიყვანა სომეხი მხატვარი სტეფანე საბინ-გუსი. ეგზარქოს პალადის უფლებამოსილებით აღჭურვილმა საბინ-გუსმა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან (ჯუმათი, ხობი, მარტვილი, შემოქმედი) მრავალი ხატი გაიტანა, ვითომ რესტავრაციის მიზნით, მაგრამ არც ერთი უკან აღარ დაუბრუნებია. ეგზარქოსის დასტურითა და მისი მითითებით, მან აღნიშნული სიწმინდეები კოლექციონერებზე გაყიდა. აღნიშნული ფაქტის გამომჟღავნების შემდეგ ობერპროკურორმა კონსტანტენე პობედონოსცევმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა ეგზარქოს პალადის, მაგრამ მან მოახერხა თავის დაძვრენა და თავისი თანამზრახველის დაცვაც. საბინ-გუსმა ამ წმინდა ნივთებში აღებული ფულით პეტერბურგში ფოტოგრაფიული სალონი გახსნა. იგი სამართალში არ მიუციათ იმის შიშით, რომ სასამართლოში პალადი არ გაეცა.[187]

პალადი რაევის მიერ ჩადენილ ყველა სხვა უმსგავსობას თავი რომ დავანებოთ, მარტო ზემოთ აღწერილი შემთხვევაც საკმარისი იქნებოდა, რომ ნორმალურ სახელმწიფოში მისი პასუხისგებაში მიცემის საკითხი დამდგარიყო. ამის ნაცვლად იგი მიტრაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვეს, საქართველოდან პეტერბურგის მიტროპოლიტად გადაიყვანეს და სინოდის უპირატეს წევრად დანიშნეს, რაც დიდი დაწინაურება იყო.

სამწუხაროდ, ასე უფასდებოდათ ანტიქართული საქმიანობა რუს ეგზარქოსებს.

გარდაიცვალა 1898 წლის 5 დეკემბერს. დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში. 1932 წელს გადაასვენეს იმავე ლავრის მამათა სასაფლაოზე.

§ 5. ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიავლენსკი

(1892-1898 წ.წ.)

ერისკაცობაში ვასილ ნიკოფორეს ძე ბოგოიავლენსკი დაიბადა 1848 წლის 1 იანვარს ტამბოვის გუბერნიაში, მღვდლის ოჯახში. დაამთავრა ტამბოვის სასულიერო სემინარია, ხოლო 1874 წელს კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. ასწავლიდა ტამბოვის სასულიერო სემინარიაში. 1882 წელს მღვდლად აკურთხეს. მეუღლისა და ერთადერთი შვილის გარდაცვალების შემდეგ, 1886 წლის 8 თებერვალს, ბერად აღიკვეცა ვლადიმერის სახელით, ხოლო მეორე დღეს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1888 წლის 3 ივნისს ეპისკოპოსად აკურთხეს. 1891 წლის 18 ოქტომბრიდან სამარის ეპისკოპოსია. ამ ეპარქიაში მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა, ხშირად ატარებდა საუბრებს სექტანტების წინააღმდეგ, გახსნა არაერთი საეკლესიო სკოლა, განსაკუთრებით გაითქვა სახელი ქოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ობერ-პროკურორმა კონსტანტინე პობედონოსცევმა შეამჩნია მისი შრომა, რამაც საფუძველი დაუდო მის იერარქიულ წინსვლას.

1892 წლის 18 ოქტომბერს ინიშნება საქართველოს ეგზარქოსად. 1898 წლის 21 თებერვლიდან მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტია. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც აქტიურმა ანტიმარქსისტმა. მხარს უჭერდა ხელისუფლებას 1905 წლის რევოლუციის ჩახშობაში. მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა მემთვრალეობას. 1912 წლის 23 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტად ინიშნება. თანამედროვენი მას ახასიათებენ როგორც თავმდაბალ, უბრალო და პატიოსან ადამიანს, მაგრამ ამავე დროს თვლიდნენ, რომ შეუფერებელი იყო მაღალი კათედრისათვის, არ ჰქონდა ფართო თვალსაწიერი, ვერ მოიპოვა ხალხის სიყვარული. მისით უკმაყოფილო იყო სამეფო კარიც. 1915 წელს კიევის კათედრაზე გადაჰყავთ, მაგრამ უნარჩუნებენ უპირატეს ადგილს წმინდა სინოდში. ამავე წელს მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი.

1917 წლის თებერვალში, იმპერატორის გადადგომის შემდეგ, სცნო დროებითი მთავრობა, მაგრამ უარი თქვა წმინდა სინოდის წევრობაზე, თუმცა დარჩა კიევის კათედრაზე. 1918 წლის იანვარში კიევი ბოლშევიკებმა აიღეს, ალყა შემოარტყეს კიევო-პეჩორის ლავრას, სადაც მიტროპოლიტ ვლადიმერის რეზიდენცია იყო. 25 იანვარს ხუთმა შეიარაღებულმა პირმა მღვდელმთავარი ლავრის ტერიტორიაზე დახვრიტა.

ფაქტობრივად, მიტროპოლიტი აღმოჩნდა ბოლშევიკური რეპრესიების პირველი მსხვერპლი.

1992 წლის 4 აპრილს რუსეთის ეკლესიამ მიტროპოლიტი ვლადიმერი ახალმოწამედ შერაცხა.

ეგზარქოსმა ვლადიმერმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია მრევლში საეკლესიო მოძღვრების ცოდნის გავრცელებას. ამ მიზნით, იგი ღვთისმსახურების დროს ატარებდა საუბრებს რელიგიურ საკითხებზე. ამ საქმეში მან აქტიურად ჩააბა ქართველი სამღვდელოება. ქრისტიანობის გავრცელების მიზნით მანვე თბილისში დააარსა საეპარქიო სამისიონერო სასულიერო საგანმანათლებლო ძმობა, რომელსაც საკუთარი თანხები შესწირა. ეგზარქოს ვლადიმერის ინიციატივით „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ პედაგოგებს დაენიშნათ პენსია და უფლება მიეცათ სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მის დროსვე, 1894 წელს, ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის დაარსების ინიციატორი იყო გაბრიელ ეპისკოპოსი. მის დრო საეგზარქოსოში აშენდა 100-ზე მეტი ტაძარი და გაიხსნა 300-ზე მეტი სამრევლო სკოლა. კავკასიაში ქოლერის გავრცელების დროს მისი ინიციატივით თბილისის ეკლესიებში მოეწყო ხალხისთვის სამზარეულოები. ეგზარქოსად ყოფნის დროს მის მოღვაწეობაში გარკვეული ხარვეზებიც შეინიშნებოდა. ეგზარქოსი, როგორც ტიპური რუსი მოხელე, თანაგრძნობით არ მოეკიდა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ 1894 წელს სინოდისადმი გაგზავნილ მოთხოვნას, რომლითაც ისინი ამხელდნენ სასულიერო წოდების ჩინოვნიკურ ქმედებას, მოითხოვდნენ მის გარდაქმნას.[188]

1897 წელს სიონის ტაძართან ეგზარქოს ვლადიმერის თაოსნობით ჩამოყალიბდა „თბილისის ეპარქიული სასულიერო ძმობა“. ამ „ძმობის“ მიზანი იყო მომძლავრებულ რევოლუციურ იდეებთან ბრძოლა. მას ხელმძღვანელობას უწევდნენ რუსი საერო და სასულიერო პირები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი ანტიქართული საქმიანობით. ესენი იყვნენ: თბილისის სემინარიის ინსპექტორი არქიმანდრიტი სერაფიმი, არქიმანდრიტი გერმოგენი, მღვდელი პუჩკოვსკი, სემინარიის პედაგოგი პლენოვი და სხვანი. მსგავსი „ძმობები“ ჩამოყალიბდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე მღვდლად სწორედ ეგზარქოსმა ვლადიმერმა აკურთხა. აი რას წერს კათოლიკოს-პატრიარქი მასზე: „როცა ჯვრის ეკლესიის მღვდლად მაკურთხეს, მეუფემ ჩაიზე მიმიპატიჟა. ის-ის იყო მაგიდასთან დავსხედით, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბუტირკინი, გენერალი კ. მამაცაშვილი და ეპისკოპოსი ალექსანდრე (ქორეპისკოპოსი ოქროპირიძე) ეწვივნენ. სიტყვა მეუფე ვლადიმერის წინამორბედ მიტროპოლიტ პალადიზე ჩამოვარდა. მასზე, მეტწილად, თანაგრძნობით ლაპარაკობდნენ. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თქვა: „კარგი მღვდელმთავარი იყო, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს რუსები ერჩიათ, რასაც ვერ მოვიწონებო“. მეუფე ვლადიმერმა მიუგო: „უკაცრავად, მაგრამ მეც მასავით მოვიქცევი, მეტსაც ვიზამ: სადაც კი რუსის ჩაჩხირვა შეიძლება, უსათუოდ ჩავჩხირავ.“ მეუფის სიტყვებმა საშინლად აღმაშფოთა. მაშ ეს ახალგაზრდა და ჭკვიანი მღვდელმთავარი მოციქულთა მოძღვრების (კოლ. 3, 11) საპირისპიროდ ურთიერთისაგან განარჩევს ელინსა და იუდეველს, ბარბაროსსა და სკვითს-მეთქი? გული შემეკუმშა“.[189]

რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის სისასტიკე განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის მოსწავლეთა უკმაყოფილებამ პიკს 1893 წლის ბოლოს მიაღწია. აღშფოთებულმა სემინარისტებმა 1893 წლის 1 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ ვლადიმერ ბოგოიავლენსკის თავისი მოთხოვნები წარუდგინეს: 1. „ჩვენი სემინარიის მთავრობა თავისი არაქრისტიანული და არაჰუმანური მოპყრობით მხოლოდ სიძულვილს გვიღვიძებს;“ 2. „რექტორის, ინსპექტორის და მათთან ერთად მასწავლებელ ნ. ი. ბულგაკოვის მოქმედება სცილდება ყოველგვარ ზღვარს და მივყავართ ჩვენ ზნეობრივ დამონებამდე, რაც ჩვენთვის ყოვლად აუტანელია;“ 3. „რექტორი, როგორც სემინარიის უფროსი, უნდა იყოს ყველა მასწავლებლისათვის მაგალითი, უნდა უჩვენებდეს მათ ადამიანურ მოპყრობას, ზნეობრივ დამოკიდებულებას, წინააღმდეგ ამისა, რექტორი ჩვენ გვამცირებს და ჩვენს თხოვნაზე გვიპასუხებს ხოლმე გინებითა და ლანძღვით. როდესაც ჩვენ რექტორს მივმართეთ ბულგაკოვის შესახებ, მან მთელ კლასს იმით უპასუხა, რომ გვითხრა: - თქვენ ყველას სპილენძის შუბლები და რკინის კეფები გააქვთო. ეს ცოტაა, რექტორი გვლანძღავს უშვერი სიტყვებით და გვემუქრება ციმბირში გადასახლებით და სემინარიის დახურვით;“ 4. „რექტორს ჩვენ ვეჯავრებით, როგორც

ქართველები. ამის დამამტკიცებელია, სხვათა შორის, ისიც, რომ მან სემინარიაში მოსპო ქართული გალობა, რომელიც მას არ სიამოვნებს, როგორც ვითომ მიუღებელი და არამუსიკალური;“ 5. „ზედამხედველები ვ. ვ. ივანოვი და უ. ფ. პოკროვსკი ყოველდღე გვაგინებენ, გვიწოდებენ მხეცებს, სულელებს და სხვა უშვერი სიტყვებით გვიმასპინძლდებიან;“ 6. „ზედამხედველ პოკროვსკის არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის: „ჩვენ ვიომებთ თქვენ წინააღმდეგ და ვანახოთ, ვინ აჯობებსო“. ერთხელ ამავე ზედამხედველმა გვითხრა: „ეგზარქოსს სურს დახუროს სემინარია დ მოგსპოთ თქვენო“: 7. „მესამე თვეა, რაც აგვიკრძალეს ყოველგვარი საერო რუსული და ქართული წიგნების კითხვა;“ 8. „უწმინდესმა სინოდმა ნება დართო, რომ სემინარიაში ესწავლებინათ ქართული ენა და ქართული ლიტერატურა, შემოღებული ყოფილიყო როგორც სლავური, ისე ქართული გალობა, მაგრამ ჩვენ სემინარიაში არ არსებობს არც ერთი და არც მეორე;“ 9. „ეხლა ქართული ენა სემინარიაში რუსული ენის საშუალებით ისწავლება, რაც ანტიპედაგოგიურია და არავითარი სარგებლობა, გარდა ვნებისა, არ მოაქვს;“ 10. „მოსწავლეთა შორის სემინარიის მთავრობას ჰყავს ჯაშუშები, რითაც ზნეობრივად ათახსირებს ახალგაზრდობას და იწვევს მათ შორის მტრობასა და შურს;“ 11. „სემინარიის მთავრობას ბაძავენ დაბალი მოსამსახურეები, ფერშლები, შვეცარები და სხვები და ისინიც ისე უზრდელად გვეპყრობიან და ისეთი უშვერი სიტყვებით გვაგინებენ, როგორც უფროსები, ასეთი გინება შეიძლება გაიგონოთ სალდათის ბაზარში და ტფილისის მივარდნილ ადგილებში მხოლოდ ტფილისელ კინტოებისაგან.“ [190]

სემინარიაში შექმნილი აუტანელი ვითარების აღწერის შემდეგ მოსწავლეები საქართველოს ეგზარქოსს სთხოვდნენ: 1. „რექტორმა თავი დაანებოს ჩვენს შეურაცხყოფასა და დამცირებას, მოისმინოს ჩვენი განცხადებები ისე, რომ არ გვლანძღოს:“ 2. „აღდგენილ იქნას ქართული ენისა და გალობის სწავლება;“ 3. „მოგვეცეს უფლება ვიკითხოთ საერო მწერლობის თხზულებები, როგორიცაა დოსტოევსკი, ტურგენევი და სხვები:“ 4. „რექტორმა მიიღოს ზომები, რომ ჩვენ შეურაცხყოფას არ გვაყენებდნენ ზედამხედველები და მასწავლებლები;“ 5. „ვინაიდან მასწავლებელი ბულგაკოვი და ზემოთ დასახელებული ორი ზედამხედველი შეუძლებელია რომ გამოსწორდნენ, დათხოვნილ იქნენ;“ 6. არ იქნეს მოსპობილი ქართული გალობა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება სლავურს;“ 7. „ქართული ენა ისწავლებოდეს არა რუსულის საშუალებით, არამედ როგორც საგანი - ქართული ენა;“ 8. „დაარსდეს

სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რადგან თუ ჩვენ არ გვეცოდინება ქართული ენა და ქართული ლიტერატურა, ჩვენ ჩვენს მოვალეობას საზოგადოების წინაშე ვერ შევასრულებთ;“ 9. „მოისპოს სემინარიაში ჯაშუშობის სისტემა, რადგან ჯაშუშობა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ გრძნობას და ზნეობრივად ათახსირებს ადამიანს“.[191]

ამ დროს ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიავლენსკი პეტერბურგში იმყოფებოდა. იგი იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო, შეხვედროდა სემინარიის მოსწავლეებს და პირადად მოესმინა მათი მოთხოვნები. ეგზარქოსი და სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი სერაფიმი ყოველნაირად ცდილობდნენ მიმდინარე მოვლენები არ გახმაურებულიყო. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მათ ვერ მოახერხეს სასწავლო პროცესის აღდგენა, ამიტომ იძულებულნი გახდნენ 4 დეკემბერს ოფიციალურად შეეწყვიტათ სწავლება. ამან სემინარიის მოსწავლეები კიდევ უფრო აღაშფოთა. ისინი სასწავლებლის დატოვებას არ აპირებდნენ. საქმეში პოლიცია ჩაერია. რაიონიდან ჩამოსულ მოსწავლეებს დაურიგეს შინ დასაბრუნებელი ბილეთები და თანხა. თბილისელ სემინარისტებს კი ნებართვები, რომლებიც მათ დედაქალაქში დარჩენის უფლებას აძლევდა. 7 დეკემბრისათვის სემინარია დაკეტილი იყო.

უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხდარი მღელვარებისათვის სასწავლებლიდან გაირიცხა და სხვა სემინარიაში სწავლის უფლება ჩამოერთვა 87 მოსწავლეს. მათ ასევე აეკრძალათ დედაქალაქში ცხოვრება. ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მძიმე იყო თბილისელი მოსწავლეებისათვის

1894 წლის მარტში სასულიერო სემინარიაში მომხდარი მოვლენების შესასწავლად თბილისში ჩამოვიდა სინოდის ობერპროკურორის მოადგილე საბლერი, რომელმაც ვითარების შესწავლის შემდგომ უწმინდეს სინოდს შემდეგი მოსაზრებები წარუდგინა: „1. 1894 წლის სექტემბრიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა განახლდეს, შემცირდეს მოსწავლეთა რიცხვი; 2. 1894 წელსვე ქალაქ ქუთაისში გაიხსნას მეორე სასულიერო სემინარია; 3. თბილისის სასულიერო სემინარია ქალაქის ცენტრიდან გადატანილ იქნას ქალაქგარეთ, სადაც მისთვის ახალი შენობა უნდა აიგოს, სემინარიასთან აშენდეს სახლი, სადაც უკლებლივ ყველა მოსწავლე იცხოვრებს“.[192] სინოდმა საბლერის მოსაზრებები მიზანშეწონილად მიიჩნია.

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა გამოსვლას იგონებს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე: „თუ როგორი განწყობა და ურთიერთობა არსებობდა თბილისის სემინარიის ხელმძღვანელობასა და მოსწავლეებს შორის იქიდანაც ჩანს, რომ 1893 წლის 30 ნოემბერს, წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს (სემინარია ამ წმინდანის სახელს ატარებდა. ბ.ნ.) სემინარიის მოსწავლეები ქალაქის გარეუბანში, საბურთალოზე, წასულან და სემინარიის ყოფილი მოსწავლის, მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით მიტინგი გაუმართავთ სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ სერაფიმისა და მის მიერ დამკვიდრებული რეჟიმის წინააღმდეგ. სემინარისტების მოთხოვნები შემდეგი იყო: ა) რექტორი თავაზიანად მოპყრობოდა აღსაზრდელებს და არ შეელახა მათი ეროვნული გრძნობები (რექტორი სერაფიმი ქართულ გალობას „ძაღლის ყეფას“ უწოდებდა; ბ) სემინარიიდან გაეძევებინათ მასწავლებელი ნ. ი. ბულგაკოვი (რომელიც ქუჩურად იგინებოდა) და ინსპექტორის ორი თანაშემწე ნ. პოკროვსკი და ვ. ივანოვი, რომლებმაც მოსწავლეთაგან შექმნილი ჯაშუშობის ინსტიტუტი ლეგალური გახადეს; გ) მუდმივი ყოფილიყო ქართული გალობის სწავლება, ხოლო ქართული ენა ესწავლებინათ ქართულ ენაზე და არა რუსულზე; დ) სემინარიაში შემოეღოთ ქართული ლიტერატურის სწავლება; ვ) მოსწავლეებს ნება მისცემოდათ, თავისუფლად ეკითხათ რუსი და უცხოელი კლასიკოსების - დოსტოევსკის, გონჩაროვის, შექსპირის, შილერის, გოეთეს და სხვათა ნაწარმოებებანი“.[193]

როგორც აღვნიშნეთ, ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიავლენსკი და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი სერაფიმი ყოველნაირად ცდილობდნენ სასწავლებელში მომხდარი მღელვარება არ გახმაურებულიყო, მაგრამ მათ ეს არ გამოუვიდათ. აღნიშნული მოვლენა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ სერიოზულ პრობლემად მიიჩნია. ამიტომაც მოჰყვა მას სასჯელი მასში მონაწილე მოსწავლეებისათვის, თუმცა იმასაც ხვდებოდნენ, რომ მარტო სხვადასხვა სასჯელით ვერაფერს გახდებოდნენ. ხელისუფლება ხედავდა, რომ ახალგაზრდები ქართული ეროვნული მოძრაობის გავლენას განიცდიდნენ. ამ მოძრაობის მოთავეებად კი თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელს, სათავადაზნაურო ბანკსა და მის ხელმძღვანელ ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევდნენ. ხელისუფლებისთვის ნათელი გახდა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ეროვნული ღირსების შელახვას ვერ შეეგუებოდა.

ეგზარქოსმა ვლადიმირმა თავისი სიძულვილი ქართული სალოცავების მიმართაც გამოიჩინა. „ცნობილია, რომ ქართული ეკლესია 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლობას და უფლის კვართის დღესასწაულს ზეიმობს, რუსული ეკლესია კი - ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულს. 1894 წლის 1 ოქტომბერს მეუფე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში წირავდა. წირვის შემდეგ მღვდელმსახურნი პარაკლისის გადასახდელად გამოვიდნენ. წიგნებზე ორი ხატი იდო - სვეტიცხოველი და ღვთისმშობლის საფარველი. მეუფემ კანდელაკს უბრძანა სვეტიცხოვლის წაეღო, ღვთისმშობლის საფარველი კი დაეტოვებინა.“[194] ამ ფაქტმა ქართველებთან ერთად რუსი მრევლიც აღაშფოთა.

ეგზარქოსმა ხშირად იცოდა სამრევლო სკოლებში სიარული. ერთხელ დიდუბის სკოლასაც ეწვია. „მეუფემ მასწავლებელს ჰკითხა: რას ასწავლითო? მასწავლებელმა მოახსენა საქართველოს გეოგრაფიასო. რომელი საქართველოსას, თუ გნებავთ თქვათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისასო? მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს კი მიუგია: არა თბილისისა და ქუთაისისას, არამედ იმ საქართველოს გეოგრაფიას, რომლის ეგზარქოსიც თქვენ ბრძანდებითო“.[195]

1894 წელს უნდა დაბეჭდილიყო მღვდელ კალისტრატე ცინცაძის ისტორიული ნარკვევი „Автокефалия Грузинской Церкви“. ეგზარქოსი ვლადიმერი დაინტერესებულა თუ როგორ მთავრდებოდა ნაშრომი, ვინაიდან იგი ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა „Пастырь“-ში. მას განუმარტეს, რომ ნაშრომის მთავარი აზრი სწორედ ის იყო, რომ ქართული ეკლესია იყო ავტოკეფალური. ეგზარქოსმა მითითება მისცა ჟურნალის რედაქტორ დეკანოზ დავით ღამბაშიძეს. ნაშრომი იმის აღიარებით დამთავრებულიყო, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს იყო დამოუკიდებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალის დახურვით იმუქრებოდა.[196]

საქართველოს ეგზარქოსები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავს არ იწუხებდნენ ეპარქიების შემოვლა-დათვალიერებით. ვლადიმერ ბოგოიავლენსკი სწორედ ასეთი გამონაკლისი იყო. მისი ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობა ქართლში, 1897 წელს, აღწერა იმ ხანად იღუმენმა კირიონ საძაგლიშვილმა. მას თავისი ჩანაწერები რუსულ ენაზე ჯერ პერიოდულ სასულიერო გამოცემაში „Прибавления к «Духовному вестнику Грузинского Экзархата»“ რამდენიმე ნაწილად გამოუქვეყნებია, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოუცია ინიციალებით „И. К.“.[197] თხზულებიდან ირკვევა, რომ მთავარეპისკოპოსი ვლადიმერი

რამდენიმე დღე დარჩენილა ქართლში და 49 ეკლესია მოუნახულებია. თავის ჩანაწერებში ავტორი ეგზარქოსს მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიებს, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ვინაიდან 1896 წელს კირიონი ბერად სწორედ ეგზარქოსმა ვლადიმერმა აღკვეცა და რუსი იერარქის მიმართ შესაძლებელია მას გარკვეული კეთილგანწყობა ჰქონდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში ეგზარქოსის უარყოფით შეფასებებს კირიონს არავინ დაუბეჭდავდა.

ეგზარქოს ვლადიმერ ბოგოიავლენსკის პიროვნების შესახებ საინტერესო ცნობებია პროფესორ ალექსანდრე მღებრიშვილის მონოგრაფიაში „მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში“. აღნიშნული მონოგრაფიიდან, რომელიც მღვდელ იროდიონ ოქროპირიძის ჩანაწერებს ეყრდნობა, ჩანს სასულიერო პირის ურთიერთობა ეგზარქოს ვლადიმერთან და აღწერილია მისი სტუმრობა საინგილოში. მამა იროდიონი წერს: „თითქმის წელიწადი გავიდა, დიდმარხვამ მოატანა, მაგრამ მღვდელი მაინც არ ჩანდა. მარხვის დადგომის წინ თბილისში ჩავედი, ეგზარხოსს მდგომარეობა ავუხსენი და ვთხოვე, რომ ყორღანის სამრევლოსათვის მღვდელი მალე დაენიშნა. მან მიპასუხა, ვეძებ ერთ დამსახურებულ რუს მღვდელს, ვიპოვი და გამოგიგზავნიო. დამსახურებული და წარჩინებული მღვდელი კარგია, მაგრამ ის უკვე მოხუცობაში ფეხშედგმული იქნება-მეთქი, - შევკადრე ეგზარხოსს. რა უნდა გამიკეთოს იმ მოხუცებულმა მღვდელმა თავისი წარჩინებითა და ორდენებით? თანაც რუსმა, რომელმაც ქართული ენა არ იცის-მეთქი, ამაზე მრისხანედ შემომიტია, - მაშ როგორ გინდა რომ იყოსო, მე მაინც გაბედულად ვუთხარი, რომ იქ მღვდლად უნდა დაინიშნოს ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე მღვდელი, რომელსაც არა მარტო ინგილოების ენა, არამედ მათი ადათ-წესები ნაწილობრივ მაინც ეცოდინება. მაშინღა შემეკითხა, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ ყორღანელი ქრისტიანებიო.

ქართულ ენაზე-მეთქი, - ვუპასუხე.

- არა მგონია! მე ვიცი, რომ ისინი თათრულად ლაპარაკობენ.

- თათრულიც იციან, მაგრამ მათი დედაენა ქართულია და ოჯახშიც ქართულად ლაპარაკობენ-მეთქი, - ავუხსენი.

- არა მგონია, სტყუიო, - მითხრა.

- თქვენო მეუფებავ, მე ანაფორა მაცვია და სულელი არა ვარ, რომ თქვენ მოგატყუოთ, თქვენ ხომ ჩამობრძანდებით ეკლესიის საკურთხებლად. იქ თქვენ თვითონ ნახავთ და გაიგონებთ, თუ ისინი რა ენაზე ლაპარაკომენ-მეთქი.

იქაც ხომ შენვე უნდა შეგეკითხო და იქაც ეგრე მეტყვიო. მიკვირს თქვენგან მაგ სიტყვების თქმა-მეთქი, - შევკადრე, განა იქ ჩემს გარდა სხვა კაცს ვერ ნახავთ, რომ ჰკითხოთ? იქ თქვენს გარშემო იქნებიან ოლქის უფროსი, თქვენი ამალა, მღვდლები, სხვანი და სხვანი.

- კარგით, მღვდელს მალე დაგინიშნავთო, დამპირდა".[198]

საინგილოში ეგზარქოსი ვლადიმერი რამდენიმე სოფელს სწვევია. ხალხი სტუმარს, ქართული ტრადიციის მიხედვით, საკლავითა და სუფრით ხვდებოდა, მაგრამ მთავარეპისკოპოსი არა თუ შეჩერებულა, მადლობაც კი არ უთქვამს მოსახლეობისთვის გამოჩენილი ყურადღების გამო. პატარა, ოცდახუთკომლიან სოფელ მეშაბაშთან ჩავლისას, რომლის მოსახლეობასაც თავისი ხარჯით მცირე ეკლესია აუშენებია, ეგზარქოსისთვის უთხოვიათ მისულიყო მათ ტაძრში. მღვდელმთავარს სასტიკი უარი უთქვამს. ხალხი არ მოეშვა და იგი იძულებული გამხდარა, დაჰყოლოდა მათ ნებას. უკან მობრუნებულ ეგზარქოსს საყვედური უთქვამს მამა ეროდიონისთვის, რა საჭირო იყო ასეთ პატარა სოფელში ეკლესიის აშენებაო.

ალიბეგლოში სტუმრობისას მამა ეროდიონს უთხოვია ეგზარქოსისთვის, შეხვედროდა მრევლს, ვინაიდან ბევრ მათგანს მღვდელმთავარი საერთოდ არ ჰყავდა ნანახი, რაზეც მღვდელმთავარს უხეშად უთქვამს, რომ მათთვის არ ეცალა. მღვდელი ეროდიონი აგრძელებს: „თასმალოდან ზაქათალაში გავემგზავრეთ. ეგზარხოსისა და ელიევის ტარანტასი წინ წავიდა მე და ლეონიდე უკან მივყევით. გზაზე, რომელ სანაიბოშიც გავიარეთ, ყველგან აქაური მუსულმანები თავიანთი ნაიბით გვხვდებოდნენ. ნაიბი წინ გადაუდგებოდა ხოლმე ტარანტასს და ეგზარხოსს სამხედრო წესით მოახსენებდა: მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ჩვენი სოფლის მცხოვრებლები წინ გეგებებიან პატივისცემით და მშვიდობიანი მგზავრობის სურვილითო. ეგზარხოსი ვლადიმერი უკმეხად პასუხობდა, თავი დამანებეთ, მე მათთან რა მესაქმებაო. უბრძანეთ, რომ დაიშალონ, უკან მობრუნებული ნაიბები მე და ლეონიდეს გვეუბნებოდნენ, ეს რანაირი უფროსი გყოლიათო. ხალხი მის პატივსაცემად მოვიდა გზა

რომ დაულოცოს, ის კი უმადურად პასუხობს, დაიშალეთო. გიჟი ხომ არა არის ეგ თქვენი უფროსიო. სირცხვილით ვიწოდით“.[199]

საბოლოოდ, ეგზარქოს ვლადიმერის სტუმრობას საინგილოს მოსახლეობაში დიდი გულისწყრომა გამოუწვევია. ადგილობრივი მრევლის განწყობას მღვდელი ეროდიონ ოქროპირიძე ასე გადმოგვცემს: „ნეტავი ფეხი მოსტეხოდა იმ უჟმურსა და საინგილოში არ ჩამოსულიყო, - თქვეს, - მისმა მოსვლამ და გულქვაობამ საინგილოს ქრისტიანობას ვნების მეტი არაფერი მოუტანაო. ის გულქვა კაცი რუსეთის სამღვდელოებაში ისეთი წარჩინებით იყო მიღებული, რომ მალე მოსკოვის მიტროპოლიტობა და სინოდის წევრობა მიიღო. ხალხი გაკვირდა, უკეთესი რუსი თუ ასეთია მდარე რაღა იქნებაო“.[200]

ეგზარქოსი ვლადიმერი რომ არაფრით განსხვავდებოდა იმ სხვა რუსი შოვინისტი სასულიერო პირებისაგან, რომელთაც არ უყვარდათ თავიანთი სამწყსო და მათ მთავარ მიზანს ადგილობრივი ტრადიციების მოშლა და ქართველთა გარუსება წარმოადგენდა, კარგად ჩანს როგორც მღვდელი ეროდიონის ჩანაწერებიდან, ასევე მისი თანამედროვე სხვა სასულიერო პირების მოგონებებიდან.

§ 6. ეგზარქოსი ფლაბიანე გოროდეცკი

(1898-1901 წ.წ.)

ერისკაცობაში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გოროდეცკი დაიბადა 1840 წლის 26 ივლისს ქ. ორიოლში წარჩინებულ ოჯახში. ოთხი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა, ხოლო ათი წლისას - დედა. პირველდაწყებითი განათლება დეიდის ოჯახში მიიღო. დაამთავრა ორიოლის გიმნაზია. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მეოთხე კურსზე მიატოვა სწავლა და მონასტერში წავიდა მორჩილად. 1866 წლიდან ასრულებდა კერძო მდივნის მოვალეობას არქიმანდრიტ გურისთან, რომელიც რომში რუსეთის საელჩოსთან არსებული ტაძრის წინამძღვარი იყო. ამავე ტაძარში 1868 წლის 17 თებერვალს ბერად აღიკვეცა ფლაბიანეს სახელით, მეორე დღეს კი დიაკვნად აკურთხეს. არქიმანდრიტი გური ყაზანის ეპისკოპოსად აკურთხეს და იეროდიაკონი ფლაბიანეც მასთან ერთად გადადის ყაზანში. 1867 წელს მღვდელმონაზვნად აკურთხეს. 1868 წელს გადადის სიმფეროპოლში.

1873 წელს ფლაბიანე მისიონერული დავალებით გაიგზავნა ჩინეთში, 1879 წელს დაინიშნა ამ მისიის ხელმძღვანელად და აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. შეისწავლა ჩინური ენა და თარგმნა არაერთი ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო წიგნი ამ ენაზე. 1884 წელს დაბრუნდა რუსეთში. 1885 წლის 2 თებერვალს ხელდასმულ იქნა აქსაევსკის ეპისკოპოსად, ამავე წლის 29 ივნისს ლუბლინის კათედრაზე გადაიყვანეს. 1891 წლიდან ხოლმსკისა და ვარშავის ეპისკოპოსია. აქ აქტიურად დაუპირისპირდა კათოლიციზმს. 1892 წლის 15 მაისს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს. 1898 წლის 21 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა, 1901 წელს კი ხარკოვის კათედრაზე გადაჰყავთ. 1903 წლის 1 თებერვლიდან კიევის მიტროპოლიტია.

გარდაიცვალა 1915 წლის 4 ნოემბერს კიევო-პეჩორის ლავრაში ასთმის შეტევით.

ეგზარქოსმა ფლაბიანემ მხოლოდ ოთხი წელი იმსახურა საქართველოში, ამდენად, მის შესახებ ძალიან მწირია საარქივო და ისტორიული მასალები. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მოგონებები. იგი აღნიშნავს: „მოსკოვში მეუფე ვლადიმერის გადაყვანის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად დანიშნეს მთავარეპისკოპოსი ფლაბიანე გოროდეცკი (1898-1901 წ.წ.), ჩამომავლობით აზნაური, გულთბილი კაცი, რომელსაც საერო განათლება ჰქონდა მიღებული. ტყუილად კი არა იყო თორმეტი წელი ჩინეთში მისიის უფროსის

თანამდებობაზე. მისგან არასდროს წამოსულა ვინმე უკმაყოფილო მაშინაც კი, როცა მთხოვნელს საწადელს ვერ უსრულებდა. ერთი შემთხვევა მახსოვს: აცნობეს, რომ სიონის საკათედრო ტაძარში ან არ ავსებდნენ შემოსავალ-გასავლის დავთარს, ან ისე ავსებდნენ, დეკანოზის გარდა ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ენის მიმტანიც და დეკანოზიც (იგივე საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრი) წარჩინებული ადამიანები იყვნენ. უხერხული იქნებოდა, არ დაგვეკმაყოფილებინა პირველი, ამავე დროს გაგენაწყენებინა მეორე. მეუფემაც კომისია გამოყო საეგზარქოსოს ყველა ტაძრის შესამოწმებლად: არც მწვადი დამწვარა და არც შამფური, მაგრამ ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა. მეუფე კვლავ გახდა იძულებული ეგ საქმე მოეგვარებინა. კომისიაში, რომელიც სიონის ტაძარს ამოწმებდა, მეც შემიყვანეს. კომისიის უფრო გამოცდილმა წევრებმა შემოსავალ-გასავლის დავთრის გასინჯვა მე დამავალეს. მე კი ჩემი გულმოდგინებისა თუ გამოუცდელობის გამო დავთარში რაღაც შენიშვნები ჩავწერე. კომისიამ შენიშვნები მართებულად მიიჩნია და მეუფის სახელზე დაწერილ მოხსენებაში შეიტანა. მეუფემ სინანული გამოთქვა. შემოსავალ-გასავლის დავთარი არც თუ სწორად ივსებაო. ეს მოხუც დეკანოზს ფორმალურად ეუწყა და იგი ამ ამბავს შეურიგდა. მაგრამ როცა დავთარი შენიშვნებითურთ უკან დაუბრუნდა, ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა და მეუფეს სთხოვა, შენიშვნებიანი ძველი დავთრის ნაცვლად ახალი მიეცა. ეგზარქოსმა უარი არ უთხრა. ორი თვის შემდეგ მე ეგზარქოსის კანცელარიაში შევიარე, სადაც და თითქოს და შემთხვევით წინ დამიდეს მამა დეკანოზის მოხსენება, რომელშიც ჩემი „რევიზორული“ ღირსებისათვის სათაკილო გამოთქმები იყო. რასაკვირველია, გავცხარდი, მოვითხოვე ქაღალდი და იქვე დავუწერე განცხადება ეგზარქოსს: ჩემი შენიშვნები კომისიის სხვა წევრებმაც მოიწონეს, ამიტომ თუ განვაქიქებთ ჩემს შენიშვნებს, საჭიროა განვაქიქოთ მთელი კომისიის ნამუშევარი და „განტევების ვაცად“ მარტო მე ნუ მაქცევთ-მეთქი. ავდივარ ეგზარქოსთან, ის კი სხივმფენი ღიმილით მხვდება. მლოცავს, სკამზე მსვამს და მეუბნება:

- ქაღალდი ჯიბეში ჩაიდევით. ვიცი, რაც მანდ წერია. მითანაგრძნეთ: მოდის მოხუცი, მუხლებში მივარდება, ტირის და „ღლაპის“ (მე სტიქაროსანი გახლდით, მოხუცი და უკვე დეკანოზი იყო) შენიშვნებიანი დავთარი კრებულის წევრებსა და მნათეს როგორ ვუჩვენოო. შემეცოდა მოხუცი და მივეცი დავთარი.

ვეუბნები:

- მეუფეო, ჩემი შენიშვნები მთელმა კომისიამ მოიწონა, რა შუაშია აქ „ღლაპი“?

- კარგი, მომიტევეთ, ვერ გავუძელი პატივსაცემი მოხუცის ცრემლს. მომეცით თქვენი მოხსენება!

მივეცი მეუფეს მოხსენება. მან კი მყისვე წააწერა: „მამა ცინცაძის შენიშვნები სავსებით სამართლიანად მიმაჩნია, ეს მოხსენება მამა დეკანოზის მოხსენებას დაერთოს!“

- კმაყოფილი ხართ? - კითხა მეუფემ, - არ შემომედავოთ!

იძულებული გავხდი „კმაყოფილი“ ვყოფილიყავი.

თვითონ ფლაბიანე უინიციატივო კაცი გახლდათ, მაგრამ ყოველთვის უჭერდა მხარს სხვის ინიციატივას. ამიტომაც დაფუძნდა მის დროს მცხეთის ტაძრის სარესტავრაციო კომიტეტი (თვითონ ამ საქმეს ათასი მანეთი შესწირა), გაფართოვდა ქალთა საეპარქიო სასწავლებლის სახლი და ეზო, სანთლის ქარხნისთვის შეიძინეს სახლი და ა.შ.

მღვდელმთავარს, რომელიც უარს არ ამბობდა „ცხოვრების მართლმადიდებლურ რუსულ საწყისთა მეგზურის როლზე“, დანაშაულად არ მიაჩნდა, პატივი ეცა ქართული ეკლესიის წმინდანთათვის, თუნდაც საჯაროდ: დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლმა და მნათემ გიორგი ქართველიშვილმა წმ. გიორგისა და თამარის ძვირფასი ხატი გააკეთა და ისურვა შიგ ეკლესიაში დაკრძალული თავისი მეუღლის საფლავზე დაედგა. გიორგიმ მეუფეს სთხოვა ხატი საეკლესიო დღესასწაულის დღეს 8 (21) სექტემბერს ლიტურგიის შემდეგ ეკურთხებინა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წმინდანები ყოფილ ეგზარქოს პალადის (და ვლადიმერსაც) გულზე არ ეხატებოდა, მეუფე ფლაბიანემ ხატი საჯაროდ აკურთხა მრავალი ასეული მლოცველის თანდასწრებით, რითაც ფაქტიურად გააუქმა არქიეპისკოპოს პალადის აკრძალვა, რომლის ძალითაც არ შეიძლებოდა ყრმათათვის ქართველ წმინდანთა სახელები დაერქმიათ.

ეგზარქოსი ფლაბიამე, ვინც ასეთი რბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულებით სამწყსოს პატივისცემა და კეთილგანწყობა მოიხვეჭა, ხშირ-ხშირად ლაპარაკობდა, რომელი ეკლესია თუ მონასტერი აერჩია თავის საუკუნო განსვენების ადგილად. აქედან ცხადია, იგი სამუდამოდ აპირებდა საქართველოში დარჩენას, მაგრამ რატომღაც 1901 წლის ზაფხულიდან დაბეჯითებით სთხოვდა უწმ. სინოდს, რუსეთში

გადაეყვანათ, თუნდაც ყველაზე ცუდ კათედრაზე. თხოვნა აუსრულეს და ხარკოვში გადაიყვანეს. ბევრი ფიქრობს, თითქოს კეთილ მღვდელმთავარს ასეთი იძულებითი ნაბიჯი გადაადგმევინა მის დროს თბილისში გადმოყვანილი ი. ვოსტორგოვის გავლენის ზრდამ, მაგრამ როგორც 1902 წელს მოსკოვში მეუფის ყოფილმა მნემ, არქიმანდრიტამ არისტარქემ მიამბო, საქმე სხვანაირად ყოფილა: მეუფეს ჰყავდა მორჩილი გიორგი, ნახევრად ინტელიგენტი, საკმაოდ ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა. გიორგის და რომელიღაც წესიერი ოჯახის ქალიშვილს ერთმანეთი შეუყვარდათ. ერთ „მშვენიერ დღს“ მორჩილი მუხლებში ჩაუვარდა ფლაბიანეს და ქორწინების ნებართვა სთხოვა. მეუფემ მოუსმინა მორჩილს, უთხრა: ამ ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რადგან არა გაბადია რა, საჭირო არ არის ქალიშვილს იმედი ჰქონდეს, შეირთავო. ამიტომ გირჩევ, დაუყონებლივ გაემგზავრო სამშობლოში და მანამდე დარჩე იქ, სანამ ერთმანეთს არ დაივიწყებთო. გიორგი გაემგზავრა ვითომდა საქმეზე, ქალიშვილს კი უთხრა: ქორწინების საკითხი დადებითად მაშინ გადაწყდება, როცა უკან დავბრუნდები, ე. ი. ნახევარი წლის შემდეგო. დაიმედებული ქალიშვილი ელოდა გიორგის, ხოლო როცა ვაჟი დაბრუნდა, სიტყვის შესრულება მოსთხოვა. გიორგიმ, რომელსაც ამ ნახევარ წელიწადში გული აუცრუვდა ქალიშვილზე, განუცხადა მას: შემიძლია ახლავე შეგირთო, მაგრამ მეუფე მიკრძალავსო. ქალიშვილი მეუფის ყოველ წირვა-ლოცვას ესწრებოდა და ისე უცქეროდა, როგორც კეთილისმყოფელსა და მამას. როცა გიორგისგან გაიგო მეუფის ჭირვეულობა ხელს უშლიდა მის „ბედნიერებას“, აღშფოთდა და კადნიერი წერილი მისწერა. წერილს სახელი და გვარი სრულად მოაწერა. ქალიშვილი მეუფეს წერდა: თუ გიორგის ნებას არ დართავთ შემირთოს, ღვთისმსახურების დროს წვერში გწვდებით და ერთ ამბავს დაგაწევთო. ყოვლად უდანაშაულო მოხუცს აურზაურის შეეშინდა და წერილს წერილზე და დეპეშას დეპეშზე აგზავნიდა პიტერში საქართველოდან გადამიყვანეთო. ამის შემდეგ მეუფე ძალიან იშვიათად წირავდა. შესაძლო აურზაურის თავიდან ასაცილებლად ღვთისმსახურების დროს ქალიშვილს უკან ყოველთვის ედგა ორი-სამი „მლოცველი“, რომლებიც თვალყურს ადვნებდნენ მოტყუებულის ყველა მოძრაობას.

1901 წლის 10 ნოემბერს მთავარეპისკოპოს ფლაბიანეს დეპეშით ეუწყა, ხარკოვში ხართ გადაყვანილიო. ხარკოვში გადაყვანა დიდი დაქვეითება იყო, მაგრამ მალე

განთავისუფლდა კიევის კათდრა და იგი კიევისა და გალიციის მიტროპოლიტად დანიშნეს. თბილისის სამღვდელოებიდან რამდენიმე კაცმა მეუფე ყარაიაზის სადგურამდე მივაცილეთ. ჩენთან საუბრისას მან რამდენჯერმე გამოთქვა სინანული, რამეთუ მიდიოდა საქართველოდან, სადაც თავისი ძვლების დაფლვას ფიქრობდა. მღვდელ გ. ჩაგუნავასთან დაგვიბარა, თქვენ ერთადერთი მღვდელი ხართ, რომელსაც ჩემგან ჯილდო არ მიუღია, მაგრამ შეცდომას უსათუოდ გამოვასწორებ ჩემი მემკვიდრის მეოხეობით (გამოასწორა კიდეც)...“[201]

XIX საუკუნის ბოლოს იმპერია კრიზისმა მოიცვა და ხელისუფლება შეეცადა, კვლავ წასულიყო დათმობაზე. ამ გარემოებით იყო გამოწვეული ეგზარქოს ფლაბიანეს თანხმობა ეპისკოპოს ლეონიდეს ხელმძღვანელობით შექმნილიყო კომისია, რომელშიც შევიდოდნენ: ეპისკოპოსი კირიონი, თბილისის სასულირო სემინარიის პედაგოგი გრძელიშვილი და სხვანი. კომისიას დაევალა შეემუშვებინა ქართული ენის სწავლების პროგრამები. 1898 წელს კომისიამ უწმინდეს სინოდს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტები, მაგრამ ამოქმედება, ვითომდა დაწვრილებითი განხილვის საბაბით, გადაიდო. ამას ქართული საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. თბილისის სემინარიის გამგეობამ ქართველი სასულიერო პირების თაოსნობით აღნიშნული პროექტი მიიღო. საპასუხოდ, სემინარიის ხელმძღვანელობამ ძველი პროგრამა დატოვა ძალაში. ვითარების შესწავლა დაევალა რევიზორ იატიხომიროვს. მისი დასკვნის საფუძველზე პროგრამის მიღებაში მონაწილე ქართველი პედაგოგები დაითხოვეს და ისინი რუსებით ჩაანაცვლეს.

სისტემური ხასიათი მიიღო ეკლესია-მონასტრების ძარცვამ. ეგზარქოს ფლაბიანეს თხოვნით, კავკასიის მეფისნაცვალმა მათ დასაცავად საგანგებო ქვედანაყოფი შექმნა. თუმცა აღნიშნულ ვითარებასაც თვითმპყრობელობა სათავისოდ იყენებდა და „ამღვრეულ წყალში თევზს კარგად იჭერდა“. სიძველეთა ვითომ დაცვისა და შესწავლის მიზნით უწმინდესმა სინოდმა 1901 წელს საქართველოში მოავლინა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პარასკევა უვაროვა. როგორც ჩანს, ამ მისიით გრაფინია უვაროვა საქართველოში 1904 წელსაც ჩამოვიდა. ეგზარქოსის კანცელარია წერილს უგზავნის გორის ეპისკოპოს ბენიამინს და აცნობებს, რომ 1904 წელს, ოქტომბრის მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოდის მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია

პარასკევა უვაროვა და სთხოვენ ეპისკოპოსს, დაეხმაროს, რათა გრაფინიამ შეძლოს ნახვა, აღწერა და ფოტოგრაფირება ყველა ხატის, ჯვრის, სახარებისა და მინიატურებისა, რომლებიც მას აინტერესებდა.[202] აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ პარასკევა უვაროვა ეგზარქოსისადმი წარდგენილი ანგარიშით აღნიშნავდა, რომ ქართველთა მხრიდან საეკლესიო ქონება არ იყო სათანადოდ დაცული. ამიტომ იგი ეგზარქოსისაგან ითხოვდა საგანძურის რუსეთში გადატანას. ამას წინ აღუდგნენ ეპისკოპოსები ალექსანდრე და კირიონი. საპროტესტო წერილში ალექსანდრე კატეგორიულად უარყოფდა საეკლესიო ნივთებით ვაჭრობას.

1901 წლის 10 ნოემბერს ფლაბიანე გადაიყვანეს ხარკოვის ეპისკოპოსად. მას თავისი ოთხწლიანი მმართველობის პერიოდში დიდად არა გამოუჩენია თავი, მაგრამ, ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ არც ქართველთმოძულეობით გამოირჩეოდა, მანვე, თავისი მმარველობისას გააუქმა ეგზარქოს პალადის მიერ შემოღებული აკრძალვა ყრმათათვის ქართველ წმინდანთა სახელების დარქმევის შესახებ.

თავი IV

საქართველოს ეგზარქოსები XX საუკუნის პირველ მეოთხედში

XX საუკუნის დასაწყისიდან აქტიურდება რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ბრძოლა ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური უფლებებისათვის. განსაკუთრებით გაძლიერდა მუშათა და გლეხთა გამოსვლები. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც საზოგადოებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთიანი შეტევისათვის ამზადებდა. ანალოგიური პროცესები განვითარდა საქართველოშიც. ეკლესიაც აქტიურად აღმოჩნდა ჩართული მიმდინარე მოვლენებში. მის უმთავრეს მოვალეობად იმპერიამ არსებული რეჟიმის ერთგულების ქადაგება აქცია. განსაკუთრებით ძლიერი იყო ზეწოლა იმპერიის განაპირა მხარეებზე. ხელისუფლების ხელში საქართელოს საეგზარქოსოც აქტიურ იარაღად იქცა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის ბრძოლა იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა. შექმნილ კრიზისულ ვითარებაში საქართველოს საეგზარქოსოს დაევალა ღონისძიებების შემუშავება დაძაბული ვითარების განსამუხტავად. ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა სასულიერო პირთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქართველი ერის რუსებთან ასიმილირების გზაზე, როგორც წინათ, ისე ახლაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საგანმანათლებლო სისტემის რუსულ ყაიდაზე მოწყობას, იმპერიისათვის ერთგული თაობის აღზრდას. უფრო გახშირდა რუსეთიდან მოვლინებული მოხელეების დანიშვნა სასულიერო სასწავლებლებში. უწმინდესი სინოდის 1904 წლის გადაწყვეტილებით სამრევლო სკოლებშიც უნდა გაძლიერებულიყო რუსული ენის სწავლება. ამას თან ერთვოდა ქართველ პედაგოგთა შემცირება და რუსულენოვანი კადრების ზრდა. ამგვარი ღონისძიებებისათვის იმპერია თანხებს არ ზოგავდა.

განათლების სფეროში გატარებულმა ანტიქართულმა ღონისძიებებმა და აქ დამკვიდრებულმა მკაცრმა რეჟიმმა ხელი შეუწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვას რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

იმპერიის მიერ განხორციელებულმა უხეშმა საეკლესიო პოლიტიკამ, რაც გამოიხატებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციების მოშლაში, საეკლესიო პირებსა და მრევლს შორის დაპირისპირების წარმოქმნასა, ეკლესიის ბიუროკრატიულ აპარატად გადაქცევასა და სხვა მრავალ მანკიერებათა დანერგვაში, საქართველოს ეკლესიას დაუკარგა თავისი ისტორიული მისია.

1905-1907 წლების რევოლუციურ პერიოდში ქართველ სასულიერო პირთა და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში აქტიურად დადგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, ყველანაირი ხერხებით ცდილობდა ხელი შეეშალა ამ პროცესისათვის. საქართველოს ეკლესიის მოწინააღმდეგეთა პოზიცია კარგად გამოჩნდა 1906 წლის რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის სხდომებზე.

რევოლუციური წლების შემდეგ იმპერიაში რეაქციის ხანა დაიწყო, რომელიც 1910 წლამდე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, არ შენელებულა ქართული საზოგადოების ბრძოლა ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. საპასუხოდ გააქტიურდა შავრაზმული ორგანიზაციების საქმიანობა საეგზარქოსოში. ამ მხრივ აღსანიშნავია „თბილისის საეპარქიო-სასულიერო საძმოს“ საქმიანობა.

პირველმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო დიდი სიმწვავით წარმოაჩინა ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც გამოვლინდა რუსეთის იმპერიაში, განსაკუთრებით კი მის განაპირა მხარეებში, კიდევ უფრო გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მეტი სიმწვავით დადგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

§ 1. ეგზარქოსი ალექსი ოპოცკი

(1901-1905 წ.წ.)

ალექსი ოპოცკი (ერში ალექსი ალექსის ძე ოპოცკი) დაიბადა 1837 წლის 12 დეკემბერს ფსკოვის გუბერნიაში, დეკანოზის ოჯახში. დაამთავრა ფსკოვის სასულიერო სემინარია, 1863 წელს კი სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია. 1864-1870 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ლიტვის ეპარქიაში. 1866 წლის 2 თებერვალს მღვდლად აკურთხეს. 1871 წლიდან ბრესტის ეპარქიაშია. ამავე წელს დეკანოზობა უბოძეს. 1872 წლის 14 თებერვალს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. 1891 წლის 22 დეკემბრიდან ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორია. დაქვრივების შემდეგ, 1892 წლის 25 იანვარს ბერად აღიკვეცა, 26 იანვარს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და ლიტვის ეპარქიის წმინდა სამების მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1893 წლის ზაფხულში იმპერიის დედაქალაქში გადაიყვანეს, ხოლო 1894 წლის 10 აპრილს ბალახნინსკის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1896 წლის 10 აგვისტოს ვიატკისა და სლობოდის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1901 წლის 10 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად. 1905 წლის 1 ივლისს ტვერის ეპარქიაში გადაჰყავთ. 1910 წლის 29 იანვარს, საკუთარი თხოვნით, გადადგა თანამდებობიდან. ცხოვრობდა დონის მონასტერში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1914 წლის 20 დეკემბერს. დაკრძალულია იქვე.

ეგზარქოსად ალექსი ოპოცკის დანიშვნასთან ერთად ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ საქმეში მისი თანამოაზრე იყო დეკანოზ ივანე ვოსტორგოვი, რომელიც თავიდან სახალხო განათლების სისტემაში მუშაობდა, შემდეგ თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო, მოგვიანებით სამრევლო სკოლების მეთვალყურის თანამდებობა ეკავა, იყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, ბოლოს, ჟურნალის «Вестник Грузинского экзархата» რედაქტორი. ეს იყო უდავოდ ნიჭიერი, საზრიანი, მოხერხებული და მჭევრმეტყველი ადამიანი. სულ მცირე ხანში იგი ეგზარქოს ალექსის მარჯვენა ხელი გახდა. უფრო მეტიც, ეგზარქოსი, ფაქტობრივად, მისი გავლენის ქვეშ მოექცა და მის გარეშე არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებდა. ივანე ვოსტორგოვს შეეძლო დამოუკიდებლად, ეგზარქოსთან შეუთანხმებლად, ღვთისმსახურთა დაჯილდოება, დოკუმენტებზე რეზოლუციების დადება. 1902 წელს საქართველოს

საეგზარქოსომ ვოსტორგოვის რეკომენდაციით მიიღო გადაწყვეტილება, სამრევლო სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე პირველივე კლასიდან დაეწყოთ. ის თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მეგრელები არ იყვნენ ქართველები და ხელს უწყობდა ამ კუთხეში სეპარატიზმის გაღვივებას. 1905 წლის მაისში თბილისში ჩამოყალიბდა ახალი შავრაზმული ორგანიზაცია „წესრიგის მომხრეთა პარტია“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი ივანე ვოსტორგოვი იყო. ორგანიზაციის წევრები არბევდნენ სახალხო გამოსვლებს, აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს.

რუსეთის ხელისუფლების მოხელეები ყველა საშუალებით ებრძოდნენ იმ სასულიერო პირებს, რომლებიც იმპერიის პოლიტიკას უპირისპირდებოდნენ. 1902 წელს ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი რუსეთის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1903 წელს მოხუცებულობის საბაბით ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე პენსიაზე გაუშვეს, თუმცა ყველამ იცოდა, რომ იგი სინამდვილეში დეკანოზ ივანე ვოსტორგოვთან დაპირისპირებას შეეწირა. ასევე იდევნებოდნენ ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ამბროსი ხელაია და სხვები. ზემდგომ ინსტანციებში იგზავნებოდა საიდუმლო შინაარსის წერილები ეგზარქოს ალექსის ხელმოწერით, რომლებშიც იგი წერდა აღნიშნული სასულიერო პირების ანტისახელისუფლებო საქმიანობაზე.[203] ანტისახელისუფლებო საქმიანობაში კი იგულისხმებოდა აღნიშნული მამულიშვილების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგის მმართველ ეგზარქოსებს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე პირადად იცნობდა და მისი მოგონებებ მათ შესახებ ჩვენთვის ერთ-ერთი პირველწყაროა ეგზარქოსთა შესაფასებლად. ალექსი ოპოცკის შესახებ იგი წერს: „მეუფის მემკვიდრედ კი მოგვევლინა მთავარეპისკოპოსი ალექსი I ოპოცკი (1901-1905), კაცი კეთილი, გულისხმიერი, უბრალო, ყაირათიანი, მკვირცხლი, ენერგიული, მაგრამ... ამ „მაგრამზე“ შემდეგ მოგახსენებთ.

ეგზარქოსი ალექსი სამსახურს ჩვენთვის (და საერთოდ სასულიერო სამყაროსთვის) უჩვეულოდ ორიგინალურად შეუდგა. სამღვდელოებასთან „სტუმრად სიარული“ დაიწყო. მაგალითისთვის აღვწერ მის ერთ „სტუმრობას“ დიდუბის ეკლესიის კრებულთან. მაშინ დიდუბის ეკლესიაში ვმსახურობდი. 2 (15) თებერვალს, ოთხ საათზე ეკლესიას მღვდელმთავრის ეტლი მოადგა. ბავშვების უჩვეულო ჟივილ-ხივილის

გაგონებაზე საკურთხევლიდან გამოვედი და ეზოში დავინახე ეგზარქოსი, რომელსაც ბავშვები შემოხვეოდნენ, მათ შორის ჩემებიც. ეგზარქოსი სახელსა და გვარს ეკითხებოდა ბავშვებს (ყველაზე უფროსი ბავშვი ათი წლისა იყო, ყველაზე უმცროსი კი - სამისა). როცა მეუფემ გაიგო, ისინი ეკლესიის კრებულისა და დარაჯისა იყვნენ გააღო ეტლის კარი, ჩასხა ეტლში ათი-თორმეტი ბავშვი და მეეტლეს უთხრა:

- ჰუსეინ, გაასეირნე!

გაოცებული ჰუსეინი არ დაძრულა. ეგზარქოსმა მეორედ უბრძანა, ბავშვები გაასეირნეო, და ჰუსეინმაც დიდუბეში გააქროლა პატარების წივილ-კივილით, სიცილითა და მხიარულებით აღსავსე ეტლი, რომელსაც გაკვირვებით აყოლებდა თვალს მოსახლეობა, განსაკუთრებით გამვლელნი. კმაყოფილი და სახეგაბრწყინებული გოლიათი მეუფე (ტანად მოსული, კარგად ჩასხმული კაცი) ეკლესიის კარისკენ შემობრუნდა, დამინახა და მითხრა: ხომ კარგია, რომ ბავშვები გამხიარულდნენ, ჰუსეინს კი საქმე გაუჩნდაო.

შემდეგ ეგზარქოსმა ილოცა, დარაჯის ცოლი სისუფთავისათვის შეაქო, მე კი მიბრძანა: მედავითნესთან წამიძეხი, შენთან (მეუფე ალექსი თითქმის ყველას შენობით ელაპარაკებოდა) ბოლოს შემოვივლი და ჩაის დავლევო. წავედით. მედავითნის ცოლი გაოგნდა (მედავითნე და კრებულის სხვა წევრები საეკლესიო წესს ასრულებდნენ), ძლივს მიხვდა, მეუფისთვის ლოცვა-კურთხევა გამოეთხოვა და მეორე ოთახში გავიდა. საშინაოდ ჩაცმული საბრალო ქალი კარს ეკვროდა და თვალებს მაჭყეტდა. მე კი მღვდელმთავრის ზურგს უკნიდან ვანიშნებდი დამშვიდებულიყო. მეუფემ დიასახლისის უხერხულობა რომ შეამჩნია:

- არა უშვს, არა უშავს. მინდა გავიგო, როგორ ცხოვრობთ, როგორია თქვენი ბინა. ყველაფერი რიგზე გაქვთ თუ არა, საშინაოდ რომ გაცვიათ, კარგია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აზიზ-მაზიზი არა ხართ.

მეუფემ სამზარეულოც დაათვალიერა და ეზოში გამოვედით. იქვე მოსწავლეთა ოთახები, დიაკვნის, მასწავლებლისა და მეორე მღვდლის ბინები იყო. მეუფემ ყველაფერს მოავლო თვალი. ყველას ალერსიანი, მამობრივი სიტყვა უთხრა და ყველა კმაყოფილი, გამხნევებული და გახარებული გახლდათ. შემდეგ მეუფემ ცარიელი ოთახები (შვიდი ოთახი) დაინახა და მკითხა: რა არის ესო? მივუგე: აქ ორშაბათობით მლოცველნი ჩამოდიან, ორი-სამი დღე რჩებიან. ეს ოთახებიც მათთვისაა აშნებული.

ამჟამად ორ ოთახში სოფლის მღვდლისა და დიაკვნის ქვრივები ცხოვრობენ, რომლებიც ქმრების სიკვდილის შემდეგ უთავშესაფროდ დარჩნენ-მეთქი. შევედით მათთანაც. ეგზარქოსმა ქალებს დაუყვავა, ფული აჩუქა. შემდეგ მე მითხრა: ახლა კი შენსას წავიდეთო. ამ დროს ჰუსეინიც დაბრუნდა მისთვის უჩვეულო მგზავრებთან ერთად. ბავშვები ჩვენკენ გამოიქცნენ. ბავშვების სიხარულით კმაყოფილმა ეგზარქოსმა ყველას თავზე ხელი გადაუსვა, დააჯილდოვა - „გაამდიდრა“ (20 კაპიკით) და ძლივს დაიხსნა თავი მათგან: პატარები ხომ ათ-ათჯერ მაინც იჭერდნენ მის ხელებს და ზედ ეამბორებოდნენ. ბოლოს ეგზარქოსმა სხვების შვილები გარეკა და ჩემებს უთხრა:

- გაიქეცით წინ და დედა გააფრთხილეთ, რომ თქვენთან ჩაის დასალევად მოვდივარ.

დედა უკვე გაფრთხილებული ჰყავდა დარაჯის ცოლს და პურ-მარილით გველოდა. ეგზარქოსს გული აუჩუყდა: რა კარგია, რომ წმინდა რუსულ წეს-ჩვეულებებს იცავთ, მით უმეტეს, თითქოს და რუსი არცა ხართო - უთხრა დიასახლისს. დიასახლისმა მიუგო: არა, გერმანელი ვარ, მაგრამ მართლმადიდებელი გახლავართ და რუსული წეს-ჩვეულებები ვიციო. კიდევ უკეთესი - უთხრა ეგზარქოსმა, - ქმარი ქართველია, დედა - გერმანელი, ბავშვები კი რუსები იქნებიანო. მისმა სიტყვებმა პირდაპირ გული დამიკოდეს, ვაპირებდი კიდეც, რაღაც მეპასუხა, მაგრამ ამ დროს ჩემი შვიდი წლის გოგონა შეესიტყვა: არა, ქართველი ვარ და ყოველთვისაც ქართველი ვიქნებიო. ყაჩაღანას ნათქვამი, ეტყობა, ეგზარქოსს არ მოეწონა და უთხრა: შენ, ასეთი სამხრეთელი თვალებისა და შავი კულულების პატრონი რა საკვირველია ქართველად დარჩები, მაგრამ ეს ქერა გოგონა (უფრო პატარაზე მიუთითა ეგზარქოსმა) უთუოდ რუსი იქნებაო! ამას რომ ამბობდა, მეუფე მე მიყურებდა, მე კი ჩემი გოგონას სიტყვების შემდეგ არაფერი „მესმოდა“ და ვერაფერს ვხედავდი.

- აბა, - მიმართა ეგზარქოსმა ჩემს ოთხ ბავშვს, რომლებიც ნახევარ წრედ გადაღობებოდნენ წინ, - დაუჩქარეთ, სასადილო ოთახში წამიყვანეთ და ჩაით გამიმასპინძლდით!

ეგზარქოსი დაახლოებით ერთი საათი იჯდა ჩემთან, მთლად შინაურულად მეკითხებოდა, როდიდან ვმსახურობდი, რამდენი წევრი იყო კრებულში, რამდენი შვილი ჰყავდა კრებულს, სად და როგორ სწავლობდნენ ისინი, როდის აშენდა ეკლესია, კმაყოფილი იყო თუ არა კრებული საეკლესიო ბინით. ხომ არ დადგა დრო მედავითნის

სამზარეულოს შეკეთებისაო და ა. შ. ამ დროს მოვიდნენ ჩემი თანამსახურნიც, რომლებიც პირდაპირ დაატყვევა ეგზარქოსის ალერსიანმა მოპყრობამ.

ეგზარქოსი ასე, ან დაახლოებით ასე მიაგებდა სამაგიეროს თბილისის ყველა მღდელმსახურს სტუმრობის წილ. ყველა „მოხიბლული“ იყო.

გავიდა ცოტა ხანი და მეუფე ვრცელი ეპარქიისა და საეგზარქოსოს საქმეებში ჩაეფლო. ეპარქიისა და საეგზარქოსოს მართვა კონსისტორიული შაბლონით, რითაც შეიძლებოდა ვიატკის ეპარქია ემართათ, შეუძლებელი იყო. ჩვენში ხალხიც სხვანაირი გახლდათ: ჩრდილოეთში მღვდელმთავარს მიწამდე უხრიდნენ თავს (ზუსტად მიწამდე), ჩვენში კი წელშიც არ იხრებოდნენ, მხოლოდ თავის დახრით კმაყოფილდებოდნენ. რაც მთავარია, მეუფის „საქმეები“ რთული იყო და ერთი მდივნის, თანაც გამოუცდელი მდივნის ამარა მათ ვერ აუვიდოდა. პირველი ქორეპისკოპოსი რუსი გახლდათ, მაგრამ ავადმყოფი, ხოლო მეორე - ქართველი... მეუფეს სჭირდებოდა გამოცდილი, მტკიცე, საიმედო კაცი, რუსი, ვინც კარგად ერკვეოდა ადგილობრივ საქმეებში. „ასეთი“ კაცი ეგზარქოს ალექსისათვის აღმოჩნდა დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. ვოსტორგოვი სახალხო განათლების სისტემის უწყებიდან „წავიდა“ (იგი თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი იყო), მუშაობა დაიწყო ჯერ ქართული ეპარქიის სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურედ, შემდეგ იმავე სკოლების საოლქო მეთვალყურედ, შემდეგ - საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრად, ბოლოს ჟურნალ «Вестник Грузинского экзархата»-ს რედაქტორად.

დეკანოზ ვოსტორგოვს უდაოდ მჭერმეტყველების ნიჭი, სწრაფი საზრიანობისა და მოხერხებულობის უნარი და შედარებით დიდი ცოდნა ჰქონდა. იცოდა, სასიამოვნო რამ ვისთვის ეთქვა და როდის ეთქვა. ვის გახუმრებოდა, ვის მოფერებოდა, ვინ დაეშინებინა.

ამ თვისებების გამო ეგზარქოსის არა თუ მარჯვენა ხელი, მართლაც და აუცილებელი პიროვნება, მისი ხელმძღვანელი გახდა. ვოსტორგოვი ეგზარქოსთან ათენებდა და აღმებდა. მთელი კვირაობით შინ არ მიდიოდა, ეგზარქოსის ყველა ღვთისმსახურებას ესწრებოდა. მეუფე თვითონ ვერაფერი შვილი მოქადაგე იყო და ღვთისმსახურებისას ქადაგებას ყოველთვის მამა ივანეს ანდობდა. უფრო მეტიც, საქმიან ქაღალდებს მისი კარნახით აწერდა რეზოლუციებს, რთული საქმეებისათვის

გადაწყვეტილებას შავად მამა დეკანოზს აწერინებდა, თვითონ კი მხოლოდ ათეთრებდა, რასაც არც მალავდა და არც ეუხერხულებოდა. მიყვარს, როცა მამა ივანე ლამაზი სიტყვებით გამოთქვამს ჩემს აზრებსო - ამბობდა მეუფე და არც ეეჭვებოდა, რომ მამა ივანე არა მის აზრებს, არამედ საკუთარს გამოთქვამდა. ზოგჯერ ეგზარქოსი ქაღალდს მთხოვნელის თვალწინ ადებდა რეზოლუციას. მთხოვნელიც კმაყოფილი მიდიოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი კანცელარიიდან სხვა რეზოლუციას ვღებულობდით. ვამოწმებდით და ვხედავდით, რომ თხოვნას იქ, სადაც ძველი რეზოლუცია ედო, დაწებებული ჰქონდა ქაღალდი და ზედ ახალი რეზოლუცია ეწერა, უკვე ვოსტორგოვისეული. ერთი ასეთი მოხსენება ახლაც ინახება ჩვენთან...

ვოსტორგოვი იმ ზომამდე გათავხედდა, რომ ეგზარქოსს არც ეკითხებოდა და არც ათანხმებდა, ისე აჯილდოებდა მღვდელმსახურს, თანაც ამ დროს მეუფეს იარაღად იყენებდა.

აი, მაგალითი ახტალის მონასტრის წინამძღვარმა ამ სავანის ერთ-ერთი ეკლესია განაახლა და 15 დეკემბრისათვის დანიშნა მისი კურთხევა. მოიწვიეს ეგზარქოსი, რა საკვირველია, ვოსტორგოვთან ერთად. მეც მიმიპატიჟეს, ჩავედით საღამოს, აღვავლინეთ მწუხრის ლოცვა, ეკლესიის კურთხევას კი დილით ვაპირებდით. ეგზარქოსი ადრე ადგა და ყველა აგვაყენა. მე მითხრა: აქ შენ შინაური კაცი ხარ (ჩემდა სამარცხვინოდ, ამ მონასტერში პირველად ვიყავი), წავიდეთ და სიძველენი მაჩვენეთ, შენ კი, მამა ივანე, - მიმართა ვოსტორგოვს - ქადაგების კონსპექტი შეადგინეო (ვოსტორგოვის ეს შინაარსიანი და მშვენივრად ჩამოყალიბებული სიტყვა მის თხზულებათა მე-2 ტომშია დაბეჭდილი).

გამოვედით გარეთ, შემოვუარეთ დიდ ეკლესია-საყდარს, დავტკბით მისი საოცარი ჩუქურთმების ცქერით, შიგნით კი განგვაცვიფრა მშვენიერი მხატვრობის ნაშთებმა, განსაკუთრებით კანკელის თაღის ცენტრში მოთავსებულმა ქრისტე-ემანუელის ხატმა. გავიარეთ ეზოში, შევიხედეთ მონასტრის სენაკის ნანგრევებში. ამ დროს მოვიდა მამა მოძღვარი, რომელსაც ეგზარქოსმა მიუთითა რისთვის და როგორ გაეკეთებინა რესტავრაცია. დავბრუნდით მოძღვრის განსასვენებელში. აქ თვალი ვკიდე ერთ მღვდელს, რომელც გუშინ არ ჩანდა. იგი მოწიწებით ესაუბრებოდა მამა ვოსტორგოვს. ვოსტორგოვმა რომ დამინახა, თქვა: - გაიცანით, მღვდელი ცინცაძე,

ქ. თბილისის სამრევლო სკოლების მეთვალყურე, დეკანოზი იასტრებოვი, ქ. სოხუმის სამრევლო სკოლების მეთვალყურე.

მამა იასტრებოვი მომესალმა და წარმოთქვა:

- მღვდელი იასტრებოვი.

ვოსტორგოვმა გაუსწორა:

- არა, დეკანოზი.

იასტრებოვს გაუკვირდა, მე კი შევცბი - „მღვდელია“ თუ „დეკანოზი“ ამ კაცმა თვითონ როგორ არ იცის-მეთქი.

დაიწყო წირვა. ეგზარქოსმა მწირველთა შორის მამა იასტრებოვი რომ დაინახა გაკვირვებით მიაცქერდა. დადგა დრო, როცა ღვთისმსახურების შემდეგ მღვდელმსახურთ აჯილდოებდნენ. მამა ვოსტორგოვმა ხელისკვრით გამოადგო შუაში მამა იასტრებოვი, მოულოდნელი ამბით განცვიფრებულ ეგზარქოსს წესისამებრ თავი დაუკრა და მთავარდიაკონთან ერთად იგი (იასტრებოვი) საკურთხეველში შეიყვანა. იქიდან ისინი ტიპიკონით დადგენილი რიგით დაბრუნდნენ მეუფესთან, რომელიც ბოლოს მიხვდა, რა ხდებოდა და იასტრებოვს დეკანოზის ხარისხი მიანიჭა. წირვის დამთავრების შემდეგ მამა ვოსტორგოვს ვკითხე, რას ნიშნავს-მეთქი ეს ყველაფერი? მამა ვოსტორგოვმა სიცილით მიპასუხა:

- ჯერ ერთი იმას, რომ ეგზარქოსს სიურპრიზი მოვუმზადე, მეორეც მამა მეთვალყურე ამაღლდება სოხუმის ეპარქიის „ხუცესთა“ თვალში, რომელთა შორის საკმაოდაა უცოდინარი, უკაცრაული პასუხია, დეკანოზები. განა ერთობლივი წირვისას მეთვალყურე მათ ჩამოუვარდება?

- მერე და არის სინოდის ნებართვა მამა იასტრებოვის დაჯილდოებისა?

- ხვალ ეგზარქოსი ისეთ მოხსენებას „გამოაცხობს“ სინოდი ალბათ ენქერსაც უბოძებს, ჩვენ კი 1903 წლის დაჯილდოებულთა სიაში შევიტანოთ და იგი ამ ჯილდოს გაისად „მიიღებს (ეს მართლაც ასე მოხდა). სინოდი უარს იტყვის თუ? საქართველოს ეგზარქოსი, ძმობილო, ხმამაღლა ჟღერს!

- მაშ მამა კელენჯერიძეს რატომ არ აძლევთ დეკანოზობას, ისიც ხომ საეპარქიო მეთვალყურეა?

- კელენჯერიძე თავისიანებშია, აკადემიაში აქვს მიღებული განათლება და ეს სავსებით ამაღლებს მის ავტორიტეტს. იასტრებოვი კი რუსია, უცხოთა შორის იმყოფება, ამიტომ მხარი უნდა დავუჭიროთ მის დაწინაურებას!

- მესმის, მესმის!..

სადილზე ეგზარქოსმა საზრიანობა შეუქო მამა ვოსტორგოვს.

- მართლაც მხარი უნდა დავუჭიროთ რუსი კაცის პრესტიჟს განაპირა მხარეში - თქვა მეუფემ და ამით ყველაფერი გამოაშკარვდა: ვოსტორგოვს იგი მაგრად ჰყავდა ხელში ჩაჭერილი...

მივარდნილ მონასტერში ნათქვამი რა მოსატანია იმასთან შდარებით, რაც თბილისში შეიძლება ითქვას, მთელი ქალაქის თვალწინ მოხდა 1904 წლის 10 ნოემბერს.

ამ დღეს ეგზარქოსს ჩემთან უნდა ეწირა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რის შესახებაც გაზეთებში დაიბეჭდა (იმ ხანად წესად ჰქონდათ გაზეთებში ამგვარი ცნობებიც გამოექვეყნებინათ). ვოსტორგოვი მოპატიჟებული არ მყავდა. დილის რვა საათზე გაისმა ტელეფონის ზარი, ავიღ ყურმილი, ეგზარქოსი მირეკავდა. მითხრა: მომიტევეთ, მაგრამ დღს წირვა რ შემიძლიაო. გუშინ წინ (როცა მე იგი მოვიწვიე) დამავიწყდა მეთქვა, რომ დღეს მამა ივანე და მე ხარფურის სკოლას უნდა ვეწვიოთო. მივუგე:

- რა ვქნათ, მეუფეო, თქვენი წირვის შესახებ გაზეთებმა უკვე აუწყეს მკითხველებს, მრევლი გელოდებათ. თანამწირველნი მალე მოვლენ!.. სკოლას ხომ ყოველდღე შეიძლება ეწვიოთო. აქ კი ტაძრის დღესასწაულია, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება.

- არ შემიძლია, ძვირფასო, არ შემიძლია, ყოვლადსამღვდელო ექვთიმეს (ქორეპისკოპოსი) ვუთხარი, ჩემს მაგივრად წიროს, შენც სთხოვე, - მითხრა ეგზარქოსმა.

იძულებული გავხდი, ტელეფონით დამერეკა ქორეპისკოპოსისათვის (ის ჩემამდე იყო ქვაშვეთში წინამძღვრად). მეუფე ქორეპისკოპოსმა შეამჩნია, რომ უკმაყოფილო ვიყავი მღდელმთავრის „შეცვლით“ და საუზმეზე მითხრა:

- ასეც მოგიხდებათ, ნუთუ აქამდე ვერ გაიგეთ, რომ მამა ივანეს ვერაფრით გვერდს ვერ აუვლით!“[204]

ივანე ვოსტორგოვის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველებისადმი კარგად ჩანს მის ზოგიერთ გამონათქვამში, მაგალითად, სიონის მუზეუნის

მისამართით, სადაც ინახებოდა უმდიდრესი ძველი ქართული ხელნაწერები და ისტორიული განძეულობა. მას უთქვამს: „საჭიროა ეს დამპალი ნაგავი დაწვანო“. იგი პირდაპირ ეუბნებოდა ქართველებს: „ქართველები მე სიტყვით დამიწყებენ ლანძღვას, მე კი მათ საქმით მოვუღებ ბოლოს“.

საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი ვოსტორგოვი დიდად გარჯილა ამ სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და ქართველი ახალგაზრდობის გადაგვარებისათვის. ამასთან, 1904 წელს, მას პეტერბურგში, სინოდის წევრებისა და სხვა წარჩინებულ პირთა კრებაზე წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიც არ დაკმაყოფილებულა სასკოლო საქმეებში თავისი ღვაწლის აღნუსხვით და საერთოდ მთელი ქართველი ერის დახასიათება განუზრახავს. ვოსტორგოვის ეს გამოსვლა სინოდის ჟურნალში დაუსტამბავთ (прот. И. Восторгов, Церковная школа в Закавказия, Журнал «Народное оброзование». Издание училишного Совета при Святейшем синоде, т. 1, книжка 3, Март, 1905, с. 307-337;) ვოსტორგოვი ეხებოდა საქართველოს ისტორიასაც და ისტორიულ გეოგრაფიასაც, კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხსაც, ეროვნულ ურთიერთობასაც, რელიგიის საკითხებსაც და ა. შ. ეს იყო ტიპური შავრაზმელი კლერიკალის ლაშქრობა ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ.

დეკანოზ ვოსტორგოვის გამოსვლას უმალვე პასუხი გასცა ნიკო მარმა. მან ცხადყო ვოსტორგოვის სრული უვიცობა საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის ელემენტარულ; საკითხებში. მიუთითა, რომ ვოსტორგოვი მსჯელობდა ადგილობრივ ენებზე ისე, რომ არც ერთ ენაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. (ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 5:) ნიკო მარმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის გამგებლობა ებარათ ადგილობრივი პირობების უცოდინარ, სრულიად არაკომპეტენტურ პირებს, რომ რუსული ეკლესიის სასულიერო პირები და რუსული მმართველობის მოხელეები შეკავშირებულ ძალად გამოდიოდნენ ქართელი ერის წინააღმდეგ. ნიკო მარი დაასკვნიდა, რომ ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ ბრძოლას ვოსტორგოვი და მისი თანამოაზრეები განმარტავდნენ, როგორც რუსული ეკლესიისა და რუსეთის სახელმწიფოს დიდებისათვის მზრუნველობას.

ნიკო მარის დარტყმა რეაქციონერი ვოსტორგოვისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს უკანასკნელი კავკასიიდან აიბარგა, მაგრამ კავკასიის ხალხების წინააღმდეგ

შხამს კვლავ ანთხევდა. კერძოდ, წასვლის შემდეგ, ვოსტორგოვი გამოსულა მოსკოვში „რუსი ადამიანების“ ყრილობაზე. ეს გამოსვლა ნიკო მარმა შეაფასა როგორც „გველურ სიბრძნეს მოკლებული გველური სისინი“. (Н. Марр, История Грузии (культурно-исторический набросок, СПБ., 1906, с. 6;)[205]

„1903 წლის თებერვლის დამდეგს, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის ახალი შენობის მშენებლობის მთელი კომიტეტი, მისი თავმჯდომარის ი. გ. ამილახვარის მეთაურობით, ეგზარქოსს ეწვია და ეკლესიის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა, თან სთხოვა, პროექტი საგუბერნიო სამმართველოში გაეგზავნა დასამტკიცებლად. ეგზარქოსმა ქართული ეკლესიების დარად შედგენილ პროექტს რომ დახედა, საწერი მაგიდის ერთ-ერთი უჯრა გამოსწია, ეკლესიების პროექტების მთელი ათეული ესკიზი ამოიღო (ამ ეკლესიებს ხახვის გუმბათები და სამ მხარეს პატრონიკე ჰქონდა) და ამილახვარს ჰკითხა: თავადო, განა ესენი არ სჯობს თქვენს პროექტს? ამილახვარმა მიუგო: შეიძლება სჯობს კიდეც, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა ეს გეგმა გამოიმუშვეს და გვინდა სწორედ მის მიხედვით ავაშენოთ ეკლესია. ეგზარქოსი შეესიტყვა: თქვენო ბრწყინვალებავ, თუკი წინაპრები სისულელეებს სჩადიოდნენ, ჩვენ რატომ უნდა გავიმეოროთ ისინი!“[206] მხოლოდ თავად ამილახვრის პრინციპული პოზიციის გამო ალექსი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

1905 წლის 24 იანვრის, ეგზარქოსის ცირკულარული წერილით ეგზარქოსი მკაცრად აფრთხილებს სასულიერო პირებს, რომ ა) ეკლესია-მონასტრების აღდგენისას დაცული იყოს მათი, როგორც გარეგანი, ასევე შიდა ნაწილი გადაკეთებისაგან, ბ) არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ფერწერის ნიმუშებისა და სხვა სიძველეთა შესწორება არქეოლოგიურ და საისტორიო საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე. ასევე ითხოვს, მიაწოდონ ცნობები იმის შესახებ თუ ეკლესიებსა და კერძო პირებთან რა წერილობითი და ნივთიერი სიძველეები ინახება.[207] ქართულ ეკლესია-მონასტრებზე ასეთი „ზრუნვა“, როგორც ჩანს, ავტოკეფალური მოძრაობის გააქტიურებამ გამოიწვია. იმპერია იძულებული გახდა, ეჩვენებინა ქართველებისათვის, რომ იგი ზრუნავდა ქართულ სიძველეებზე. რაც შეეხება კერძო პირებთან დაცულ ნივთიერი და წერილობითი სიძველეების შესახებ ინფორმაციას, როგორც წესი, ასეთი ინფორმაცია შემდგომში გრაფინია უვაროვასნაირების ხელში ვარდებოდა და ასე გადიოდა ქართული სიძველეები ქვეყნის გარეთ.

საარქივო მასალებში დაცულია დოკუმენტი, რომლითაც ეგზარქოსის კანცელარია გორის ეპისკოპოს ბენიამინს აცნობებს, რომ 1904 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოდის მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პარასკევა უვაროვა და სთხოვენ ეპისკოპოსს, აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება, რათა გრაფინიამ შეძლოს ნახვა, აღწერა და ფოტოგრაფირება ყველა ხატის, ჯვრების, სახარებისა და მინიატურების, რომლებიც წარმოადგენდნენ მის ინტერესს.[208]

საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მძიმე ანტიქართული პოლიტიკის შედეგი იყო 1905 წლის 28 იანვარს, თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში მომხდარი გამოსვლა, რომლის ორგანიზატორთა მოთხოვნა რამდენიმე მუხლისგან შედგებოდა: 1) სასწავლებელს მოშორდეს გამგე ნ. ნ. ტროფიმოვა; 2) სასწავლებლის ხელმძღვანელობა ერთნაირად მოექცეს ყველა ეროვნების მოსწავლეს; 3) მოგვეცეს მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება.

„ეგზარქოს ალექსის დროს ქართველ ეპისკოპოსებს, როგორც ეს იმერეთის მეუფემ განაცხადა, საკუთარი სემინარიის მართვის უფლება არ ჰქონდათ, რადგან რექტორი უგულებელჰყოფდა თავის მღვდელმთავარს, თუკი ეგზარქოსი ალექსი „არ ბრძანებდა მის სემინარიაში შეშვებას," ხოლო საეგზარქოსოს საეკლესიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი ქართველ მღვდელმთავრებზე უფროსობდა, ბაქოში დეკანოზმა იუზვიცკიმ უსამღვდელოესობა კირიონი ტაძარში არ შეუშვა და ცხვირწინ მიუხურა კარები. რა თქმა უნდა, ამისთვის იგი დააჯილდოვეს. სიმართლეს ამბობს უსამღვდელოესობა ლეონიდე, რომ „რუსულ საეკლესიო მმართველობას რუსეთისადმი ერთმორწმუნე ხალხების მხოლოდ ჩამოშორებისა და შიშის გრძნობის აღძვრა შეუძლია. ტყუილად ხომ არ აქციეს ზურგი დღევანდელ რუსეთს ბერძნებმა, რუმინელებმა, სერბიელებმა. რუსეთმა დაივიწყა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ხალხების წინაშე დადებული ვალდებულებები".[209]

ქართული სამღვდელოების განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია იმპერატორ ნიკოლოზ II-ის 1905 წლის 18 თებერვლის რესკრიპტმა, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ბულიგინმა უფლება მისცა, გულახდილად გამოეთქვათ საკუთარი აზრი გასატარებელი ღონისძიებების შესახებ იმპერიის მოქალაქეებს, რომლებიც წარმატებით გარდაქმნიდნენ. აღნიშნულმა

მოვლენამ ხელი შეუწყო საეკლესიო საკითხების წინ წამოწევას. თვით რუსეთში წამოაყენეს მოთხოვნა იმპერატორ პეტრე I-ის დროს გაუქმებული პატრიარქობის აღდგენის შესახებ. ქართველი ავტოკეფალისტების აზრით, ეს ხელს შეუწყობდა საქართელოს ავტოკეფალიის აღდგენას. 1905 წლის 17 აპრილს ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც იმპერიაში არსებულ ყველა კონფესიას ეძლეოდა უფლება, დაეყენებინა თავისი პრობლემები ხელისუფლების წინაშე.

ავტოკეფალიის მოთხოვნით, თავდაპირველად, გამოვიდა იმერეთის სამღვდელოება. 1905 წლის 16-22 მარტს ქუთაისში შეკრებილმა ეპარქიის სამღვდელოებამ პეტიცია გაუგზავნა რუსეთის მთავრობას. მსგავსი პეტიციით მთავრობას იმავე წლის აპრილში გურია-სამეგრელოს ეპარქიის წარმომადგენლებმაც მიმართეს. ავტოკეფალურ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო ქართლ-კახეთის ეპარქიაც. 1905 წლის გაზაფხულზე მათ რამდენიმე მიმართვა გაუგზავნეს ეგზარქოს ალექსის ყრილობის ჩატარების მოთხოვნით, მაგრამ ეგზარქოსი პასუხს არ იძლეოდა. სასულიერო პირები თბილისში 27 მაისს ნებართვის გარეშე შეიკრიბნენ, ითხოვეს ყრილობის 28 მაისს ჩატარება. ეგზარქოსი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, ოღონდ იმ პირობით, რომ ყრილობა მუშაობას 1 ივნისს შეუდგებოდა. ეგზარქოსი იმედოვნებდა, რომ ამ დროისთვის თბილისში ჩამოსვლას მოასწრებდნენ ერევნის, ბაქოს და ელიზავეტოპოლის რუსი სასულიერო პირები, რათა ისინი დაეპირისპირებინათ ქართული სამღვდელოებისათვის და ხელი შეეშლათ მათი განზრახვისათვის. ქართველები მიხვდნენ ეგზარქოსის ჩანაფიქრს და ყრილობა 29 მაისს გახსნეს. ეგზარქოსმა ალექსიმ რკინიგზის სადგურების უფროსებს წერილები დაუგზავნა, 26-დან 30 მაისამდე მღვდლებისთვის ბილეთები არ მიეცათ თბილისში ჩამოსასვლელად, ხოლო თუ ისინი უბილეთოდ მგზავრობას მოინდომებდნენ, ჟანდარმერიას ისინი მატარებლიდან უნდა ჩამოესხა. თბილისის სადგურის ჟანდარმებს უბრძანა, 27-30 მაისს ჩამოსული მღვდლები დაეპატიმრებინათ.[210] ამის გამო არაერთმა სასულიერო პირმა სამღვდელო შესამოსელი განიმოსა და ისე იმგზავრა თბილისამდე. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მთავარმართებელმა გრაფმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა ეგზარქოსს სიტუაციის განმუხტვა დაავალა, ამიტომ ალექსი ოპოცკი დათმობაზე წავიდა. ქართველი სასულიერო პირები ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძართან შეიკრიბნენ. შეკრების თავმჯდომარედ დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი, მდივნებად კი

მღვდლები ი. ჯაში და ა. მიქელაძე აირჩიეს. შემუშავდა მიმართვის ტექსტი მთავრობისა და სინოდის სახელზე. მასში ნათქვამი იყო:

“I ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათალიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათალიკოსატი. ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა - აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი).

II აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურთა განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებენ.

შენიშვნა 1: კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს. ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენელნი, - კათალიკოსსა და მღვდელმთავრებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათალიკოსის მეთაურობით და კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათალიკოსს უზენაესი საერო ხელისუფლება.

შენიშვნა 2: მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე სასულიერო პირთა კანდიდატების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა.

III. კათალიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე კათალიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან - საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

IV. კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებისა და საქველმოქმედო დაწესებულების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

V. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსთვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული“.[211] პეტიციას ხელი მოაწერა 412 კაცმა.

შეკრების დასასრულს სასულიერო პირები მრევლის თანხლებით გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე გამოვიდნენ და მეფისნაცვლის სასახლისკენ დაიძრნენ. ეგზარქოსმა ქალაქის პოლიციის უფროსისაგან მსვლელობის მონაწილეთა დარბევა

მოითხოვა. კაზაკებმა მათრახებით გაროზგეს სასულიერო პირები. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა.

ამ ამბების შემდეგ ილია ჭავჭავაძე შეხვდა მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს და შეეცადა, დაერწმუნებინა იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაში.

ქართული საზოგადოება აღშფოთებული იყო ეგზარქოსის საქციელით. ქრისტეფორე ციცქიშვილი წერს: „ეგზარქოსმა ალექსიმ დამიბარა თავის სახლში, მე მღვდელ მარკოზ ტყემალაძის, დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილის და დეკანოზ ავდაშკევიჩის თანდასწრებით განვუცხადე მას, რომ ყაზახების სიმხეცე სულ შენი ბრალია - მეთქი, შენ ჩვენთან არავითარი კავშირი არა გაქვს, რომ შენ ხარ დეკანოზ ი. ვოსტორგოვის ყმა, რასაც ის ჩაგძახებდა იმასვე ამოიძახებდი, ისიც გაგექცა და დავრჩით ახლა უეგზარქოსოდ, რადგან ი. ვოსტორგოვი იყო ნამდვილი ეგზარქოსი მეთქი“.[212]

მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა შექმნა კომისია აღნიშნული საქმის გამოსაძიებლად. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებას დაესაჯა სამღვდელოების დამრბევნი, დაზარალებულები ისევ ქართველი სასულიერო პირები აღმოჩნდნენ - მათ შუწყვიტეს ხელფასის მიცემა, 10 წლის ვადით ჩამოერთვათ სახელმწიფო ჯილდოსა და პენსიის მიღების უფლება. თუმცა, ერთი შედეგი ამ გამოძიებას მაინც მოჰყვა, 23 ივნისს ალექსი ეგზარქოსობიდან გაათავისუფლეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წლის 8 ივნისს ეგზარქოს ალექსის მითითებით საქართველოში მოღვაწე რუსმა სასულიერო პირებმა საპასუხო კრებაზე დაგმეს ქართველი სამღვდელოების საქციელი და ისინი საეკლესიო კანონების დარღვევაში დაადანაშაულეს, რაც გამოიხატა ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე შეკრების გამართვაში. თუმცა არც ამ კრების მონაწილე რუს სასულიერო პირებს და არც მათ მესვეურთ არ გახსენებიათ, თუ რომელი საეკლესიო კანონების საფუძველზე ჩამოერთვა საქართველოს ეკლესიას ავტკეფალობის უფლება.

1905 წლის 1 ივლისს ალექსი ოპოცკი ტვერის ეპარქიაში გადაჰყავთ.

§ 2. ეგზარქოსი ნიკოლოზ ნალიმოვი

(1905-1906 წ.წ.)

ნიკოლოზ ნალიმოვი (ერში ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნალიმოვი) დაიბადა 1852 წლის 19 ივნისს მღვდლის ოჯახში. 1873 წელს წარმატებით დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარია, ხოლო 1877 წელს კი სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1878 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში. 1885 წლის 8 ივლისს ბერად აღკვეცეს, ხოლო 12 ივლისს მღვდლად აკურთხეს. 1886 წელს სმოლენსკის სემინარიის რექტორად დაინიშნა, ამავე წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1889 წელს სანკტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორად გადაჰყავთ. 1890 წლის 5 აგვისტოს ლადოგის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1892 წელს სხვა ეპარქიაში გადაჰყავთ, ხოლო 1893 წლიდან სარატოვისა და ცარიცინის ეპისკოპოსია. 1899 წლიდან ფინეთისა და ვიბორგის მღვდელმთავარია. 1905 წლიდან ტვერის მთავარეპისკოპოსია, იმავე წლის 1 ივლისს კი საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება. 1906 წლის 28 ივნისს ვლადიმირისა და სუზდალის მთავარეპისკოპოსად გადაჰყავთ.

გარდაიცვალა 1914 წლის 13 ივლისს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში. დაკრძალულია იქვე.

ახლადდანიშნულ ეგზარქოს ნიკოლოზს 1905 წლის აგვისტოში ქართველმა სასულიერო პირებმა გადასცეს პეტიცია იმპერატორთან წარსადგენად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით. ავტოკეფალისტთა გააქტიურებამ აიძულა ხელისუფლება საეკლესიო რეფორმაზე ეფიქრა. ობერპროკურორმა აზრის გამოთქმა ეგზარქოსს დაავალა. მან კი, თავის მხრივ, ამ საკითხზე მოხსენების გაკეთება იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძეს დაავალა. 1905 წლის ნოემბერში ლეონიდემ თავისი მოხსენება სინოდს წარუდგინა, რომელმაც დაიწუნა ეპისკოპოსის პროექტი.

1905 წლის 11 ოქტომბერს ქართულმა თავადაზნაურობამ მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს იმპერატორისადმი გადასაცემი მიმართვა გაუგზავნა, სადაც იმედს გამოთქვამდა, რომ ნიკოლოზ II გაგებით შეხვდებოდა ქართველი ხალხის მოთხოვნას საქარათველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე.

ქართული საზოგადოების ზეწოლით რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ბოლოს მაინც დაეწყო მსჯელობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ და ეს საკითხი განსახილველად გაიტანა 1906 წლის 8 მარტს გახსნილ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომებზე. მარტ-აპრილში ამ კრების სხდომებს დასწრებიან მღვდელმთავრები კირიონი და ლეონიდე, სადაც ერთ-ერთი შეხვედრა ქართული ეკლესიის საკითხს მიეძღვნა. ეპისკოპოსმა კირიონმა კრებას წარუდგინა ოთხი მოხსენება: ა) ქართული საეკლესიო საკითხი; ბ) რა აიძულებს ქართველებს იმეცადინონ თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის; გ) რომელ ივერიას მიენიჭა ავტოკეფალია XI საუკუნეში; დ) ნაციონალური პრინციპი ეკლესიაში.[213]

კრებას ასევე ესწრებოდნენ პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი, რომლებმაც საინტერესო მოხსენებები გააკეთეს. ისინი საქართველოს ეკლესიის ისტორიასა და საეკლესიო სამართალზე დაყრდნობით საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებდნენ ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობას. თავის მხრივ, რუსი სასულიერო პირები და მეცნიერები ცდილობდნენ საწინააღმდეგოს დამტკიცებას. ოცი კაცისაგან შემდგარმა სინოდის კომისიამ, ფაქტობრივად, უარი განაცხადა გაეგრძელებინათ მსჯელობა ამ საკითხზე. სამაგიეროდ გადაწყვიტეს ამიერკავკასიაში საეკლესიო საქმეები მოეგვარებინათ დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტით, რომელიც ითვალისწინებდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი საეკლესიო ხელისუფლების დაარსებას ცალკე ქართველებისათვის და ცალკე - რუსებისათვის, რაც კანონიკური სამართლით გაუმართლებელი იყო.

შექმნილი ვითარების გამო ეგზარქოსი ნიკოლოზი სინოდს წერდა, რომ რეფორმების გატარება აუცილებელია. მისი აზრით, საჭირო იყო დეცენტრალიზაცია და კავკასიის ავტონომიური სამიტროპოლიტო ოლქის დაარსება. თუ ქართველები ამაზე უარს იტყოდნენ, მაშინ, ეგზარქოსის აზრით, „ჩვენ არ გვაქვს უფლება უარი ვუთხრათ სრულ საეკლესიო გამოყოფაზე და დამოუკიდებელი ეკლესიის აღდგენაზე. რაკი არ შეგვიძლია ქართველები დავარწმუნოთ რუსულ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის სარგებლობაში, იძულებული ვართ მათი თხოვნა დავაკმაყოფილოთ ავტოკეფალიის მინიჭებით.[214] ეს თვალსაზრისი, რასაკვირველია, მიუღებელი იყო იმპერიის მესვეურთათვის, რის გამოც ის პეტერბურგში გაიწვიეს და 1906 წლის 9 ივნისს გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ავტოკეფალიის საკითხების შესასწავლად შეიქმნა

კომისია, რომელსაც მიეცა საიდუმლო მითითება, რათა შეძლებისდაგვარად გაეწელა ამ საკითხის განხილვა.

ფაქტობრივად, ეგზარქოსი ნიკოლოზი საქართველოდან გაიქცა და 1906 წლის 9 ივნისამდე პეტერბურგიდან მართავდა საეგზარქოსოს.

§ 3. ეგზარქოსი ნიკონ სოფიისკი

(1906-1908 წ.წ.)

ნიკონ სოფიისკი (ერში ნიკოლოზ ანდრიას ძე სოფიისკი) დაიბადა 1851 წელს კოსტრომის გუბერნიაში მღვდლის ოჯახში. სამი წლის ასაკში მამა გარდაიცვალა და შვიდშვილიანი ოჯახი საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. დედის წყალობით, რომელიც მძიმე შრომას ეწეოდა, განათლება მიიღო. 1882 წელს დაამთავრა კოსტრომის სასულიერო სემინარია. უარი განაცხადა აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე, რადგან რიგით მღვდლად აპირებდა მოღვაწეობას სოფელში. 1884 წელს გარდაეცვალა მეუღლე და ამის შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1888 წელს დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1882 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1883 წლის 20 თებერვალს მღვდლად აკურთხეს, ხოლო 1887 წელს ბერად აღიკვეცა. 1888 წლიდან პეტერბურგის სასულიერო სემინარიის, ხოლო 1891 წლიდან ვლადიმირის სასულიერო სემინარიის ინსპექტორია, ამავე დროს არქიმანდრიტის ხარისხში აჰყავთ. გამოირჩეოდა სიმკაცრით, რაც სტუდენტების უკმაყოფილებას იწვევდა. 1898 წლის 8 მარტს ეპისკოპოსად აკურთხეს. ამავე წლის ივლისიდან ტვერის ეპისკოპოსია, ხოლო 1899 წლის 6 თებერვლიდან კი ნარვისა. 1901 წლის 10 დეკემბერს ვიატკისა და სლობოდის ეპისკოპოსია. 1904 წლის 27 ნოემბრიდან კი ვლადიმირ-სუზდალისა. 1906 წელს მთავარეპისკოპოსობა უბოძეს. 1906 წლის 9 ივნისს საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება.

მთავარეპისკოპოს ნიკონის ეგზარქოსად დანიშვნის დეპეშა იმ დროს მოვიდა, როდესაც თბილისში ეგზარქოს ნიკოლოზის მიერ 6 ივნისს დანიშნული სამღვდელოების საეპარქიო ყრილობა ტარდებოდა. ყრილობის წევრთა უმრავლესობის რწმენით ეგზარქოსი ნიკოლოზი თბილისიდან იმიტომ წავიდა, იცოდა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურ უფლებებს მალე აღიდგენდა. ამიტომ ახალი ეგზარქოსის დანიშვნა არაბუნებრივად ეჩვენათ. ამიტომ ყრილობის მონაწილეებმა, გადაწყვიტეს დეპეშა გაეგზავნათ ილია ჭავჭავაძისათვის, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ეთხოვათ, გაეფრთხილებინათ მთავარეპისკოპოსი ნიკონი არ ჩამოსულიყო საქართველოში. ასევე დეპეშის შინაარსი გაეცნოთ სინოდის თავმჯდომარე მიტროპოლიტ ანტონისათვის. გადაწყდა, რომ საპროტესტო დეპეშა

გაეგზავნათ თვით მთავარეპისკოპოს ნიკონისათვის, რათა ის არ დათანხმებულიყო საქართველოს ეგზარქოსად დანიშვნას.

ქართველი სამღვდელოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ახალი ეგზარქოსი 26 აგვისტოს ჩამოდიოდა, ამიტომ თბილისის სამღვდელოება ერისკაცთა წარმომადგენლებთან ერთად რამდენიმე დღით ადრე შეიკრიბნენ „Вестник грузинского экзархата“-ს რედაქციის შენობაში და ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყვიტეს, სინოდისადმი პროტესტის ნიშნად და არა მთავარეპისკოპოს ნიკონისადმი, ქალაქის სამღვდელოება ეგზარქოსს სიონის ტაძარში არ შეხვედროდა, სიონის ტაძრის კრებულსა და კანტორის წევრებს მთავარეპისკოპოსი ნიკონი დადგენილი ცერემონიალის მიხედვით მიეღო და მასთან ერთად მხოლოდ სიონის ტაძარში ეწირა, ნიკონთან საქმიანი და პირადი ურთიერთობა არავის ჰქონოდა.[215]

ეგზარქოს ნიკონს არ სურდა საქართველოში გადმოსვლა. ბევრი გავლენიანი პირიც კი ჩაერია ამ საქმეში, მაგრამ ვერავინ ვერაფერს გახდა.

თავის მისასალმებელ სიტყვაში იგი ამბობდა: „ძმებო, თქვენთან მოვედი არა იმიტომ, რომ ჩემს სარგებელს ვეძებ, არამედ თქვენსას (1 კორ. 10.33), არა იმისთვის, მემსახურონ, არამედ თქვენი მწყემსმთავრის უფლის იესო ქრისტეს მაგალითისამებრ გემსახუროთ თქვენ, თქვენს ხსნას (მათე, 20.28), მზად ვარ, სამწყსოს სიკეთისა და ხსნისათვის ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო“.[216] თუმცა, რეალურად, როგორც ნიკოლოზ დურნოვო წერს, - „მიუხედავად ახალი სახელმწიფო ძირითადი კანონებით ნაბოძები უფლებისა, რუსეთის ყველა ხალხს თავიანთ მშობლიურ ენაზე ედიდებინათ ღმერთი,, ქართველებმა ამის მიღწევა დღემდე ვერ შეძლეს, რუსი ეგზარქოსი ნიკონი ძველებურადვე უკრძალავს ქართველ სამღვდელოებას ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ასრულებას თბილისის სიონის ტაძარში (თუმცა რუსებს თბილისში 2 ტაძარი და რამდენიმე ეკლესია უჭირავთ), ბოდბის ტაძარში, სადაც საქართველოს განმანათლებლის, წმინდა ნინოს წმინდა ნაწილები ინახება, ბათუმის ტაძარში და სხვა ტაძრებსა და ეკლესიებში. სოხუმის ეპარქიაში, რომელიც 3420 რუსზე 40 ათას ქართველს ითვლის, სხვანი კი მართლმადიდებელი ბერძნები (3700-ზე მეტი), აფხაზები (40 ათასი), დანარჩენები და მაჰმადიანები არიან. სინოდალურმა კანტორამ 1895 წელს აკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება და სკოლებში სწავლა. ასეთ ძალმომრეობაზე არა მარტო აცხადებენ წინასაეკლესიო კრების კომისიაზე, არამედ ქართველი

ეპისკოპოსი, რომელმაც 1906 წელს თავის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების უფლება დაიბრუნა, სხვადასხვა უკეთური ინტერესის გამო, ამას წინათ ჩამოაქვეითეს და ლიტვაში ქორეპისკოპოსად გაამწესეს. მისი ადგილი კი დაიკავა რუსმა, რომელსაც შესრულებაში უნდა მოეყვანა სინოდალური კანტორის ბრძანებულება, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა".[217] ნიკოლოზ დურნოვოს შეფასებით „„ეგზარქოსი საქართველოდან ერეკება საუკეთესო ქართველ მღვდლებს და მათ თბილისიდან ანაცვლებს ბაქოს გუბერნიის ღარიბ რუსულ სოფლებში (როგორც მაგალითად, მღვდელ ჯაშს მოექცა). 1906 წ.-ის მიწურულში ქართველებმა ეგზარქოსს სთხოვეს დიაკონი (სემინარიის განათლებით). რომელმაც ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში 15 წელი იმსახურა, მღვდლად ეკურთხებინა. ეგზარქოსმა უარი განაცხადა და მღვდლად ნაკლები განათლების ახალგაზრდა რუსი დასვა. ეკლესია ქართველების აგებულია და ჰყავს 4 რუსი მღვდელი. ქართველები, რომლებმაც რუსული ენა არ იციან, უაღსარებოდ კვდებიან. ასეთია რუსი ეგზარქოსების გულქვაობა".[218] შემდეგ ნიკოლოზ დურნოვო აგრძელებს: „1906 წლის ოქტომბერში სოხუმის ეპარქიალური სასწავლებლის საბჭომ აღძრა საკითხი სოხუმში ამ სასწავლებლის განყოფილების გახსნის თაობაზე, უსამღდელოესმა კირიონმა საბჭოს წარდგენა მოიწონა და წინადადება წამოაყენა სასწავლებელი 1 ნოემბრისათვის გახსნილიყო; ამის შესახებ მან სასწავლებელთა საოლქო საბჭოს აცნობა თბილისში. ამასობაში სოხუმის სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარემ დეკანოზმა გოლუბცოვმა, რომელმაც არ შეასრულა თავისი ეპისკოპოსის ნება და არ გაგზავნა შეტყობინება განყოფილების გახსნის შესახებ, ფეხი დაჰკრა და პირადად ეახლა ქართველთმოძულე ეგზარქოსს და სიტყვიერად სთხოვა, დაემტკიცებინა სასწავლებლის განყოფილების ჟურნალი. ამის შემდეგ უსამღვდელოესობა კირიონისაგან გამოთხოვილი იქნა ცნობები - როდის იქნა შედგენილი ჟურნალი, სად იქნა გაგზავნილი და ა.შ. გამოირკვა, რომ საოლქო სასწავლო საბჭოში ჟურნალი გაგზავნილი არ ყოფილა. ეგზარქოსმა ნიკონმა საყვედური გამოუცხადა მწყემსმთავარ კირიონს, რომელიც წლოვანებითაც უფროსი იყო მასზე, ხოლო განათლებითა სამეცნიერო შრომებით ეგზარქოსი კოჭებამდე ვერ მიწვდებოდა მას, თანაც მღვდელმთავრობა ეგზარქოსთან ერთად ერთი და იგივე წელს ჰქონდა მიღებული. როცა საყვედური გამოუცხადა, ეგზარქოსმა მიუთითა მწყემსმთავარ კირიონის მიერ ჩადენილ უკანონო მოქმედებაზე - უზენაესის მიერ დამტკიცებული

წესდების IV პუნქტის დარღვევაზე. ამ პუნქტის მე-2 პარაგრაფი თვითონ კოსტრომელმა სოფლის ხუცესმა დაარღვია (იგულისხმება ეგზარქოსი ნიკონი ბ. ნ.), როცა, რასაც აცხადებდა, იმ საქმეში ვერ ერკვეოდა“.[219] ნიკოლოზ დურნოვო აგრძელებს: „საქართველოს სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებში გიმნაზიების და რეალური სასწავლებლების დირექტორებად და ინსპექტორებად, აგრეთვე მასწავლებლებად, ბოლო დროს ქართველების დანიშვნა დაიწყეს, სასულიერო უწყება კი ძველებურადვე რუსებს ნიშნავს; საქართველო ტუბერკულოზით დაავადებულ მასწავლებელთათვის აქვთ არჩეული. ეს გაღიზიანებული მასწავლებლები, თავიანთ გულისწყრომასა და ბოღმას ქართველ ბავშვებს ატეხავენ თავს. „ისინი მამობრივად კი არ ეპყრობიან ბავშვებს, - ამბობს მოძღვარი ო. ა. კ-შვილი, ისე კი არ იქცევიან, როგორც ამას წმინდა სახარება გვიქადაგებს და როგორც მოითხოვს ჯანსაღი პედაგოგიკა, არამედ ქართველებს ისე ეპყრობიან, როგორც მხეცებს“. [220]

„ყველა ამ მონათხრობის გამო, ქართველი ეპისკოპოსები, საეკლესიო კრებული და ხალხი, რუსი ეგზარქოსის ნიკონის მოქმედებით, აღელვებული ქართული ეკლესიის დასაშოშმინებლად, შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ:

1) მმართველ სინოდს ეთხოვოს რუსი ეგზარქოსი და ეპისკოპოსი ჩამოშორდეს საქართველოს შეერთებული ეპარქიებისა (ქართლის, კახეთის და სამცხეს) და სოხუმის ოლქში ქართული ეკლესიებისა და მონასტრების მმართველობას.

2) საქართველოში დაბრუნდეს ყოვლად უდანაშულო, უანგარო და განათლებული ეპისკოპოსი კირიონი ანტიკანონიკურად ლოცვაში დეკანოზად ჩამოქვეითებული.

3) თბილისის სიონის ტაძარში, ბოდბის წმინდა ნინოს და ბათუმის ტაძარში, სხვა ქართულ ეკლესიებსა და მონასტრებში, რომლებშიც ღვთის მსახურება სლავურ ენაზე სრულდება ღვთისმსახურება ქართულ ენაზე იქნას შემოღებული, აგრეთვე ბათუმის ტაძარი უნდა დაუბრუნდეს გურიის ეპისკოპოსის გამგებლობას.

4) ქართული სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების უფროსები, რექტორები, ინსპექტორები, ზედამხედველები, შეიცვალონ იმ ქართველებით, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სასულიერო აკადემია (ასეთი პირები ცოტანი როდი არიან, მაგალითად, არქიმანდრიტები: ამბროსი ხელაია, დავით კაჭახიძე - ერთ-ერთი

საუკეთესო საეკლესიო ენამჭევრი რუსეთში, ნაზარ ლეჟავა, პიროს ოქროპირიძე, ნიკოლოზ ნამორაძე და სხვ.).

5) ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერი დაუბრუნდეს ქართველებს, ხოლო რუსი მონაზვნები, რომლებმაც მონასტერი ეგზარქოს პალადის შემწეობით ჩაიგდეს ხელთ, გასახლდნენ რუსულ მონასტრებში (ბოდბის მონასტერი აღდგენილია ქართველი გობრონ საბინინის მიერ).

6) როცა მოსკოვში საეკლესიო კრებას მოიწვევენ, მასში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართლს, კახეთს, აფხაზეთს და გურიას სულიერად და ენობრივად თავიანთი ეპისკოპოსები ეყოლებათ. ქართული ეკლესიის რუსი წარმომადგენლები ქართლის არქიეპისკოპოსი და სოხუმის ეპისკოპოსი, რომლებიც ანტიკანონიკურად არიან დანიშნულნი რუსეთის საეკლესიო ხელისუფლების მიერ და არ მიეკეუთვნებიან ქართულ ეკლესიას, არ ჩაითვალონ ამ ეკლესიის წარმომადგენლად და აღიარდნენ უზურპატორებად.

7) იმ შემთხვევაში თუ არ შეწყდება ქართველ მღვდელმთავრებსა და კრებულზე ძალდატანება, საჩივრებით მივმართოთ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქებს და ვთხოვოთ ქართული ეკლესიების საქმეებში ჩარევა დახმარების მიზნით და ამავე დროს ყველა ეკლესიაში შეწყდეს წმინდა სინოდის, ხოლო საქართველოსა და აფხაზეთში ეგზარქოსისა და სოხუმის ეპისკოპოსის ხსენება“ [221] - წერს ნიკოლოზ დურნოვო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1906 წლის მარტ-აპრილში ქართული საზოგადოების ზეწოლით რუსეთის სინოდი იძულებული გახდა დაეწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განიხილვა, მაგრამ უშედეგოდ. იმავე წლის ივნის-ნოემბერში ამ საკითხის განხილვა განახლდა. 1906 წლის 11 აგვისტოს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ბრძანებით ეს საკითხი განსახილველად გადაეცა სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. აი, რას ვკითხულობთ „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ უმაღლეს ბრძანებაში“, რომელიც სინოდმა საქართველოს ეგზარქოსს გამოუგზავნა 1906 წლის 22 აგვისტოს: „ბრძანება მისი იმპერატორობით უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა უწმინდესისა და უმართებულეს სინოდიდან სინოდის წევრს საქართველოს ეგზარქოსს, ყოვლად უსამღვდლოესს ნიკონს, არქიეპისკოპოსს ქართლისას და კახეთისას.

ბრძანებისამებრ მისის იმპერატორობით უდიდებულესობისა, უწმინდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება უწმინდესი სინოდის ობერპროკურორისა, აგვისტოს 17-ს. N6541-თა, რომელშიც მოხსენებულია იმ შუამდგომლობის გამო, რომელიც საქართველოს ეგზარქოსად ყოფილის, არქიეპისკოპოსის ნიკოლოზის საშუალებით აღძრეს ეპისკოპოსებმა: იმერეთისამ, გურია-სამეგრელოისამ, გორისა და ალავერდისამ, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა მინიჭებოდა, ხელმწიფე იმპერატორმა მის, ობერპროკურორის, უქვეშევრდომლეს მოხსენებაზე აგვისტოს 11 დღესა უმაღლესად ინება: გამოეცხადოს დასახლებულ ეპისკოპოსებს, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა გარდაეცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. ბრძანეს: მოხსენებული უმაღლესი ნება ბრძანებით გამოეცხადოს თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას, აგვისტოს 22 დღესა, 1906 წელსა. N9111162.

ამას მოჰყვა 1906 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებულება, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის შინაგანი წყობის მოწესრიგებას, ეპისკოპოსთა უფლებების გაფართოებას, კონსისტორიების, ანუ სამმართველოების შექმნას, სასულიერო სკოლებში პროგრამების გადასინჯვას, მასში ქართული ენის სწავლებისათვის ყურადღების გამახვილებას, ქართული საეკლესიო საგალობლების სწავლების გაძლიერებას, სასულიერო წიგნების ქართულად თარგმნასა და გამოცემას, ზოგიერთი საეკლესიო თანამდებობისა და წესების გაუქმებას. ყველა ამ ღონისძიებას ხელი უნდა შეეწყო საქართველოს ეკლესიის განმტკიცებისათვის, მისი საქმიანობის გამოცოცხლებისათვის, მაგრამ მის გასატარებლად არც სინოდი და არც მეფის ხელისუფლება თავს სრულებითაც არ იწუხებდა.[222]

საკითხის განხილვის გაგრძელება ადასტურებდა, რომ რუსეთის ხელისუფლება მთლად ვერ უგულებელყოფდა ავტოკეფალიის საკითხს და იძულებული იყო დროდადრო დაბრუნებოდა ამ პრობლემაზე მსჯელობას ან განუსაზღვრელი ვადით გადაედო სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე.

1906 წლის ნოემბერ-დეკემბერში ავტოკეფალიის საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მოსკოვის მიტროპოლიტი ფლაბიანე, ვლადიმერის არქიეპისკოპოსი ნიკოლოზი, საქართველოდან ეპისკოპოსები ლეონიდე და ექვთიმე. საქართველოს ეკლესიის ინტერესებს კვლავ აქტიურად იცავდნენ პროფესორები: ალექსანდრე

ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ნიკო მარი, რუსი მეცნიერები, პროფესორები: ზაოზერსკი, კოვალნიცკი, პალმოვი და სხვები. მათ მოწინააღმდეგეთა ბანაკს წარმოადგენდნენ დეკანოზები ვოსტორგოვი და ბუტკევიჩი, პროფესორები: გლუბოკოვსკი, ბერდნიკოვი, ალმაზოვი, ოსტროუმოვი, ეპისკოპოსები: სტეფანე, სერაფიმი და ინოკენტი, მიტროპოლიტები ვლადიმერი და მაკარი.

იმთავითვე ნათელი იყო, რომ პეტერბურგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი არავის ადარდებდა. ხელისუფლება დროს წელავდა, რათა როგორმე ჩაეცხრო ავტოკეფალისტური მოძრაობა. შესაბამისად, არც მათი სამართლიანი არგუმენტები აინტერესებდა ვინმეს. მათთვის მხოლოდ ის მოსაზრებები იყო საინტერესო, რომლებიც უარყოფდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობას. ასეთნი კი, ვინც ამას ამტკიცებდენ, მრავლად იყვნენ. მათ შორის იყო დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. აი რას წერდა იგი: „ვამტკიცებ და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში საეკლესიო საქმე ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ დაიღუპება. სპარსეთში საეკლესიო საქმე სრულ გაპარტახებამდე მივიდა მას შემდეგ, რაც საეკლესიო დისციპლინა სრულიად დაეცა და ეპისკოპოსს სამღვდელოებამ აშკარა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა... დაბეჯითებით ვამბობ, რომ საქართველოს საკათოლიკოსოში მღვდლები შეწყვეტენ ეპისკოპოსისადმი მორჩილებას, ყველაფერი უთანხმოებაში გადაიზრდება. ასე რომ, ჩვენი ავტოკეფალიით მოვამზადებთ საქართველოში საეკლესიო ცხოვრების რღვევას, დასაბამს მივცემთ ოპოზიციას, შიდააშლილობას ეკლესიაში, რაც არ შეწყდება რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგაც. ამის შეჩერება შეუძლებელი იქნება. ეს კი დაქუცმაცებას გამოიწვევს. ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი დღემდე საიდუმლოდ შენახული, მაგრამ მეტად ცნობილი ფაქტი: კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ზუსტად ნახევარი წლის წინ უწმიდეს სინოდს ტელეგრამით აცნობა, რომ იმერეთის სასულიერო დასმა, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა დახმარებას, ეპისკოპოს ლეონიდეს მორჩილებაზე უარი განუცხადა. მე კარგად ვიცნობ იმერეთის სამღვდელოების ყრილობის დადგენილებებს, რომლებშიც წარმოდგენილია პროექტი ეპისკოპოსების შემდგომ უფლებებზე. იმერეთის სამღვდელოებას სურს ეპისკოპოს ლეონიდის უფლებების შეკვეცა, რომ მას მხოლოდ ხელდასხმა შეეძლოს. აღსანიშნავია, რომ ამ კრების მუშაობაში სამღვდელო დასის გვერდით მრევლიც იღებდა მონაწილეობდა. ეს

ყველაფერი კი ავტოკეფალიის მინიჭებამდე ხდებოდა... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ვიმეორებ, საქართველოში საეკლესიო ცხოვრების დაღუპვას გამოიწვევს. რაც შეეხება ავტოკეფალიის პოლიტიკურ მხარეებსა და მოტივებს (სხვა მოტივები, ჩემი შეხედულებით, ამ საქმეში სრულებით არ არის), მათ შეფასებას ამჯერად არ დავიწყებ".[223]

ქართულმა დეპუტაციამ საკადრისი პასუხი გასცა ვოსტორგოვის გამოხტომებს. წინასაეკლესიო თათბირების ბოლო სხდომებს საქართველოს წარმომადგენლები პროტესტის ნიშნად აღარ ესწრებოდნენ. მათ დაუსწრებლად კრებამ უარყოფითი დადგენილება მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის თაობაზე.

1908 წლის 28 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის კიბეზე ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს. გარდაცვლილი ჯერ ჯვრის ეკლესიაში გადაასვენეს, შემდეგ კი სიონის ტაძარში, სადაც 2 ივნისს წესი აუგეს. იმავე დღეს ნეშტი ვლადიმირში გადაასვენეს დასაკრძალად.

ამ მკვლელობამ იმთავითვე ბევრი კითხვა გააჩინა, გამოითქვა მრავალი ვარაუდი. ერთ-ერთი ვერსიით მკვლელობა ჩაიდინა ტერორისტმა ნიკო კასრაძემ ნიკოლოზ ნამორაძის დაკვეთით, სხვა ვერსიით მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ, კიდევ ერთი ვერსია ამ დანაშაულს სოციალ-ფედერალისტებს მიაწერდა, მკვლელობაში ეჭვმიტანილთა შორის სახელდებოდა ეპისკოპოსი გრიგოლ ვახნინიც, ამასთან დაკავშირებით საარქივო მასალებში დაცულია დოკუმენტი: იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი დეპეშას უგზავნის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „პეტერბურგის სასულიერო წრეებში გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეგზარქოსი მოკლეს არქიელ გრიგოლის წაქეზებით, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შურისძიების საბაბად შეიძლება ქცეულიყო გარდაცვლილი ნიკონის ხელში ისეთი დოკუმენტების მოხვედრა, რომელიც ძლიერ უტეხდა სახელს გრიგოლს. დოკუმენტების ნაწილი ცოტა ხნის წინათ უნდა გამოგზავნილიყო და, ამდენად, შეიძლება აღმოჩნდეს ეგზარქოსის საქმეებში." პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს ავალებდა, ზემოთ მოყვანილი ვერსია

„სიტყვიერად საიდუმლოდ ეცნობებინა“ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისათვის.[224]

ანტიქართულად განწყობილმა ძალებმა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა მაშინვე ქართველ ავტოკეფალისტებს დააბრალეს. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ თვითონ უკარნახა ეს ვერსია გამოძიებას, ამდენად, სხვა მოსაზრება აღარც განიხილებოდა. გამომძიებელი და პროკურორი მთავრობის მითითებებს პირნათლად ასრულებდნენ. ეჭვმიტანილად ცხადდებოდა სამოცდაოთხი ავტოკეფალისტი, რომლებიც ძიების ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ. ამ სიაში პირველი ეპისკოპოსი კირიონი იყო, შემდეგ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, გორის ეპისკოპოსი პეტრე, იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდის ეპისკოპოსი დავითი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, მღვდლები: ქრისტეფორე ციცქიშვილი, ილარიონ ჯაში, კალისტრატე ცინცაძე, იოსებ ჩიჯავაძე, ვასილ კარბელაშვილი და სხვები.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემდეგ საეგზარქოსოს დროებით მმართველად პირველი ქორეპისკოპოსის, პეტრე კონჭოშვილის ნაცვლად მეორე ქორეპისკოპოსი გრიგოლ ვახნინი დანიშნეს.

ნიკონის მკვლელობამ უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვინაიდან საქართველოში იგი ურიგო რეპუტაციით არ სარგებლობდა, თუმცა მისი ჭეშმარიტი სახე როგორც სხვა მრავალი ეგზარქოსისა მოგვიანებით გამჟღავნდა, როდესაც 1917 წელს გაზეთ „Возрождение“-ში 16 აპრილით დათარიღებულ ნომერში დაიბეჭდა წერილი „Письмо Экзарха Грузии Архиепископа Никона на имя Петроградского Митрополита Антония от 20 января 1908 года“.

წერილში საუბარია 1907 წლის ეპარქიების სამღვდელოების ყრილობაზე. „მე, - წერდა მთავარეპისკოპოსი ნიკონი, - ძალიან მაღელვებდა მომავალი ყრილობის მოწვევა, მით უმეტეს, ხმა გაავრცელეს, იგი უაყალმაყალოდ არ ჩაივლისო, ამიტომ ყრილობა 12 დეკემბერს მოვიწვიე, რათა დეპუტატებს თავიანთი კრებები ბუნებრივად დაემთავრებინათ: დგებოდა დღესასწაული (შობისა), რომლის მოახლოებით შეიძლებოდა გვესარგებლა, ასეთი შესაძლებლობა ხომ ყოველდღე არ გვეძლევა, და ყრილობა დაგვეხურა, თუ აბობოქრდებოდა. მეთვალყურეობა ყრილობის გარე წესრიგზე, კერძოდ იმაზე, რომ სხდომათა დარბაზში დეპუტატების გარდა არავინ შესულიყო, თავმჯდომარის არჩევამდე დავაკისრე სახლის ზედამხედველს, ხოლო

შემდეგ თავმჯდომარეს, რომელსაც ვაუწყე, თუ დასახმარებლად პოლიცია დაგჭირდეთ, გენერალ-გუბერნატორს მიმართეთ-მეთქი. გენერალ-გუბერნატორს კი შევატყობინე, ყრილობის მოწვევის ამბავი, მისი პირობები და ვთხოვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა თავმჯდომარეს, აღკვეთა ყრილობაზე უცხო პირთა შეჭრა...

როგორც მოსალოდნელი იყო, 12 დეკემბრიდან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ყრილობა ზუსტად დღესასწაულის წინ მოვიწვიე, იგი დროით შევზღუდე, ...რომ ყრილობის დღის წესრიგში არ შევიტანე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. რუს და ბერძენ დეპუტატებთან კერძო საუბრის დროს (dinide et imfera კ.ც.) განვმარტე, დღის წესრიგში იმიტომ არ შევიტანე, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით მისი გადაწყვეტა მომავალ კრებას დაევალა, ხოლო ხელმწიფის ბრძანების არათუ გაუქმება, არამედ შესწორებაც კი დანაშაულად მიმაჩნია-მეთქი. ქართველებმა ალბათ რუსი დეპუტატებისაგან გაიგეს ჩემი ნათქვამი და ავტოკეფალიაზე ლაპარაკი არ დაუწყიათ. ქართველი სამღვდელოება ყოველ ღონეს ხმარობდა კრებას დასწრებოდნენ პრესის წარმომადგენელნი და კომპეტენტურობის საბაბით (ეს ყოველთვის კეთდებოდა, კ.ც.) თბილისის რამდენიმე ქართველი მღვდელი და სასულიერო სასწავლებლების ქართველი მასწავლებლები, უეჭველად ქართულ საქმეთა ხელმძღვანელები, რომლებიც დეპუტატ-ხელმძღვანელთ დაეხმარებოდნენ თავის ჭკუაზე ეტარებინათ სოფლის ქართული სამღვდელოება აშკარად არაკეთილგანწყობილი ქალაქის სამღვდელოების მიმართ. როცა სამღვდელოებამ მიზანს ვერ მიაღწია, სხვა გზა მოძებნა, რათა თბილისის სამღვდელოებას და კ-ს ზეგავლენა მოეხდინათ ყრილობაზე: კრებებს მხოლოდ დღისით აწყობდნენ, საღამოს, ეტყობა, კერძო კრებებისთვის იყენებდნენ. ეს იქიდან ჩანდა, რომ დღე დილით ოფიციალურ სხდომაზე ასე სჯიდნენ, ხვალ კი სულ სხვანაირად. დეპუტატთა პირით მეორე დღეს უკვე ვიღაც სხვა ლაპარაკობდა... სამღვდელოებამ დაადგინა, სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნები ქართულ ენაზე ესწავლებინათ, მაგრამ ამ საქმეს ნამდვილად ვერ განახორციელებდნენ, ვინაიდან.... რაც მთავარია სახელმძღვანელოების შესადგენად ან სათარგმნელად არ არსებობდა ენა (??), რაზეც უწმ. სინოდს საგანგებოდ მოვახსენებ. მე ადრე განვჭრიტე ეს და ვამბობდი (საინტერესოა ვისთან და სად?), ქართველები ქართულ ენაზე ღვთისმეტყველების სწავლების საკითხის გადაწყვეტისას სრულ ბანკროტს განიცდიან (მეუფეს ეს აზრები რომ რომელიმე წიგნიერი ქართველისთვის ეთქვა, იგი უჩვენებდა

თუნდაც 1864-65 წლებში ქართულ ენაზე დაბეჭდილ მღვდელ მაგისტრ გიორგი ხელაძის მიერ შედგენილ წიგნს: „ადვილ-სასმენელად გამოხატვა მართლ-მადიდებლის სარწმუნოების დოღმატიკურისა სწავლის, შედგენილი მაღისტრის მღვდლის გიორგი ხელაძის მიერ) და იძულებულნი იქნებიან რუსეთის სასულიერო მთავრობა აღარ დაადანაშაულონ, რომ იგი ქართველებს ქართულ ენაზე სწავლების უფლებას არ აძლევს და არ ამზადებს მწყემსთ, რომელთა ქართულ ენაზე სწავლება შეეძლებათ. მათ რომც მიეცათ ნება ქართულ ღვთისმეტყველებაში ვარჯიშისა, საქმე მაინც უნდა განვაგრძოთ ისე, რომ სრულებით არ გადავცდეთ, სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს შეიძლება, როგორც უწმ. სინოდის სახელზე დაწერილ მოხსენებაში ვამბობ, სემინარიას, რადგან აქ ეროვნულ ენაზეა სწავლა, აღეკვეთოს სახელმწიფო ხაზინის დახმარება და მინიჭება უფლებებისა, რომელთაც იგი აძლევდა თავის აღსაზრდელებს, როცა მთლიანად რუსული იყო. მაშინ ქართველები მოინანიებენ, რაც ჩაიდინეს, ტირილით მოითხოვენ გულმოწყალებას და ხელს აიღებენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებებზე, იმის დაბრუნების მოთხოვნაზე, რაც ჰქონდათ. მათთან მოსარიდებელი არაფერი გვაქვს, ვინაიდან ისე ვძულვართ (?) ჩვენ, რუსები, უკაცრაული პასუხია, როგორც აყროლებული ძაღლები...“ [225]

ახალი ეგზარქოსის დანიშვნამდე ეპისკოპოსი გრიგოლ ვახნინი წელიწად-ნახევარზე მეტ ხანს განაგებდა საქართველოს ეკლესიას.

§ 4. ეგზარქოსი ინოკენტი ბელიაევი

(1909-1913 წ.წ.)

ინოკენტი ბელიაევი (ერში ივანე ვასილის ძე ბელიაევი) დაიბადა 1862 წლის 2 სექტემბერს, ვლადიმირის გუბერნიაში, მღვდლის ოჯახში. 1882 წელს დაამთავრა ვლადიმირის სასულიერო სემინარია, ხოლო 1885 წელს ყაზანის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და დაინიშნა ქალაქ ტობოლსკის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1887 წლიდან იმავე სასწავლებლის ინსპექტორი გახდა. ცოლ-შვილის გარდაცვალების შემდეგ, 1895 წელს ბერად აღიკვეცა და მღვდლად აკურთხეს. მალევე არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნეს. 1899 წლის 1 აგვისტოს სუმის ეპისკოპოსად აკურთხეს, დეკემბერში ნარვის ეპარქიაში გადაიყვანეს, ხოლო 1903 წლიდან ტამბოვის ეპისკოპოსია. 1909 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება.

მეუფე ინოკენტი საქართველოში კეთილგანწყობით არ ჩამოსულა. მისი დანიშვნა ქუთაისში გამართულ იმერეთის საეპარქიო ყრილობის სხდომას დაემთხვა. დეპუტატებმა მისალმება გაუგზავნეს, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდებოდა: უზენაესმა ძალა და სიმტკიცე არ მოგაკლოთ ივერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა განახლებისა და აღდგენის საქმეში. პასუხი იმერეთის ეპისკოპოს ყოვლადსამღვდელო გიორგის სახელზე მოვიდა. „გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ ყრილობის დეპუტატებს. მშვიდობიანი შრომა რუსეთის ეკლესიისაგან განუყოფელი, მას დაქვემდებარებული ივერიის ეკლესიის საკეთილდღოდ ჩემი ვალია და უწმ. მოვალეობა, მაგრამ გადაჭრით ვამბობ უარს, ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის რაღაც მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენას“.[226]

საქართველოში ჩამოსვლამდე კი მეუფე ინოკენტი ასე გამოემშვიდობა ტამბოველებს: „ღვთის ნებამ მომისაჯა...ივერიის ეკლესიის მწყემსმთავრის კათედრაზე, ჩემი წამებული წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე ასვლა... მივდივარ პირადი სიცოცხლისათვის საკმაოდ სახიფათო ღვთიურ საქმეზე..., სიკვდილის შიშმა მომიცვა, შიშმა და კანკალმა ამიტანა... იქ შორეულ, უცხო მხარეში ხომ არ მელის ჩემი საფლავი...“ 1910 წლის 25 იანვარს კი თბილისის სიონში შეკრებილთ ასე მიმართა: „მე

ავდივარ ჩემი წინამორბედის, წამებული მწყემსმთავრის სისხლით შეღებილ კათედრაზე“.[227]

1912 წელს პიატიგორსკში ეპისკოპოსმა დავით კაკაბაძემ გამოსცა ბროშურა „К вопросу автокефалии Грузинской церкви“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბრი იყო ეგზარქოს ინოკენტის შესახებ. აი, რა ეწერა ამ ბროშურაში: „საქართველოს ეპარქიის შესანახი ფულადი სახსრები თავიანთი წყაროების მიხედვით განირჩევა საქართველოს საეკლესიო ხაზინის თანხებად და სახელმწიფო ხაზინის თანხებად. საქართველოს საეკლესიო ხაზინის სახელწოდება ისტორიულია: ის მიუთითებს იმას, რომ თანხებს იძლევა სახელმწიფო ხაზინა იმ მამულების შემოსავლის სანაცვლოდ, რომელსაც ფლობდა ადრე საქართველოს კათალიკოსატი და რომლებიც შემდეგ რუსეთის მთავრობამ ხაზინას მიაკუთვნა. ეგზარქოს ინოკენტის არ მოსწონდა სახელწოდება - საქართველოს ხაზინა - ცხადია, იმიტომ, რომ იგი აგონებდა საქართველოს ეკლესიის ადრინდელ მდგომარეობას და განკარგულება გასცა, ნაცვლად სიტყვებისა - „საქართველოს საეკლესიო ხაზინა“, დაეწერათ - „ეპარქიის შესანახი თანხები, გაცემული ხაზინის მიერ“.[228] მაშასადამე, ეგზარქოსს სიტყვა საქართველო აღიზიანებდა.

უხეში და ცინიკური იყო ეგზარქოს ინოკენტის დამოკიდებულება ქართველი სამღვდელოების მიმართ. ის ყოველმხრივ ავიწროებდა მათ. გადაჰყავდა ისინი ტაძრიდან ტაძარში, რათა უფრო შემოსავლიან ადგილებზე რუსი სასულიერო პირები დაენიშნა. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის დიდუბის ეკლესიიდან ანჩისხატის ეკლესიაში გადასაყვან ბრძანებაზე ასეთი რეზოლუცია დაადო: „თალაკვაძე იმიტომ გადამყავს ანჩისხატის ტაძარში, ერთ-ერთი განათლებული და გამრჯელი მწყემსია და ანჩისხატის ტაძრის კეთილმოწყობაზე იზრუნებსო“.[229] თუმცა ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ეგზარქოსს დიდუბის ტაძარში რუსი სასულიერო პირების გაძლიერება სურდა და დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის წინამძღვრობის პირობებში თავისი მიზნის განხორციელება გაუჭირდებოდა.

ეგზარქოს ინოკენტის არ უნდოდა საქართველოში მსახურება და ათასგვარ მიზეზს იგონებდა, რათა რუსეთში წასულიყო „საქმეებზე“. სწორედ ასეთ „საქმეებზე” ყოფნისას გარდაიცვალა იგი პეტერბურგში გულის შეტევით 1913 წლის 9 სექტემბერს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის ძმათა სასაფლაოზე.

§ 5. ეგზარქოსი ალექსი მოლჩანოვი

(1913-1914 წ.წ.)

ალექსი მოლჩანოვი (ერში ალექსი ვასილის ძე მოლჩანოვი) დაიბადა 1853 წლის 5 ოქტომბერს, ვიატკის გუბერნიაში მრავალშვილიანი დიაკვნის ოჯახში. 1876 წელს დაამთავრა ვიატკის სასულიერო სემინარია. 1883 წელს დაქორწინდა და ჩააბარა ყაზანის სასულიერო აკადემიაში. ამავე წლის 21 ნოემბერს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1885 წლის 22 ოქტომბერს მღვდლად. 1887 წელს ამთავრებს აკადემიას. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1897 წელს გარდაეცვალა მეუღლე და დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი. 1899 წელს ბერად აღიკვეცა. რამდენიმე დღეში კი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და ყაზანის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნეს, 1900 წლიდან კი სასულიერო აკადემიის რექტორია. იმავე წლის 9 სექტემბერს ეპისკოპოსად აკურთხეს. 1905 წლის 26 მარტიდან თავრიზისა და სიმფეროპოლის ეპისკოპოსია. 1910 წლის 5 ნოემბრიდან ფსკოვის ეპარქიაში გადაჰყავთ, ხოლო 1912 წლის 17 აპრილს ტობოლსკისა. 1913 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება.

ეგზარქოსი ალექსი თავის გამოსვლებში ხშირად ახსენებდა „სისხლით შეღებილ ივერიის კათედრას“. იგი ამ თანამდებობაზე მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლის, გრაფინია ელიზავეტას აქტიური შუამდგომლობით დაინიშნა. არსებობდა აზრი, რომ მის მფარველთა შორის იყო საიმპერატორო კართან დაახლოებული გრიგორი რასპუტინი.

მისი დამოკიდებულება ქართველი სამღვდელოებისა და, განსაკუთრებით, „ავტოკეფალისტების“ მიმართ იქიდან ჩანს, რომ ერთი თვის ჩამოსული არ იყო საქართველოში და 1913 წლის 7 დეკემბრით დათარიღებულ იმპერატორ ნიკოლოზ II-ისადმი მიწერილ წერილში ქართველთა ბრძოლას ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის „ავტოკეფალისტი ქართველი ინტელიგენტების ფანტასტიკური ბოდვა“ უწოდა.[230]

თავისი ხანმოკლე ეგზარქოსობისას მან თავი იმითაც დაამახსოვრა სამწყსოს, რომ „დევნა დაუწყო სრულიად უწყინარ საეკლესიო საფოსტო გზავნილებს, რომელთაც ხუცური შრიფტით ჰქონდა წარწერები.“[331] როგორც ჩანს, ქართული ყველაფერი აღიზიანებდა.

როგორც აღვნიშნეთ, მისი მმართველობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნადა, ყველაზე ხანმოკლე ეგზარქოსებს შორის. დანიშვნიდან მეცხრე თვეს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით 1914 წლის 20 მაისს.

§ 6. ეგზარქოსი პიტირიმ ოკნოვი

(1914-1915 წ.წ.)

პიტირიმ ოკნოვი (ერში პავლე ვასილის ძე ოკნოვი) დაიბადა ლატვიაში 1858 წლის 28 ივნისს, დეკანოზის ოჯახში. 1879 წელს დაამთავრა რიგის გიმნაზია, ხოლო 1883 წელს კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. ამავე წლის 3 ივნისს ბერად აღიკვეცა, 12 ივნისს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 19 ივლისს მღვდლად. 1857 წლიდან სტავროპოლის სასულიერო სემინარიის ინსპექტორია, ხოლო 1890 წლიდან ამავე სასწავლებლის რექტორი. 8 აპრილს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1891 წლიდან პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორია. 1894 წლის 17 ივლისს ეპისკოპოსად აკურთხეს. 1896 წელს ტულის მღვდელმთავრად გადაჰყავთ, ხოლო 1904 წელს კურსკისა. 1909 წელს მთავარეპისკოპოსობა ებოძა. 1911 წელს ვლადიკავკაზისა და მოზდოკის მთავარეპისკოპოსია. 1914 წლის 26 ივნისს საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება. 1915 წლის 23 ნოემბერს მიტროპოლიტობა ებოძა და პეტროგრადისა და ლადოგის კათედრაზე გადაჰყავთ. ყველა თვლიდა, რომ მის კარიერულ წინსვლას ხელს უწყობდა გრიგოლ რასპუტინი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გადადგომა ითხოვა. სინოდმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა. საცხოვრებლად გადადის ვლადიკავკაზის ეპარქიაში.

ემზადებოდა ემიგრაციისათვის, მაგრამ 1920 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალეს ეკატერინოდარის (დღევანდელი კრასნოდარის) წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ტაძარში.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა 1914 წლიდან, როცა საქართველოს ეგზარქოსი გახდა პიტირიმ ოკნოვი. იგი, თითქოს, თანაუგრძნობდა ქართველ ავტოკეფალისტებს. დაახლოებული იყო მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან, შეისწავლა ქართული ენა. განსაკუთრებით მეგობრობდა აკაკი წერეთელთან. თავისი ლიბერალური შეხედულებების გამო პიტირიმი მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის. 1915 წელს იგი პეტერბურგის მიტროპოლიტად გადაიყვანეს. მისი აქტიური ხელშწყობით პეტერბურგში აკურთხეს ქართული ეკლესია. არსებობს ვარაუდი, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიტროპოლიტობიდან გადამდგარმა პიტირიმმა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისგან საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა ითხოვა, რათა

აქ ეპოვა სამუდამო განსასვენებელი. ნებართვის მიღების შემდეგ იგი საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ აქამდე ვეღარ ჩამოაღწია და პიატიგორსკში გარდაიცვალა.

სრულიად განსხვავებულია ეგზარქოს პიტირიმისადმი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის დამოკიდებულება. თავის მოგონებებში იგი წერს: „სიონის ტაძარში შესვლისთანავე საზოგადოებამ ეშმაკ და პირმოთნე კაცად შეიცნო, გამოაცხადა „ავტოკეფალისტი“ ვარო. ამის შესახებ ყველას ეუბნებოდა, განსაკუთრებით ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთაგან ზოგიერთი „ჭკუას კარგავდა მასზე“, მეტადრე იმის შემდეგ, როცა ქართულად წირვა ისწავლა და ამ ენაზე ლაპარაკიც კი სცადა.იგი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, თავისი „მეგობრები“ დაერწმუნებინა, რომ თვითონ მხოლოდ „მოსაყდრეა კათოლიკოსის ტახტისა“. თანაც ნათქვამს დასძენდა ხოლმე: „თქვენ დიდი ხნის წინ უნდა გყოლოდათ პატრიაქი, მაგრამ ამის წინააღმდეგი მეუფე ლეონიდეა. მე ხომ ავტოკეფალია საწერი მაგიდის უჯრაში მიდევს.“ პიტირიმი გულისხმობდა უწმინდესი სინოდის 1908 წლის 3 თებერვლის განსაკუთრებული თათბირის განჩინებას და მეგობრებს თითქმის სჯეროდათ მისი, ოღონდ აცბუნებდათ ეპისკოპოს ლეონიდეს სახელის ხსენება, როგორც ავტოკეფალიის მოწინააღმდეგისა...“

„მე პირადად იშვიათად ვხვდებოდი პიტირიმს, - წერს კალისტრატე ცინცაძე, - მაგრამ ყოველი შეხვედრისას მიმტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ პირმოთნე იყო“.[232]

§ 7. ეგზარქოსი პლატონ როჟდენსტვენსკი

(1915-1917 წ.წ.)

პლატონ როჟდენსტვენსკი (ერში პორფირი თეოდორეს ძე როჟდენსტვენსკი) დაიბადა 1866 წლის 4 თებერვალს კურსკის გუბერნიაში მღვდლის ოჯახში. 1886 წელს დაამთავრა კურსკის სასულიერო სემინარია, 1887 წლის 6 იანვარს მღვდლად აკურთხეს. 1891 წელს დაქვრივდა და კიევის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. 1895 წელს ბერად აღიკვეცა. 1895 წელს დაამთავრა აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1896 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიაში მოღვაწეობს სხვადასხვა თანამდებობაზე. 1902 წელს ინიშნება აკადემიის რექტორად. 1902 წლის 3 ივნისს ეპისკოპოსად აკურთხეს. 1907 წელს ალეუტისა და ჩრდილოამერიკის მთავარეპისკოპოსია. 1914 წელს კიშინიოვის კათედრაზე გადმოჰყავთ. 1915 წლის 4 დეკემბერს კი საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება. 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, პლატონ როჟდესტვენსკი რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა 13 აგვისტოს კავკასიის ეგზარქოსად და თბილისისა და ბაქოს მიტროპოლიტად დანიშნა. 1918 წლის 14 იანვრიდან ხერსონისა და ოდესის მიტროპოლიტია. 1920 წელს ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში. 1921 წელს პატრიარქ ტიხონის ბრძანებით ამერიკული სამრევლოების მართვა დაევალა. მიტროპოლიტი პლატონი ღიად აკრიტიკებდა ბოლშევიკურ მთავრობას, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ პატრიარქ ტიხონს მისი გათავისუფლება მოსთხოვა. პატრიარქი იძულებული გახდა დაჰყოლოდა ხელისუფლებას, თუმცა მიტროპოლიტი პლატონი არ დაემორჩილა მოსკოვის გადაწყვეტილებას. 1924 წლის 4 აპრილს დეტროიტში (აშშ) მოიწვიეს ჩრდილოამერიკის ეპარქიის კრება, რომელმაც თვითმმართველობა გამოაცხადა და თავის წინამძღოლად მიტროპოლიტი პლატონი აირჩია, თუმცა ფორმალურად ის რუსეთის ეკლესიის წევრად რჩებოდა. 1933 წელს მისი თაოსნობით ამერიკის ეკლესიის ავტონომია გამოცხადდა, საპასუხოდ რუსეთის ეკლესიის სინოდმა მას მღვდელმოქმედება აუკრძალა.

გარდაიცვალა 1934 წლის 20 აპრილს.

ეგზარქოსი პლატონ როჟდენსტვენსკი აღმოჩნდა ბოლო მმართველი ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს ეკლესიისა. მას მხოლოდ წელიწად-ნახევარი მოუწია საქართველოში ყოფნა. იგი კიშინიოვის კათედრიდან გადმოიყვანეს და

საქართველოში 1916 წლის იანვარში ჩამოვიდა. თანამედროვენი მას ენერგიულ და პრაქტიკული გონების კაცად თვლიდნენ. ჩამოსვლისთანავე შეეცადა, ხაზინის დახმარების გარეშე გაეუმჯობესებინა სასულიერო პირების მატერიალური მდგომარეობა. ბორჩალოს მაზრაში მან შეიძინა მამული, რომელიც ტყით იყო გარშემორტყმული და რკინიგზის შპალების დამამზადებელი საწარმოს გახსნა განიზრახა. ამისთვის საჭირო თანხებიც მოიძია. „საზოგადოება“ ჩამოაყალიბა რამდენიმე კაცისგან, რომლებიც ამ საქმეს უნდა გაძღოლოდნენ. ერთ საღამოს მას თბილისის სამღვდელოება შეუკრებია და უთქვამს: „შევაკეთებ სახლებს, სამსახურიდან გასულ მღვდელთაგან მსურველებს შევთავაზებ, იქ შესახლდნენ და შეძლებისდაგვარად მიიღონ მონაწილეობა „საზოგადოების“ მუშაობაში - კანტორებში იქნება ეს, კანცელარიებში თუ სხვაგან. საჭმელი, ტანსაცმელი, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, ტაძარი - ეს ყველაფერი პენსიონერებს პირველ ხანებში საზოგადოების ხარჯზე ექნებათ, შემდეგ კი ქვრივ-ობლებისათვის, განსაკუთრებით ბრძოლის ველზე დაღუპული მეომრების ქვრივ-ობლებისათვის გავხსნით თავშესაფრებსა და სახლებს, სკოლებში დავნიშნავთ ჩვენს სტიპენდიებს. უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა ეკლესია ადამიანებზე ზრუნავდეს არა მარტო როგორც ცის მოქალაქეებზე, არამედ როგორც მიწის მოქალაქეებზეც, ვინაიდან მიწიერი ცხოვრება საწყისია ზეციური ცხოვრებისა და მისთვის მზადება“.[233] მაგრამ მან, პრაქტიკულად, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, ვინაიდან ჩამოსვლიდან ერთი წლის თავზე რუსეთში რევოლუცია დაიწყო. იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. შეიქმნა დროებითი მთავრობა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა და 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადეს.

1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები: ლეონიდე, ანტონი, პიროსი მივიდნენ საქართველოს ეგზარქოს პლატონ როჟდესტვენსკისთან და გამოუცხადეს, რომ მცხეთაში მომხდარი აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან.

ეგზარქოსმა ყურადღებით მოისმინა ქართველი იერარქების წინადადება და უპასუხა - მე ყველაფერს ამას შევატყობინებ პეტერბურგში წმინდა სინოდს დეპეშით, რასაც 3-4 დღე დასჭირდება და შემდეგ განკარგულების თანახმად მოვიქცევიო. ამავე

დროს გთხოვთ, ძალას ნუ დამატანთ, ეს თქვენი საქმისათვის კარგი არ იქნება, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეც უმწეო არა ვარ. რუსის ჯარისკაცებიც და მთავრობაც მომხრედ მყავსო. თბილისში ფრიად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

23 მარტს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის საგანგებო კომისიამ ინახულა „ოზაკომის“ წევრი, რომელსაც წარუდგინა დეკლარაცია. ამ დეკლარაციით:

„1. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას უნდა ემორჩილებოდეს მართლმადიდებელი მოსახლეობა ძველი საკათალიკოზოს საზღვრებში: ქუთაისისა და თბილისის გუბერნია, ზაქათალა-ბათომის ოლქი, ბამბაკი, აბოცი, თორთუმი, კისკიმი, გიშის წყლამდე, კახეთის მონაპირე მტკვრის მარჯვენა ნაწილი განჯის გუბერნიისა და სოჭის ოლქის ნაწილი.

2. საქართველოს ეკლესიის თავს ეწოდება მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, რომელიც ამოირჩევა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორ დაფარულ ხმათა ხმის მიცემით (5 წლის ვადით).

3. რომ კრედიტები ყოფილ დაწესებულებათა შესანახად გადადებული, რომელნიც იმყოფებიან საკათალიკოზოს საზღვრებში კვლავ უნდა განგრძობილ იქნას, ხოლო ამიერიდან საქართველოს ეკლესიის თავს უფლება ჰქონდეს ხარჯთაღრიცხვის შედგენისა ამ კრედიტის ფარგლებში“.[234]

„ოზაკომ”-ის წევრებმა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წარმომადგენლებს თანადგომა აღუთქვეს და დაჰპირდნენ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დააყენებდნენ ეგზარქოს პლატონის გაწვევის საკითხს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმპერიის დედაქალაქში სხვა გეგმები ჰქონდათ. მათ მთავარეპისკოპოსი პლატონი ამიერკავკასიისა და თბილისის მიტროპოლიტად გამოაცხადეს. მას არაქართველი მრევლი უნდა დამორჩილებოდა. ვითარება ისევ დაიძაბა. ყოფილი ეგზარქოსი თავის რეზიდენციას არ თმობდა. 29 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წარმომადგენლებმა მთავრობას პროტესტი განუცხადეს. შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად იმპერიის დედაქალაქიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი მოავლინეს. თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ თავისი წარმომადგენლები გააგზავნა პეტერბურგში. ცენტრი პოზიციას არ იცვლიდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა პროფესორ ბენეშევიჩის მოხსენებამ, რომელიც არაობიექტური და

ტენდენციური იყო. საქართველოს ეკლესიას, ფაქტობრივად, სქიზმაში სდებდნენ ბრალს. ამასობაში დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება. მან დაადგინა: „1). შეიმუშაოს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთში; 2). მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელსაც შეადგენს მთავრობა, შემუშავება იმ საკითხებისა, თუ რა უნდა გამოეყოს საქართველოს საეგზარქოსოს საკათალიკოზოსათვის გადასაცემად. ამასთანავე, ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს ზომა და საფუძვლები, რის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მიეცეს კრედიტი ხაზინიდან და ეს კომისიის დადგენილება უნდა წარედგინოს დროებით მთავრობას განსახილველად; 3). საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერპროკურორს ქართული ეკლესიის მიმართ რჩება იგივე უფლებები, რა უფლებებიც ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართ“.[235]

ფაქტობრივად, პეტერბურგში გამართულ შეხვედრებს შედეგი არ მოჰყოლია და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები თბილისში დაბრუნდნენ. 1917 წლის 13 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის ეპარქიის აღდგენის შესახებ. თბილელ მიტროპოლიტად ლეონიდე ოქროპირიძე აირჩიეს. 15 აგვისტოს ეს გადაწყვეტილება სიონის საკათედრო ტაძარში მთავარდიაკონმა დავით სალარიძემ გამოაცხადა: „განბჭობითა და გამოჭვილვითა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და სამღვდელოთა და საეროთა დასთა თბილისისა და სხვათა საქართველოს ქალაქთაითა თავდადებულ იქმნა უძველესი საყდარი თბილელ მიტროპოლიტთაი, რომელი ერთი საუკუნე განიცდიდა ქვრივნობასა, ხოლო საყდარსა ამის ზედა შთაგონებითა სულისაწმიდისა და შემოკრებილთა ერთსულოვან თანხმობითა აღრჩევითა აღიყვანების სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდე, ვილოცოთ მისთვის და ვთქვათ აქსიოს“.[236]

1917 წლის 23 აგვისტოს პლატონ როჟდენსტვენსკიმ თბილისი დატოვა. შექმნილ ვითარებაში საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დააჩქარა საეკლესიო კრების მოწვევის საკითხი.

1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში გამართულმა პირველმა საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი

კირიონი, რომელსაც ეწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთის მთავარეპისკოპოსი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და თბილელ მიტროპოლიტად დამტკიცდა ლეონიდე.

ასე დასრულდა რუსი ეგზარქოსების საუკუნოვანი მმართველობა საქართველოში.

სრულიად საქართველო დიდი სიხარულით შეხვდა მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ქართული საზოგადოება ამ გამარჯვებაში ხედავდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობას, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ამ სიხარულს. 1917 წლის მოვლენებით დასრულდა ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ეკლესიის და, ზოგადად ქართველი ერის ისტორიაში. იწყებოდა არანაკლებ რთული პერიოდი ავტოკეფალიის შენარჩუნებისა და მისი საყოველთაოდ აღიარების გზაზე.

დასკვნა

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, რუსეთში XVI საუკუნეში გაჩნდა ე. წ. „მესამე რომის თეორია“. ამასთან ერთად იზრდებოდა კავკასიის, როგორც ახლო აღმოსავლეთში რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების დასაყრდენის მნიშვნელობა. ამიტომ, XVI-XVIII საუკუნეებში ქართულ-რუსული ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა. ამ ურთიერთობათა შედეგს წარმოადგენდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. ეს ხელშეკრულება რუსეთისათვის იყო კავკასიაში დამკვიდრების ლეგიტიმური საფუძველი.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფოს ანექსია მოახდინა, ასეთ ვითარებაში იმპერიის მესვეურნი თვლიდნენ, რომ არანაირი საჭიროება საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის არსებობისა აღარ არსებობდა. რადგან არ არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარც დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა იყო საჭირო. თუმცა, ეკლესიის ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი საპატრიარქო არსებობდა.

რუსეთის იმპერია კარგად აცნობიერებდა საქართველოს ეკლესიის როლს ქვეყნის ცხოვრებაში. კარგად იცოდნენ, რომ დამოუკიდებელი ეკლესია ყოველთვის იქნებოდა ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტი, ამიტომ მისი დამოუკიდებლობის გაუქმება და რუსეთის ეკლესიის სტრუქტურულ ერთეულად გადაქცევა იმპერიის უმთავრეს საზრუნავად იქცა.

იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825-1855) მმართველობის პერიოდიდან გატარებულმა საეკლესიო პოლიტიკამ გამოიწვია ეკლესიის უკიდურესი ბიუროკრატიზაცია და მისი შერწყმა სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატთან. ეკლესიის სათავეში იდგა იმპერატორი, მაშასადამე, ეკლესია სახელმწიფოს ნაწილად იქცა. იმპერატორს უშუალოდ ექვემდებარებოდა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი, რომლის საშუალებითაც ეკლესია ურთიერთობდა სახელმწიფოსთან.

XIX საუკუნის I ნახევარში გატარებული რეფორმები გულისხმობდა: საქართველოს ეკლესიის სტრუქტურულ და ადმინისტრაციულ რეორგანიზაციას, საეკლესიო მამულების ჩამორთმევას, ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლას, საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებათა ცვლილებას და ა. შ. ამ ცვლილებათა შედეგად

საკათოლიკოსოს ნაცვლად ჩამოყალიბდა საქართველოს საეგზარქოსო, შემცირდა ეპარქიათა რიცხვი.

უწმინდესი სინოდის მმართველობაში შედიოდა ორი კანტორა: მოსკოვის სამიტროპოლიტოს სინოდალური კანტორა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომლის ხელმძღვანელი იყო საქართველოს ეგზარქოსი. იგი დიდი უფლებებით სარგებლობდა, სინოდის მიერ შეირჩეოდა და იმპერატორი ამტკიცებდა. ეგზარქოსს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა იმპერიის კოლონიური მიზნების განხორციელებაში. საქართველოს საეგზარქოსოს აპარატის ფუნქციონირების ხარჯებს ადგილობრივი საეკლესიო ხაზინა ფარავდა.

საეგზარქოსოს შემოსავლებიდან სასულიერო პირებს ენიშნებოდათ ხელფასი. ე. ი. ისინი, ფაქტობრივად, სახელმწიფო მოხელეებად იქცნენ. თუმცა ჯამაგირის სიმცირის გამო ხალხში დარჩა ნატურალური გადასახადი. არსებული საგადასახადო სისტემა დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებდა სასულიერო პირებს. გადასახადის ამოღებისათვის ხშირად მათ თვითონ უხდებოდათ კარდაკარ სიარული, გადასახადის ამოღებას ცდილობდნენ ძალდატანებით. მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს გადაწყდა ნატურალური გადასახადის სრული შეცვლა ფულადით.

რეორგანიზაციის მეორე ეტაპი 1814 წელს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმებით დაიწყო. 106 წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიას 19 ეგზარქოსი მართავდა, აქედან მხოლოდ პირველი, ვარლამ ერისთავი იყო ქართველი, დანარჩენი - რუსი. 1817 წელს დანიშნულ ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვს დაევალა, საქართველოში დაწყებული „რეფორმები“ ბოლომდე მიეყვანა. 1818 წლის 28 დეკემბერს მან იმპერატორს ხელმოწერით დაადასტურებინა გასატარებელ ცვლილებათა პროექტი, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. 1819-1820 წლების აჯანყების გამო დასავლეთ საქართველოში რეფორმა ბოლომდე ვერ გატარდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საღვთისმეტყველო ტიპიკონმა. უგულებელყოფილი იყო ქართული სამგალობლო ტრადიცია. რუსი მოხელეები ქართულ მრავალხმიან გალობას თხის კიკინს ადარებდნენ. სოფლებში გაუქმდა მოურავობის ინსტიტუტი. სასულირო პირებს რუსეთის იმპერია განიხილავდა როგორც დასაყრდენ ძალას საკუთარი ინტერესების გასატარებლად, ამიტომ იმპერატორის ბრძანებით ისინი გათავისუფლდნენ ყმობისა და გადასახადებისაგან.

საეკლესიო ქონების ძარცვა ჩვეულებრივ საქმედ იქცა. სამწუხაროდ, ხშირად, ამ საქმეში რუს მოხელეებს ქართველებიც უწყობდნენ ხელს.

როგორც აღვნიშნეთ, იმპერიის მიზანი იყო სასულიერო წოდება, საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით, მთლიანად ჩამდგარიყო ხელისუფლების სამსახურში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სასულიერო პირებისაგან ითხოვდნენ დასმენებს. პეტრე I-ის დროიდან, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიაში. მას შემდეგ რაც იმპერატორმა გააუქმა პატრიარქობა, ეკლესია სახელმწიფოს სტრუქტურულ ერთეულად აქცია.

ამასთან ერთად სასულიერო პირები, ფაქტობრივად, ბუღალტრებად იყვნენ გადაქცეულნი. ისინი ვალდებულნი იყვნენ შემოწირულობა გადაექციათ ფულად და გაეგზავნათ საეგზარქოსოში. ასეთი შემოწირულობის სახით შესული თანხებიდან შემდგომში ეგზარქოსი გამოყოფდა სახსრებს ეკლესიის სხვადასხვა საჭიროებისათვის და ამ თანხას საეგზარქოსოს მიერ გაცემულად თვლიდა.

მნიშვნელოვან პრობლემად იქცა სხვადასხვა ჯურის სექტანტების: სკოპცების, მოლოკნების, დუხობორების, სტაროობრიადცების მიზანმიმართული ჩამოსახლება. რუსეთის ხელისუფლება ამით ორ კურდღელს იჭერდა: იშორებდა ცენტრალური რეგიონებიდან სექტანტებს და მათი საშუალებით ცდილობდა დემოგრაფიული ვითარება შეეცვალა საქართველოში.

ცვლილებები განიცადა განათლების სისტემამაც. საგრძნობლად შემცირდა ქართული სასწავლებლების რიცხვი. დაიხურა თბილისის სასულიერო სემინარია. 1817 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა რუსული სემინარია თბილისში. ამავე წელს სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა თელავსა და გორში.

საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში გადმოტანილი იყო რუსული განათლების სისტემაში არსებული წეს-ჩვეულებები, ისე, რომ არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ვითარება. ზოგადად, განათლება მთლიანად ემსახურებოდა დამპყრობელი ქვეყნის ინტერესებისადმი ლოიალურად განწყობილი მომავალი თაობის აღზრდას.

XIX საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში არსებულ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის უგულებელყოფა და შევიწროება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1873 წელს უწმინდესი სინოდის ბრძანებით გაუქმდა ქართული ენის

სწავლება. ყველა ტიპის სასწავლებელში პრიორიტეტული გახდა რუსული ენაზე სწავლება, თუმცა ქართული საზოგადოების ზეწოლით რუსეთის ხელისუფლება იძულებული იყო, წასულიყო დათმობებზე და შემცირებული საათებით, მაინც დატოვა მშობლიური ენა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, რეფორმებამდე, ეკლესია საკმაოდ კარჩაკეტილ ორგანიზაციას წარმოადგენდა. გატარებული რეფორმის შედეგად გაიზარდა ეპარქიების უფლებები, არჩევითი გახდა სასულიერო უწყების ზოგიერთი თანამდებობა. აღნიშნული რეფორმები საქართველოში შედარებით მოგვიანებით გატარდა. არჩევითი გახდა კეთილმოწესის (ბლაღოჩინის) თანამდებობა, რომელზეც მანამდე ეპარქიის მმართველის მიერ ინიშნებოდნენ. არჩევითი გახდა სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველების თანამდებობა, თუმცა მოგვიანებით, რეაქციის ხანაში, არჩევითობის პრინციპი კვლავ გააუქმეს.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, იწყება რეაქციის ხანა. გაუქმდა ყველა მონაპოვარი და ცვლილება, რომლებიც წინა წლებში დაუშვა ხელისუფლებამ დემოკრატიული ცვლილებების სახით. პოლიტიკური რეაქცია განსაკუთრებით მძიმე იყო კოლონიურ ქვეყნებში.

რუსული იდეოლოგიური მანქანა უხეშად ჩაერია საქართველოს ეკლესიის სამონასტრო ცხოვრებაში. რუსეთში არსებული კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოს ეკლესიაში პირველი კატეგორიის მონასტერი არ არსებობდა. ჩვენი მონასტრები, ძირითადად, მეორე და მესამე კატეგორიებს განაკუთვნეს. ხდებოდა რუსი ბერების გადმოყვანა ქართულ მონასტრებში და ამით ქართული ბერმონაზვნობის შემცირება.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული სასულიერო და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა აქტიურად დააყენეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. საპასუხოდ რუსეთის ხელისუფლებაში შემუშავდა საეგზარქოსოს რეორგანიზაციის არაერთი პროექტი, რომელთა მიზანი კვლავ იყო საქართველოს ეკლესიის, საზღვრების, ტერიტორიების, სასულიერო იერარქიის, ენის, და ზოგადად, წეს-ჩვეულებათა დაკნინება.

1901 წელს სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა საქართველოს საეგზარქოსოსგან თავისი ეპარქიის გამოყოფის საკითხი დააყენა. 1904 წელს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის

ბრძანებით გაგრა ჩამოაშორეს სოხუმის ოლქს, შესაბამისად, ეპარქიას, და შავიზღვისპირეთის გუბერნიას შეუერთეს.

1906 წლიდან პეტერბურგში, უწმინდესი სინოდის სხდომებზე, ქართველი სასულიერო და საერო პირების მონაწილეობით დაიწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. შემუშავდა რამდენიმე პროექტი: პირველი პროექტით განისაზღვრა საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმება და მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიები; მეორე პროექტით საეგზარქოსო უნდა შენარჩუნებულიყო, ხოლო მესამე პროექტით განსაზღვრული იყო საეგზარქოსოს ნაცვლად სამიტროპოლიტოს შექმნა. არც ერთი პროექტი რეალურად კი არ აუმჯობესებდა, არამედ კიდევ უფრო აკნინებდა საქართველოს ეკლესიას. 1908 წელს შემუშვდა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც თავისი არსით არაფრით განსხვავდებოდა წინა პროექტებისაგან.

1916 წელს შემუშავდა კიდევ ერთი პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო კავკასიის სამიტროპოლიტო და საეგზარქოსო უნდა გაუქმებულიყო. თუმცა, რასაკვირველია, ეს პროექტიც არ გამოხატავდა ქართული საზოგადოების ინტერესს.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული გახადა, ტახტიდან გადამდგარიყო. იმპერია ქაოსმა მოიცვა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ქართველმა სასულიერო და საერო საზოგადოების წარმომადგენლებმა და 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. მოსე ჯანაშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბილისი, 1886; მისივე მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, თბილისი, 1889; მისივე «История Грузинской церкви», кн. I, Тбилиси, 1889;

2. Е.К. «Назревший вопрос ко дню столетия присоединение Грузии к России», Тб., 1900;

3. Е.К. «Краткий очерк истории Грузинской церкви», Тифлис, 1901;

4. К. Цинцадзе, Автокефалия Грузинской церкви. Тб., 1905; მისივე Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской Церкви: Ответ Г. В. Самуилову. Тифлис, 1906; მისივე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010;

5. М. Келенджеридзе. Правда об автокефалии Грузинской церкви, 1906, Кутаиси;

6. Н. Дурново, Судьба Грузинской церкви, М., 1907; მისივე По поводу речей протоиерея Иоанна Восторгова об убиенном русском экзархе Грузии превосвященном архиепископ Никон, М., 1908. Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской со епископами 120 епархии и католикосов Мцхетских и Имеретинского Абхазских, Мутный источник или по поводу речи Р. Пуришкевича в Государственной Думе по делам Грузинской церкви, М., 1909;

7. ბაქოს წიგნების გამომცემელი ამხ. „კალამი“, ტფილისი, 1907;

8. Цхумели, «Абхазия. Церковно-исторический эскиз», Санкт-Петербург, 1907;

9. А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, С. П., 1912;

10. Еп. Давид, К вопросу об автокефалии Иверской церкви, 1912;

11 ევსევი ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918;

12. მირიან ხუციშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოში (1880-1917 წწ.) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1972; მისივე საქართველოს ეკლესიის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, 1987;

13. ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბილისი, 1995. მისივე, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945 წლები), ნაწილი I, თბილისი, 2008;

14. მ. ხომერიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე, თბილისი, 1999; მისივე იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბილისი, 2012;

15. აკაკი ვარაზაშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1999; მისივე ალექსანდრე ცაგარელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში, თბილისი, 2000; მისივე ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში, თბილისი, 2000;

16. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს ეკლესია 1899-1999 წლებში, ასწლოვანი ქრონიკა, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 2001, N4, გვ. 20-39; მისივე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2017;

17. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 2001; მისივე საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, III გამოცემა, თბილისი, 2017;

18. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 2002;

19. გივი როგავა, „რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში“, თბილისი, 2002;

20. ჯემალ გამახარია, წმინდა მღვდელმოწამე ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, თბილისი 2006; მისივე, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხალაია) და აფხაზეთი, თბილისი 2006; მისივე, წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი, თბილისი 2006; მისივე, წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, თბილისი 2007;

21. ვახტანგ თორაძე, ნინო თორაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX-XX საუკუნეები, თბილისი 1995;

22. არჩილ თხინვალელი, ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში (მოკლე მიმოხილვა), თბილისი, 2012;

23 ა. ბენდიანაშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

24. ვახტანგ გურული, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814), თბილისი, 2010; მისივე საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი I, თბილისი, 2017, წიგნი II, თბილისი, 2018, წიგნი III, თბილისი, 2019;

25. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს ეკლესიის ისტორია. XX-XXI საუკუნეები. დოკუმენტები და მასალები, ტ. I, თბილისი, 2007; ტ. II, თბილისი, 2008;

26. გვანცა ბურდული „„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქართველ მეცნიერთა ღვაწლი (1906), თბილისი, 2010; მისივე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი (1906), თბილისი, 2010; მისივე ეპისკოპოს კირიონის მოხსენებები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906), თბილისი, 2011; მისივე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, თბილისი, 2012 წელი;

27ლევან ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014:

28. ალექსანდრე მღებრიშვილი, მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში, თბილისი, 2017;

29. გიორგი სოსიაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ, გორი, 2019;

30. ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1995;

31. მაია ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1998;

32 ვლადიმერ წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1999;

33. გივი როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი, 1999;

34. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1932 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2001;

35. აკაკი ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX საუკუნის დასაწყისი 1918 წლამდე), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2001;

36. ხათუნა ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2001;

37. შორენა ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბილისი, 2003;

38. თამარ ფხალაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბილისი, 2004;
39. კახა ტოლიაშვილი, რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (XIX ს. 80-იანი-1917 წწ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2005;
40. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006;
41.სოფიო ანდღულაძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლნი - ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბილისი, 2006;
42. გვანცა ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2012;
43. დეკანოზი დავით ღამბაშიძე, საქართველოს ექსარხოსები ჟურნალი „მწყემსი“, 1892, N 23-N24, გვ. 3-4; მისივე, რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში?, ჟურნალი „მწყემსი“, 1893, N17-N18, გვ. 1-4; მისივე, ჩვენი სამწუხარო გულგრილობა და დაუდევნელობა, ჟურნალი „მწყემსი“, 1897, N5, გვ. 1-3; მისივე, მოკლე ისტორიული მოთხრობა საზოგადოდ საქართველოს ექსარხოსებზე 1811 წლიდან დღემდე, ჟურნალი „მწყემსი“, 1898, N5-N6; მისივე, ავტოკეფალია, 1905, N21, გვ. 7-8; მისივე, რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმე?, ჟურნალი „მწყემსი“, 1906, N5, გვ. 1-2; მისივე, კიდევ

საქართველოს ეკლესიაზე, ჟურნალი „მწყემსი“, 1906, N17-18,; მისივე, საქართველოს ექსარხოსები, ჟურნალი „მწყემსი“, 1910, N3, გვ. 1-3;

44. მღვდელი კონსტანტინე ანთაძე, საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, ჟურნალი „მწყემსი“, 1902, N21-N22, მისივე, აზრი საქართველოს ეკლესიის შესახებ რუსეთის განსაკუთრებული კრებისა, ჟურნალი „მწყემსი“, 1906, N1-N2;

45. ჟურნალი „მწყემსი“, რა დროიდან ინიშნებიან საქართველოში ექსარხოსები?, 1896, N7, გვ. 7-9;

46. ილია ფერაძე, საქართველოს ექსარხოსები, ჟურნალი „მოგზაური“, 1901, N4;

47. გაზეთი „ჯვარი ვაზისა“, საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ახლა, 1906, N6-N12;

48 ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, საგრძნობელი შეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში, გაზეთი „ჯვარი ვაზისა“, 1906, N11, გვ. 6-8;

49. ელდარ ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი, „ანალები“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, 2002, N1, გვ.41-46; მისივე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები, „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2004, ტ. VII, გვ. 102-108; მისივე, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2007, N1, გვ. 240-257;

50. სერგო ვარდოსანიძე, ბრძოლა ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 2010, N1, გვ. 58-61; მისივე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XIX-XX საუკუნეებში, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2010, N4, გვ. 32-35;

51. მედეა ბენდელიანი, საეკლესიო რეფორმის პირველი ეტაპი: ერთი ფრაგმენტი ეგზარქოს ვარლამ ერისთავის მოღვაწეობიდან, „ქრისტიანობის კვლევები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ

ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სამეცნიერო ცენტრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი, 2011, N6, გვ. 97-103;
52. გვანცა ბურდული, ეპისკოპოსი კირიონი - საქართველოს ეკლესიის საკითხი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2010, N46, გვ. 3; მისივე ეპისკოპოსი კირიონი რუსი სამღვდელოებისა და მეცნიერების წინააღმდეგ, ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამოცემა, 2010, N55, გვ. 11; მისივე, ეგზარქოსების მმართველობის პერიოდის შეფასება რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წ.), „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, 2013, N16, გვ.175-191; მისივე, სტატისტიკური ცნობები საქართველოს საეგზარქოსოში 1906 წლისათვის არსებული ვითარების შესახებ, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები“, ტ. I, 2014, გვ. 130-144;
53. ტასო კვიციანი, რუსეთის სასკოლო პოლიტიკა საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში, „საისტორიო ძიებანი“, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, წელიწდეული, 2001, ტ. IV, გვ. 152-157; მისივე, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის (1905 წლის მაისი ყრილობა), „საისტორიო ძიებანი“, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, წელიწდეული, 2002, ტ. V, გვ. 155-158;
54. ლადო მირიანაშვილი, სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი XIX საუკუნის საქართველოში, „ქრისტიანობა საქართველოში“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები, 2000, გვ, 45-49;
55. ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის პოლიტიკურ-რელიგიური მოღვაწეობის ისტორიიდან საქართველოსა და რუსეთში (XIX საუკუნის 10-20-იანი წლები), სამეცნიერო კრებული „ისტორიანი“, თბილისი, 2000, გვ. 358-373;
56. ხათუნა ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), საქართველოში რუსეთის

კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, 2007, გვ. 124-152; მისივე, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, 2008, გვ. 130-184;

57. თამარ შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, „რწმენა და ცოდნა“, 2001, N5, გვ. 32-37; 2002, N2, გვ. 25-32; მისივე, ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარებელი“ და საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2004, ტ. VII, გვ. 131-152;

58. ცაცა ჩხარტიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), „საისტორიო შტუდიები“, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2004, ტ.,V გვ. 113-120; მისივე, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის სინოდის წინააღმდეგ ბრძოლაში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), „დიდაჭარობა - 2009“, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009, გვ. 62-66;

59. ხატია წიკლაური, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოცემული წიგნების, დაცული დისერტაციებისა და გამოქვეყნებული სტატიების ანოტირებული ბიბლიოგრაფია,თბილისი, 2017;

60. В. Ключевский, соч. в девяти томах, Т. I, М., 1987, გვ. 50;

61. С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, Т. I, Тб. 1907, გვ. 67;

62. Колониальная политика русского царизма в Азербайджане в 20-60-х годах XIX в. Часть 1, М.-Л. 1936, გვ. 231-232;

63. ა. სურგულაძე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, გვ. 214;

64. С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, Т. I, Тб. 1907, გვ. 81;

65. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბილისი, 1954, გვ. 215;

66. Обзор российских владений за Кавказом, М., 1836, ч. I, გვ. 12-13, ციტირებულია წიგნიდან - ტ. ხუნდაძე, ცარიზმი და საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბილისი, 1940, გვ. 5;

67. Дингельштедт В, Водовладения и иригация, М., 1860, გვ. 2;

68. დ. ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“, საქართველოსი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნი 1, თბილისი, 2007, გვ. 90;
69. უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბილისი, 2001, გვ. 131;
70. ვ. კოტეტიშვილი, აზიისაკენ, წიგნი - „ევროპა თუ აზია?“ თბილისი, 1997, გვ. 200;
71. ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, N2-3, გვ. 160;
72. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, под ред. А Берже, II, Тиф. 1868, გვ. 200;
73. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, под ред. А Берже, VIII, გვ. 18;
74. ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, N2-3, გვ. 160;
75. ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, გვ. 553;
76. ა. წერეთელი, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბილისი, 1990, გვ. 418;
77. ა. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, ქართ. პროზა, წიგნი IX, თბილისი, 1985, გვ. 89;
78. ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თბილისი, სრ. კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბილისი, 1997, გვ. 454;
79. ჟურნალი „ნიშადური“, 1908, N44, 18 მაისი;
80 ჟურნალი „ნიშადური“, 1908, N46, 1 ივნისი;
81. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ, თბილისი, 1934, გვ. 56-57;
82. მ. თადუმაძე, იმპერიული პოლიტიკა და ნაციონალური მენტალიტეტი, ალმანახი „კლიო“, 2005, N28, გვ. 185-186;
83. А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960, გვ. 243;
84. ЦГВИА Государственный архив, Т. XXIII., д. 13, ч. 2, лл 15-16;
85. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, под ред. А. Берже, Т. I, Тиф., 1966, N 547;

86. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მმართველობაში აღ. საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბილისი, 1989. გვ. 49;

87. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ.13;

88. იქვე, გვ. 14;

89. იქვე, გვ. 18;

90. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, Т. 1, стр. 529;

91. იქვე, გვ. 531-534;

92. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 28;

93. იქვე, გვ. 28;

94. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, Т.4, стр. 139;

95. იქვე, გვ. 139;

96. იქვე, გვ. 143;

97. იქვე, გვ. 143;

98. იქვე, გვ. 152; ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 41;

99. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბილისი, 1900, გვ. 190-191;

100. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, Т.4, стр. 217;

101. იქვე, გვ.166;

102. იქვე, стр. 167;

103. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, 1997, გვ. 32;

104. თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, 1967, გვ. 597;

105. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, Т. 6, стр. 579;

106. იქვე, გვ. 582;

107. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945) ნაწ. პირველი, თბილისი, 2008 იქვე, გვ. 74-75;

108. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/1350.html ;

109. ნიკოლოზ დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream /1234/10273/3/Qartuli_Eklesii_Bedi.pdf , გვ. 7;

110. იქვე გვ. 9;

111. იქვე გვ. 10;

112. იქვე გვ. 12;

113. Провославнвя Энциклопедия, https://www.pravenc.ru/text/154217.html

114. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 103;

115. იქვე,, გვ. 105;

116. Провославнвя Энциклопедия, https://www.pravenc.ru/text/154217.html

117. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 103;

118. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა, თბილისი, 1936, გვ. 257;

119. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. გვ. 104;

120. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, Т. V, с. 59-61;

121. იქვე, გვ. 67-68;

122. იქვე, გვ. 81;

123. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 105; АКАК, Т. V, с. 403;

124. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 198;

125. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 26272;

126. Провославнвя Энциклопедия, https://www.pravenc.ru/text/154217.html

127. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 104-105;

128. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/239.html

129. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 108;

130. АКАК, т. VI, ч. I, с. 391;

131. იქვე, გვ. 536-537;

132. იქვე, გვ. 538-539;

133. იქვე, გვ. 534-540;

134. იქვე, გვ. 564;

135. იქვე, გვ. 566-567;

136. იქვე, გვ. 569-570;

137. იქვე, გვ. 578;

138. იქვე, გვ. 583-587;

139. იქვე, გვ. 585;

140. იქვე, გვ. 591;

141. Ермолов. Записки, 1868, ч. II, с. 212;

142. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/27116.html

143. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა, თბილისი, 1936, გვ. 257;

144. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 1505, ფურც. 17;
145. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 160;
146. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 2743;
147. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, T.VII. Стр. 245;
148. საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზაქოსები, „ჯვარი ვაზისა“, 1906, N 8-9, გვ. 16-17;
149. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/13160.html
150. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში, II მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისთვის (ა-ე), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ.107;
151. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/16400.html; Провославнвя Энциклопедия, https://www.pravenc.ru/text/186965.html:
152. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში, II მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისთვის (ა-ე), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ.20-21;
153. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 9433;
154. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 5788;
155. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 7446, ფურც. 17;
156. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 7460, ფურც. 61;
157. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 9741;
158. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/14878.html;
159. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქორაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 266-269;
160. Провославнвя Энциклопедия, https://www.pravenc.ru/text/Евсевий%20(Ильинский.html

161. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 158-159;

162. ნ. დურნოვო დასახელებული ნაშრომი, გვ. 10-11;

163. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIV, თბილისი, 1961, გვ. 475-476

164. გაზეთი ,,დროება", 1885, №141, გვ. 2;

165. Православнвя Энциклопедия, https://www.pravenc.ru/text/577942.html

166. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან" მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 225;

167. Записки присутствующего в Святейшем Синоде Архиепископа Никонора (Бровновича), ოდესა, 1913, გვ. 36;

168. ჟურნალი „მწყემსი", 1906 წ. N15-16, გვ. 5;

169. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 160;

170. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივი, N 288, „საისტორიო მოამბე", 1947, ტ. 3, გვ. 399;

171. იოსებ უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, 1989, თბილისი, გვ. 169-170;

172. იქვე, გვ. 243-244;

173. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან" მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 231-232;

174. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქმე 26345;

175. იოსებ უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, 1989, თბილისი, გვ. 288-289;

176. არკადი ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფილისი, 1932, გვ. 34-39;

177. იოსებ უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, 1989, თბილისი, გვ. 290-291;

178. იქვე, გვ. 283;

179. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 239;

180. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 241;

181. Открытая Провославнвя Энциклопедия, https://drevo-info.ru/articles/11711.html

182. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 246;

183. იქვე, გვ. 246-247;

184. იქვე, გვ. 249;

185. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები), დოკუმენტები და მასალები, ტ. I, თბილისი, 2007, გვ. 113

186. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 249;

187. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 170-171;

188. იქვე, გვ. 171;

189. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 250-251;

190. ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი II, თბილისი, 2018, გვ. 435-436;

191. იქვე, გვ. 435-436;

192. იქვე, გვ. 439;

193. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 252;

194. იქვე, გვ. 256;

195. იქვე, გვ. 258;

196. იქვე, გვ. 258;

197. გიორგი სოსიაშვილი, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ“, გორი, 2019;

198. ალექსანდრე მღებრიშვილი „მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში“, თბილისი, 2017, გვ. 164;

199. იქვე, გვ. 170;

200. იქვე, გვ. 171;

201. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 260-263;

202. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ 488, საქმე 26381;

203. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ 488, საქმე 16435;

204. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 264-270;

205. იოსებ უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, 1989, თბილისი, გვ. 184-186;

206. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 306;

207. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ 488, საქმე 26 161;

208. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ 488, საქმე 26 381;

209. ნ. დურნოვო დასახელებული ნაშრომი, გვ. 41;

210. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 289;

211. იქვე, გვ. 294-298

212. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 2100 საქმე. 57. ფურც. 3.

213. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, N 3, გვ. 75;

214. ალ. ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.) თბილისი, 2001, გვ. 49;

215. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 335;

216.Софийский Высокопреосвященный Никон, архиепископ Карталинский и Кахетинский, экзарх Грузии, ц. პ. ბ. 1909, გვ. 419-421);

217. ნ. დურნოვო დასახელებული ნაშრომი, გვ. 33-34;

218. იქვე გვ. 55;

219. იქვე გვ. 59-60;

220. იქვე გვ. 60;

221. იქვე, გვ. 60-61;

222. გაზეთი „საქართველო, 10 ივნისი, 1916, წიგნში: გ.როგავა, ქრისტიანული რელიგია და ეკლესია (1801-1917 წ.წ.), თბილისი, 1997, გვ. 104-105;

223. გვანცა ბურდული, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე“, თბილისი, 2012, გვ. 310;

224. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 13. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომებიდან: ვახტანგ გურული, პოლიტიკური მკვლელობის ფიზიონომია (ვინ მოკლა ეგზარქოსი ნიკონი?), თბილისი, 2014, გვ. 89;

225. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 364-366;

226. Проф. А. А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу. ს. პ. ბ. – 1912 წ., გვ. 114;

227. Церковные Ведомости, 1916 წ. გვ. 181, 182, 227;

228. კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 391;

229. იქვე, გვ. 391;

230. იქვე, გვ. 393;

231. იქვე, გვ. 394;

232. იქვე, გვ. 394-495.

233. იქვე, გვ. 402;

234. სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წ.წ., თბილისი, 2001 წ. გვ. 16;

235. იქვე, გვ. 22;

236. ჟურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, №1.